

(5)

„ივერიის ბიბლიოთეკა“

5

ცურიკო, მელის და თოლია —

ი. ელეფთერიძისა.

ალექსანდრის ბალი —

ა. ჩეხოვისა.

საერთო თეითმართელობა და

საერთო დებულება 1864 წ. —

გ. რცხილაძისა.

3 6 9 8 0 5

№ 5

1905
ცურიკისი



„ივერიის ბიბლიოთეკა“

“ ბიბლიოთეკა ”

ცურიკო, მეცნიერება და თოლია —

ი. ელეფთერიძისა.

ალექსანდრის ბაღი —

ა. ჩეხოვისა.

საერობო თვითმმართველობა და

საერობო დებულება 1864 წ.—

გ. რცხილაძისა.

35 112



3 6 0 8 0 5

№ 5

1905

ტფილისი

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го августа, 1905 года.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

გვერდი	
ტურიკო, მგელია და თოლია—(ამბავი) ი. ელეფ-	5
თერიძისა.	
ალუბლის ბალი—კომედია 4 მოქმედებად ა. ჩეხო-	89
ვისა, თარგმანი სთვილ ციციშვილისა.	
საერობო თვრთმმართველობა და საერობო დე-	176
ბულება 1864 წლისა—გ. რცხილაძისა.	

ტურიკო, მგელია და თოლია

(ამბავი)

I

პაწაწა ბიჭისათვისაც-კი რომ, გეკითხნათ წიფლიანი-
ში, ვინ არის, ქაჯან, თქვენში ყველაზედ კარგი მონა-
დირეო, არც-კი დაფიქრდებოდა, ისე გიპასუხებდათ:
ტუტიკო და მგელიაო.

არავის ახსოვს უხეირო მაგალითად, რომ ტურიკო
და მგელია ნადირობიდან ხელუარიელნი დაბრუნებუ-
ლიყვნენ.

— ღმერთი-რჯული, მაგ ბიჭებს ჯადო რამ ეცო-
დინებათ, თორემ დაბმული ხო არა ჰყავთ ი ნადირი,
რო ასე მუსრს ავლებენ! — ხშირად გაიგონებდით წიფ-
ლიანში.

ეს სიტყვები თუმცა წუმრობით იყო ხოლმე წარ-
მოთქმული, მაგრამ ამასთანავე შეპნიშნავდით, რომ
მთქმელის კილოს ისეთი იერი სდევდა, თითქოს არც თუ
ხუმრობდა და ცალ-ყბად კიდეც სწამდა, რომ ტურიკო-
სა და მგელიას რაღაც ეშმაკეული ძალა სწყალობდათ
ნადირობის დროს.

მერე, ცალკ-ცალკე არავისაგან გაიგონებდით ამ ორ მონადირის სახელს.

ვინც ტურიკოს ახსენებდა, უეჭველად თანვე მგელიასაც დააყოლებდა, თითქოს ერთსა და იმავე კაცს ამშვენებდა ეს ორი სახელი: ტურიკო და მგელია.

მოკლულ ნადირს რომ ჰნახარდნენ წიფლიანელნი, ასე იტყოდნენ ხოლმე: ტურიკოს და მგელიას მოკლულიაო.

ეგ რად გინდათ? ტურიკოს ძალლო ჰყავდა—თოლია. ყველამ იცოდა, ეს ძალლი ტურიკოსი იყო, მაგრამ არც ერთი წიფლიანელი არ იტყოდა, ეს ძალლი ტურიკოსიაო, არამედ—ეს ძალლი ტურიკოსი და მგელიასიაო.

ტურიკო და მგელია რომ კარგი მეგობრები იყვნენ — ეს ყველამ იცოდა, მაგრამ აბა გეკითხნათ იმათ მეზობლებისათვის, როდის აქეთია, რაც ტურიკო და მგელია დამეგობრდნენო, — ვერც ერთი წიფლიანელი ვერ გიპასუხებდათ: არავის ახსოვდა ის დრო, როცა ტურიკო და მგელია მეგობრები არა ყოფილიყვნენ.

ეს არც გასაკვირველია, იმიტომ, რომ ტურიკო და მგელია ერთად აღირაზრდნენ, ერთ ოჯახში — ტურიკოს მამის სახლში.

ტურიკოს მამა თავისს დროზე განთქმული მონადირე იყო. ნადირობა ხელობად გადაექცია მას შემდეგ, რაც მილიციიდამ გამოსულიყო.

ამ ხელობით ირჩენდა თავს ტა არჩენდა ოჯახს.

ოჯახი დიდი როდი იყო: ცოლი და ერთი ვაჟი შვილი.

როდის და საიდან გაჩნდა მგელია ტურიკოს მამის

სახლში, დაბეჯითებით არავინ იცოდა. ამას არც არავინ კითხულობდა, რადგან მგელიას ყველა ისე უყურებდა, როგორც ამ ოჯახის შვილს, თითქოს იგი აქ დაბადებულიყოს და აქვე აღზრდილიყოს.

მხოლოდ ტურიკოს დედა — მოხუცებული მაგდანა — ხანდახან ისე, უმიზეზოდ, იტყოდა ხოლმე: მაგისი მამა და ჩემი ცხონებული ქმარი (იმავე!.. რაღა საცოცხლებელი ვარ მე უბედური იმის დამკარგავიო) კარგი ძმა-კაცები იყვნენ, ერთად მსახურებდნენ მილიციაშით. თანაც დაუმატებდა ხოლმე, მგელია თუშის შვილია, ობოლი დარჩა, არც დედა ჰყავდა. არც სხვა ნათესავი და ჩემმა ქმარმა ჩვენს სახლს შემოუკედლაო.

მამის ხელობას ტურიკო და მგელდა პატარაობიტანვე შეეჩივნენ და, როგორც უკვე ვიცით, შესანიშნავი მონადირენი გამოდგნენ.

მამამ ტურიკოს სამკვიდრო მაგდენი არაფერი დაუტოვა-რა, გარდა თოფისა — „სესიკასეული ბერდანკა“-სი (ასე ეძახდნენ ამ სახელ-განთქმულ თოფს წიფლიანში) და პაწია სახლკარისა, რომელსაც გვერდზე პაწიავე ბალჩა ეკრა.

ამ სახლკარსა და ბალჩას, რაღა თქმა უნდა ფარვა-ნასავით დაპფარფატებდა მოხუცებული მაგდანა, რომლის ნატვრა მუდამ ის იყო, რაც შეიძლება მალე, გამოსჩენოდა იმათ პატარა ოჯახს მისი მოადგილე და მოხუცებულ დედას საკუთარის თვალით ენახა შვილების ბედნიერება.

მაგრამ ახალგაზდა ბიჭები ჯერ-ჯერობით თითქოს ვერ მიხვეჭრილიყვნენ მოხუცებულის გულის პასუხს და ნადირობაში იყვნენ გართულნი.

მათი ხელობა როდი იყო უნაყოფო. კარგ ფასად

ასაღებდნენ მოკლულ ფრთხოსანს, რადგანაც ქალაქ ადგილებიდან მუშტარი მუდამ ჰყავდათ. კარგ ფასადვე ჰყიდდნენ მსხვილ-ფეხა ნადირის ხორცია და ტყავს.

ამ რიგად მათი ცხოვრება მიმდინარეობდა ერთ-კილომეტრად, აუმდევრეველად. თუმცა ათასი ხიფათი და უბედური შემთხვევა თანა სდევდა ახალგაზდა ბიჭების ხელობას, მაგრამ როგორც თითონ ბიჭები, ისე მათი დედა, თაობითვე გამობრძმედებულნი იყვნენ ცხოვრების ჭირ-ვარამის საწირთობში.

II

მხოლოდ ამ სოფლად ის მაღლი რა მაღლია, რომელსაც ბოლოს მატლი არ გაუჩნდეს?!..

ტურიკოსა და მგელიას ძმობა-მეგობრობასაც სწორედ ეს მატლი შეეპარა და თანდათან დააჭიანა.

მეგობრობის მატლი კი სიყვარულია. სწორედ ამ სიყვარულმა გაათავთავადა ეს ორი ძმა-ბიჭი, რადგანაც ერთის გულმა სწორედ იქ გამოსძებნა სატრაფიალო საგანი, საღაც მეორისას უკვე მიეგნო. ერთ ბილიკზედ შეხვდნენ ერთმანეთს, ამ ბილიკს კი ორივე მხრით უფსკრული ჰქონდა.. ორივე ვერ გაივლიდნენ, ერთ-ერთი უკან უნდა გამობრუნებულიყო და, უკუ-ქცეულს, საკუთარის თვალით ეცქირნა, მეორე როგორ იკვლევდა გზას ბედნიერებისაკენ. არც ერთმა არ მოისურვა უკუქცევა და გულდაგულ შეხვდნენ ერთმანეთს.

მართლაც და, ერთ უმთვარო ღამეს, როცა ცაზედ მხოლოდ ვარსკვლავები ციმციმებდნენ, ტურიკო და მგელია მოულოდნელად ერთმანეთს შეეფეონენ მარიკას.

სახლთან, რომელიც სოფლის განაპირად იდგა. ერთმა
მოელვარე წყვილმა თვალმა აღვილად გაარჩია ღამის
წყვდიადში ორი ცეცხლის მფრქვეველი თვალი. ამ ოთხმა
თვალმა ერთმანეთი კარგად იცნეს და დღეს პირველად
ამოიკითხეს ურთიერთისაღმი მეტყველება. ისეთის გრძნო-
ბისა, რომლისთანაც თავის დღეში ამ თვალების პატ-
რონთა გულს არ გაუტარებია.

ჩლუნგი გონება და გამახვილებული გრძნობა ამ ორ
ბუნების კალთაზედ აღზრდილ აღამიანისა მიკიბ-მოკიბ-
ვას, კეკემალულობისა ვერ მოახერხებდა. თითოეულმა
იგრძნო, რისთვისაც მოსულიყო მეორე მარიკას სახლთან
ამ სიყვარულის მესაიდუმლე ღამეში... მათი მექებრული
ალლო მაშინათვე მიხვდა, რა ნადირსაც დაეძებდნენ ორი-
ვენი... და ამიტომ ისე ვერ განშორდებოდნენ ერთმა-
ნეთს, რომ არ გადმოენთხიათ ის, რაც თითოეულის
გულის სიღრმეში სდულდა.

ასეც მოხდა.

— ვერ არის კარგი ძმობა, რო ი გოგოს მეცილები,
შეელიავ! — უთხრა ყველრებით ტურიკომ.

— ჩემი შენ გითხარ — გული, მოგიკალო! — უპასუხა.
შეელიამ დაცინვით.

— მე ეგ გოგო ორსავ თვალს მირჩევნია...

— მე-კი სიცოცხლესაც ზედ დავუმატებ...

— დამეხსენ, ნუ მეღობები გზაზედ და ჩემი თოფი.
შენი იყოს... ვიცი თვალში მოგლის — სცადა ტურიკომ
შეგობრის მოსყიდვა.

— ჩემი მიირთვი... უპასუხა მან მწარე ღიმილით.

— ძმობას გეფიცები, ნაღირობაზედ ხელს ავილებ,
რომ კაი ბიჭიობაში მოქიშე არა გყვანდეს...

— მე-კი მებარგულედაც გამოყვები, რომ სახედა-
რივით ნაწილები ამკიდო ხოლმე...

— მაშ ეგრე... არ მითმობ რაღა; მაგ გოგოს...

— სიცოცხლე წამართვი და მაგას ნუ დამათმო-
ბინებ...

— მაშ რავქნაზ! — წამოიძახა სასოწარკვეთილებით
ტურიკომ.

მგელიამ რომ სანუგეშო ვერა უთხრა-რა, ერთი ლო-
ნივრად ამოიოხრა. ამის შემდეგ ერთ ხანს ორივე მდუ-
მარებდნენ მჭუნვარება მოცულნი და გავარვარებულის-
თვალებით სჭამდნენ ერთმანეთს.

ბოლოს ტურიკომ გაუბედავად წარმოსთქვა, თითქოს
მგელიას კი არ ეუბნება, თავისთვის ამბობსო.

— იმ გოგოს მე ვუყვარვარ...

— შენ რომ არ იყო, მე! შემიყვარებდა. ახლა-კი
არჩევანშია, არ იცის, ვინ დასთმოს.

ტურიკომ იგრძნო, მგელია მართალს ამბობდა. თი-
თონაც დარწმუნებული იყო, მარიკა არც ერთ მათ-
განს არ დაიწუნებდა და ახლა ორივენი ერთმანეთს ხელს-
უშლიდნენ.

— მაშ რა ვქნათ? — კვლავ დაეკითხა ტურიკომ მგე-
ლიას და ტანაცისაგან დამანჭული სახე ძმად-ნაფიცისა-
კენ მიაქცია.

— წილი ვყაროთ! — წამოიძახა მგელიამ ანაზდეუ-
ლად, თითქოს უცბად ვიღაცამ უკარნახაო.

— ვყაროთ! — სიხარულით შესძახა ტურიკომ, რო-
მელისაც სახე მხიარულმა ლიმილმა გაუნათა, მაგრამ უეც-

რად კოხები შეეკრა, შუბლი დაუნაოჭდა, ასე გონია ის
აზრი, რომელიც უცბად იღიძრა იმის თავში; ერთბა-
შად შეიკუმშაო.

— მხოლოდ ამ პირობით...განაგრძო მგელიამ, რომ-
ლის სახე ამ ჟამად სეტყვის მომასწავებელ ღრუბელი—
ვით პირქუშად გამოიყურებოდა—ვისაც წილად ეგ გოგო
ერგება, იმან უნდა თავისი ძმად-ნაფიცი მოჰკლას ძალ-
ლივით, თორემ რალა სიცოცხლე იქნება იმისი სიცო-
ცხლე?!

ამ სიტყვებმა ტურიკო გააურუოლა. უნდოდა დაეყ-
ვირნა—ეგ უღვთობაა, არ შეიძლებაო, მაგრამ ისეთი
თავზარდამცემი იყო მგელიას ნათქომი, რომ თავში გავ-
ლებულს აზრს სიტყვები ველარ მოუძებნა და ყელში
ხმა ვერ ჰპოვა, რადგანაც ენა სასას მიჰკროდა.

— თანახმა ხარ?—მოისმა ცოტა სიჩუმის შემდეგ
მგელიას ხრინწ-მორეული ხმა.

ტურიკო შეტორტმანდა და ყრუდ უპასუხა:

— თანახმა ჭარ.

— ესეც იყოს... ვიდრე ჩვენ ორივენი ცოცხლები
ვიქნებით, არც ერთი არ უნდა შიეკაროს ამ იდგილს;
თვალითაც არ უნდა განიცადოს ო გოგო და მერე, რო-
ცა ერთ-ერთბ ჩვენთაგანი დარჩება,—ბედი იმისია, ღმერთ-
მა მოახმაროს...

ამ ლაპარაკის დროს მგელიას სახე, ერთხელაც არის,
არ გაჰსნია, გეგონებოდათ თვალით განუჰქორიტავ ნისლში
არის გაბურულიო, მხოლოდ თვალები უელვარებდნენ
ჯოჯოხეთურის აღით.

— თანახმა ხარ?—კვლავ განიშეორა მგელიამ.

— თანახმა ვარ... — იყო გაუბედავი პასუხი. სიჩუმე ჩამოვარდა.

— შოდი, — დაიწყო ტურიკომ სვენებ-სვენებით, — ვისაც სიკვდილი ერგება, თბილონვე მოისწრაფოს სიცოცხლე...

— არ ივარგებს! — სთქვა გადაჭრით მგელიამ. — სხვისი გულისათვის რად უნდა დაიმძიმოს სული?! დეჯ, იმას დაუმძიმდეს საიქიოს სული, ვინც სააქაოს ბედნიერი იქნება... მარიკასათვის ერთი კაცის მოკვლა რა ბედენა!.. — ამ სიტყვებთან ერთად ისეთმა ღიმილმა გააპო ბაგენი მგელიასი, რომ ეს ღიმილი ეშმაკის კბილთა-ლრწენას უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანის ღიმილს.

III

— დედი, მოდი ერთი, წილი გვიყარე — უთხრა მგელიამ თავის დედობილს — ტურიკოს დედას მაგუანას, — რომელსაც, ის იყო, თოლიასათვის სალაფავი მიეცა და რომელიც, იქვე ეზოში მდგარი, სიამოვნებით შეჰყრებდა ძალის მაღიან სლაპასლუპს.

— რაზედ უნდა გიყაროთ, შვილო, წილი? — მიუბრუნდა შოხუცი ღიმილით შვილობილს, — რა გაქვთ განა გასაყოფი შენ და ტურიკოს?..

ამ გულუბრყვილო სიტყვებზედ მგელიას დავთრება დაებნა და ლულლულით წარმოსთქვა:

— ეს იძახის, ირემზე წავიდეთო, მე-კი — დაოვზე-მეთქი... და აქ მგელიამ ყოყმანი დაიწყო.

— ეგ რაღა მაიგონეთ-ქა... აქ საწილო რა არის? მაგრამ, რაკი არ დაგიშლიათ, მაიტათ... აბა, როგორ გიყაროთ?

— აი, ამ ქუდიდგან ერთ-ერთი ტყვია ამოიღე — უპასუხა მგელიამ და გაუწოდა მოხუცს ნაპირებ შეკუმ-შილი ტყავის ქუდი.

მაგდანამ ქუდი ისევ ისე ნაპირებ-შემონაოჭებული და-იჭირა ცალ ხელში, მეორე ხელი-კი ქუდში ჩაჰყო და თვალის დახამხამების უმალ ამოიღო ერთი თოფის მასრა, რომელიც მიაწოდა მგელიას.

მაგდანას ყურადღება არ მიუქცევია მგელიას სახი-სათვის, როდესაც ქუდს აწვდიდა, რადგანაც ყველა ეს ხუმრობა ეგონა, თავისს ბიჭებისაგან განგებ მო-გონილი, თორემ შეამჩნევდა, რა რიგად უღვიოდა მგე-ლიას თვალები და როგორ უთახთახებდა სახის ძარღვები.

მგელიამ ანაზღეულად გამოართვა მაგდანას მასრა და, რა დახედა, კანკალი იწყო, სახეზე სითითრემ გა-დაჭრა, თვალები გაუნელდა და მასრა ხელიდან გააგდო, თითქოს გავარვარებული ყოფილიყოს და ვერ დაეჭი-როს. ელდა-ნაკრავსავით მიუბრუნდა ტურიკოს, რომე-ლიც იქვე ხის ქვეშ იდგა და ჩამოკიდებულ ქვერნის ტყავს ასუფთავებდა.

— შენია! — მიაძახა მგელიამ ტურიკოს ჩურჩულით, რომელიც გველის სისინივით გაისმა ეზოში და ელვასა-ვით ქუჩაში გავარდა.

მაგდანას არც ეს მოძრაობა შეუმჩნევია, რადგანაც, იმ დროს, როდესაც მგელიას მასრას აწვდიდა, უეცრად ძალლის ლრინვა მოესმა და მყეფარისაკენ მიატრიალა სახე.

თოლია ჭამას განაგრძობდა, მხოლოდ რაღაც ამღვრე-ულობა ეტყობოდა და სლაპა-სლუპის დროს ლრინვით ხანდახან თვალებს ალმაცერად იქვე, შორი-ახლოს მჯდარ

კატისაკენ გააპარებდა ხოლმე. ციცუნიას გაეგო, რომ თოლია სამხარს მიირთმევსო, და სტუმრად სწვევოდა, მაგრამ, რადგან გამოცდილებით იცოდა, რომ თოლია მაგრე-რიგად გულუხვი მასპინძელი როდია და შეიძლება თავისებურად წამოუქროლოს, — ცოტა არ იყოს, საკმაო მანძილზე წამოსკუპებულიყო.

ამასთანავე ძალლის მაღიანი ჭამა მასაც უშლიდა და საღერღელს. ძალლს-კი აზრადაც არ მოსდიოდა მისი მიპატიუება. ციცუნია უძლური იყო დაეძლია მუხთალი კუჭის მოძრაობა და ხანდახან კუდის ქნევით ჰბედავდა ახლო მიცუნცულებას; თანაც თითქოს ცდილობდა თავისის თილისმა თვალების მეტყველებით დაემშვიდებინებინა თოლია: „ტყუალად სწუხარ, ჩემო შეგობარო! მე მხოლოდ ისე, შენ საცქერლად მოვედი, თორემ...“

თოლიას როგორლაც არა, სწამდა წმინდა. განძრახვანი კატისა და ამ ეჭვს ღრენითა და კბილების კრაჭუნით აცხადებდა. ამისთანა წამებში კატაც ჰკარგავდა მოთმინებას, ერთბაშად აიფხორებოდა, ბალანს ყალხზე იყენებდა, თვალებში ცეცხლს აკვესებდა, თეთრსა და ბასრ კბილებს აკრეჭდა, მთელს ტანს შეიკუმშავდა და ქშუტუნით ბრჭყალიან თათებს წინ გადმოაგდებდა ხოლმე.

— აცხა, შე პატრონ დავსილო, — შეუძახა მაგდანამ კატას და ხელი დაავლო წნელს, რომელიც იქვე მიწაზედ ეგდო. კატამ იკადრა მოკურცხვლა. თოლიამ სლუკუნ-სლუკუნით თვალები გააყოლა თავის შტერ-მოყვარეს და ლოკვა დაუწყო სრულიად მოსუფთავებულს თაბახს.

— ქა, რა იქნა ი ბიჭი — დაიძახა გაკვირვებით მაგდანამ,

რა მიიხედა იმ მხარისაკენ, საცა მგელია ეგულებოდა. —
რა ანაპლეულად გაქრა! — შვილო, რა გერგოთ წილად? —
მიუბრუნდა მაგდანა ტურიკოს, რომელიც გაშეშებუ-
ლივით იდგა და თვალი ვერ მოეშორებინა მიწაზე და-
ცემულ და მისკენ გაგორებულ თოფის მასრისათვის.

იცნო ეს მასრა... იგი „სესიკასეულ ბერდანკისა“
იყო. მაშასადამე, ბედმა მარიკა მას არგუნა... მაგრამ...

ტურიკოს წაბორძიკებული გონება ველარ ჰედავ-
და ნაბიჯის გადადგმას და იმის განცდას, თუ რა მოსდევ-
და ამ „მაგრამს“.

მაგდანას ხმამაც ვერ გამოარკვია შავ ფიქრში წა-
სული ტურიკო. იგი ისევ ხეს მიჰკვროდა და აზროვნე-
ბა-დაკარგული თვალები. მასრისათვის ისე ჩაეშტერებინა,
თითქოს თვალებს ბრჭყალები ჰქონოდეთ და ამ თითბრის
მასრისათვის ჩაევლოთ.

უეცრად ტურიკოს ხელს რაღაც სისველე შეეხო.
ყმაწვილი ბიჭი გამოერკვა გარინდებას და დაინახა, რომ
თოლია ლაქუცით ხელებს ულოკავდა. ერთბაშად იმის
ასებაში ჩახვეულ გველივით რაღაცამ გაიფართხალა და
საშინელი წკმეტა დაუწყო. ეს შინაგანი სულიერი მოძ-
რაობა. შიგნითვე არ დარჩა, გარედ გამოხეთქა. საჭირო
იყო ფიზიკური რამ მოძრაობა, თორემ ტურიკო და-
იღრჩობოდა, რადგანაც ის „რაღაცა“ სასულეში მოაწვა
და სუნთქვა გაუძნელდა. ყმაწვილმა ბიჭმა იმის მეტი ვე-
ღარა მოახერხა-რა, რომ მოალერსე პირუტყვს ძალუმათ
წიხლი ჩაჰკრა ქედში. შეშინებული ძალლი წკმუტუნით
განზე გახტა და იქვე ხის ქვეშ გაინაბა.

IV

უბრალო ადამიანის მარტივი გონება უფრო პირ-დაპირ უყურებს უცბად მოვლენილს უბედურებას, ვიდრე მოქნილი და აზროვნობაში გაწაფული გონება ნასწავლის ადამიანისა.

იგი არ ეძებს მიზეზთა მიზეზს, დასაბამს მოვლენისას, რაღგანაც ეს მოვლენა უბრალო ადამიანის გონების თვალწინ მუდამ ამართულია მთელის თვისის საშინელებით. ამ გონების თვალთა-ხედვის ისარი როდი ჰურილება საგანის ფარგალს. ეს ფარგალი-კი ვიწროა, შეზღუდული, სწორედ იმოდენა, რამოდენაშიაც მოთავსდება თვით უმთავრესი საგანი. უბრალო ადამიანი არ იხედება არც წარსულში, არც მომავალში, რაღგანაც მთელი მისი არსება მხოლოდ აწმყოს შეუპყრია. ამიტომაც ეს აწმყო, რაც უფრო მწუხარების ამშლელია, მით უფრო ძალუმად იწვევს კაცს სამოქმედოდ, საგანს სწრაფად აწყვეტინებს.

სწორედ ამისთანა მდგომარეობაში იყვნენ ტურიკო და მგელია.

ტურიკოსათვის თვალნათლივი იყო, მგელია უნდა მოეკლა; მგელია დარწმუნებული იყო, ტურიკო მას მოჰკლავდა. არც ერთი მათგანი ერთის წუთითაც არ დაჰტიქრებია იმ გარემოებას, რომ შეიძლებოდა სხვა რამ გზა ეპოვნათ სურვილის მისაღწევად.

წარსული ცხოვრება, რომელშიაც იმდენი სასიამოვნო მოგონება მოიპოვებოდა მათის ძმა-ბიჭვაბისა, უძლური იყო იმის წინაშე, რაც ახლა ხდებოდა ამ არადამიანის არსებაში. თავზარ-დამცემი მომავალი, სავსე

საშინელის ღვთის რისხვითა და ზნეობრივის ტანჯვით, არამც თუ ბუნდათ, არამედ სრულიაზაც არ აგონდებოდათ ტურიკოსა და მგელიას .. და ეს იმიტომ, რომ აწმყო თვისის უხილავის ხელით ციბრუტივით ატრიალებდა მათ. სულ ერთსა-და-იმავე წრეში და არ ძალუძღავთ გასცილებოდნენ ამ გრძნეულ წრეს.

რაკი სიქმე გათავებული იყო, მგელიას სიკვდილი აუცილებელი, ტურიკომ გადასწყვიტა ისეთი ხერხით გამოესალმებინა მგელია სიკუოცხლეს, რომ არავისათვის მისი მოულოდნელი სიკვდილი საეჭვო არ ყოფილიყო. თოფი რომ ესროლა, გუმანს მიიტანდნენ — განგებ მოუკლავსო, და პასუხის გებაში ჩავარდებოდა. ხანჯალი ჩაეცა — უფრო უარესი იყო. საწამლავის ხმარებაც მოუვიდა თავში, მაგრამ თითონვე იუვარგისა, შოვნა სახიფათოა და არც უცბად ჰქლავს, ვაი თუ ტანჯვის დროს გამცესო.

ბევრის ფიქრისა და თათბირის შემდეგ თავისევ თავთან, ტურიკომ გადასწყვიტა მარჯვე შემთხვევის დროს ხელი ეკრა და უფსკრულში გადაეჩეხა ძმად-ნაფიცი, — იფიქრებენ — ფეხი ასცდენია და თითონვე დალუბულაო.

ამგვარის გარდასწყვეტილებით გაუდგა ტურიკო გზას.

ბიჭები ლამიან გამოვიდნენ სოფლიდგან დათვზე სანაზირით. ეს ნაღირობა უკვე ნათათბირევი და მოაზრებული ჰქონდათ. ჯერ კიდევ ერთის თვის წინად მიეკვლიათ და-თვის ბლნაგისათვის, მაგრამ, რადგანაც აღლო-აღებულინაზირი წამდაუწუმ ბინას იცვლიდა, თუმცა იმ არე მარეს-კი არა ჰშორდებოდა, — ბიჭები ჯერ არსად არ შეკუროდნენ. ერთი ხანი ტყე-ტყე უნდა ევლოთ, მერე პატარა მთას გადასულიყვნენ და შემდეგ გაევაკებინათ.

ტყე ისე გაიარეს, სინათლემ ვერ უსწროთ.

ქვეყნად გამეფებული სიბნელე ტყეში ჯოჯოხეთურ
წყვდიადად გადაქცეულიყო. ჩამი-ჩუმს ვერ შეამჩნევდით,
მხოლოდ ხან-დასმით, შორს, საღლაც, უცრიად ჰაერს
შეარყევდა ხოლმე მიკიოტის საზარელი კივილი, რომე-
ლიც უცნაურის ბუნებრიობით უერთდება ტყის გულჩათ-
ხრობილებას.

გამახვილებული მხედველობა ბიჭებისა აღვილად არ-
ჩევდა ამ სიბნელეში ტყეზედ მიმავალ გზას, რომლის
ორივე მხრით ამართულიყვნენ ასწლოვანი ხეები და აჩრდი-
ლებივით დაჰყურებდნენ ტყეში მიმავალთ.

შგელია წინ მიღიოდა. იმას ფეხ-და-ფეხ. მისდევდა
ტურიკო. თოლია ხან წინ მოექცეოდათ პატრონთ ხან
უკან; ხან უცბად. შესდგებოდა კისერ მოლერებული,
დაუწყებდა ჰაერს სუნვას, ერთბაშათ გვერდზედ გადა-
ხტებოდა, წაჰყოფდა ჯაგში ცხვირს და მოჰყვებოდა
წინა-ფეხებით მიწის ფხაჭნას, მაგრამ, რა დარწმუნდებოდა
ხოლმე, — მოვტყუვდიო, ისევ გზაზედ გადმოირჩენდა.

ორივე ბიჭის არსებაში ზვავივით რაღაც ჩამოწოლი-
ლიყო და მთლად დაებნელებინა მათი სულიერი თვითება.
ხან-და-ხან ეს სიბნელე ისე გახშირდებოდა ხოლ-
მე, რომ გონების თვალი უძლური იყო განეჭვრიტა ის,
რასაც ორივენი მოელოდნენ და რაც მათ ბედისწერას
უკვე გადაეწყვიტა. ამისთანა წამებში მათი სულიერი ვი-
თარება მოგაგონებდათ იმ ადამიანის მდგომარეობას, რო-
მელსაც ფეხი დასცდენია და უფსკრულისკენ მიექანება...
იცის, სიკვდილი, აუცილებელია, მაგრამ ის კი ვერ განუ-
ჭვრეტია, თუ რამდენად გახანგრძლივდება ასეთი საში-
ნელი მდგომარეობა, რამდენჯერ მოასწრებს ამოსუნთქვას,

ან აზრის მოძრაობით იმის შემოწმებას, რომ ჯერ კიდევ არ მომკვდარვარ, ცოცხალი ვარო.

ერთ-ერთ ამისთანა წამის დროს, როცა ტურიკოს გონებას ბინდ-ბუნდი ძალუმათ შემოჰვეოდა, უეცრად შემოესმა წყლის ხუილი, რომელიც ქვევიდგან მოისმოდა. ანაზღეულად გამოერკვა გარინდებას და შიხვდა, სადაც ახლა ისინი იყვნენ.

ამ ადგილს ხალხი „ეშმაკის ნაფეხურს“ ეძახდა, რადგანაც გასასვლელად ძალიან სახითათო იყო. ტყეზედ მიმავალი გზა ერთბაშად კლდეს აღგებოდა, რომლის სისწვრივ ხელოვნურად გაყვანილი იყო ბილიკი, ზედ ხევზედ გადამყურავი. მარცხნივ ტყე თავდებოდა და სამაგიეროდ პირ-დალრენილი უფსკრული იწყობოდა. მარჯვნივ კლდე იყო აყუდებული, რომელიც, ერთ ადგილს წინ წამოშვერილი, უფსკრულს აივანსავით გადაჰკიდებოდა.. ამ ჰაერში დაკიდულ აივანზედ ორი აღამიანი ერთმანეთს მხარს ვერ აუქცევდა, ბილიკი ისე ვიწრო იყო.

და სწორედ ეს ბილიკი აირჩია ტურიკომ იმ ბეჭ-ჭის ხილად, რომელიც სანატრელ მღვომარეობამდე მიიყვანდა... ერთი ხელის განძრევა და მორჩა... მგელია და სიკვდილი ერთმანეთს ჩაეხუტებოდნენ. კლდე მაღალი იყო, უფსკრული ღრმა. და წვეტიან ქვებით, სავსე. თვით ღმერთიც ვერ იხსნიდა მგელიას ამ განსაცდელისაგან.

— ან იქნება გულმა უაზროს და ფეხი არ შესდგას „ეშმაკის ნაფეხურზე“? — გაივლო ტურიკომ თავში, როცა მგელია კლდეს მიუახლოვდა — ერთიც ვნახოთ, გზა მომცეს, თითონ უკან მომყვეს?!

მგელია არც-კი შეყოყმანებულა, ისე მიაღვა „ეშმაკის ნაფეხურს“. ტურიკოს გულმა ძაგდაგი იწყო, თით-

ქოს ბუდიდან ამოვარდნას აპირებსო. ამავე დროს ყელის ძარლვები დაეჭიმა. ნაკვერჩხალივით გალუებული რვალები-კი ცეცხლის ისრებს ესროდნენ მგელიას ზურგს.

აი, ორივემ ჰაერში დაკიდულ აივანზე შესდგეს ფეხი. ტურიკო ისე ახლო იყო მგელიაზე, რომ მის ბაგეთაგან გადმონადენი ორთქლი მგელიას კისერს ეფინებოდა. ყოველ კუთხე-კუნჭულს, მისახვევ-მოსახვევს მიჩვეული მგელია არხეინად მიღიოდა. ბიჭებს „ეშმაკის ნაფეხური“ თითქმის განახევრებული ჰქონდათ, რომ ტურიკო ერთბაშად აილურსა, თითქოს აპირებს მგელიას თავზე წაადგესო, ორივე ხელები წინ გაიწვდინა და, ის იყო, უნდოდა ძმად ნაფიცისათვის მხრებში ჩაევლო და მარცხნივ, უფსკრულისაკენ გადაექნია, რომ უკანიდან უცბალ ფეხებში რაღაც მოედო.

ტურიკო შესდგა, ხელები ჩამოუშვა და უკან მოიხედა. იმის ფეხებთან თოლია იდგა. ძალლის სიახლოვის-განცდა იყო და ტურიკომ იგრძნო, რომ სახეზე ალმური მოედო. ტვინში-კი თითქოს ელვასავით რაღაც შეჭედა. ტურიკომ ყოყმანი იწყო, არ იცოდა, რა ექნა, კვლავ განეგრძო თავისი განზრახვა, თუ, მეგობრის მაგიერ, ძალი გადაეჩეხა უფსკრულში. ამასთანავე გრძნობდა, რომ არც ერთისათვის და არც მეორისათვის საკმაო ძალა აღარ შესწევდა; უძლური იყო წელანდელივით ხელები გაეწვდინა მგელიასაკენ, ან ფეხი ეკრა თოლიასათვის.

უფსკრულს-კი ონავარ ნადირივით პირი დაელო, თითქოს მსხვერპლს მოელისო.

მაგრამ ანაზღეულად შეჩერებული ბოროტება ყოყმანში იყო.

ამასობაში მგელია „ეშმაკის ნაფეხურს“ გასცდა.

მონატირებმა, ის იყო, მთას გაღააბიჯეს, რომ აღ-
მოსავლეთით გამოცურდა შუბივით სწორი ციაგი ზოლი.
და წყვდიადში შეიქედა. შუაზე გაფხრეზილი სიბნელე
ფარდისავით აქეთ-იქით აიკეცა. გამოჩნდა ცის კიდური,
თეთრი ნისლით შებურვილი. ღამის შავს ქსოვილში
აქა-იქ თვალი ჩავარდა, ზოგან-კი მოთეთრ-მონაცრის
ფერად რაღაც ჩაიკემსა.

ბუნების თითოეული გამოსახულება თალხ საბურავს
იხსნიდა და თანდათან ირკვევოდა.

სამყარო, თითქოს ენა ამოიდგაო, როგორლაც ამო-
ძრავდა. ეს იყო ბუნების მესაიდუმლე ეთერი—დილის
სიო. აქ ფოთოლინი აალაპარაკა, იქ ბალახი ააბიბინა,
წყალს ზედაპირი აუბურთ-ბურთა, თითქოს ზევიდგან
მარგალიტი დააყარაო.

ბიჭებმა ხარბად ამოისუნთქეს და სამყაროს თვალი
მიავლ-მოავლეს. ცა თანდათან ნათლდებოდა, დაბლა-კი
დედამიწას, სადაც ადამიანს ჯერ არ დაეწყო თავისი სა-
ყოველდღეო ფუტფუტი; რძესავით თეთრი ნისლი გა-
დაპფენოდა; ეს ნისლი ისე გაძაბულიყო ირგვლივ შემო-
რტყმულ მთის კალთებს შორის, გეგონებოდათ—ზღვაო.

ვერ იგრძნეს ბუნების მშვენიერება თუ ერთი და-
ერთი ამგვარ სანახაობას მიჩვეული თვალი ახალს ვერაფერს.
ჰედავდა,—ბიჭები როდი გაიტაცა უზენაესის დიადმა-
მხატვრულმა შემოქმედებამ და პირვანდელებრ სახე-მო-
ლუშული გადმოჰყურებდნენ მათ ფეხთა-ქვეშ გაწოლილ-
ბაშის ქულასავით სპეტაკ ნისლს, რომელიც ნელ-ნელა-
ზევ-ზევით იწევდა.

მხოლოდ ერთი თოლია იყო კარგ გუნებაზე; კუდ-წამოკაუჭებული, აბურძგნულისა და ნამისაგან დასველებულის ბალანით, დაძვრებოდა აქეთ-იქით, ჰსუნავდა შიწას, ჰაერს, ჸვას და წამდა-უწუმ მოიჩენდა ხოლმე პატრონებთან, გეგონებოდათ, რაღაც უნდა უთხრასო, მაგრამ კვლავ განზედ გარბოდა, თითქოს გრძნობს, პატრონები გუნებაზე არ არიანო.

ბიჭებმა ისე შეისვენეს, ხმა არ ამოულიათ. თითქოს ცდილობდნენ კიდეც თავიდან აეცილებინათ ყოველივე გარემოება, რომელსაც შეეძლო მათი ენა მოძრაობაში მოეყვანა; თოლიასაც-კი არა სცემდნენ ხმას, რომ სალაპარაკოდ მიზეზი არ გასჩენოდათ.

იმ წამიდან, რაც წილი ჰყარეს, ორივემ იგრძნო, რომ მათ სალაპარაკო აღარა აქვთ-რა. ბედმა ერთის ბედ-ილბალი მეორეს ჩაუგდო ხელში და ამ ბედ-ილბალის გადაწყვეტა-კი უსიტყვოდაც შეიძლებოდა.

თეთრად გათენდა. სპეტაკი ნისლი მოშორდა დედა-მიწას და ზღაზვნით, გაუბედავად ცად გაემართა. აღმოსავლეთით ცის კიდური მიმკრთალებულ ვარდისფრად შეიღუბა. ქვეყნის მანათობელმა სხივები სვეტებად ამოუშვა, თითქოს ცას ოქროს მტვერს აყრისო. ორიოდე წამის შემდეგ მზემ სრულიად ამოჰყო თავი. აღმოსავლეთი სამსხვერპლო კოცონს დაემსგავსა.

მონადირეებს კიდევ ჰქონდათ გზა გასავლელი. ისინი ახლა „ფსიტის ულელტეხილში“ იყვნენ. ეს ულელტეხილი ურმის უბესა ჰგავდა; რამოდენიმე მანძილზე გავაკებული იყო და კალთასავით მოქცეული ორ ქედ შუა, რომლებიც, ერთი-მეორის სისწვრივ მდებარენი, ზევით, მთისაკენ მიიმართებოდნენ. ულელტეხილი, რაც მაღლა

მიღიოდა, თანდათან ვიწროვდებოდა და, როგორც ურმის ხელნებია უღლის სათავეში გადაბმული, ისე აერთებდა იმ ორ ქედს და მთის მწვერფალს.

დათვს ბუნაგი სწორედ ამ მთაში ჰქონდა. მონადირეები დარწმუნებულნი იყვნენ, მზე რომ შუბის ტარამდის აიწევდა, დათვი მთიდან წყალზე ჩამოვიდოდა. შიგ შუა უღელტეხილში, გავაკებულ ფერდობის ახლო, დიდი ჩანჩერი იყო, რომლის არე-მარეში ბიჭებმა წინად რამდენჯერმე დათვის ნავალი ჰნახეს.

გადაწყვეტილი ჰქონდათ, ერთი ერთის ქედიზან მოუვლიდა, მეორე—მეორედან, ასე რომ ნაღირი უეჭველად უნდა შეჰყროდათ.

ბიჭები, იქვე ჩახრამულ ღელეზედ გადავიდნენ და ტყის სათავეში გაიყარნენ. ტურიკო მარჯვნივ წავიდა, მეგელია—მარცხნივ. თოლიასათვის არც ერთს არ დაუძახია, თითქოს ორივეს ძალლისათვის მიენდოთ, თითონ მასვე გადაეწყვიტა, ვის გაჰყოლოდა. თოლია გულ-უბრყვილოდ ტურიკოს დაედევნა.

ტურიკო ტყეს შეერია და აღმართს შეუდგა.

გაზაფხულის მიწურული იყო, ტყე გაფოთლილ გაბარდული. ფშხვიერი და ალაგ-ალაგ ტინიანი ნიადაგი, ცოტა არ იყოს, სიარულს აძნელებდა. თოლიამ ალალი აართვა ნაღირის სიახლოვეს. თუ იგრძნო პატრონის გულჩათხრობილება, თავი ანება წინანდელებრ აქეთ-იქით რბენას და იწყო ტურიკოს კვალში დევნა, ენა გადამოგდებულმა.

მზე კარგად იყო წამოსული, როცა ტურიკომ მიაღწია იმ ფერდობს, რომელიც ჩანჩქერს გადაჰყურებდა. ტყის შუაგულ ადგილას კალთასავით გადაშლილ დაბალახით აბიბინებულ მდელოზედ მთიდან ღაქანებულ წყლის ნაკადს ზედ განიერი რუსხმული გაეკეთებინა. რადგანაც ეს პაწია ველი სიგანეზე ორ-სამ ადგილას ამალლებულ-დადაბლებული იყო, თითქოს კიბე-კიბეა, ამიტომ წყალიც ისე ვიდოდა რუსხმულში, გეგონებოდათ, ხელოვნურად გაკეთებულ ტერასებზე არის გადმოშვებულიო.

მშვენიერი და მყუდრო ადგილი იყო ეს აღგილი. მართალია, კაცის თვალი იშვიათად თუ ჰედავდა ამ მშვენიერებას, მაგრამ, კაცის გარდა, ბუნებას ალბალ სხვა მოტრფიალენიც ჰყავდა, რომელთაც შეეძლოთ დამტკბარიყვნენ ამ ადგილის სიტურფით და ამით შეემოწმებინათ დიადობა ბუნების შემოქმედებისა.

მართლაც და ამ განმარტოვებულ ტაძარს უტყვ ბუნების სილამაზისას ამ უამაღ შეჰქარებოდნენ, ენით მოუბარნი თუ არა, გრძნობით მაინც მეტყველნი ცხოველნი და ლალობდნენ სწორედ ისე, როგორათაც საღ ადამიანს შეუძლიან ილალობოს, როცა ჰედავს, მარგალიტივით სპეტაკ ზვირთებში როგორ ჭამაშებს თავის ბრწყინვალე სხივებს შვეუნის მაცოცხლებელი მზე. არ შეიძლება ამის შნახველს რაღაც სასიამოვნო ღიტინი არ აგივარდეს, ურუანტელმა არ დაგიაროს მთელს სხეულში და არ აღგვაძრას სურვილი—შეუერთდე ბუნების სხვადასხვა გამომეტყველ ძალთა დუღილს და შენც ამ ნაღულში გაიქნა.

და ის ცხოველნიც სწორედ ამ სურვილით იყვნენ
გატაცებულნი.

ძუ-დათვი თავისს ორის შვილით აცხოველებდა ამ
უტყვ-ბუნების გამოშეტყველებას. პატარა დათუნები, ის
იყო, წყალით გამაძლარიყვნენ და ახლა სილალეს და ხა-
ლისობას მისცემოდნენ.

დათვის ბელები ჯერ პატარები იყვნენ, ესე ოთხის ხუ-
თის თვისა, მეტად სასაცილონი და ოინბაზურის იერისა.

დედას წყალის სმა არ გაეთავებინა და ჩანჩქერის
ნაპირას იდგა. ერთ-ერთი შვილთაგანი მიეპარა და დე-
დას ზურგზე შეახტა. ეს რომ დაინახა, მეორე მივიღა და
წინა ფეხებ-შუა თავი შეუყო.

დედამ როგორდაც არ იჭაშნიკა, შვილები რომ მო-
სვენებას არ აძლევდნენ, და მათი დასჯა განიზრახა. უ-
ცხად შესწყვიტა წყალის სმა, თავი ძირს, ნელნე-
ლა დასწია და ერთბაშად წყლისაკენ დაიქნია; ზურგ-
ზე შესკუპებულმა დათუნამ თავი ველარ შეიმაგრა, გა-
დაკოტრიალდა დედის კისერზედ და ტყაპანი-კი მოილო
წყალში.

ამით არ გათავებულა დედის ხუმრობა.

მეორე ჯერ კიდევ დაუსჯელი იყო. ის წინა ფეხებ
შუა გასჩეროდა და წყლისაკენ დახრას უძნელებდა. დე-
დამ, არც აცია — არც აცხელა, დაავლო კისერში პირი,
გააქან-გამოაქანა რუსმულზედ და წყალში გადუძახა.

ღრმად შეგუბებულმა წყალმა, მართალია, ორივენი
მოიტივტივა და თითონაც ცდილობდნენ ცურვას, რამ-
დენადაც დედისაგან ესწავლათ, მაგრამ დედის ხუმრო-
ბის არა-სასიამოვნო გარემოება იმაში მდგომარეობდა,

რომ წყალი ჰქონდათ ნაყლაპავი, სუნთქვა შეკრული და
თავი დარეტიანებული.

როგორც იყო, წინა ტოტების მოსმით, განუწყვე-
ტელის ფრუტუნით და გაზუნზულ თავ-პირის ქნევით
მიაღწიეს ნაპირს; რა გავიდნენ ნაპირზე, იწყეს მოელი
ტანის ბერტყა, რადგანაც ჯერ კიდევ არ იყვნენ შეჩვე-
ულნი და უნდოდათ მალე მოეშორებინათ წყლის
წკლუმბები.

დედა ამასობაში მორჩა წყლის სმას და დასასვე-
ნებლად წამოწვა მყუდროზედ.

შვილები არ ეკარებოდნენ, რადგანაც ჯერ არ და-
ვიწყებოდათ წელანდელი ნაწვნევი; თავისთვის თამაშობ-
დნენ, ერთმანეთს ახტებოდნენ, გორაობდნენ, უკანა ფე-
ხებზე დგებოდნენ და წინა ფეხებს-კი ერთი მეორისაში
ხლართავდნენ, თითქოს ჭიდაობენო. თითოეული მათი
მოძრაობა, თუმცა უხეში და უსხარტო იყო, მაგრამ,
სამაგიეროდ, უცნაურის ოხუნჯობით აღსავსე, გეგონებო-
დათ თქვენ წინ ორი ხუმარა ჯამბაზიაო..

დასვენების შემდეგ, ძუ-დათვმა ბელებისაკენ გამოს-
წია, რომელნიც იქვე ხეს ქვეშ ნავარდობდნენ. დაავლო
ერთ-ერთს კისერში პირი და ზურგზე შეისვა, მერე მი-
უახლოვდა ხეს და ზედ ახოხება დაიწყო; პატარა დათუ-
ნა, თითქოს იგრძნო დედის განზრახვაო, დაებლაუჭა-
კლანჭებით დედის ზურგს და კისერზე მოახტა. ძუ-დათვი
ამდენზე ახოხდა, ვიდრე ხის პირველ ტოტამდე მიაღწიევდა.
აქ დათვის ბელი ხის ტოტზედ გადაჯდა და ზედ გამაგრდა.

დათვი ძირს ჩამოხოხდა და ახლა მეორე ბელი შე-
ისვა ზურგზე ხეზე ასაყვანად, მაგრამ მეორეს მარცხი
დაემართა: დედის კისრიდათ ტოტზე გადასვლის დროს,

ფეხი მაგრა ვერ მოიკიდა, ქანაობა დაიწყო და ბოლოს ლაზათიანი ზლართანი-კი მოილო დედამიწაზე. ამის დამნახავი ძუ-დათვი მივარდა შვილს და ერთი მამაპაპური სილა უთავაზა ყბაში. მერე კვლავ მოიგდო ზურგზე და ასვა ხეზე. ახლა-კი იკადრა დათუნამ მარჯვედ გადასკუ-კება ტოტზედ.

პატარა მოხალისე ცხოველებმა იწყეს ტოტიდან ტოტზე გადასვლა ჯერ გაუბედავად, ნებ-ნება, მაგრამ თანდათან წათამამდნენ და ისიც-კი დაივიწყეს, რომ სიფრთხილე ქვეყნად არსებობდა. ძუ-დათვი ხეზე არ ავიდა, უქვე ხის ქვეშ ტრიალებდა, ხავს-მოდებულ ქვებზე ჭია-ლუას დაეძებდა და სჭამდა.

VII

ასეთ მყუდრო შექცევაში იყვნენ ჩვენი გულუბრყვილო ცხოველნი, რომ უცბად საიდლამც თოფმა ღაიჭება და ერთის წუთით გააყრუა ჩანჩქერის ხუილი.

თვალის დახამხამების-უმალ თოფის ჭექას ზედ გადაება მხეცის საზარელი ბლავილი. ამასთანავე დაკოდილი და სისხლში მოსვრილი ძუ-დათვი ციბრუტივით დატრიალდა და კბილებით მიწას დაუწყო გლეჯა; მერე ღონე-მიხდილი იქვე დაეცა.

გულ გადაბრუნებული დათვის-ბელნი ხის ტოკ ტებზედ გაინაბნენ... სუნთქვა შესწყვიტეს.

დათვის წაქცევა იყო და მარცხნივ ფერდობზედ გადმოდგა მგელია, რომელიც აქამდის ქვას ამოჰფარებოდა და ალბად ნადირს უთვალთვალებდა.

რა ჰნახა, რომ ტყვიამ მარჯვედ მიაღწია მიზანს,

შეელიამ გამოსწია დაკოდილ ნადირისაკენ, რომელიც მას
მოკლული ეგონა.

ესე ათიოდე ნაბიჯი-ლა იქნებოდა მონადირესა და
წაქცეულ ნადირის შუა, რომ საკვირველი ამბავი მოხდა.

სასიკვდილოდ დაკოდილი დათვი უცბად წამოიჭრა,
უკანა ფეხებზედ შედგა და, წინა ტოტებ-გაწვდილი; ადა-
მიანივით მგელიასაკენ გაემართა.

იმ ზომამდე მოულოდნელი იყო ასეთი მიტევა მგე-
ლიასათვის, რომელსაც მხეცი მოკლული ეგონა; რომ
ამის მეტი ველარა მოახერხა-რა: უკან გადახტა, თოფი
განზედ გადააგდო და ხანჯალი იშიშვლა..

იყო ისეთი ანაზღეული წუთი, როდესაც მხეცმა და
ადამიანმა ერთმანეთს თვალი-თვალში გაუყარეს და, ალ-
ბად, ის, რაც ერთმანეთის სახეზედ ამოიკითხეს, დამა-
მშვიდებელი არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც დათვი მა
შინათვე დაიძრა და მონადირისაკენ გაემართა.

მგელია არ განძრეულა გასაქცევად; ხანჯალ-შეია-
რალებული მარჯვენა ხელი ცოტა განზედ გაშლილი
ეჭირა, რომ მოქნევა ძლიერი და მეღგარი ყოფილიყო;
ცხვირის ნესტოებს ისე ამოძრავებდა, თითქოს დოლში
გასაყვანი ბედაურიაო; ათრთოლებულ და შუა-გაპობილ
ბაგეთაგან მოსჩანდა სპეტაკ და ბასრ კბილებთა ორი წყე-
ბა, რომელნიც ისე გადაბმულიყვნენ ერთმანეთზედ, გე-
გონებოდათ, თავის დღეში არ გახსნილან და არც გაიხ-
სნებიანო. წარბების შესართავ ადგილის შუბლი იმდენად
ჩაჰლრმავებოდა, რომ შიგ თითო ჩაჯდებოდა და ხორცის
კანი-კი ნაოჭად შეკროდა, თვალები იმ ზომამდე დაე-
ბრიალებინა, რომ თეთრი ბაიის კიდეები უჩანდა და რაც
რამ მრისხანება, სიმძლავრე, სიმამაცე და სხვა-რამ ძალა

მოიპოვებოდა ამ ადამიანში, ყველა ერთად მოგროვებულიყო თვალების კაკლებში, რომლებიც ნაკვერჩხალივით უღვიოდა.

ერთი სიტყვით, მთელი მისი არსება, ონავარ ნადირის წინაშე მდგარი, ამ ნადირზედ უფრო ონავრულ იერით იყო მოსილი.

დათვს ტყვიისაგან ყბა ჰქონდა შენგრეული და სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. უკანა ფეხებზედ ამართული იგი უშველებელი-რამ იყო. ჩვეულებრივად უსხარტოს და ზღაზვნით მმოძრავს ახლა სიმარდე და სხეულის მოქნილება ეტყობოდა, ასე რომ მტრისაკენ ადამიანივით აბიჯებდა.

რა წამსაც მიუახლოვდა მონადირეს, დათვმა ტოტი შემოუქნია და სახეში უსწორა. მგელიამ დაბლა დალუნვით დაკვრა აიცდანა და ხანჯალი აძგერა იღლიაში; მხოლოდ ხანჯალი ფეხის და გულის შესართავში ვერ მოჰვედა ნადირს, რადგანაც, მოქნეულ ტოტის აცდენის გამო, იგი წინ წატორტმანდა და ამიტომ ხანჯალი მხარში შეერჭო. სამაგიეროდ, ერთი და ერთი წაბორძიკებული დათვი ფეხზედ ვეღარ გამაგრდა, წაბარბაცდა და მგელიას წააწყდა.

ორივენი წაიქცნენ.

ადამიანის საუბედუროდ, დათვი ზედ დააწვა: მგელიას სახიფათო მდგომარეობა. მით უფრო გადუბჭირდა, რომ მისი მარჯვენა ხელი, რომელშიაც ხანჯალი ეჭირა, დათვმა ქვეშ მოიტანა.

ამის გამო იგი საბრძოლველად უძლური იყო.

დათვმა დაუწყო თავისს მტერს ჯიჯგნა, საშინელი ცემა ტოტებისა სახეში, თავში, გვერდებში, გულში, საცაკი მოჰვედებოდა.

მგელია უზომო ტკივილთან ერთად გრძნობდა მხე-
ცის გახშირებულ სუნთქვას, ესმოდა ხან რაღაც ბუტ-
ბუტი, ხან მისი კბილთა ლრჭენა, ხამუშ-ხამუში ლმუი-
ლი, რომელიც თითქოს კმაყოფილებით იყო აღსავსე.
პირველ ხანში მგელია ცდილობდა გამოსძრომოდა დათვე
ქვეშიდგან, მხოლოდ იყი როგორც უნაგირს ისე გადას-
ჯდომოდა და მთელი სიმძიმით ზედ აწვა.

მარჯვენა ხელი, მართალია, გაინთავისუფლა, მაგრამ
გამოსადეგი აღარ იყო, რადგანაც წაქცევის დროს პლრძო-
ბოდა და ველარ აეწია. სცადა მარცხენა ხელით გვერდზე
გადავარდნილის ხანჯლის აღება და მოქნევა, მაგრამ და-
თვმა, თითქოს მიუხვდა განზრახვასაო, გამოსტაცა თავისს
მოქნილის თათით ხანჯალი და შორს გასტყორცნა.

შერჩა მხოლოდ მარცხენა ხელი, რომლითაც მგე-
ლია ხან ყელში ეჭიდებოდა ნადირს, ხან ბალანს აფ-
ლეჯდა, ხან დაჭრილს ადგილს ულადრიდა რომ ტკივი-
ლი გაემწვავებინა.

ამის გამო ერთი-ორად გამძვინვარებული მხეცი
უფრო და უფრო გააფთრდა. უშველებელ ტოტის
გამუღმებულმა სახეში ცემამ მგელიას თავ-პირი აკეპილ
ხორცს დაამსგავსა. ცხვირის ნესტოებიდგან, თვალებიდ-
გან, ალაგ-ალაგ დახეთქილ ძარღვებიდგან სისხლმა იწყო
თქრიალით დენა. ნადირი-კი არა სცხრებოდა. თითქოს
განგებ, რაც უფრო მგელია თანდათან ლონესა ჰკარგავ-
და, ველარ უძალიანდებოდა გაცოფებულ მხეცს, მით
უფრო ეს მხეცი ძალას იკრეფდა და ჰბილვნიდა თავისს
მოსისხლე მტერს.

დათვმა ბრძოლის დროს მგელიას ჭანისამოსი შე-
მოახია და დაუწყო სხეულის წიწკნა. საკვირველმა ალ-

რომ მშობლიურის მზრუნველობისამ, რომ პატია, დათუ-
ნები ხიფათში არიანო, ეს ჩვეულებრივ უწყინარი და ნა-
კლებად ონავარი ნადირი იქამდის გაავზნიანა, რომ თა-
ვისს მსხვერპლს კბენაც-კი დაუწყო, რაც მეტის-მეტად
იშვიათი მოვლენაა ხოლმე.

მგელიას, ვიდრე გონებაზედ იყო და ჯერ კიდევ
შეეძლო ცოტაოდენი წინააღმდეგობა გაეწია, — ერთხე-
ლაც არ მოჰსვლია ფიქრად — იქნება, ტურიკო მომეშვე-
ლოს და გადამარჩინოსო.

ის თვალ-უწვდენი ზნეობრივი უფსკრული, რომე-
ლიც მოულოდნელად ცხოვრებამ გაარღვია ამ ადა-
მიანის შორის, — იმდენად აშორებდა მათ, რამდენადაც
წინად ძმობა აკავშირებდა.

თვით ამისთანა განწირულების დროს, როდესაც
ადამიანი ინსტიქტიურად სიცოცხლეს ებლაუჭება და იმედს
არა ჰკარგავს ხსნისას, მგელიას წარმოდგენითაც არ მოჰ-
ლანდებია, რომ შეიძლება ჩვეულებრივმა გრძნობამ ადა-
მიანისამ ხიდი გასდოს იმ უფსკრულზედ და ზედ გაატი-
როს ტურიკო ძმად-ნაფიცის საშველად. სამაგიეროდ სი-
ბრაზე ერეოდა, რომ ტურიკომ მიაღწია საწადელს,
ახლა მარიკა იმისია და ყოველივე ეს არაფრად დაუჯდა.

მაგრამ, როცა მგელიას ქანც-წყვეტილობა და და-
ოსება იქამდის მივიღა, რომ გარს ბინდ-ბუნდი შემოეხ-
ვდა და იგი ბურანში ჩავარდა, ველარა ჰგრძნობდა ტკი-
ვილს, ან იმას, რაც გარშემო ხდებოდა, — მგელია
თითქო ტკბილმა ზმანებამ გაიტაცა.

რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ ზმანების შინა-
არსის სურათად გადაღება, აი, რა აღიბეჭდებოდა სუ-
რათზედ: მგელია ხიფათშია, ეს გაუგია ტურიკოს და სრუ-

ლიად დაპვიწყებია, თუ რა ძვირი გული ჰქონდა მეგობარზედ. ისე მიისწრაფის ძმად-ნაფიცის საშველად, რომ მიწას ფეხს არ აკარებს. თოლია ხომ უფრო წინ მოპქრის, შეპყეფს ყოველს ჯაგს, ყოველს ხეს და ჰსუნავს ჰაერს, რომ ყნოსვით მიაგნოს პატრონს. სულ ცოტა კიდევ, და აი, საცაა ძმად-ნაფიცი დაეცემა ნადირს, მოპქლავს და დაიხსნის მას, ვისთანაც გაუტარებია თავისი ბავშვობა, ვისთანაც უთამაშნია, უგოთავნია, ჩიტების ბუდეები აუკლია. ტურიკოს სულ დაპვიწყებია მარიკაც და იმისი უუუუნა თვალები; მეგობრის მეტი აღარა აგონდება-რა. განა ასევე არ იზამდა მგელია, რომ ტურიკო მისებრ განსაცდელში ჩავარდნილიყო?! განა მარიკას სიტურფე გააკავებდა საშველად გაწეულს გულს?!.

და მგელია თითქოს კმაყოფილიცკია, რომ ასეთი განსაცდელი შეემთხვა. ამ განსაცდელმა დაუმტკიცა, რომ მეგობრის გულს გაყიდული როდი ჰყოლია იგი... რომ...

ზმანება გაპქრა... მგელიას გული შეუღონდა და ლეშობა-ლა ეთქმოდა.

გამძვინვარებული ნადირი-კი თავისას არ იშლიდა, ჰელადრიდა, ჰკბენდა, სჯიჯგნიდა ამ ლეშს.

VIII

სად იყო ამასობაში ტურიკო?

სწორედ იმ დროს, როდესაც ტყეში თოფმა იგრიალა, ტურიკო მარჯვნივ მიადგა იმ ფერდობას, რომელიც ჩანჩქერს გადაჰყურებდა.

თოლიამ თოფის ხმაზედ მხოლოდ ერთხელ მოასწრო შეყეფნა, რადგანაც ტურიკომ მყისვე გააჩუმა. ჩანჩქერს

რომ უახლოვდებოდა, ძაღლს ყელზედ თოკი მოაბა და თავისთან მიახტუნებდა, ეშინოდა, ვაი თუ, როცა ნადირს დაინახავს, ან ყეფა ასტეხოს ან უდროოდ გამოუდგეს და ჯაფთხოსო.

თოფის ხმა რომ შემოესმა, ტურიკომ სწრაფად აირბინა ფერდობზედ და დაინახა წაქცეული დათვი.

ტურიკომ დღეს პირველად იგრძნო გულში ღარღლი იმის გამო, რომ მგელიამ ასე ჩალა-გამოვლებული დასტოვა იგი. ერთი ფეხით რომ ადრე მოსულიყო, ნადირი მას ჩაუვარდებოდა ხელში.

ამიტომ ტურიკო არც-კი იყო მონდომებული გაეგებინებინა მგელიასათვის, რომ თავისის თვალით პნახა მტერ-მოყვრის გამარჯვება. კაიბიქობა, და გზის აქცევას აპირობდა, რომ არ შეჰვედროდა, არ ენახა მგელიას თავ-მოწონებით ამეტყველებული და დამცინავი სახე. სოფელში ხმა გავარდებოდა—მგელიამ კიდევ მოჰკლა დათვიო; ეს ხმა მიაღწევდა მარიკას ყურამდე და, ვინ იცის, იქნება იმ გოგომ დაინანოს კიდეც ეს მარჯვე ბიჭი, როცა ამის სიკვდილს გაიგებსო.

ტურიკო, ცოტა არ იყოს, სინანულმაც კი აიტანა, რატომ არ გადავჩენ ეს მამა-ოხრის შვილი ღელეშიო. ამასთანავე ამრეზით შახედა თოლიას, რომელმაც, როგორც ტურიკო იყო ღარწმუნებული, ხელი შეუშალა უფსკრულში გადაეგდო მგელია. ამ მოგონებით გაგულისებული ტურიკო კარგებსაც უთავაზებდა თოლიას, მაგრამ ეშინოდა, ვაი თუ ძაღლმა წკმუტუნი ასტეხოს და ჩემი აქ ყოფნა გამოამჟღვნოსო.

თოლია-კი თითქოს განცვითრებას ეძლეოდა, რა-

ტომ არ მიშვებს დათვისაკენ ან თითონ არ მიღისო. —
მაგრამ პატრონს თოკი მაგრად ეჭირა.

აზრი სიტყვაზე სწრაფია და, რაღა თქმა, უნდა ყველა
ეს ფიქრები ტურიკოს თავში ანაზღეულად იბაღებოდნენ და
ანაზღეულადვე სცვლილნენ ერთმანეთს, როგორც აღელ-
ვებულ ზღვაში ზვირთთა აგორებაა ხოლმე. მხოლოდ
საერთო იერი, რომლითაც დაიფერა ტურიკოს სულიე-
რი ვითარება, ისეთი იყო, თითქოს უზმოზედ მჟავე
რამ უჭამია და გულსა სძმარავდესო.

როცა გამოჩნდა დათვისაკენ მიმავალი მგელია, ტუ-
რიკომ განიზრახა მარჯვნივ გადაეხვია, მხოლოდ, ზეზე
წამომხტარი დათვი რომ დაინახა, თითქოს მიწაზე ფეხე-
ბი მიულურსმესო, ადგილიდან ვეღარ დაიძრა.

დათვი მოკლული ეგონა, თორემ, რაც უნდა ძლი-
ერ ყოფილიყო დაჭრილი, მაინც მიიწევდა მონაღირეზედ.
ახლა-კი რაღაც სასწაული მოხდა. მკვდარი ნაღირი ისე
წამოიჭრა, თითქოს ტყვია არც-კი ჰქონიყოს მოხვედ-
რილი.

მაგრამ ტურიკოს მაშინათვე გაახსენდა ოდესლაც
ნათქვამი მამის სიტყვები — დათვმა ხანდახან გატრუნვა
იცის, თავის მოქვდარობნება, რომ ადამიანი ახლოს მიი-
ტყუოს და მერე დაეცესო.

გაცოცხლებულის დათვის დანახვა იყო და თოლი-
ამ იმისკენ ძალუმათ გაიწია.

ეს ბუნებრივი მოძრაობა ძალისა როგორლაც უც-
ნაურად გამოეხმაურა სულიერ ვითარებას ტურიკოსას,
რომლის გულმა პირველში ძალივით სწორედ იქით-
კენ გაიწია, სადაც მისი ძმად-ნაფიცი ფათერაკში იყო.
მაგრამ ამავე დროს თოლიას მისწრაფებამ თითქოს გამო-

აფხიზლა იგი, იმის თავში მარტივად გამოიხატა ის წამი, როდესაც იგი მგელიას უფსურულში გადაგდებას უპირობდა და თოლიამ შეუშალა ხელი.

ახლა კიდევ თვით განგება აგდებდა იმავე მგელიას განსაცდელში. და იგივე პირუტყვი იწვევდა მას საშველად.

ამის განცდა იყო და გაბრაზებულმა ტურიკომი ისეთნაირად გამოსწია თყეს, რომ კისერ-მოლრეცილი პირუტყვი წამოიქცა, ზურგზე გადმოტრიალდა და წკმუტუნით პატრონის ფეხებთან გაიშხლართა..

ეს პირველი რეალური გამომეტყველება უეცრად აღძრულის აზრისა თითქოს დვრიტად დაედვა ამ აზრსა და განამტკიცა იგი.

ტურიკო თვალნათლივად ჰქედავდა, რომ ღმერთი სწყალობდა, თვით ღმერთი უკაფავდა გზას ბედნიერებისაკენ, რომელიც მარიკათი იწყებოდა და მარიკათივე თავდებოდა.—თუ ასე არ არის, მაშ დეე, ღმერთმა უშველოს მგელიასაო. თუ ბედისწერაა და მაგის აღსასრული მოტანებულია — მეც ვერას ვუშველი, ძალიანაც რომ მინდოდესო, და თუ შუბლზე არ უწერია სიკვდილი, მაგის ბედი ყოფილა, ღმერთმა ხელი მოუმართოსო — დაიმშვიდა ტურიკომ გული.

გულს-კი სწორედ რომ დამშვიდება უნდოდა, თორემ უზომო ჩქროლვას ლამის საგულე შუაზე გაეხეთქნა.

ტურიკო ძლიერ სულიერ ბრძოლაში იყო.

ჩვეულება, ცხოვრებისაგან შესისლხორცებული რწმენა მონადირესი, რაღა თქმა უნდა, ყურში აწვეთებდა, რომ განსაცდელის ღროს ამხანაგის დატოვება ღვთიას და ნაღირის ანაბარად — დიდი ცოდოა ღვთის წინაშე და დიდი სირცხვილია ხალხის თვალში... რომ ამისთანა კაცს მშიშარას დაუძახებენ, პირში ჩა-

აფურთხებენ... მაგრამ ამასთანავე განუსაზღვრელი სურვილი, რომ მგელია მალე ჩამოსცალებოდა გზიდან და მარიკას სიყვარულით მალე დამტკბარიყო, — ხელს აფარებდა გულის მოძრაობას.

ტურიკო თანაც გრძნობდა, რომ უძლურია თავისის ხელით გამოასალმოს მგელია ამ წუთისოფელს და ასეთი გარემოება-კი სწორედ ხსნა იყო მისი ამ უძლურებისაგან.

როცა მგელიას მარცხი შოუვიდა, ხანჯალი ვერ გაუყარა დათვს გულ-მკერდში და ნადირმა ქვეშ ამოიღო, ტურიკოში ერთის წამით მონადირის გრძნობამ იფეთქა.

ისე ხერხიანად იყო ახლა იგი დათვზედ და ისე სწორედ მიიყვანდა „სესიკასეული ბერდანკა“ ტყვიას მიზანში, რომ ტურიკოშ თოფი გაღმოაგზო მარცხენა ხელზედ, თითქოს დამიზნებას აპირებსო.

ამის დამნახავმა თოლიამ ერთი შეიკუნტრუშა და წელანდელივხთ დათვისაკენ გაიწია.

ეს მოძრაობა იყო ძალლისა და ტურიკოშ თოფი ძირს ჩამოუშო.

კვლავ ის წამი გაახსენდა, როცა თოლიამ ხელი შეუშალა, მგელია უფსკრულში გადაეგდო, და კვლავ გაიბა იმის თავში ფიქრთა ხლართი.

ჯე უამად ტურიკოს არსებაში თითქოს ორ აღამიანს მოეკალათნა... ერთმანეთს ეკრთიმლებოდნენ და თითოეული ცდილობდა თავისაკენ გადებირა ტურიკო.

ერთი ეუბნებოდა: აბა უყურე, რა დღეშია შენი ძმად-ნაფიცი! საცია დათვი გაპფათრავს და შენ-კი აქვე.

დგეხარ თოფით ხელში და გულის ფანცქალით აღევნებ თვალს ნადირისა და ადამიანის ბრძოლას; თანაც გეშინიან, ვაი თუ, შენს სამარცხვინოდ, ადამიანმა აჯობოს ნადირს. განა ხალხში აღარ აპირებ გასვლას? ქვეყანაშ რომ გაგიგოს, რას იტყვის? ხომ ჩაგაქვავებს! მერე ვის ექცევი აგრე? შენს ძმად-ნაფიცს, რომელიც, ვინ იცის, იქნება ნატრობს: „აჲ, საღა ხარ, ტურიკო, რომ თავს არ გადასდებ ჩემ დასასხნელად!“ რაღას ელი? აიღ თოფი და დაიხსენ მეგობარი...

და ტურიკო მზად იყო ასე მოქცეულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს მეორე ადამიანი დაუწყებდა. რჩევას:

— მგელია ხომ უნდა მოკვდეს... ხომ წილად ერგო, რომ შენ უნდა მოჰქლა... თუ მგელია არ მოკვდება, მარიკა შენი ვერ გახდება. მგელიას-კი ვერ მოჰქლავ, ვერ მოჰქლავ იმიტომ, რომ... რომ... იქნება თითონ მგელია შენ გიპირებს სიკვდილს... განა იმან არ მოიგონა წილის-ყრა?! რა იცი, გულში რა აქვს?! რო მოგკლას და მარიკა იმას დარჩეს? დეე, თუ მგელია მართალია, ახლა გადარჩეს და მაშინ... ხალხში ველარ გახვალ, ჩაგაქვავებენ?! მერე ვინ რა იცის, როგორ იყო საქმე? ვინ არის მოწამე, რომ შენ თვალწინ დაეცა დათვი მგელიას?! არავინ! ამაზედ მარჯვე შემთხვევა სხვა აღარ გექნება! თვით ღმერითს უნდა, მგელია ისე მოგაშოროს, რომ იმის სისხლში ხელი არ გაისვარო!!.

ტურიკო ორივე იღუმალ ხმას ყურს უგდებდა და არ იცოდა, რომლისთვის დაეჯერებინა. იყო ერთ ტორტმანში და სულიერ რყევაში. ორივე ხმა ისეთ რამეს ურჩევდა, რაც გულსა ჰქვდებოდა, თუმცა სულ სხვა

იყო ერთის და მეორის ნაკარნახევი. როცა ერთი ლაპარაკობდა, ტურიკო იმის მხარეს იჭერდა და მზად იყო ისე მოქცეულიყო, როგორც ის ხმა ურჩევდა, მაგრამ სწორედ ამ დროს მეორე დაწყებდა ხოლმე და მაშინათვე დაითანხმებდა ტურიკოს.

როცა-კი ორივენი ერთად გააბამდნენ ლაპარაკს, მაშინ ტურიკო ბინდ-ბუნდში ეხვეოდა და ასე ეგონა, ჰაერში ჰკიდისა, ყოველ მხრით ქარი უბერავს. და, როგორც ულონო ჩალა-ბულა, ვერც აქეთ წასულა, ვერც იქით.

ამასობაში დათვმა თავისი შეასრულა. ბოლოს, გაათავა ადამიანის ბეგვა, კბენა და ჯიჯგნა, ნაღირი დაიხარა და თავი დაბლო ადამიანს, ერთი ხანი ისე იყო გაყუჩებული, თითქოს ყურს უგდებდა ადამიანის გულის-ცემას. მერე წამოდგა და ხისაკენ გასწია ბარბაცით.

სწორედ ამ დროს ტურიკო გამოერკვა გაოგნებას, გაიწვდინა თოფი და დათვი მიზანში ამოილო...იგრიალა თოფმა და დათვმა მიწაზედ ზლართანი მოილო. ერთი ხანი გორაობდა მიწაზედ, რომელსაც ტოტებით ჰფხაჭნიდა, ლმურდა მინელებულის, მიყუჩებულის ხმით და თავს აქეთ-იქით ანარცხებდა. ბოლოს საშინლად გააზმორა, გააკანკალა, ფეხები დაპარჭება. ეს უკანასკნელი გაფანცქალება-ლა იყო და გათავდა.

ტურიკომ ძალი გაანთავისუფლა.

თოლია ელვასავით გადახტა ჩანჩქერისაკენ, რომელიც ისევ-ისე სამური სანახავი იყო, ცელქად ჩაჩქაფუნებდა რქსხმულში და მარგალიტივით წვეთებს მზის შუქს ესროდა, თითქოს მის კიდევთა შორის მომხდარ ამბავს მის

უურამდის არ მიეღწიოს ან, თუ მიეღწიოს, უზრუნველად
ჭვირთებისათვის გაეტანებინოს.

IX

მაგდანას ეზოში მეზობლებს ბლომად მოეყარათ
თავი.

დედაკაცები ყვავებივით წამომსხდარიყვნენ დერე-
ფანში, მამაკაცები კი ალაყაფის კარებთან ზოგი ქვაზედ
იჯდა, ზოგი კუნძებზედ, ზოგიც პირდაპირ მიწაზედ,
აომელიც აბიბინებულის ბალახით ზურმუხტის ფრად
იყო მოსიული.

კაცებში ტურიკოც ერია.

სახე დალვრემილი ჰქონდა, ჩამოგძელებული, თი-
თქოს ვიღაცას ნიკაპზედ ხელი წავლოს, ძირს ჩამოე-
წიოს და ასე ჩამოწოწოლავებული დარჩენოდეს.

ლაპარაკი, რაღა თქმა უნდა, სულ მგელიას უბე-
დურებას შეეხებოდა.

ეს მეორე დღე იყო, რაც ტურიკომ გონება და-
კარგული, სიკვდილის პირად მდგარი მგელია ჩამოატანა.
ტყიდან.

მეზობლობა ხომ მეზობლობა იყო, ყველის ვალად
მიაჩნდა უბედურების დროს ოჯახისათვის თასლიბი გა-
ეწია, ნუგეში ეცა, მაგრამ ყველა ამაზედ ძალიან უფ-
რო ცნობის-მოყვარეობა მოქმედებდა. თითოეული ქა-
ლი თუ კაცი სალერლელ აშლილი იყო, რომ ყველაფე-
რი დაწვრილებით გამოეკვლია, საჭმის შიგნიტიკური
დასაბამ—დასასრული შეეტყო და ბოლოს, როცა
გულს მოიოხებდა, დანანებით წარმოეთქვა: „აფსუს, რა

ბიჭი ჰშორდება წუთისოფელს!“ ან „აპკ! სად ვიყავ იმ
დროს, რო...“ და ალარ დაეთავებინა ეს სიტყვები, რა-
დგანაც თითონაც არ იცოდა, რას იზამდა, იმ დროს რომ
იქა ყოფილიყო.

ტურიკო ცუდ გუნებაზედ გახლდათ, რადგანაც დღე-
ში ათჯერ და ოცჯერ უნდა გაემეორებინა იმ უბედუ-
რობის ამბავი, რაც მგელიას შეემთხვა. ყველა ახლად მო-
სული მეზობელი თავისს უწმინდეს უფლებათ სთვლილ-
ეთხოვნა ტურიკოსათვის, გვიამბე, რა ლვთის-წყრომა ეწ-
ვია საწყალ მგელიასათ.

აი, სწორედ ამ უამაღაც, ტურიკომ კვლავ დღეს
მეათედ დაიწყო მგელიას თავ-გაღასავალი.

— როგორ იყო, ნათლი და... — ეუბნებოდა ტური-
კო იმის პირდაპირ მჯდარ მოხუცს, რომელიც ის იყო
მოვიდა მაგდანასას თანაგრძნობის გამოსათქმელად და
მაშინათვე ტურიკოს მოთხრობა დააწყებინა — კაცს რომ
ღმერთი გადაუდგება და იმის მაგივრად კვალში ეშმაკი
და უწყებს დევნას, სწორედ მაგ ბიჭის საქმეც მაგრე იყო.
აიხირა მაგ საცოდვავმა, გინდა თუ არა, დათვზე წავიდე-
თო. ამ ორი კვირის წინად „ფსიტის ლელეში“ კვალი-
ვნახეთ... ძუ-დათვი უნდა ყოფილიყო, რადგანაც დიდი
ნადირის კვალთან რამდენიმე პატარა ნავალიცა ვნა-
ხეთ. ლვთის წინაშე, მე როგორლაც გული არ მითხრობ-
და... უარზედ ვიყავი... ძუ დათვზე მისვლა სახითათოა
მარტო ადამიანისათვის... ან იქნება თოფმა გიმტყუნოს,
ან მიზანს ვერ მიატარო... რა ვიკი, რამდენი ფათერა-
კია. ვეუბნებოდი, მგელი, პატარა დაიცადე, ფოჩხიანთ
ივანკო მოვა-მეთქი, ორიოდე სხვა ვინმე გავიყოლოთ,

ძალლები წავასხათ და... მაგრამ მაგ დალოცვილმა თავისი არ დაიშალა... შეაგდო ქვა და შეუშვირა თავი...

— აბა, წერა რო აიტანს კაცსა, მაგრეა და... — ჩაურთო ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა.

— ოღონდაც, ოღონდაც — დაუკრა კვერი მეორემ თავის ქნევით.

— მერე? — მიჰმართა ახლად მოსულმა ტურიკოს!

— მერე და... წილიც-კი ვყარეთ... მე ირემზე, იმან კიდევ დათვზე... დედაჩემბა გვიყარა წილი... აკი ეშმაკ-მა თავისი ქნა და...

— ეშმაკი-კი არა და — გააწყვეტინა კვლავ სიტყვა პირველმა — კაცს რომ შებლზედ უწერია, ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათს დადგება შენი აღსასრულიო, თითონ აღამიანივე დაეძებს ხოლმე თავისს სულთამხუთავს... მგელიას საქმეც მაგრე ყოფილა, თორე მაგდანამ წილი რაღა დათვს არგუნა და არა ირემს?! — შეეკითხა თავის მიტ-რიალ-მოტრიალებით მოსაუბრე იქ მყოფთ და, რადგანაც პასუხი არავინ გასცა, თითონვე გაეპასუხა თავისს თავს — მგელიასაც სწორედ თითონვე უძებნია თავისი სულთა-მხუთავი.

— წავედით — დაიწყო ტურიკომ, რომელსაც, ცა ტა არ იყოს, გულს უწერეტავდა მოსაუბრის სიტყვები ბედის-წერის და სულთამხუთავის შესახებ — წავედით... გარიერაემა „ეშმაკის ნათეხურთან“ გვისწრო.

ამ სიტყვების თქმის დროს ტურიკოს გულმა უცნაურად იწყო ჩქროლვა და ხმაში, თითქოს ხრინწი მოერიაო, რაღაც კანკალის მსგავსი ჰანგი გაისმა.

— „ორთავა-გორის“ ძირას გავიყარენით, მეელია მარცხნივ წავიდა, მე — მარჯვნივ, რომ „ანგე-

ლოზის „წყაროსთვის“ ორი მხრით შოგვეარნა, — იმედი გვქონდა, მზე რომ შუბის ტარამღის აიწევდა, დათვი ამ წყაროზე ჩამოვიდოდა. მე ნელ-ნელ მივდიოდი... დრო საკმაო მქონდა. ნახევარი გზა კიდეც მექნებოდა გასავლელი... აჲ, დეე, ფეხი მომტეხოდა და პატარა ამეჩქარებინა, — მარდალ მეარნა, მაშინ ხომ... — წამოიყვირა უცბალ ტურიკომ ერთკილოვან და დაბალ ხმით ლაპარაკის დროს, მაგრამ თითქოს თითონვე შერცხვა იმ სიყალბისაო, რომელიც ხმაში დატყო, კვლავ დაუდაბლა ხმა, — ი ოხერი ტისიანი ადგილია — სთქვა ტურიკომ ისე, თითქო თავსა მართლულობსო და, ცოტა სიჩუმის შემდეგ, განაგრძო — ჰო, იმას ვამბობდი — ნახევარი გზა მექნებოდა-მეთქი გავლილი... რომ ერთბაშად შორიდან თოფის ხმა მომესმა. მივხვდი, მგელია უნდა ყოფილიყო და ფეხი გავაჩქარე, თითქმის მივრბოდი... თოფის ხმა სწორედ „ანგელოზის წყაროდამ“ მოისმა. სამი იმოტენა ხანი არ გავიდოდა, რაც შენ გელაპარაკები, ნათლი, რომ ის გზა გავირბინე, — აღმართია ის დაშამათებული, — გადავადექ „ანგელოზის წყაროს“ და ის შენმა მოსისხლე მჭერმა ნახოს, რაც მე სანახავი ვნახე... .

სიჩუმე ჩამოვარდა.

ძნელი სათქმელია, რა ხდებოდა ამ უამად ტურიკოს არსებაში, რამ აუნთო ალმურით ლოყები, რამ გაუღუვა ნაკვერჩხალივით თვალები, რამლებიდამაც ისეთი გამომეტყველება გამოკრთოდა, თითქოს იქ მყოფთა სახეზედ რაღაც ეჭვის მაგვარ უნდობლობას კითხულობდა და ცდილობდა დაერწმუნებინა მსმენელნი, რომ მისი ნაამბობი სრული სიმართლე იყო.

— მერე? — გაისმა ხმა მოხუცისა.

— მერე?! — წარმოსოქვა უმნიშვნელოდ ტურიკომ
და აზრ-დაკარგული თვალები მოხუცს გაუშტერა.

— ჰო, რა მოხდა მერე? — ჰკითხა კვლავ მოხუცმა,
რომელსაც, ცოტა არ იყოს, ეხამუშა ტურიკოს თვა-
ლების ელვარება.

— მგელიის ღათვი გადასჯდომოდა და პბეგვავდა
ტოტებით. საწყალი ხმას არ იღებდა, არ ინძრეოდა...
მაშინვე მივხვდი, რა განსაცდელშიაც იყო... დავუმიზნე
თოფი დათვს. ტყვია შიგ თავში მოხვდა და გვერდზე გა-
დაბრუნდა. გავექანე მგელიისაკენ, მაგრამ... შენი მტე-
რი... მკვდარივით დამიხვდა, ვეღარც-კი სუნთქავდა.
აკეპილ ხორცივით იყრ, ტანისამოსს შემოფხრეჭილი...
გული მომიკვდა ასე რომ დავინახე, ძალებისაგან გა-
ფათრულ ნადირივით ეგდო მიწაზე...

ტურიკომ თავი ჩაჰენდრა, თითქო ის სავარამო
ფიქრები, რაც ახლა მას თავში კალიასავით მოსდებოდა,
იმ სიმძიმისა იყო, რომ კისერსა სწყვეტავდა.

— პატარა ძლრე რომ მისულიყავი, იქნება, გადა-
გერჩინა ის უბეღური... — უთხრა ტურიკოს მოხუცმა.

— აჲ, ნათლი, ნეტავ აგრე ყოფილიყო და!... — წა-
მოიძახა ანაზღეულად ტურიკომ. ამასთანავე თავი მაღ-
ლა შეატრიალა და მარცხენა ხელი ზეცისაკენ აიწია,
გეგონებოდათ ცას იწვევდა მოწმად, რომ ძმალ-ნაფიცა
სიკვდილს გადაარჩენდა.

მაგრამ ამ ღროს უცნაური ამბავი მოხდა.

როდესაც ტურიკომ თავი მოხუცისაკენ მიატრიალა,
თვალები უნებურად იქვე მოხუცის გვერდზე მდგარ თო-
ლიაზე შერჩა.

თოლია როგორდაც გაბოტილი იდგა; მუდამ მაღლა წამოკაუჭებული კუდი ახლა დაბლა დაეშო, თითქოს შიშისაგან ამოუძუებიაო; ყურები დამჭერარ ფოთოლივით ჩამოყრილი ჰქონდა; დაწირპლიანებული თვალები, — გეგონებოდათ, ეს არის ახლა უტირნიაო, — გაშტერებით პატრონისათვის მიექცია იმ დაუინებით, ასე გონია, ესმოდა ტურიკოს ნამბობი და გულმოდგინეთ ყურს უგდებდა.

იყო წუთი, როდესაც პატრონისა და პირუტყვის თვალთა-მეტყველება ერთმანეთისაში გადაიხლართა და ამ გადახლართვამ ტურიკოზე ისე იმოქმედა, როგორათაც ელექტრონის ძალამ, მაშინ როდესაც თოლიას თვალები ტურიკოს იმავე დაუინებით შესცეროდნენ.

ვერავინ ვერ გამოსცნობს, რა ამოიკითხა ადამიანმა პირუტყვის თვალთა-მეტყველებაში, მხოლოდ ეს იყო ურთი, რომ ტურიკო გველ-ნაკბენივით წამოვარდა და ძალლისაკენ გაქანდა.

— იქით დაიკარგე, შე სამგლევ შენა! — წამოიყვირა გაფითრებულმა ტურიკომ ყრუ ხმით, თანაც წიხლი ამოქრა თოლიას ფერდში და გვერდზე გადისროლა.

— რას ერჩი, აღამიანო, საცოდავ პირუტყვს? — მიჭმართა ტურიკოს ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა, რომელსაც შეებრალა უზანაშაულოდ დასჯილი თოლია, ტკივილისაგან გულსაკლავ ყმუილით მგორავი დედამიწაზე.

ტურიკო გონზედ მოვიდა, შერცხვა იმისა, რაც ახლა ჩაიდინა და, თითქოს თავს მართლულობსო, აკანკალებულის, მთრთოლვარე ტუჩებით წაიდუდუნა:

— ეგ სამგლე ეგა! მე რომ არ დამდევნებოდა და

მგელიას გაჰყოლოდა, იქნება იმ საწყალს ის დღე არ ენახა.

X

ორი დღის განმავლობაში მგელია გონზედ ვერ მოვიდა. თუმცა თვალები გახელილი ჰქონდა, მაგრამ ერთგვარი გამომეტყველება, რომელსაც არავითარი აზრთა ცვალებადობა არ ეტყობოდა, ნათლად ამტკიცებდა, რომ მგელია ვერა გრძნობდა, თუ რა ხდებოდა მის გარშემო.

კვნესითაც-კი არა კვნესოდა, კბილები ისე ჰქონდა შეკრული, რომ ვერ გაუხსნეს საჭმლის ჩასაშვებათ.

რამ დაუკარგა ასე გრძნობიერება, რამ ჩაუგდო ენა, —სხეულის უზომო ტკიცილმა თუ შიშისაგან გონების შერყევამ—ძნელი გამოსაცნობი იყო.

არც მაგდანას ტირილი, ხან მოთქმით, ხან-კი ჩუმის მდუღარებით აღსავსე, არც მუდმივი ფუსფუს-ჩურჩული მეზობლებისა თითქოს არ აღწევდა მგელიამდე, ან იქნება აღწევდა კიდეც, მაგრამ საწყალს დაკარგული ჰქონდა ნიჭი იმის გამოთქმისა, რასაც გრძნობდა.

ტურიკო ერიდებოდა სახლში შესვლას... რაღაც გამოურკვეველი შიში შეიპყრობდა ხოლმე, როცა კარებს უახლოვდებოდა და იძულებული ხდებოდა უკანვე გამობრუნებულიყო.

როცა ერთხელ უნებურად ძმაღ-ნაფიცის თვალებს ჩააშტერდა, საშინელება რამ იგრძნო: ასე ეგონა, იმ გაშტერებულ თვალებიდამ რაღაც ისრების მსგავსი რამ გადმოწვა და მას სხეულში ეძგერა ცივი, გათოშილი, როგორათაც ფოლადის ხიშტები.

ხანდახან, როდესაც გარს არავინ ეხვია და ტურიკოს ფიქრი გაიტაცებდა ხოლმე, მარიკა აგონდებოდა. ამავე დროს ისიც აგონდებოდა, რომ ახლა თავისუფალია, მარიკას ვერავინ შეეცილება, რაღა თქმა უნდა, ამისთანა იმედით გამხნევებული გული მაშინათვე გოგოსაკენ გაიწევდა ხილმე, მაგრამ ას ბუნებრივი მოძრაობა მოტრფიალე გულისა იქვე ჩერდებოდა, თითქოს ვილაცამ ხელი სტაცაო.

იმის გონების თვალწინ მყისვე მგელიას გაშტერებული თვალუბი ჩნდებოდა და ტურიკოს ახსევდებოდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია ის ერთად-ერთი მოქიშპე, რომელიც მარიკას სიყვარულს ეცილება.

უმოძრაო სხეული, უილაჯოთ გადავარდნილი თავი, მათრახებივით ჩამოყრილი ხელები საკმარისი როდი იყო, რომ მგელია მკვდრად ეცნო... სამაგიეროდ, უზომოდ დაჭყეტილი თვალები, გაცრიაგებული, მღვრიე ფერი თვალის კაკლებისა და იერ დაკარგული გამოხედვა — ნათლად ამცნობდა ტურიკოს, რომ მგელია ცოცხალია, თითქოს სიცოცხლეს მიეტოვებინოს მარტო სხეული მგელიასი, თვალებამდის მოელწიოს და სწორედ აქ გაჩერებულიყოს, დღიურ სინათლით ტყვევნილია.

სანამ-კი მგელია ცოცხალი იყო, ტურიკო ვერ გაბედავდა მარიკას მიჰკარებოდა — პირობა ასეთი იყო... კარგად ახსოვდა, ეს პირობა.

საღამო ხანს უეცრად ატყდა ხალხში დედაკაცების მოძრაობა: რიგი გამოდიოდა, რიგი შედიოდა იქ, საცავადმყოფი იწვა.

ტურიკოს დაუძახეს — მგელია თავდებაო.

იგი იძულებული გახდა ძმად-ნაფიცთან შესულიყო,

რადგანაც ამისთანა წამის დროს ყველა გარედ გამოდიოდა, ავადმყოფს მარტოდ სტოვებდა, რომ სულთამხუთავი არ დაეფთხოთ; მხოლოდ ერთ-ერთი ვინმე მახლობელი უნდა ყოფილიყო სულთ-მობრძავთან, ვინიცობაა მოხდებოდა რამე.

ტურიკო შევიდა ბინდ-ბუნდით მოცულ რთახში.

სულთ-მობრძავი ტახტზედ იწვა უკანა კედელთან, თავი ფანჯარისაკენ ჰქონდა მიქცეული. ჩამავალ მზის სხივები ოდნავ აღწევდნენ რთახში და სინათლეს ჰფენდნენ მომაკვდავის სახეს.

მაღლობა ღმერთს! — გაიფიქრა ტურიკომ, რა დაინახა, რომ მგელიას თვალები მიეღულა.

წყლულებით მოფენილი სახე აღგილ-ადგილ გარუ- ული და გამიწისფრიანებული ჰქონდა. საწყალი ყელში ხრიალებდა და ხანდახან ტუჩებს აცმაცუნებდა.

ტურიკო კუთხეში დადგა და ცდილობდა არ ეყურნა მომაკვდავისათვის, მაგრამ უცნაური ძალა მაინც თავს იქითკენ აბრუნებინებდა, სადაც მგელიას სახე ეგულებოდა.

ის შიში, რომელიც მის არსებაში იყო აღძრული, როდესაც მომაკვდავთან შედიოდა, თან-და-თან გაიზარდა, რაც უფრო და უფრო უყურებდა, როგორ ებრძოდა მგელია სიკვდილს.

იგი ჰედავდა მგელიას უსიცოცხლო სხეულს, ოდნავად მთრთოლვარე ტუჩებს, მას ესმოდა მგელიას ყელში ხრიალი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერ ჰედავდა, სადიყო ის საშინელი ძალა, რომელიც ებრძოდა მგელიას არსებას, ვერა ჰედავდა თვით სიკვდილს.

და, რაც უფრო დაუინებით უყურებდა, — ტურიკო თან-და-თან სასოებას ჰკარგავდა, რადგანაც იმის თავში

გრძნეული ხელი რაღაც. ნაცნობ სურათს ჰხატავდა... ტურიკოს ეგონა, რომ მის წინ მომაკვდავი-კი არ არის, არამედ დედამიწაზედ ჯან-ლონით სავსე მგელია გალა-რთხული... ზედ დათვი გადასჯდომია და საშინლად სჯი-ჯგნის... ის კი, ტურიკო, გრძნობს უნდა მიეშველოს მეგობარს, მაგრამ არ ეშველება, არ ეშველება იმიტომ, რომ მგელია უნდა მოკვდეს, თორემ მარიკას წაართმევს... თვით ღმერთმა ინება და ისე ჩამოაცალა მეტოქე, რომ სისხლში ხელი არ გაუსვრია... წილის ყრით-კი უნდა მოეკლა... აბა, როგორ მოჰკლავდა ძმალ-ნაფიცს?!.. განა ღმერთი ამას ინებებდა... ხომ არ ინება კიდეც, თითონვე მოუღო ბოლო... თუმცა თავისის თვალით უყურა, როგორ გაჰფათრა დათვმა მგელია, მაგრამ ეს ხომ სხვას არავის უნახავს!.. ვის შეუძლიან ბრალი დასდოს, რომ ამხანაგი განსაცდელში ჰნახა და არ-კი დაიხსნა?! განა ვინ დაუ-დგება პირისპირ?! ვინ ეტყვის მოღალატე ხარო!!!

ტურიკოს აფრა-აშლილი გრძნობა-გონება თავისავე თავს ეკრთიმლებოდა, თითონვე ბრალსაც სდებდა, თითონ-ვე ამართლებდა კიდეც. უკანასკნელმა საბუთმა, ვე-არავინ მიკიუინებს მოღალატეობასაო, თითქოს დაამშვი-და კიდეც ტურიკო, მაგრამ ამ დროს უცნაური ხმა შე-მოესმა, რამაც სხეულში ცივი ურუანტელი მოჰკვარა..

ეს ხმა ისეთი იყო, გეგონებოდათ, ბავშვი კრუსუნებსო. ხან-და-ხან-კი ამ ხმის ამომლები არსება უცბად შეიქნავ-ლებდა ხოლმე და ბოლოს გულის ამოსკვნით სწყვეტდა.

აკანკალებულმა ტურიკომ აქეთ-იქით მიიხედ-მოიხე-და, მაგრამ ვერავინ ვერ დაინახა.

ერთხანს ყური ათხოვა, აცა ვნახო, ხომ არ მოშე-ჩვენაო. მომაკვდავის ხრიალის მეტი ვერა გაიგონა-რა.

მაგრამ, როცა გული დაიმშვიდა, არავინ არისო, — კვლავ გამეორდა ის უცნაური ხმა.

ტურიკოს თმა აებურძგნა, ძარღვებში სისხლი გაუ- ცივდა და თვალებში სივრცე აუთამაშდა. აქ რაღაც გრძნეულება ხდებოდა.

— იქნება მომაკვდავს ეშმაკი დაეპატრონა!.. — გაივ- ლო ელვასავით თავში ფიქრი ცრუმორწმუნეობის ზღუ- დეთა შორის აღზრდილმა ტურიკომ — იქნება ეშმაკი მო- სულა, რომ მგელიას სული ამოაძროს და ჯოჯოხეთში წაი- ღოს!..

ელდა-ნაკრავმა ტურიკომ კარებისაკენ გადადგა ფე- ხი და ამდროს ფანჯრის სინათლეზედ დაინახა. ტახტ- ქვეშ შემძვრალი თოლია, რომელსაც გარედ მხოლოდ თავი გამეყო და წკმუტუნით და მიბნედილ ყმუილით მგე- ლიას ძირს გადმოვარდნილ ხელს ულოკავდა.

შიში თუმცა გაეფანტა, მაგრამ, სამაგიეროდ, საში- ნელმა სიბრაზემ მოიცავა ტურიკო.

ეს ძალი მოსვენებას არ აძლევდა. ლანდივით უკან დასდევდა და თითქოს ყოველ მის მოძრაობას, თვით ფიქრთა დენასაც კი სდარაჯობდა.

აი ახლაც, ეს ძალი თვისის კრუსუნით და კნა- ვილით თითქოს პასუხს აძლევდა ტურიკოს იმ კითხვაზედ, ვინ მეტყვის მე, მოღალატე ხარო!..

ტურიკოს ცივმა ოფლმა მოუნამა სახე და სუნთქვა შეეკრა, როცა წარმოიდგინა, რომ რაღაც გრძნეული კავშირი პსუფევს თავისს თავსა, მომაკვდავ მგე- ლიასა და პირუტყვ თოლიას შორის. რომ ეს უხი- ლავი კავშირი თან-და-თან ძლიერდება და თვით საზა- რელი სიკვდილიც-კი, რომელიც ახლა დათვივით ჩაჭ- ბლაუჭებია მგელიას, უძლურია გასწყვიტოს იგი.

ტურიკოს შერცხვა, რომ პირუტყვი იმის თვალწინ
ჭირისუფალივით ჰგლოუბდა, სტიროდა თავისს მომა-
კვდავს პატრონს და ის-კი, ძმად-ნაფიტი ამავ მომაკვდა-
ვისა, უძლურია ძალლივით მოიქცეს, ვერა ჰბედავს მიუ-
ახლოვდეს მგელიას-ნახევრად გაცივებულს გვამს, ხელი
შეახოს იმის ხელს, რომელიც, ვინ იცის, რამდენჯერ გა-
დაჰვევევია ძმურად, ჩახედოს თვალებში, რომ სულის ამოს-
ვლის დროს თან გააყოლოს თავისი სახე და თითონ-კი
ამოიკითხოს ამ თვალებიდგან, რა მიაქვს მგელიას იმ სო-
ფლად,—სიყვარული თუ მძულვარება ძმად-ნაფიტისადმი.

გაბრაზებული ტურიკო ძალლისაკენ გაქანდა, მაგ-
რამ, ერთი ნაბიჯის გადადგმის-უმაღ, თავზარ-დაცემული
გაჩერდა.

ტახტიდგან მგელიას სახე მისჩერებოდა. დაჭუეტილ
თვალებში თუმცა გამქრალიყო წინანდელი სიცოცხლის
იერი და სიკვდილს დაესადგურნა, მაგრამ სიკვდილთან
ერთად შიგ სხვა რაღაც მეტყველება ჩასახულიყო: თვა-
ლები ტურიკოს თითქოს ყველჩებით ეუბნებოდნენ— „რად
ამწარებ, ტურიკო, მაგრე ჩვენს თოლიას?! ნუთუ აღარ
გიყვარს?!

ასე-იყო თუ ისე, ტურიკომ თოლიას ხელი აღარ
ახლო და კარებს მიაშურა.

XI

მგელია დამარხეს.

მაგდანა დიდი მწუხარე იყო. ისეთის მოთქმითა
და ზარით ტიროდა მიცვალებულს, რომ ბევრ დედას
შოუცვდებოდა თვით ღვიძლი შვილის ასე დატირება, ასე-

თი ჭირისუფლობა. ვინ იცის, რა ალექსიანის სახელით
არ იხსენიებდა მოხუცი საბრალო მგელიას?. თავისს მე-
ორე შვილს ეძახდა, თავისს დამტირებელს და ოჯახის
სიხარულს. ღმერთს შესჩიოდა, ასე უდროოდ რად მოუსპე
ახალგაზდა სიცოცხლე და არ გაახარე დედის გული შვი-
ლობილის ბედნიერებითაო.

ერთხელ მეტის-მეტად გამწარებულმა ისე შესძახა
მიცვალებულის ცხედარს, თითქოს ცოცხალი ყოფილიყოს:

— შვილო! რად უდალატე შენს ძმას? აკი ჰპირდე-
ბოდი, მეჯვარედ გამოგყვებიო... ეგ იყო შენი დაბირება?!

ტურიკო მოლრუბლული იყო, სახე დაღმანჭილი.
დედის საშინელი მწუხარება როგორდაც გულზედ უსია-
მოვნოდ ჰხვდებოდა, თითქოს ჰშურდა, რომ მაგდანამ
ისეთის ნამდვილის დედაშვილურის გამწარებით მიიღო
შვილობილის სიკვდილი. მაგრამ გულს მაინც ის იმედი
უფონებდა, რომ ახლა თავისუფლად შეეძლო მარიკას
სიყვარული, რომელსაც ვერავინ ვეღარ შეეცილებოდა.

ტურიკო გულის ლევით მოელოდდა, როდის და-
ბინდდებოდა, რომ მარიკას სახლთან მიპარულიყო. თუმ-
ცა თავის დღეში არც-კი შეჰლაპარაკებოდა იმ გოგოს,
მაგრამ გული უთხრობდა, არც იმას ჰყევხარ შეუმჩნევე-
ლიო. მხოლოდ ერთი თვალი მაინც მოეკრა იმის წერ-
ტეტა ტანისათვის და მაყვლისფერ თვალებისათვის, რომ-
ლებსაც ისე ეშმაკურად გამოაპარებდა ხოლმე შუბლ
ქვეშ, თითქოს მელია ყოფილიყოს.

როცა შებინდდა და უზომო მწუხარებისაგან მო-
ლობილ-მოქანცული მაგდანა ძილს მიეცა, — ტურიკო სახ-
ლიდამ გამოვიდა და ქურდულის ნაბიჯით სოფლის
ბოლოსაკენ გაემართა.

გულს დაგა-დუგი გაპქონდა, როცა ტურიკო მარი-
კანთ ეზოს წინ ლობესთან გახერდა.

სახლში ალბად ეძინაო, რადგანაც სინათლე არა
სჩანდა. რომ გეკითხნათ ტურიკოსთვის, რაზედ ჰყიქრობ-
და ამ წამს, ვერ გიპასუხებდათ, რადგანაც გულის უზო-
მო მოძრაობას თითქოს მთლად გაეკავებინა გონების
მუშაობა, ასე რომ არც ერთ ფიქრს არ გაურბენია
ტურიკოს თავში.

მაგრამ, როცა ხანმა გაიარა და ტურიკომ იმედი
დაჭკარგა მარიკას ნახვისა, გულის ჩქროლვა ყრუ სევ-
დად შეიცვალა; გონებამ მოძრაობა იწყო, უცბად ალ-
ძრულმა აზრმა, რაკი ერთხელ ფეხი მოიკიდა, სწრაფად
სხვა თვისი მსგავსი წარმოშობა და ერთ წუთში ტურიკოს
თავში აზრთა და ფიქრთა მთელი გრეხილი გაიბ-გამოიბა.

ტურიკოს, მის-და-უნებურად, წარმოუდგა თვალწინ
ის საშინელი საღამო, როდესაც ამავე ადგილას მგელიას
მოელვარე თვალებს შეეფეთა. გაახსენდა ყველა ის, რაც
აქ მათ შორის მოხდა... მოაგონდა მათი საშინელი წი-
ლის-ყრა ... მგელიას უბედური თავ-გადასავალი და იმ
დროს, როდესაც ყველა ამაების გახსენებამ ტანში ურუან-
ტელი. მოპგვარა და ზურგზე-კი ჭიანჭველასავით რაღა-
ცა აუფუტფუტა,—სკადა თავის დამშვიდება—ყველაფერი
ღვთის განგებით მოხდაო... ალბად მგელიას წერა ეს
იყო, თორემ რაღა ისიც მარიკას აედევნა, განა სხვა
გოგო აღარ მოიპოვებოდა ჭვეყანაზე?!.. ან რაღა მე მარ-
გუნა ბედმა მარიკა და არა მგელიას?!.. მერე, განა თი-
თონ იმან არ მოიგონა წილის-ყრა?! ჩემი რა ბრალია,
რომ ბედმა სიკვდილი არგუნა?!.. მერე, მე ხომ არ მო-
მიკლავს... აკი ღმერთმა ინება, ძმად-ნაფიცის სისხლში

არ გამესვარა ხელები და თითონვე ჩამომაცალა მგელია გზი-
ლან... ღვთის ხელი რომ არა ტრიალებდეს ამ საქმეში,
განა ვერ იხსნიდა მგელიას განსაცდელისაგანაო... მაშინ
რომ დამეხსნა, მერე ხო, სულ ერთია, უნდა მომეკ-
ლაო...

აქ ტურიკო შეკრთა, რადგანაც თავისი თავი სწო-
რედ იმაში დაიჭირა, რასაც გაურბოდა.

ტურიკო, რაღა თქმა უნდა, ვერ აგვიხსნიდა, სად
იყო ის სიყალბე აზრთა-წყობისა, რამაც იგი შეაკრთო,
მაგრამ გრძნობით-კი გრძნობდა, რომ ისეთს ღობე-ყო-
რეს მიადგა, რომელსაც თამამად ვერ გადაპლახავდა.
ტურიკოს მდგომარეობა მოგაგონებდათ იმ ზღაპრულ
გმირის მდგომარეობას, რომელიც უცბად ჯვარედინ გზას
მიადგა და არ იცის საითკენ წავიდეს, მარცხნივ თუ
მარჯვნივ, რადგანაც, სულ ერთია, ორივე მხრით განსაც-
დელი მოელის. მხოლოდ იმდენი სიმამაცე ველარ შერჩა
ტურიკოს, რომ პირდაპირ შეჰყუროდა განსაცდელს, და
განიზრახა ქურდულად გაჰვარვოდა.

ეს იყო და... ტურიკოს თავში ნელ-ნელა, პარულად,
ფეხ-აკრეფით ამოძრავდნენ სხვადასხვა აზრები და ფიქ-
რები:

— მართალია, — ეუბნებოდა ტურიკო თავისვე არ-
სებაში მობუნავე საიდუმლო ხმას, — მე შემეძლო დამეხ-
სნა სიკვდილისაგან მგელია... მხოლოდ ერთი ჩამოწევა
ჩახმახისა და დათვი ძირს ეგდებოდა... მერე, რა მარჯვედ
იყო დათვი ნიშანში ამოსალებად?!.. რა გაუხარდებოდა
მგელიას, როცა გაიგებდა, რომ მე ვაჩუქე სიცოცხლე,
თუმცა-კი წილად იმის მოკვლა მერგო... რა ძმურად გა-

დამეხვეოდა... იქნება, ამის შემდეგ არც-კი შემცილებოდა მარიკას... ისევ ძმურად ვიცხოვრებდით, ერთად ვივლიდით სანადიროთ... გავახარებდით დედას... მოლალატედაც აღარავინ ჩამთვლიდა...

უცნარი იყო! საიდან და როგორ დაიბაზა ეს უკანასკნელი აზრი ტურიკოს თავში? არც თვისის შინაარსით, არც ფიქრთა დენის თანდათანობით არ შეესაბამებოდა იგი დანარჩენ აზრებს, მაგრამ რაღაც შეუპოვრებით უეცრად გამოინასკვა გონების სამფლობელოში. აზროვნება რომ ხორც-შესხმული მოვლენა იყოს და შეიძლებოდეს მისი სურათად გადაღება, მაშინ ეს აზრი ქვემდრომის სახედ წარმოგვიდგებოდა, რომელიც გველივით დასლიკინებდა ტურიკოს თავში და დანარჩენს ნაფიქრს, ნააზრევს გესლით შხამავდა.

ტურიკოს ერთი წამი ყურებში რაღაც უწივოდა და, თითქოს გაბრუებული ყოფილიყოს, გაწყვეტილი აზროვნების ძაფი ვეღარ გადაება. ბოლოს გამოერკვა გარინდებას და მთელის თვისის არსებით შეექამათა ამ გესლით აღსავს აზრს.

მერე ვის შეუძლიან მოლალატედ ჩამთვალოს?!.. ხომ არავინ იცის, როგორ იყო საქმე? ვინ დამიმტკიცებს რომ...

ტურიკო გაშრა... ღამის წყვდიადში, იქვე, ახლო, ჰეგიზგიზებდა წყვილი, უცნაურად ამეტყველებული თვალი, თითქოს ჰერში ორი ნაკვერჩხალი დაუკიდნიათო.

იცნო ეს თვალები და ძაგძაგმა აიტინა... ეს თოლიას ყვითელი თვალები იყო, რაღაც საიდუმლო მეტყველებით აღვსილი... თითონ თოლია არც-კი სჩანდა-

სიბნელის-გამო. გეგონებოდათ, მთელი მისი არსება, რა-
ლაც გრძნეულების ძალით, ამ წყვილ თვალად გადაჭრე-
ულიყო და რაც-რამ ძალა, აზრი, სურვილი მოიპოვე-
ბოდა პირუტყვის არსებაში, ყველა ამ თვალებში მოგ-
როვილიყო...

თმა-აბურძგვნილი ტურიკო, მთრთოლვარე ტუჩებით
და გაფითრებულის სახით მისჩერებოდა ამ თვალებს და
გონება—არეულს ეგონა, ეს არის, თვალები ხმას ამოი-
ლებდნენ და ქვეყნად მოსდებდნენ იმ საშინელ ამბავს,
რომლის მოწამედ თავისს თავის მეტი სხვა არავინ ში-
აჩნდა.

— შორს ამ აღგილიდან, ვიდრე თვალები სეღუ-
მან!..—გაურბინა თავში ფიქრმა და ეს ბრგე-ვაჟკა-
ცი, თვალის დახამხამების უმალ, მოსხლტა აღგი-
ლიდან...

ტურიკო მირბოდა გამალებული და იმდენად იყო
შიშის ძრწოლით შეპყრობილი, რომ უკან ველარ მოეხედ-
ნა, რადგანაც გრძნობდა, თვალები ფეხ-და-ფეხ მისდევ-
დნენ.

XII

მგელია, მართალია, მიწას მიაბარეს, მაგრამ ტური-
კოს ასე ეგონა, ძმად-ნაფიცი თითქოს სრულიად როდი
განშორების სახლსაო. მაგდანას მწუხარება, ხან ხმა-მალ-
ლა ზარით გამოთქმული, ხან სახის ჭმუნვარებით გამო-
სახული, მუდამ აგონებდა ტურიკოს, რომ მგელიას
ჭსოვნა კვლავ ტრიალებს ამ სახლში და, ვინ იცის,
ამოიფხურება-კი როდისმე.

ტურიკო, გონების განუსჯელად, თითქმის კიდეც
ცდილობდა დაევიწყებინა, რომ ოდესმე ჰყოლია ძმად-
ნაფიცი, რომ მარტო არ ყოფილა ამ სახლში, უტოლ-
უამხანაგოდ, მაგრამ, რაც უფრო ძლიერი იყო ეს სურ-
ვილი, მით უფრო მგელია ხშირად ედგა თვალ-წინ.

თითოეული კუთხე-კუნძული სახლისა, ყოველი სა-
განი, რომელიც-კი გარშემო ეხვია, მგელიას აერნებდა.
ისე არ შევიღოდა ოთახში, რომ თვალებში არ წასჩერ-
როდა ირმის რქებისაგან გაკეთებულ კაჩაზედ ჩამოკიდე-
ბული მგელიას თოფი და ჩანთა-სამასრე.

ერთხელ დაპირა კიდეც ჩამოხსნა, რომ სადმე მიე-
მალა, მაგრამ, როცა კაჩას მიუახლოვდა და თოფისა-
კენ ხელი გაიწვდინა, ანაზღეულიდ თავში რაღაცა აზრმა-
გაუელვა. ტურიკომ ვერც-კი შეავლო გონების თვალი
ამ აზრს, ვერ შეინარჩუნა მეხსიერებაში, მაგრამ, მის გა-
ვლენით, მთელს არსებაში თავზარ-დამცემში შიშმა დაურ-
ბინა, სწორედ ისე, როგორათაც შეაკრთობს და შეა-
ძრწუნებს ხოლმე ლვთაებრძოვ სიწმინდის შესაბლალავად
ხელამართულს მკვრეხელს უეცრად ციდგან მოვლენილი
ჰექა-ქუხილი.

ტურიკოს როდი შეეძლო, განების თვალით განე-
ცადა თვისი სულიერი ვითარება და, რომ გეკითხნათ, რა-
ხდებოდა მის გარშემო, ვერ აგიხსნიდათ. მხოლოდ პი-
რუტყველი ალლო თითქოს ყრუდ აწვეთებდა ჟურში,
რომ მგელიას სიკვდილმა უცნაურად, სავალალოდ და-
ფერა მისი ცხოვრების იერი.

განსაკუთრებით ღამ-ღამობით გრძნობდა ტურიკო
მოუსვენრობას. ძილი გაუკრთა, მუდამ რაღაც ბურანში
იყო და, როცა მიეძინებოდა ხოლმე, უეჭველად მაში-

ნათვე გულ-გახეთქილს უნდა გამოჰვიძებოდა. სულ სა-ზარელ სიზმრებსა ჰქედავდა.

ერთხელ ესიზმრა, ვითომც უშველებელ სისხლის ვუბეში სდგას... გუბე თუმცა ღრმა არ არის, მაგრამ მაინც ვერ გამოსულა ნაპირს... რამდენიც ტურიკო წინ მიდის ნაპირისაკენ, იმდენი ის გუბეც მოძრაობს, ადგილს იც-ვლის და თან მისდევს. ბოლოს დაინახა, რომ გუბეში შემოსურა თოლიამ და დაუწყო... სისხლს სმა. გავიდა რამდენიმე წუთი... ტურიკომ შეატყო, სისხლის გუბე თან-და-თან კლებულობს... თოლია-კი გამძვინვარებით სლა-პავს სისხლს და უახლოვდება პატრონს... ბოლოს ძალიმა ქრულიად მოამშრალა გუბე და ტურიკოსთან მიირბინა. გახარებულმა ტურიკომ მიუალერსა თოლიას, მხოლოდ, როცა თვალებში ჩაჭედა, დაფეთებულივით უკან დაიხია... მთლად შესლაპული სისხლი თოლიას თვალებში მოსდგო-მოდა და თითქოს გადმოსაწურად მზად იყო... მაგრამ სა-შინელება ამ სანახაობისა უფრო იმაში მდგომარეობდა, რომ ტურიკომ იცნო ეს სისხლი .. ეს სისხლი მგელიასი იყო... სისხლით გაუღენთილი თოლია ელაქუცებოდა ტურიკოს, ზედ ახტებოდა, ულოკავდა ხელებს, პირს, ტანისამოსს... და თითოეულ შეხებაზედ აქა-იქ სი-სხლსა სცხებდა... ყისხლიც შავ-ლაქებად ზედ აჯდებო-და მისს სხეულს, თმას, ტანისამოსს და აღარა ჰშორდე-ბოდა... თავგზადაბნეული ტურიკო უკან-უკან იხევდა და ულონოდ ხელებს ასავსავებდა, რომ ძალი მოეშორე-ბინა... მაგრამ ძალი მაინც ზედ ახტებოდა... ბოლოს და ბოლოს თოლიას ალერსი გაშმაგებათ გადაიქცა. ძალის, თითქოს ცოფიანი ყოფილიყოს, პირზედ ქა-ფი მოადგა, ღრძილებიდგან სისხლი დასკდა და კბი-

ლების კრაჭუნი აუვარდა... ერთბაშად ეძგერა. პატრონს და ყელში სწვდა ბასრის კბილებით. ტურიკომ შწვავე ტკივილთან ერთად იგრძნო, რომ ძაღლის კბილებისაგან გაბასრულს წყლულებში მგელიას სისხლმა იწყო დენა... თანდათან წყლულებიდან სისხლი ძარღვებში შეერია გველის შხამივით და მთლად მოუწამლა არსება.

ტურიკოს გამოეღვიძა. ერთ-ხანს გაოგნებული იჯდა ლოგინზე, ვერ გამორკვეულიყო სიზმარს და დაბრიალებული თვალები, რომლებშიაც შიშის მეტი სხვა არავითარი მეტყველება არა სჩანდა, ერთის წერტილისათვის გაეშტერებინა.

ბოლოს, როგორც იყო, გონს მოვიდა, მძიმედ და ხანგრძლივად ამოისუნთქა დაქანცულ მუშასავით, როცა მძიმე ტვირთს მოიხსნის ხოლმე, და ხელი გადისო თფლით მონამულ შუბლზედ, ასე გონია, ხელის შეხებით უნდონდა შეემოწმებინა, რომ ყველა ის, რაც ახლა დაემართა, მხოლოდ სიზმარი იყო და არა სიცხადე.

ის იყო, გული დაიმშვიდა, — ცუდი სიზმარი ვნახეა სხვა არაფერიაო, — რომ გარედან შემოესმა საზარელი, სულის მოწყვლელი, ჭირისუფალ-დედაქაცის მოთქმასავით მწუხარე და გაჭიანურებული ხმა.

ტურიკო ელდანაკრავივით ზეზე წამოვარდა და კურებს ეძგერა. შიგ შუა ეზოში, მთვარის შუქის პირდაპირ, წამომჯდარიყო უკანა ფეხებზე თოლია, თავი ზეცისაცენ აეყირავებინა, კუდი წინ ამოეძულებინა და გულსაკლავად ღმულდა, თითქოს თავისს მწუხარებას მთვარეს შესჩიოდა.

ტურიკოს სიბრაზე მოერია... გულმოსული გაქანდა

პირუტყვისაკენ, რომ კარგები ეთავაზებინა, თანაც შეუყვირა—ხმა გაკმინდე, შე პატრონ ამოსავარღნელო, თორემ!..

ამის დამნახავმა თოლიამ ერთბაშად იერი იცვალა, უკან-უკან დაიწია და კბილების კრაჭუნით პატრონს შეულრინა.

ტურიკო თავიტამ დაწყობილი ფეხებამდე კანკალმა აიტანა... სახეზე სიფითრემ გადაჰქრა... წინ ნაბიჯი ველარ წადგა. მსწრაფლ წარმოუდგა ძილში. ნახული სიზმარი... საბრალოს ეგონა, ეს ეს არის, თოლია კბილს გამკრავს და ძარღვებში მგელიას სისხლს ჩამაწვეთებსო. უნდოდა დაეყვირნა—ლვთის გულისათვის, მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანიო—მაგრამ ხმა ველარ ამოატანა ყანყრატოს და გულგადაბრუნებული უკუ-იქცა საშინელ პირუტყვის წინაშე.

XIII.

ერთ საღამო-ხანს დაფიქრებული ტურიკო თავიანთ ალაყაფის კარებთან იჯდა ქვაზე. იმ ზომამდე იყო ფიქრში წასული, რომ ვერც-კი შეამჩნია, რაგორ მიუახლოვდა მას მეზობლიანთ ზაქრო—ტურიკოსავით ახალგაზრდა ბიჭი. ტურიკომ მხოლოდ მაშინ ასწია თავი, როცა ზაქრო მიესალმა:

— გამარჯობა, ტურიკო!

— გაგიმარჯოს ზაქრო—უპასუხა ტურიკომ და გვერდზე მიიწია, რომ ზაქროც ჩამომჯდარიყო ქვაზე.

ტურიკო რომ გუნებაზე ყოფილიყო და ყურადღება მიექცია ზაქროსათვის, უეჭველად შეატყობდა, რომ ამ ბიჭის სახე რაღაც საიდუმლოებით არის ამეტყველებული და რომ ზაქროს სათქმელი-რამ აქვს.

მაგრამ ტურიკო ლაპარაკის სურვილზე როდი იყო.

ეს თითქოს ზაქრომაც შეატყო და აღარ მოუკადა, აცა
როდის გამომელაპარაკება ეს კაი კაციო, და თითონვე
დაიწყო:

— იცი, ტურიკო, მალალაანთ საბედას სიზმარი
უნახავს...

ტურიკომ ყურები აცქვიტა.

მალალაანთ საბედა წიფლიანში განთქმული მკით-
ხავი იყო და სიზმრების შესანიშნავი ამხსნელი.

— რა სიზმარი უნახავს? — ჰკითხა როგორლაც გაუ-
ბედავად ტურიკომ.

— მგელია უნახავს.. .

— მგელია! — შეკრთა ტურიკო. — მერე რაო?

— მისულა და პური და წყალი უთხოვნია... ისე-
თი გამხდარი ყოფილა საწყალი, ისეთი, რომ...

ტურიკო გაფითრდა და ქვემო-ტუჩში კბილები ჩა-
იყლო, რომ არ დაეყვირნა.

— მალალაანთ საბედა იძახის, ალბად მიცვალებულის
სულს არა ჰპატრონობენო... წყალსა და პურს არ უდ-
გმენ ლამ-ლამობითო... ორმოცი დღე სული ქვეყნად
ტრიალებს, რადგანაც ჯერ საიქიოში არ უშვებენო... და
ამ ორმოც დღეში პური და წყალი არ უნდა მოაკლდე-
სო, თორემ სული, მშიერ-მწყურვალი რომ დარჩება, ცა-
სა და დედამიწის-შეა დაიწყებს ტანტალსაო... მოვე-
ლი, შეგატყობინო... ალბად დედაშენს თუ დაავიწყდა
მწუხარებისაგან... აი, ბიძაჩემი ტიტია რო მოკვდა, ჩვე-
ნები ყოველ-ლამ ნახევარ შოთ და ერთ ჯამ წყალს უდ-
გამდენ ხოლმე თაროსთან...

ტურიკო ყურს აღარ უგდებდა ზაქროს, რომელიც
კვლავ მიცვალებულების და ამათ სულების შესახებ ლა-

პარაკობდა ახლა ტურიკოს ზაქროსათვის არ ეცალა. თავში ერთი მეორეზედ შავბნელი აზრი უტრიალებდა. და რაც მეტსა უიქრობდა, მით უფრო რწმუნდებოდა, რომ რაღაც ღვთის-წყრომა დასტრიალებს თავს და რომ ეს ღვთის წყრომა მუდამ ფეხდა-ფეხს სდევს — ვერ მოასწრობს ერთ უსიამოვნებას დაახ-წიოს თავი, რომ მეორე იქვე სწვდება ხოლმე საკინძეუ.

— ღვთის რისხვაა, მა რა ჯანაბაა! — ფიქრობდა ტურიკო. — რაზედ გამიწყრა ღმერთი და არ გავუგონედედაჩემს... რაზედ შევჯეპ ეშმაკის ცხენზედ; რა მრჯოდა მე მამაოხრის შვილს?!

ამ ადგილას ტურიკომ ფიქრი შესწავიტა, რადგანაც იგრძნო, რომ სირცხვილმა ალმური აუნთო სახეზედ.

საქმე იმაში იყო, რომ მაგდანამ დაავალა შვილს, ყოველ-დამ თითო შოთი და ერთი ჯამი წყალი დაუდგი ხოლმე თაროსთან მგელიას სულს, რომ არ დაგვემდუროს, მშიერ-მწყურვალს მამყოფებენო. პირველსავე საღამოს აპირობდა ტურიკო დედის ნათქომის აღსრულებას, მაგრამ დანაპირები აღარ შეისრულა, რადგანაც შეეშინდა, ვაი თუ მგელიას სული სახლში გვეწვიოს და დამით მომელანდოსო. ამისგამო როგორ შეუმზადა მიკვალებულის სულს პური და წყალი.

ახლა, როდესაც ზაქრომ მალალაანთ საბედას სიზმარი უამბოკ. საშინელმა სინანულმა აიტანა. ამასთანავე ღმერთს მაღლობა შესწირა, კიდევ კარგი, რომ მგელიას, არ შეუჩივლია საბედასათვის, თუ რად მექუევა ტურიკო ასერა. ტურიკოს გაგონილი ჰქონდა, რომ მიკვალებულთა სულები ხშირად მიმართავდნენ ხოლმე საბედას სასაუბ-

როთ, რადგანაც საბედას საიქიოც და სამოთხეც ნანახი ჰქონდა. ამ რამდენიმე წლის წინად საბედა ორ-სამდღის განმავლობაში მკვდარივით ყოფილიყო, თურმე არცა სუნთქავდა, არც მაჯა უცემდა და ყინულივით გათოშილი იდო. ის იყო, დამარხვა გადასწყვიტეს, რომ უეცრად საბედამ თვალები აჭირტა. მერე მოუყვა ხალხს და უაშბო, რაც რომ იმ სოფლად ენახა. აბა, ამის შემდეგ, კის-ლა აირჩევდნენ მიცვალებულის სულები, თუ არა საბედას, რომ თვისი გულის-პასუხი შეეჩივლათ?!

ტურიკომ გულის კანკალით წარმოიდგინა, რომ მგელიას სულს შეეძლო ეამბნა. საბედასათვის თავისს თავ-გადასავალი და მისი, ტურიკოს, საქციელიც... მაგრამ ალარ დაათვა ფიქრის ამგვარი მიმდინარეობა ზა იმ წუთსავე შეეკამათა თავისვე თავს: რა საქციელიო?.. განა რა ჩავიდინე ისეთი?.. რა აქვს მგელიას ჩემზედ შესაჩივლელი?.. უნდა მამეკლა, მაგრამ ხომ არ მამიკლავს. მე რა ვქნა, რომ დათვმა გათათრა!.. ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ დათვს ტყვია კარგად ვერ მოახვერდა და ზედ თავი შეაკლაო... .

თუმცა ტურიკო თავს რიხიანად მართლულობდა, მაგრამ მაინც გულში რაღაც ხინჯი რჩებოდა, თითქოს მიხვედრილი იყო, რომ იმას არ ამბობდა, რაც უნდა ეთქვა. და როდესაც თავში ნათქვამის მსგავსი ფიქრები ებადებოდა,—სამაგიეროდ იქ, რასაც ადამიანი მდაბიურად გულს ეძახის, რაღაც მოუსვენარი, მწკმეტავი გრძნობა დაიძვროდა ხოლმე, მოედებოდა მთელს არსებას, მოალწევდა სასულემდე და ისე გაუძნელებდა საქმეს, რომ ეს ულვაშოსანი ვაჟკაცი მზად იყო სატირლად.

ზაქრომ; როგორც იყო, გაათავა მკვდრებზედ ლა-

პარაკი, რომელიც ტურიკოს ბუზის ბზუილივით ჩაესმო—
და ყურში და შინისკენ გასწია. ტურიკო-კი მა შინათვე
სახლში შევიდა, რადგანაც უკვე კარგად იყო შებინდე—
ბული. აპირობდა ახლავე დაედგა მგელიას სულისათვის.
ჯამით წყალი და პური, რომ აღარ მოემდურებინა იგი.

— რას დალვრემილხარ, შვილო! — შეეკითხა ტუ—
რიკოს მაგდანა, რომელიც დასაწოლად ემზადებოდა—
გაიხსენ ეგ შუბლი... რას უშველი, შვილო, მაგდენი წუ—
ხილით ცხონებულს?! აავ!.. რა უბედურება დაგვატყდა—
თავსა! ცეცხლზე წყალი დაუსხა ლმერთმა ჩემს სიბერესა!..
შვილო, შენ გენაცვალოს დედაშენი, მარტო შენ-ლა—
დამრჩენიხარ სანუგეშებლად, ნუ გამიმწარებ ისედაც გა—
მწარებულ სიცოცხლეს!.. ნუ ჩაიყოლებ გულში სევდას...
მართალია, ლმერთმა ქმა წაგართო, მაგრამ ლმერთივე
მოწყალეა, იგივე გაფიმთველებს იარას... თუ სულ არ
აულია ჩვენზედ ხელი; ისეთს ბედს შეგახვერდებს, რომ
• ქმის მაგიერობაც და დედისაც იმან გაგიწიოს...

მაგდანას რომ სცოდნოდა, რა ლახვრივით ხვდებოდა—
თითოეული მისი სიტყვა ტურიკოს, რაღა თქმა უნდა,
როდი მიმართავდა ამ გამამხნევებელის სიტყვებით.
ახლა-კი მაგდანა ჰგავდა იმ ექიმს, რომელსაც ზედმი—
წევნით მიუგნია წყლულისთვის და რომელიც თითებით
ჰშინჯავს სიმივნეს, რომ შესაფერ აღგილას დაპკრას
ნესტარი.

წყევლა-კრულვით რომ მიემართა მაგდანას შვილი—
სათვის, ისე არ მოპხვდებოდა ტურიკოს გულს, რო—
გორც ეს დამაურველები სიტყვები ხვდებოდა.

ამ სიტყვების შემდეგ დღეს პირველად დაინახა
ტურიკომ, — წინანდელებრ ბუნდად-კი არა, არამედ, რო—

გორც თვალხილულმა მზიანს დღეში, თუ რა განუსაზღვრელის სიყალბის ბუდე იყო მისი გული. დედის სიტყვებმა გამოუმზევა ტურიკოს ის, რაც უნდა ეგრძნობმად-ნაფიცის დამკარგავს: ის-კი, სჭმაგრეროდ, თითქმის სიხარულს ეძლევა მგელიას სიკვდილის გამო. თანაც ცდილობს დაუმტკიცოს თავისს თავს, რომ ასეც უნდა მოიქცე.

ტურიკოს საშინლად შერცხვა დედის სიტყვებისა. ამავე დროს ორნაირი სურვილი აღიძრა ყმაწვილი ბიჭის არსებაში: ერთის მხრით იგი მზად იყო, მოპევნობია დედას, თავი ჩაემალა მის ძუძუებში ისე, როგორც პატარაობისას იცოდა ხოლმე, როცა ვისგანვე გულნატკენი იყო, ეტირნა, ექვითინა, გადაეშალა დედისათვის მთელი ის ვარამი, რაც ამ ბოლოს წანს მის გულში ჩახვეულიყო... შეემსუბუქებინა ამ ვარამით დატვირთული გული. მეორეს მხრით-კი მზადვე იყო მივარდნოდა დედას განრისხებული, გაბრაზებული, ისე, როგორც თოლიას დაუპირებდა ხოლმე, წაეჭირა ყელში ხელი, რომ იმის ბაგეთაგან აღარ გაეგონა ის საშინელი შხამიანი სიტყვები...

ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ მოახეჩხა ტურიკომ, ორივე სურვილი გულში დაიგუბა და ამის გამო ისეთი სევდა შემოაწვა, ისეთი ბოლმა აეშალა, გეგონებოდათ, რაც ქვეყანაზედ შხამიანი გველებია, მის გულს დაპევევიანო.

ამ მდგომარეობაში-მყოფ ტურიკოს უეცრად უცნაურმა აზრმა გაურბინა თავში: — რა კარგი იქმნებოდა, მგელია ყოფილიყო ჩემს ადგილასაო... ნეტავი სიკვდილი მე მრგებოდა წილად... მაგრამ, სულ ერთია, მგელია.

ხომ დათვს უნდა გაეფათრა... სიკვდილი მაინც არ ას-
ცდებოდა... თუმცა-კი... ვინ იცის?.. იქნება, დათვი-
ჩემის ტყვიის ანაწერა გამხდარიყო, ვიდრე მგელიას ავნებ-
და რასმეო... .

ტურიკომ კვლავ მიაღწია ფიქრთა დენის იმ საზ-
ლვარს, რომლის გადაბიჯება ვერას გზით ვერ გაებედ-
ნა. თითქმის ყოველი გარემოება, ყოველი მოვლენა, რო-
მელსაც ტურიკო ამ უკანასკნელ ხანში ძალაუნებურად,
ასე თუ ისე, უკვირდებოდა, იკვლევდა, თითქოს ხელსა-
ჰქირავდა იმ საზღვრის გადასალახვად, მაგრამ ტურიკო,
როგორც უფსკრულის წინაშე, ბარბაცით უკან იხევდა.

გულში განუსაზღვრელ ბოლმა-ვარამ ჩახვეული და-
თავში-კი გამოურკვეველის ფიქრებით ტურიკო კარგა ხანს.
იჯდა დერეფნის წინ კუნძხედ გაჩუმებული, მიბნედილი,
როგორადაც ქანდაკება.

სულის დამამშვიდებელ-მყულროებით აღსავსე ღამე
იყო, ღამე, რომლის მშვენიერებას მხოლოდ დღიურის
შრომით მოღლილ-მოქანული სოფლის ხალხი თუ არ
მიაქცევს ყურადღებას... გაქათქათებული მთვარე უხვად
აბნევდა მსოფლიოს თავისს ცივ-მოელვარე სხივებს და
ნათელსა ჰქინდა თვით ბოროტ-გამზრახველის გულჩა-
თხრობილებასაც-კი.

დიდ ხანს იყო ტურიკო გარინდებული, თავჩა-
ლუნული. ბოლოს მძიმედ, ნებ-ნება ასწიგ თავი და მო-
ულოდნელად თვალი მოჰკრა თოლიას, რომელიც იქვე,
თითქმის პატრონის ფეხთა-ქვეშ, ჩაცუცქებულიყო და
თავის ჭკვიანის თვალებით შესცემეროდა მას.

ტურიკო თავის-და-უნებურად ჩააცქერდა ძალლს.

შააცქერდა და ველარ მოაშორა პირუტყვის თვალებს თავისი ადამიანური თვალები. რაღაც დამშვიდებული, დაწყნარებული, მაგრამ ამასთანავე აზროვან სევ-დით მოცული იყო ეს თვალები, წინანდელებრ რო-ზი ელავდნენ ცეცხლის ალით, არამედ რაღაც საიდუმ-ლო მეტყველებით იყვნენ აღძრულნი.

ტურიკო ისე იხედებოდა ამ თვალებში, როგორა-დაც ადამიანი იხედება სარკეში, რომ გამოსცნოს თა-ვისის სახის მოყვანილობა, ხინჯი თუ სიტურფე. მხო-ლოდ ამ ჟამად ტურიკო იხედებოდა არა სახით, არამედ გულით, ფიქრით, აზრით... და იმ დროს, როცა ადამია-ნი ეძებდა სილრმეს პირუტყვის თვალებისას, უნდოდა გამოეკვლია, რა იფარებოდა ამ თვალების იქნით,—მან ამოიკითხა ის, რის წაკითხვასაც ამდენი ხანი იგი გაურბოდა.

— რაღას უმალავ შენს თავს?—მგელია ხომ შენ მოჰკალ!—ამბობდნენ თითქოს თვალები.

და როდესაც ტურიკომ გონების თვალი გაუშტერა პირუტყვის თვალების აზრთ-მეტყველებას,—იგრძნო, რომ ამათ აწ-ღა ტყუილი ფიცილი, თავის მართლება...ამაოა, იმიტომ რომ ამ თვალებს არა დაემალებათ-რა.

ტურიკომ ველარ გაუძლო ძალის ცქერას და ქვი-თინით თავი ძირს დახარა.

XIV.

უბრძოლველად როდი შეუშვა ტურიკომ ეს აზრი თავისს თავში. იმ დრომდე, ვიდრე თოლიას თვალების ჭედვავლენის ქვეშ იყო,—პასუხი ვერ ეპოვნა, რადგა-

ნაც ძალლის თვალების მეტყველება თითქოს ჰბორქავდა ყოველგვარ წინააღმდეგობას.

მაგრამ, როდესაც ტურიკო მარტო დარჩა, ისე იგრძნო თავი, ასე-გონია აქამდისინ რაღაც გრძნეულ წრეში ყოფილიყოს მომწყვდეული და ახლა-კი, განთავი-სუფლებულიყოს ამ გრძნეულ წრიდამ.

— როგორ თუ მე მოვკალიო? — ეუბნებოდა ტუ-რიკო თავისს თავს. — მე საიდან მოვკალი, რომ არც თოფი მისროლია მგელიასათვის, არც ხანჯალი ჩამიცია, არც კლდიდან გაზამიჩეხავს?! ხელიც არ მიხლია და რო-გორ მოვკლავდი: მართალია, წილში მერგო — უნდა მომეკლა, მაგრამ რომ არ მომიკლავს... საიდან მომდის ამისთანა აზრი თავში!.. აბა, ვინ დამიმტკიცებს, რომ მე მოვკალიო...

აქ უნებურად ტურიკოს გაახსენდა ის წამი, როცა თოლიას თვალებში იხედებოდა. ეუცნაურა, რა მიზეზი იყო, რომ ისე გაშრა, ვერაფერი ვერ უპასუხა იმ თვალე-ბის მეტყველებით მის არსებაში აღძრულ გრძნობას, რო-მელიც თითქოს ეთანხმებოდა, კვერს უკრავდა უცბად ატეხილ აზრს — მითომ მგელია მას მოეკლას. ტურიკო ცდილობდა თვალნათლივად წარმოედგინა მთელი ის სურათი, რაც ტყეში მოხდა, რომ აეწონ-დაეწონა თვი-სი საქციელი და ყოველთვის, როცა-კი თოლიას არ ჰქედავდა, იმ დასკვნას აღგებოდა, რომ მგელიას სიკვდილ-ში მას არავითარი დანაშაული არ მიუძღვოდა. — მაშ საი-დან მომივიდა ეს აზრი თავში? რა ეშმაკმა ჩამაწვეთა ყურშიო? — ხშირად ეკითხებოდა ტურიკო თავისს თავს და ვერ პოულობდა ამის პასუხს.

ერთხელ, როცა ამისთანა ფიქრში იყო, ერთბაშად

ტურიკო კანკალმა აიტანა და იგრძნო, რომ თმა აებურდგნა. ტურიკო ცდილობდა, გაჰქიცეოდა იმ უნებურ აზრს, რომელმაც ანაზდეულად გაინავარდა იმის თავში და სადღაც კუნძულში მიიმალა, როგორათაც ბოროტი სული. მიიმალა, მაგრამ ისეთი კვალი-კი გაავლო ყმაწვილის ბიჭის მეხსიერებაში, რომ ძალაუნებურად აგონებდა თავისს თავს.

მგელიას სული ხომ ჯერ საიქიოს არ იყო გადასახლებული, მაშასადამე, ამ ქვეყნად ტრიალებდა. ტურიკომ იცოდა, კაცი რომ კვდება,—იმის სულს ან ეშმაკი დაეპატრონება ან ანგელოზიო. ანგელოზია და ეშმაკი დიდი ცილობა აქვთ და ის გაიმარჯვებს, ვინც ღმერთის წინაშე დაამტკიცებს გარდაცვალებულის კაი-კაცობას-თუ ავ-კაცობასაო. ვინ იცის, იქნება მგელიას სული ეშმაკს ჩაუვარდა ხელში და სწორედ ეს ეშმაკია მიზეზი, რომ სული მას; ტურიკოს, შოსვენებას არ აძლევს—ხან სიზმრად ეჩვენება სხვა და სხვა სახით, ხან თითქოს თოლიას თვალებიდან გამოიყურება. იქნება თითონ ეშმაკი ჩა-სახლდა თოლიას არსებაში და ძალიას სახელ ეჩვენება, სდევნის და უნდა, მგელიას სულივით, მისი, ტურიკოს, სულიც ხელში ჩაიგდოს, როცა მოკვდება...

აი ფიქრები, რომლებიც ტრიალებინენ ტურიკოს-თავში იმ აზრის ზედ-გავლენით.

ამ-გვარ სულიერ ვითარებაში მყოფმა ტურიკომ განიზრახა. სამკითხაოდ წასულიყო საბედასთან, რომ ნამ-დვილი გაეგო იმისა, რაც მას საქმე ემართებოდა.

ერთ ღამეს, როცა სოფელი მიძინებული იყო და ტურიკოს იმედი ჰქონდა, საბედასთან არავინ დამიხვდებაო (საბედა მარტო-მარტო ცხოვრობდა, არავინ გა-

აჩნდა ძე-ხორციელი), პარვით გამოვიდა სახლიდან და მკითხავისაკენ გაუდგა. ტურიკო მიდიოდა, მაგრამ ცალი ფეხი უკანა რჩებოდა; ერთის მხრით თუ უნდოდა ნამდვილი გაეგო გულთ-მისან აღამიანისაგან, მეორეს მხრით ეშინოდა, ვაი თუ; ერთიც ვნახოთ. გამართლდა ყველა ეს ჩემი ეჭვიო... მაშინ?!

არა! ტურიკოს ერჩივნა ისევ გამოურკვეველ მდგომარეობაში ყოფილიყო, წვიდრე სცოდნოდა საშინელი სინამდვილე. თუ ასეთი ორქოფი მდგომარეობა მოსვენებას არ აძლევდა,—სამაგიეროდ, ვინიცობაა ყველა ეს ეჭვი მართალი გამომდგარიყო, ტურიკოს სასოება წაერთმეოდა... ამას გული უთხრობდა.

ამასთანავე ტურიკოს ურუანტელი უვლიდა სხეულში, როცა წარმოიდგენდა თავისს თავს მარტოდ-მარტო გრძნეულის საბედას სახლში. ტურიკოს საბედა თავისს სიცოცხლეში არ ენახა, რადგანაც მოხუცი გარედ არ გამოდიოდა, მაგრამ იმდენი რომ გაეგონა ამ დედაკაცის ჯადოქრობისა და გულთ-მისნობის შესახებ, რომ იგი ხორცულებამულ აღამიანად როდილა მიაჩნდა.

რაც უფრო მოკლდებოდა მანძილი ტურიკოსა და საბედას სახლს-შეა, მით უფრო ყმაწვილი ბიჭი აღელვებას ეძლეოდა. არ დაღლილიყო სიარულით, მაგრამ მაინც სუნთქვა ეკვროდა. ღამე ნათელი იყო; ტურიკოს კი ასე ეგონა, გარშემო ნისლი მახვევიაო. სხეულში სიცივეს გრძნობდა; ნამდმილად-კი ხელი რომ გადაგესდათ შუბლზე, ან მაჯა გაგესინჯათ, იტყოდით, სიცხე აქვსო.

როგორც იყო, მიაღწია საბედას სახლს.

ეს სახლი სოფლის განაპირად იღვა, მარტოდ-მარტო. მხოლოდ იქვე, ცოტა მოშორებით ამობურთულ გორაკზედ, ამართული იყო თეთრად შელესილი სოფლის ეკლესია, რომელსაც გარშემო საფლავები ეხვია.

ტურიკო ფეხ-აკრეფით მიუახლოვდა საბედას სახლს და ეზრში აპირობდა შესვლას, მაგრამ ამ დროს მისი ყურადღება მიიპყრო მთვარის შუქზე თეთრად მოელვარე ეკლესიამ და საფლავზედ აქა იქ ამართულმა ჯვრებმა და კუბოს-მაგვანმა ქვებმა.

ამის დამნახავს ტურიკოს უცნაურმა ძალამ იმავ ადგილზედვე მიულურსმა ფეხები, საიდგანაც მან ეკლესიას და სასაფლაოს თვალი შეავლო.

რაღაც საოცნებო, არა ამ-სოფლიურის იერით იყო მოცული მთელი ის ქვეყანა არარაობისა.

ლრმა, დამაფიქვრელი დუმილი, რომელიც დასაღვურებულიყო ამ მიცვალებულთა სავანეში,—როდი ჰგავდა სრულ სიჩუმეს, როდესაც არავითარი ხმაურობა, არავითარი მუძრაობა არა სჩანს,—არამედ ეს დუმილი თითქოს მეტყველებდა, თითქოს ყრუდ, მიბნედილად ჰფეთქავდა. ეს იყო ვარინდება, გაყუჩება და არა სიჩუმე... გეგონებოდათ, მიცვალებულთა სულები ჩუმია, ნელის ხმით ერთმანეთს ჭლაპარაკებოდნენ და ეს ხმები მიცვალებულთა მოგაგონებდათ ბალახის ოლნავ ბიბინს.

თვით ურწმუნოს გამოფიტული, გამშრალი სულიც კი ალიძეროდა ამ სიკვდილ-სიცოცხლის საზღვრის წინაშე არა-ჩვეულებრივის გრძნობით და, იქნება, მისი ყველაფრის მჩერეუავ-გამომკვლევი გონება ახლა მაინც დადუმებულიყო ამ გრძნობის წინაშე.

თავზარ-დამცემი იყო ეს სანახაობა ტურიკოსათვის.

თავისს დღეში ეკლესია, სასაფლაო ამ იერით არ მოჰევნებოდა. რაც კი-რამ წარმოდგენა მოიპოვებოდა მის არსებაში ზეარსთა და ქვესკნელ ძალთა შესახებ, ანგელოზსა და ეშმაკზედ—ყველა ერთად ამოძრავდა მის გონებაში, გულში, სისხლში.

ტურიკოს ეგონა, ეს არის, მიცვალებულთა სულები აღსდგებოდნენ საფლაფებიდამ და ფერხულს დააბამდნენ მის წინ.

მერე, ეს ჯადოქარი დედაკაცი!.. რადა ცხოვრობს ასე ახლოს სასაფლაოსთან? რა უნდა აქ მკვდრებ-შორის, თუ მართლა კავშირი არა აქვს. მათთან?!—ეკითხებოდა თავისს თავს ტურიკო.

ტურიკომ წარმოიდგინა, რომ, ვინ იცის, იქნება მიცვალებულთა სულები ახლა, ამ გრძნეულ დამეს, საბედასთანაც არიან... თეთრ-სუდარებში გახვეულნი, გაყინულების დაჭყეტილის თვალებით, ყვითელის სახეებით, მიხრწნილის, ჩარჩეულის სხეულით... ის-კი ამ კუდიან დედაკაცთან სამკითხავად მიღიოდა. ერთიც ვნახოთ, მგელიაც იქ იყოს... მივარდეს ტურიკოს, ჩავლოს თავისი ჩონჩხათ ქცეული ხელები... და ჩაცივდეს—თქვი, გამოტყდი, რომ შენ მომკალიო... რა ჰქნას მაშინ?

ისე ცხოველ-მყოფელი იყო ეს წარმოდგენა, რომ ტურიკო თითქმის გრძნობდა საშინელებას. მიცვალებულის მოხვევნისას, ჰყანისავდა მიწის სუნს, ესმოდა დაკრეჭილის კბილების კრაჭუნი.

ტურიკო გაქცევას ჰლამოდა, მაგრამ მუხლო არ ერჩოდა... უნდოდა დაეყვირნა, მაგრამ პირში ნერწყო ჰქონდა გამშრალი. იღვა ერთ ადგილას დაბრიალებულის

თვალებით, ლანდივით გაფიტრებული, მიცვალებულის სულზედ უფრო საზარელი.

ცოტა კიდევ რომ გაგძელებულიყო ასეთი მდგომარეობა, ძნელი სათქმელი იყო, რა დაემართებოდა ტურიკოს... მაგრამ არ დასცალდა, რაღვანაც უეცრად სასაფლაოს მხრიდან მოისმა სულის შემხუთველი ღმუილი.

ეს საზარელი პირუტყვული იმონაკვნესი რკინის სოლივით შეიჭედა ქვეყნად გამეფებულ დუმილში, მთლად შეატორტმანა არე-მარე და მერე შორს სადღაც ყრუდ გამეორდა, როგორათაც მომაკვდავის სულის ამოსკვნა.

ეს-ლა აკლდა!!

ტურიკომ იცნო ეს საზარელი ამოძახილი... იცნო და სული შეეხუთა. ვეღარ გაუძლო ამდენ, ერთი-ერთმანეთზე მოწოლილ, მრავალ ტოტს სულის-კვეთებისას... მისი უზომოდ დაჭიმული, დაძაგრული ნერვები ერთბაშად მოღუნდნენ, ის ნატამალი სულ ხორცის ძალასა, რომელიც ჯერ კიდევ სრულიად არ აღკვეთილიყო. ამ აღამიანის არსებაში, მსწრაფლ გაჰქრა... ტურიკოს გული შემოეყარა.

XV.

— რა დაგემართა, შვილო? ზეზეურად კი ჩამოჰემი, შენ გენაცვალე-და... რა არის შენს თავსა, რატომ არ მეტყვი?! — არა ერთხელ მიჰმართავდა ხოლმე მაგდანა ტურიკოს, რომელიც ლანდივით ფერ-მიხილი, გამხდარი, თვალებ ჩაშავებული იჯდა. მთელის საათობით გაუნძრეველი და გაჰყურებდა... სივრცეს, დიალ, სივრცეს, რაღვანაც მის გამოხედვაში სრულიად არა-სჩანდა, ჰქონდა-რამ მიზანში ამოლებული თუ არა.

დედის ამისთანა მიმართვაზე ტურიკო შეკრთომით

თავს ზანტად მაღლა ასწევდა ხოლმე, რამდენიმე წუთის განმავლობაში აზროვნება-დაკარგულ თვალებს მიაპყრობდა მაგდანას სახეს, მერე თავს გააკანტურებდა და კვლავ მივრცეს მიაჩერდებოდა.

კარგა ხანმა გაიარა მგელიას სიკვდილის შემდეგ, მაგრავ ჯერ-ჯერობით ტურიკო თოფს არც-კი შიჰკარებოდა. არამც თუ სანადირო-და არ დადიოდა, არამედ იშვიათად ჰნახავდით ეზოს კარს გაცილებულს.

რამდენჯერ ურჩია მაგდანამ—აელო თოფი, წასულის ყო სანადიროდ, რომ გართობილიყო, ერთი-ორჯერ მონადირე ამხანაგი-ბიჭებიც-კი მიუგზავნა, იქნება იმათ შაინც გაიტყუილონ როგორმეო, მაგრამ ამაოდ,—ტურიკო უარზედ იდგა.

მაგდანამ, ამით რომ ვერას გახდა, სხვა ხერხს მიჰმართა: ერთხელ ჩამოილო კაჩიდგან გამტვრიანებული თოფი და მიუტანა—გაწმინდე, თორემ დაუანგდებაო. იმედი ჰქონდა, თოფს რომ წმენდას დაუწყებს, იქნება ჰალისი იეშალოსო. ტურიკომ გამოართო, ამოილო თოფი ბუდიდან, დაუწყო შინჯვა, მაგრამ შინჯვის ღროს ფიქრში გაერთო და დაავიწყდა, რომ დედამ თოფი გასაწმენდად მიუტანა. როცა მაგდანამ მოაგონა,— თავი იმითი იმართლა, თოფი ცოტა გასაკეთებელია, გავაკეთებინებ და მერე გავწმენდავო.

საწყალი მაგდანა საგონებელში ჩავარდა, არ იცოდა, რა ექნა, საიდგან მოეარნა შვილის უბედურებისათვის. ბოლოს გადასწყვიტა, ალბად ძალიან შეშინებულია მგელიას თავგადასავალით და ამიტომ ალარ მისდის ნადირობაზედ და თოფზედ გულიო. წამლობა დაპირა, მაგრამ უბედურება ის იყო, რომ საბედა გარედ არ გა-

შოდიოდა და ტურიკოს კიდევ იმასთან ვერ წაიყვანდა, რადგანაც ავადმყოფს როდი უნდა სცრდნოდა, რომ შელოცვილია. მაგრამ მაინც ინახულა საბედა და უამბოთავისი მწუხარება. საბედამაც დაუდასტურა, ტურიკო შეშინებულიაო, და ამის წინააღმდევ ბევრი ულოცა შორიდგან, ბევრი ამოქნარა და რაღაც პაწია საგანი მისცა წითელ ჩვირში გამოხვეული და ჯვარედინად ძაფ-გადა-ვლებული—ისე ჩაუდე ჯიბეში, რომ ტურიკო ვერ მიგიხვდესო.

მაგდანამ, რაღა თქმა უნდა, ადვილად შეასრულა ეს აჩევა და ახლა ლოდინში იყო, როდის გასჭრიდა საბედას უებარი წამალი.

მაგრამ, როგორც სჩანდა, საბედას თილისმები ვერა სჭრიდა. ტურიკო ისევ პირმოლუშული იყო. მხიარულება, სილალე, სიხალისე, მისწრაფება ცხოვრების სიტკბოებათა მიმართ—ეს აუცილებელი თანამგზავრი ახალგაზღობისა, როდესაც ათასნაირი გრძნობის აღმძვრელი სურათი მუდამ თვალთ გეხატება და მზათა ხარ ჯან-ლონისა აღსავსეობა გამოიჩინო სიმღერაში, თამაშობაში და სხვა-კა-ბიჭობაში,—როდი ეკარებოდა მას.

თვით მარიკაც-კი, — ეს მისი ცხოვრების ქვა-კუთხედი, ეს მისი ტრფიალების ედემში სათუთად გაზრდილი ყვავილი. — როგორლაც ჩრდილში მიდგა.

წინად, თუ ყოველი წარმოდგენა მარიკას ტურფა აჩსებისა, ოცნების ძალით განცდილი, სიამოვნების ურუანტელს აღუძრავდა სხეულში და საკოცნელად აღგზნებული ტუჩები შორიდან ელამუნებოდნენ მარიკას ვარდივით შეკოკრებულ ბაგეთ, ახლა იგივე წარმოდგენა, მართალია, ურუანტელსა ჰგვრიდა, მაგრამ რამდენა-

დაც პირველი იყო სიტკბოებით აღსავსე, ვნებათა-და-
მაოკეული, იმდენად მეორე იყო მტანჯველი, მწამებე-
ლი. მარიკას გახსენებასთან ერთად აგონდებოდა ყველა
ის, რაც იმის გამო მოხდა, აგონდებოდა მგელიას სიკვ-
დილი, რომელიც ისედაც აღმოუფხვრელი იყო ყმაშვი-
ლი ბიჭის გონებიდან, ჯალათად გადაქვეოდა და არ
აცხრობდა თავისს მსახვრელ ხელს, ჰჯიჯვნიდა, ჰწიწვნი-
და ტურიკოს სულიერ და ხორციელ რჩებას.

მრავალჯერ დააპირა გიურუ-გატაცებით: ერთ წამს
თავ-დავიწყებულმა ტურიკომ მარიკაანთ სახლთან მისვლა,
რომ იმ წყეულ გოგოსთვის შორიდან მაინც მოეკრა
თვალი, არა ერთხელ გზასაც გაუდგა, მაგრამ ვერც-რო-
დის საწადელი ვერ შეისრულა, რადგანაც ყოველთვის
გრძნობდა, რომ მგელიას აჩრდილი თან დასრევდა უთ-
ვალთვალებდა მის არამც თუ. მოძრაობას, არამედ ფიქრ-
განზრახვათა დენას და კბილთა ღრუჟნით ჩასძახოდა ყურ-
ში: „შენ მომკალ, ტურიკოვ, შენ!..“

ტურიკოც გრძნობდა, რომ ეს ჩაძახილი მართალი
იყო, და უნებურად გულის სილრმიდან ბანს აძლევდა — ეუბ-
ნებოდა — „მე მოვკალ მგელია, მე!“.

რაკი ერთი-და-ერთი ამ აზრმა ფეხი მოიკიდა ტუ-
რიკოს თავში, შემდეგში ველარას გზით ველარ გამოიდევ-
ნა იქიდან. მართალია, ბევრნაირად ცდილობდა ტური-
კო დაემტკიცებინა თავისს თავისთვის, რომ მგელიას უბე-
დურებაში ის შუაში როდია, მაგრამ ამაო იყო ეს დამტ-
კიცება.

„დათვი მიეტია მგელიას... შენ იქ იყავი... საკმა-
რისი იყო თოფის გაწვდენა, დათვის მიზანში ამოლება
და მგელია სიკვდილს გადარჩებოდა. შენ-კი ასე როდი

მოიქეცი, დათვი მიუშვი მგელიაზე... სულ ერთია, მითომ თაფი გისროლია. დათვი იმავ ტყვიად გამოიყენე, მეტსაც ხომ ვეღარას უზამდი, მოკვლა. რომ მოგენდომებინა-კიდეც...არა! შენ მოჰკალ მგელია!“.

აი, სწორედ ამ სიტყვებს ეუბნებოდა ის იდუმალი ხმა, რომელიც, როგორც ტურიკო იყო დარწმუნებული, ეშმაკისა უნდა ყოფილიყო... თორემ კეთილი სული ამას როდი ეტყოდა... მაგრამ ისეთი ულმობელი, აბეზარი, მუდამ-ეამს განუშორებელი. იყო ეს ხმა, რომ ტურიკო ვეღარ უძალიანდებოდა, ვერ აძლევდა საწინააღმდეგო პასუხს და თითქოს ეთანხმებოდა კიდეც: „მე, მე მოვჰკალ მგელია“-ო.

ბოლოს და ბოლოს ეს ორი ხმა — ეშმაკისა და მისი, — ტურიკოსი, — ისე გადაებნენ ერთმანეთს; ისე შესისხლხორცინენ, რომ ტურიკო ვეღარ არჩევდა, როდის თავდებოდა ერთი და როდის იწყებოდა მეორე, თითქოს ორივეს დასაბამიც და დასასრულიც იმის არსებაში. ჰქონოდეთ..

მაგრამ დასასრული როდი ჰქონდათ... რადგანაც, როცა ხმათა-ბგერა შეწყდებოდა ხოლმე, ის სამი სიტყვა — „მე მოვჰკალ მგელია“-ო ახლა თვალწინ წარმოაუდგებოდა, თითქოს ხორც-შესხმული ყოფილიყო... ადამიანთა სახეზედ, პირუტყვთა თავ-პირზედ, თუ უსულო საგნებზედ ისევ ამ სამ სიტყვას ჰქედავდა. თუმცა წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ამ სიტყვებს თავისებური გამოსახულება ჰქონდათ, თავისებური ანბანი, მხოლოდ ტურიკოსათვის მისახვედრი.

თან-და-თან, რაც ხანი გადიოდა და ტურიკო უფრო და უფრო ეძლეოდა ამ სიტყვათა ზედ-გავლენას,

გრძნობდა, რომ ხშირად ერთსა და იმავე დროს სმენაც
და ხედვაც ამ სიტყვების ფარგალ გარედ, სხვას ვერა-
ფერს გრძნობდნ, რომ იმ დროს, როცა ეს სრტყვები,
ერთ-ხმოვან ჰანგად აწყობილნი, ყურში ჩაესმიან შო-
რიდან მონაბერ ზარის-რეკასავით,—ამავე დროს იგინივე
თვალწინ დაუხტიან, აღიზინებენ თვისის ეშმაკეულის
უხმო ხარხარით.

ამისთანა წამებში ტურიკოს ასე ეგონა ხოლმე, რომ
მთელი ქვეყანა—უსულო და სულიერი, ხე, ტყე, ლრე,
კლდე—ამ სამ სიტყვას გაიძახის და ამასთანავე თითო-
ეულ საგანზედ ცალკე და ყველაზედ-კი ერთად, აღმე-
ჭდილია იგივე სამი სიტყვა იმ უცნაურ გამოსახულებათა
საშუალებით, რომელთა გამოცნობა მხოლოდ ტურიკოს
ხვედრი იყო.

მაშინ ტურიკო მზად იყო გავარდნილიყო გარედ
და, თუ გარედ იყო, მოსდებოდა არე-მარეს და დაეძახნა
მთელის ქვეყნისათვის: „ჰო, მე მოვკალ მგელია, მე მო-
ვკალ, მე! მერე შენ რა?! გინდა, რომ მე თითონ გი-
თხრა? აი, გეუნები, მე მოვკალ-მეთქი! არც ახლა და-
დუმდები?!“

ტურიკო დარწმუნებული იყო, რომ ამის შემდეგ
ქვეყანა დადუმდებოდა და ის სამი გრძნეული სიტყვა
აღარ მოელანდებოდა არც გონებას, არც სმენას, არც
თვალს.

ლამ-ლამობით ტურიკო შამფურივით ტრიალებდა,
ასე-გონია, ლოგინი, რომელზედაც გაუხდელი მიეგდე-
ბოდა ხოლმე, ცეცხლის ნაკვერჩხლებით ყოფილიყოს მო-
კირწყლული. ამ ბოლოს დროს ისე მოუსვენრად იყო,
რომ ლამე ტანისამოსს როდი იხდიდა, სულ რაღაცისა

ეშინოდა. მისდებდა ბალიშზედ თავს თუ არა და დახუ-
ჭავდა თვალებს ძილის გამოსაწვევად, მაშინათვე ათასი-
რამ წარმოუდგებოდა და, თუმცა თვალები დახუჭული-
ჰქონდა, მაგრამ ყველაფერს თითქმის ცხადლივ ჰქონდა.

ზმანებათა გარდა, ტურიკოს სმენაც ჰლალატობდა
და ყურში უცნაურ ხმებს აწვეთებდა. ბურანში წასული
ტურიკოს მუდამ რაღაც ფხაჭუნი ესმოდა, თითქოს კა-
რებს ბრჭყალებით ფხაჭნილნენ. ლამით კარებ-დაკეტილ-
ში იწვა, თუმცა ქვეყნად ჯერ კიდევ ზაფხულის სუნი-
ტრიალებდა.

ხშირად ტურიკო წამოხტებოდა, აიღებდა თოვს-
და მთელის საათობით იარაღ-მომარჯვებული იდგა, რომ
მოსულის მტრისათვის იქვე სული გაეფთხობინებინა. ხან-კი
ანაზდეულად კარს გამოალებდა, აცა, იქნება კარზედ მო-
ვასწროო, მაგრამ პირ-სახტად რჩებოდა, რაღგანაც არა-
ვის ჰქონდავდა. მხოლოდ, როცა ისევ ლოგინად მიწვებო-
და ხოლმე, კვლავ გაისმოდა ის ჯადოსნური ფხაჭუნი,
რომელიც ტურიკოს ძარღვებზედ ისე მოქმედებდა, თი-
თქოს სხეულზე ხერხს უსვამდნენ.

ტურიკომ საბოლოოდ გადასწყვიტა, რომ ეს უთუოდ
თოლია უნდა ყოფილიყო; ამასთანავე მასში მტკიცედ
დამკვიდრდა ის აზრი, რომ თოლიაში ეშმაკია ჩასახ-
ლებული, რომელსაც უნდა მისი სული ხელთ იგდოს,
როგორადაც ხელთ იგდო მგელის სული.

რაყი ამ დასკვნას დაადგა, ისედაც ათვალწუნებულ
თოლიას მტრულის თვალით დაუწყო ცქერა.

წინად ძალის ალერსი, რომელსაც თოლია პატრო-
ნის დანახვაზე, ხან ხტუნვით, ხან მხიარულის ყეფით გა-
მოჰქმდა ხოლმე, ახლა აბრაზებდა, აღელვებდა ტუ-

რიკოს. ძალლმაც თითქოს ალლო აართვა, პატრონი სულ ამრეზით მიყურებსო, და წინანდელებრ როდი-ლა მიისწრაფოდა მისკენ, როდი ულოკავდა ხელებს, როდი-ლა გაწვებოდა ხოლმე, მთქნარებით და გაზმორებით პატრონის ფეხებთან, როცა ტურიკო მთელის საათობით იჯდა ეზოში ფიქრებში გართული.

ძალლმა თითქოს ჰპოვა კიდეც საგანი თავისს. პირუ-ტყვულ გრძნობის დასაოკებლად. სახლში რომ ვერა ჰხედავდა ცოცხალ პატრონისაგან ჩვეულ ალერსს, როც მელსაც, როგორც სჩანდა, ჰსაჭიროებდა მისი ენა-პირით უტყვი, მაგრამ გრძნობა-გონებით მეტყველი არსება,— თავისსავით უტყვთა-შორის ეძებდა დაკარგულ ალერსს და კმაყოფილიც იყო, რადგანაც აქ, ცივა-თლავთა-შორის, არავის არაბრაზებდა მისი ჭირისუფლური ღმუილი, ცივი მიწის ლოკვა, თითქოს მიხვედრილი ყოფილიყოს, რომ ეს მიწა გაპოხიერებულია საყვარელ პატრონის ნეშტით.

ტურიკომ კარგად იცოდა, რომ ცოცხალ თოლიას და მკვდარ მგელიას-შეუ განუწყვეტელი კავშირია და სწორედ ეს გარემოება უფრო ხელს უწყობდა იმ აზრის განმტკიცებას, რომ თოლია გრძნეულებით არის აღსავსე და მტრადაა მოჩენილი. არა-ერთხელ გაურბენდა ხოლმე ტურიკოს თავში აზრი თოლიას მოკვლისა, მაგრამ როგორლაც ვერა ჰბედავდა, ეშინოდა მგელიას სული უარესად არ გადამეკიდოსო.

XVI

ერთხელ, შეუ ღამე კარგად იქნებოდა გადასული, რომ ახლად ჩაძინებულ ტურიკოს გულის ჩქროლვით.

გამოეღვიძა. გარედან მოესმოდა კარების გამძვინვარებული ფხაჭუნი და ძალლის საშინელი ღმუილი.

ტურიკო სწრაფად ზეზე აიმართა, სწვდა იქვე დაყუდებულ თოფს და კარებისაკენ გაქანდა. კარები რომ გამოალო, დაინახა, რომ თოლია კვლავინდებურად მთვარის შექს შეჰვლმუოდა.

— ჰაი, შე პატრონ-დავსებულო, შენა! — წაიდუდუნა ტურიკომ — მოიცა, გიჩვენებ სეირს! ამოგართმევ მაგ ეშმაკის სულს, რომ აღარ იღნავლო მშიერ შეელივით. — ამ სიტყვებით ტურიკომ რამდენიმე ნაბიჯი გაზადგა ძალლისაკენ, გაჩერდა და თოლია მიზანში ამოილო.

მიუხვდა პატრონს განზრახვას, თუ სხვა-რამ მიზეზის გამო, თოლია ერთბაშად ადგილიდან დაიძრა. მიზანს ასხლეტილი ტურიკო ძალლს გამოეკიდა. ძალლი ჭისკარის-ქვეშ გაძვრა და ორ-ლობეში გაიძაბა. ტურიკოც თან გაჰყვა.

მირბის ძალლი. თან მისდევს ტურიკო თოთით ხელში. თოლიამ ორლობილან მარჯვნივ დაუხვია და შარაზე დაეშვა. ტურიკოც კვალდაკვალ დაედევნა.

მიჰქროლავს ძალლი კუთ-წამოლერებული და, ვინ იცის, რა განზრახვა უდევს გულში.

— ვერ წამიხვალ, შე მგელის-კერძო, ვერა!. ქვესკნელში ჩამოგყვები... ზეცაში რომ აფრინდე, იქაც მოგაწვდენ ტყვიას, ოლონდ-კი ამოგართო ეგ ეშმაკის სული! — ჰამიკრობს ქვემო-ტუჩზე კბილებ-ჩავლებული ტურიკო და გულის ფანცქალით მოელის იმ წამს, როცა ძალლს მარჯვე ადგილას მოიხელთავებს მიზანში ამოსალებად.

უეცრად ტურიკომ იგრძნო, რომ რაღაცა ფერდობს. მიადგა. აიხედა ზევით და „ვაჭიო“ — შეჰქიფლა თავით-ფეხამდე შერყეულმა.

ტურიკოს ზევილან მთვარის შიბნედილ შუქზე მო-
ელვარე ეკლესია დაპყურებდა.

ტურიკო სასაფლაოსთან იყო.

მიწა რომ გარღვეულიყო და გამოჩენილიყო ჯოჯო-
ხეთი, თვისის მუდამ გაუნელებელის ცეცხლით, სულთა-
საშინელის ტანჯვა-გვემით, კვნესა-გმინვით, ეშმაკებით-
ტარტაროზებით, ერთის სიტყვით, ის ჯოჯოხეთი, რომ-
ლის წარმოდგენაც-კი შეეძლო ტურიკოს, — იქნება, ისე
თავზარ-დამცემი არა ყოფილიყო, როგორადაც იმის გან-
ცდა, რომ იგი ახლა მგელიას საფლავთან ირის...

აი, საცაა გამოვა საფლავიდან მგელიას აჩრდილი...
ისა და ეშმაკი თოლია მისცვივიან მას, სწვდები-
ან ყელში, ამოაცლიან სულს და მისცემენ ჯოჯოხეთის
გენიას. აქ-კი გაცხელებულს კუპრში ჩააგდებენ, რომ
სამუდამოთ იწვას, იხარშოს... მოვა მგელიას სული და
ეშმაკეულის სიცილ-ხარხარით ცეცხლს შეუკეთებს ისე-
დაც გავავარებულს ქვაბს, კუპრით საცხეს.

ტურიკომ პირი იბრუნა.

მირბოდა გამალებული, არ-კი იცოდა, საითკენ. იმის-
თვის სულ ერთი იყო, ოლონდ განშორებოდა ამ დაწ-
ყევლილ ადგილს, საღაც თვით წმინდა ეკლესია შეშის
ძრწოლასა ჰევრიდა.

ერთად-ერთი აზრი, რომელიც ახლა ტურიკოს თავ-
ში უტრიიალებდა, მხოლოდ ის იყო, რომ უკანიდან სიკვდი-
ლი მოსდევდა ფეხ-და-ფეხ და წინ-კი ხსნა მოელოდა ამ სიკ-
ვდილისაგან. წინად რომ გეკითხნათ ტურიკოსათვის, რო-

გორია სიკვდილით, რაღა თქმა უნდა, ვერ გიპასუხებდათ. მაგრამ ახლა-კი დარწმუნებული იყო, რომ სიკვდილი — მგელიას სულია და დანარჩენ მიცვალებულთა სულები, რომლებიც საფლავებიდამ ამდგარან და მოსდევენ, რომ იგიც თავიანთსავით სულად აქციონ...თან მოსძახიან იმ სამ საშინელ სიტყვას: „შენ მოჰკალ მგელია! შენ მოჰკალ მგელია“-ო, და მთელი არე-მარეც ბანს. აძლევს ამ ძახილს: ფოთოლთ შრიალი, ბალახთ ბიბინი, მიკიოტის ნაწყვეტ-ნაწყვეტი კივილი, ტურების ჩხავილი, ფრთოსანთა სტვენა — ყოველივე ეს, ერთად შერეული, იმ გრძნეულ სამ წიტყვად ჩაესმოდა ტურიკოს ყურებს.

ტურიკო ისე იყო შთანთქმული იმ აზრში, აი საცაა, მგელიას სული წამომეწევა და ბოლოს მომიღებსო, ისე ჰქონდა გაბრუებული თავი იმ ხამის სიტყვით, რომელსაც მთელი ის არე-მარე ყრუდ იმეორებდა, ვით ანარეკლ ხმას აჩრდილთა ძახილისას, — რომ ვერ გაარჩია, როგორ გაირბინა მინდორი და როგორ შეერია ტყეს. ახლა ტურიკო მირბოდა ტყეზედ მიმავალ გზით და როდი გრძნობდა, როგორ უშხაპუნებდნენ სახეში ხეების ტოტები, როგორ ედებოდნენ ფეხებში აქა-იქ წაჭცეულნი ხის მორები. ის წამ-და-უწუმ იქცეოდა, მაგრამ მსწრაფლ ისევ ფეხზე იყო ხოლმე და მირბოდა დამფრთხალ ნაღირზედ უსწრაფესად. რამდენჯერმე გასტოპა წყლის გუბეები, მაგრამ ვერც სისველემ მოიყვანა გონებაზე. ის ისევ წინან გელებრ მირბოდა სუნთქვა-გაშირებული, ნესტოებ-დაბერილი და პირ-მოკუმული. ჩამოშვებულ მარცხენა ხელში ეჭირა თოფი, რომლისთვისაც ისე ჩაჭიდნა თითები, თითქოს უძვირფასესი განძი ყოფილიყოს. ალლო მონადირისა სრულიად არ გამქრალიყო მას-

ში და ყრუდ ეუბნებოდა: „თოფს გაუფთხილდი, განსა-
ცდელის დროს გამოგადგებაო“.

ტურიკო საზარელი სანახავი იყო: ქუდ-მოხდილი,
თმა-გაწეწილი, წვერ-ულვაშ-აბურძენული, შემოგლეჯი-
ლის ტანისამოსით, ნაკვერჩხალივით გაღუებულის და
უზომოდ გაგანიერებულის თვალებით, გაფითრებულის,
მოთახთახე სახით.

ამ უჩვეულო სანახაობით მოულოდნელად დამფთხალ-
ნი ნადირნი შიშ-ჩასახულის თვალებით გამოიყურებოდ-
ნენ ხეებსა და ჯაგებს შუა და, ოდესაც ეს მოჩვენება—
ადამიანი უვნებლად გვერდზედ გაურბენდათ, თან ჩხა-
ვილსა და ღმუილს გააყოლებდნენ ხოლმე, თითქოს ყი-
უინა დასცესო.

ტურიკოს მუხლოთ ეჭრებოდა, ფეხები უმძიმდებოდა,
ასე-გონია ზედ მძიმე ქვები ჰკიტია, ან ფეხებში ხუნდე-
ბი აქვს გაყრილიო. ქუშიან ცხენივით ქაქანი აუვარდა
და სუნთქვა თან-და-თან უძნელდებოდა.

ცოტა კიდევ და იგი უეჭველად წაიქცეოდა, მაგრამ
უეცრიად პირზაპირ სინათლეს შეავლო თვალი. ამის გა-
მო მოიკრიბა უკანასკნელი ძალ-ლონე და კვლავ სირ-
ბილს უმატა, რამდენადაც შეეძლო. აი, მარცხნივ ტყე
გათავდა, ტურიკო მიადგა კლდეს, რომელიც მარჯვნივ
კედელივით ამართულიყო. მარცხნივ-კი თვალ-უწვდენ
უფსკრულს დაელო ანავარ ნადირივით პირი.

სინათლე—ცის-ნაშუქი სინათლე იყო, რომელიც
მტრედის-ფრად] მოეფინა ქვეყნისათვის დილის რიურაჟს
და მხოლოდ ტყის დაბურულობა-კი ვერ განეკრთო.

ტურიკომ იცნო ეს ადგილი.

თუ რომ სიკვდილის წინაშე მდგარი ცოცხალი ადა-
მიანი, რომელსაც უკვე ოდნავ შეჭებია ძარღვებში-
სისხლის გამაშრობელი, ყინულივით ცივი სუნთქვა სიკვ-
დიდისა,— შეუძლიან კვლავ შეაშინოს-რამ,— მაშინ ტუ-
რიკოზედაც ითქმის, რომ იგი შეზართა და შეაძრწოლა-
ამ ადგილმა.

ეს ადგილი „ეშმაკის ნაფეხური“ იყო.

აი, სადა სცნო ტურიკომ ხელი განგებისა.

თვით ღმერთმა მოიყვანა აქ, რომ ხსნა ვერსად
პოვოს.

უკან თოლია, მგელიას სული, სულები მიცვალე-
ბულთა, მთელი ქვეყანა რომელიც ყურში ჩასძახის იმ
სამ საზარელს სიტყვას... წინ-კი ის... ის... საშინელი
ადგილი... „ეშმაკის ნაფეხური“, სადაც მგელია უნდა
გადაეჩეხა. სწორედ აქ აღძრული განზრახვა იყო, რო-
მელიც ბოლომდე თან გაჰყეა და რომელმაც მგელია
მოაკვლევინა. ერთიც ვნახოთ, ფეხს შესდგამს თუ არა,
— „ეშმაკის ნაფეხურმა ვერ დაიდგნოს ის მძიმე ცოდვა,
რომელიც, ამდენი ხანია, გულში დაქვეს... და მეწყერი-
ვით იქ ჩაიტანოს, სადაც მგელიას სამარეს უმზადებდა.

ტურიკო გაჩერდა და ტორტმანებდა, არ იცოდა,
წინ წასულიყო, თუ უკან გაბრუნებულიყო. უკანიდგა-
ნაც მთელი ქვეყანა—მეტყველი და უტყვი ნასახი ღვთა-
ებისა მოსძახოდა იმ სამ ულმობელ სიტყვას: „შენ მოჰ-
კალ მგელია! შენ მოჰკალ მგელიაო!“.

ამასობაში-კი სამყაროს, შეუმჩნეველ ტალღასავით
თანდათან სინათლე ეფინებოდა.

ტურიკო პხედავდა ერთის მხრით პირ-ქუშად მის-
თავზედ გადმოწოლილს კლდის ნაპრალს. საკმარისი იყო,

მოგლეჯილიყო ერთ-ერთი მცირე ნაწილი ამ ნაპრალისა, ძუძუსავით ოდნავ შეწებებული დედის ბუმბერაზ-მკერდ-ზედ, რომ ტურიკოს სულს ვერც-კი მოესწრო ლეშიდამ გამოფრენა. მეორეს მხრით-კი პირი დაეღრინა მსხვერპლის მონატრულ უფსკრულს, რომლის ზედა-პირი მთლად დასერილი იყო დანასავით მოგრძო და დალესილ ქვებით. უფსკრულის იქით იწყებოდა მწვანელ შეფოთლილ-გაბარიზული ტყე და ცის ტატნობს უერთდებოდა.

ტურიკო შტერივით იდგა, მიჰკროდა ნაპრალის კედელს და ხან მარჯვნივ მიაქცევდა თვალებს, ხან მარცხნივ, — არ იცოდა, რომელი მხარე ამოერჩია, სად იყო ხსნა.

ერთხელ ასეთის შიხედვის დროს შორი-ახლოს თვალი მოჰკრა თოლიას, რომელიც მარცხნივ მისკენ მორბოდა.

— მაშ მართალია, ფეხ-და-ფეხ მოსდევენ ეშმაკი — თოლიას სახით, მგელიას სული და სხვა მიცვალებულთა სულები-რაღა?!

— აჲ! რაც იქნება — იქნება! — გაიფიქრა ტურიკომ და განიზრახა ეცადნა უკანასკნელი საშუალება. აკან კალებულის ხელით მიიტანა თოფი მხართან და დაუმიზნა მისკენ მორბენალ თოლიას, რომელსაც ალბად აინუმში არ მოჰკონდა ყველა ის, რაც ტურიკოს არსება ში ხდებოდა, კული წამოელერებინა, რამდენჯერმე დაეგრგოლებინა და ენა-გაღმოგდებული პატრონისკენ მოაშურებდა.

თოფმა დაიჭიქა, ცეცხლმა გაიელვა, მერე ბოლი ავარდა.

ბოლი რომ გაიფანტა, ტურიკომ მტაცებელ ნა-

დირივით კისერ-წამოგძელებულმა მიაპყრო იქითკენ თვალი, საცა თოლია ეგულებოდა.

აჲ! — გაისმა კაცის საშინელი გმინვა. — ეშმაკია, ეშმაკი! — დაატანა თან ტურიკომ საზარელის ხმით, თითქოს აქამდის არც-კი სჯეროდა, თოლია ეშმაკი იყო. თოლია უვნებლად პატრონს ფახლოვდებოდა.

კვლავ ამოძრავდა ტურიკოს არსებაში ყველა ის, რაც აქამდინ ხელსა ჰკრავდა და რამაც „ეშმაკის ნაფეხურამდის“ მოაღწევინა. მთავარ-ცნება დაკარგული ტურიკო აშკარად ჰხედავდა, რომ სხვაფრივ ხსნა არ ჩყო...

იქნება ლმერთმა შეიწყალოს და უვნებელი გაიყვანოს ინ წყეულ ბეჭვის ხილზედ?!

ტურიკომ ფეხი შესდგა უფსკრულის პირად გადაუკიდებულ აივანზედ და იგრძნო, რომ ფერხთა-ქვეშ ნიადაგი ეცლება... ეშვება ძირს, პირ-დალრენილ სივრცეში. თანაც კვლავ ახმაურდა მთელი არე-მარე და ცის რისხვასავით გაისმა ის ჯოჯოხეთის ძახილი: „შენ მოჰკალ მგელია, შენ!..

სიკვდილის საზღვარის წინაშე მდგარი ტურიკო ერთად-ერთმა ნატვრამ-ღა გაიტაცა: ლმერთმა შეაძლებინოს, რომ როგორმე, ჩააჩუმოს ეს ძახილი, რომ, ვიდრე სულს დალევდეს, აღარ ესმოდეს ის სამი სიტყვა, რომ-ლებიც ნემსებივით სხეულის ყოველ ნაწილში უვლიან, აღწევენ გულამდე, სულამდე და ლახვარივით ესობიან ერთშიაც და მეორეშიაც.

ამ სურვილით აღტყინებულმა ტურიკომ მოიკრიბა რაც-კი რამ ძალა ჰქონდა და დღეს პირველად შესძახა მთელ ქვეყანას:

— მე მოვკალ მგელია, მე! არც ახლა დადუმდები?
მე მოვკალ-მეთქი!

და ამის შემდეგ იგრძნო, რომ ყოველივე მიყუჩდა,
რომ აღარ გაისმის ჰაერში ის სამი საშინელი სიტყვა,
რომ სხეულიც დაუამდა, გულიც თითქოს საგულეში
ჩადგა და სულიც დაუცხრა... თუმცა იგი ხორცს ეყრება,
მაგრამ ისე მწვავი როდია ეს განშორება, როგორც ეგონა.

ტურიკომ უნებურად თვალი ჩააწვდინა იმ ადგილს,
საცა განგებამ სამარე მიუთითა და როდი შეძრწუნდა.
მის ქვევით უფსკრული როდი-და იყო. არა სჩანდა არც
ქვა, არც მიწა, არც ლრე, არც კლდე. თვალები
ჰხეზავდნენ რძესავით თეთრ ზღვის, რომელსაც მთლად
გაევსო. ის უფსკრული და რომელიც სულ მაღლა-მაღლა
იწვედა, რომ მიეღო მისი ლეში, როცა სული ზეცად
გაფრინდებოდა.

ისეთი დამატყვევებელი იყო თვალისა ეს სპეტაკი
ზღვა—სამარე მისი, რომ მან აღარ მოუცადა, ვიდრე ან
თითონ ჩაშვებოდა ზღვაში ან ზღვა ამოვიდოდა ზევით—
იშვირა ფეხი ჰაერში დაკიდულ აივნიდან და თეთრ ტა-
ლღებში გადეშო.

სწორედ ამ დროს „ეშმაკის ნაფეხურზედ“ შემოინა-
ვარდა უკან ჩამორჩენილმა თოლიამ, რომელმაც, პატრონი
რომ ვეღარ დაინახა, წერტუნით ხან აქეთ მიიჩნია
უფსკრულის პირად, ხან იქით, მრავალჯერ წაიწია წინ,
თითქოს გადავარდნას ლამობსო, და რამდენჯერმე შეპ-
ყეფა, გეგონებოდათ პატრონს ეძახისო. ბოლოს, ხმა რომ
არავინ გასცა და ვერ გაიგო პატრონის ასავალ-დასავა-
ლი, — წაწვა უფსკრულის პირად, ვადიშვირა წინ ფე-

ხები, ზედ დასდოთ თავი და გააბა მწარე ღმუილი, რო-
მელიც მიცვალებულის ზარივით ეფინებოდა გაყუჩებულ
ბუნებას, მწუხარებით ავსებდა იმ არე-მარეს და მერე
სადღაც შორს განმეორებით ყრუდ გაისმოდა...

ილია ელეფთერიძე.



ალუბლის ბაღი

კომედია 4 მოქმედებად

ა. ჩეხოვისა.

თარგ. სოფიო ციციშვილისა.

მ თ მ ა ქ მ ე ღ ნ ი:

ლუგა ანდრიას ასული რანევსკისა, მემამულე.

ანდა—ამისი ქალი, 17 წლისა.

ვარო—რანევსკის შეილობილი, 24 წლისა.

ლეონიდ ანდრიას ძე გაევი, ლუბა ანდრეევნას ძმა.

ერმილე ალექსის ძე ლოკაჩინი, გაჭარი.

პეტრე სერგეის ძე ტროფიმოვი—სტუდენტი.

გორის გორისის ძე სიმონოვ-პიშჩიკი—მემამულე.

შარლოტა ივანოვნა—გუვერნანტკა.

სიმონ პანტელეიმონის ძე ეპიხოდოვი—რანევსკის კანტორ
შჩიკი.

ლუისაზა—მოსამსახურე გოგო.

ვისლი—მოხუცი მოსამსახურე, 87 წლისა.

იაზა—ყმაწვილი კაცი; მოსამსახური.

უცხო კაცი.

საღგურის უცხოსი.

ვოსტის მოხელე, სტუმრები და მოსამსახურენი.

მოქმედება პირველი.

სცენა წარმოადგენს ოთახს. რომელსაც ისევ პავშვების ღთახს ეძახიან და რომლის ერთი კარი გადის ანას ოთახში. გათენებაა. მალე მზეც ამოვა. მაისია. ალუბლის ხეები ყვავიან, მაგრამ ბალში მარნც ცივა. დილის სუსხია. ფანჯრები დახურულია. შემოდის დუნიშა, ხელში სანთელით, და ლოპაჩინი—წიგნით.

ლოპახინი. მადლობა. ლმერთს, მატარებელი მოვიდა. რომელი საათია?

დუნიშა. ორი საათია. (სანთელს აქრებს) გათენებულა!

ლოპახინი. კარგად დაიგვიანა მატარებელმა, სულ ცოტა, მგონი, ორი საათით. (ამთქნარებს და იზმორება) მეც რა სისულელე მომივიდა! განგებ აქ იმიტომ მოვედი, რომ სადგურზე შევხვედროდი, და აქ-კი დამეძინა... დაჯდომილს ჩამინებოდა. რა გული მომდის ჩემს თავზე!... შენ მაინც რატომ არ გამაღვიძე...

დუნიშა. მე მეგონა, რომ თქვენ სადგურზე წახვედით. (უურს უგდებს) აი, მგონია, კიდეც მოდიან.

ლოპახინი. (უურს უგდებს) არა... ბარგის მიღებაო, ეს ერთიო, ეს მეორეო. (პაუზა) ლუბა ანდრეევნა, აგერ ხუთი წელიწადია, საზღვარ გარეთა სცხოვრობს. არ ვიცი, ახლა როგორი ადამიანია... კარგი რამ იყო წინად; კეთილი, სადა.. მახსოვს, მე რომ პატარა ვიყავი, ასე თხუთმეტი წლისა, ცხონებულმა მამაჩემმა, მაშინ ამ სოფელში დუქანს ამუშავებდა, ერთხელ შიგ სახეში მუშ-

ტი მთხლიშა. ცხვირიდან სისხლი ნიაღვარივით
წაშექდა... იმ დროს რიღასთვისაც ორივე აქ
მოვდიოდით. მამაჩემი გადაკრულში იყო. ლუ-
ბა ანდრეევნამ,—თითქო ახლაც თვალ-წინ მიღ-
გას, სულ ყმაწვილი იყო, მეტად სუსტი აგე-
ბულობისა,—მიმიუვანა პირსაბანთან, აი სწო-
რედ ამ ოთახში.—„ნუ სტირი, პატარა გლე-
ხის ბიჭოო, ქორწილამდის მორჩებიო“. (ჰაუზა)
გლეხის ბიჭოო... მამაჩემი, მართალია, გლეხი
იყო, მაგრამ მე ახლა თეთრ უილეტში და ყვი-
თელ ახალმოდურ ფეხსაცმელებში ვარ გამო-
ჭიმული, მეც მარაქაში გავერიე!... მართალია;
მდიდარი ვარ, ფული ბლომათა მაქვს, მაგრამ
კაცმა რომ მუშარის თვალით, გამშინჯოს,
გლეხი მაინც გლეხად დავრჩი. (ფურცლავს
წიგნს) ბევრი ვიყითხე, აი, ეს წიგნი, მაგრამ
ვერაფერი გავიგე, კითხვაში დამეძინა (ჰაუზა).

დუნიაშა. ძალლებს კი მთელ ლამეს არ დაუძინიათ! ეტყო-
ბა, ბატონების მოსვლას გრძნობენ.

ლოპახინი. დუნიაშა, შენ რაღაცნაირათა ხარ! რა გე-
მართება?

დუნიაშა. ხელები მიკანკალებს. აგერ, გული შემიწუხ-
დება.

ლოპახინი. ძალიან განაზებული ხარ, დუნიაშა, ჩაცმით
ხომ ისე იცვამ, თითქოს ქალბატონი იყო,
თავსაც სწორედ ისე ივარცხნი. აგრე არ შე-
იძლება, უნდა შენი ვინაობა გახსოვდეს. (შე-
შოდის ეპიზოდოვი. ხელში თაიგული უჭირავს.
შავაკი აცვია. ვეხსეცმელი შესამჩნევად გაწმენდილ-

გაშრიალებული აქვს, რომლებსც ხმამაღლა კა-
აქვთ ჭრისინი. შემთხვევის დროს თაიგული ხე-
ლიდას გაუვარდება).

ეპიხოდოვი. (საჩქაროდ აიტაცებს თაიგულს) ეს თაიგული
მებალემ გამოგზავნა. სასაღილო ოთახში დაღ-
გით (აძლევს თაიგულს დუნიაშას).

ლოპახინი. დუნიაშა, ბარემ კცასიც მომიტანე.

დუნიაშა. ბატონი ბრძანდებით (გადის).

ეპიხოდოვი. დილის სუსხია. ყინვა სამ გრადუსამდე იქ-
ნება. ბალში კი ალუბლები ყვავიან. სწორედ
რომ უცნაურია ჩვენებური ჰავა. (ოხრავს) არ
მომწონს აქაური ჰავა, ხელს ვერ უწყობს ბუ-
ნებას. ერმილე ალექსეიჩ, გთხოვთ მომისმი-
ნოთ. ამ სამი დღის წინად ვიყიდე, აი, ეს წა-
ლები და, სწორედ მოგახსენოთ, ისეთნაირად
ჭრიჭინებუნ, რომ ძალა აღარ არის. მასწავ-
ლეთ, რა წაუსვა.

ლოპახინი. ერთი თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს.
გააჭირე საქმე!

ეპიხოდოვი. ყოველ დღე უოუოდ რამე უბედურება მე-
მართება, მაგრამ ბედს არ ვუჩივი, შევეჩვიე-
(შემთდის დუნიაშა და ლოპახინს კგასს უდგამს).
მე წავალ. (მიდის, სკამს შიეხლება და წააქცევს)
აი... (მნიშვნელოვანად) ხედავ! რა შემემთხვა!
უკაცრაული პასუხია, სხვათა შორის, ჩვენთვის
რომ ვსოქვათ: ეს შესანიშნავი ამბავია!..(გადის)

დუნიაშა. ერმილე ალექსეიჩ, ერთი რამ უნდა მოგახსე-
ნოთ... ეპიხოდოვი მთხოულობს.

ლოპახინი. ოპო!..

დუნიაშა. არ ვიცი, რა ვქნა... მართალია, დინჯი კაცია, მაგრამ ხანდახან, რომ ლაპარაკს დაიწყებს ხოლმე, თითქო კარგათაც ლაპარაკობს, გრძნობითაც, მაინც არა მესმის-რა! თითქო მომწონს კიდეცა. იმასაც გაგიცებით ვუყვარვარ. უბედური კაცია. ყოველ დღე რამე უბედურება-ემართება. მაგას აქ ყველა აცდაორ უბედუ-რებას ეძახის.

ლოპახინი. (უურს უგდებს) აი, მგონია, ახლა-კი მოდიან. დუნიაშა. მოდიან! რა მემართება, მთლად გავიყინე.

ლოპახინი. მართლა მოდიან. წავიდეთ, მივეგებოთ. ნე-ო, თუ მიცნობს? ხუთი წელიწადია, არ მი-ნახავს.

დუნიაშა. (აფელვებული) მეშინიან, არ წავიქცე... საცაა, დავეცემი. ეტლების ხმა ისმის. (ლოპახინი და-დუნიაშა სიჩქართდ გადიან, სცენა ცალიერია: გა-რედან ხმაურობა მოისმის. გამოიყლის ფირსი, თან-ჯოხს ებჯინება. ძველებური ლივრე აცვია, მადა-ზი ქედი ხურავს. ეტყობა ბატონების შესახვედ-რად ყოფილა. ერთთავად რადაცას გაუგებრად ბუტბუტებს. ხმაურობა კულისებში თანდათან ემა-ტება. ისმის: „აქეთ გამოიანეთ, აქეთ“. შემოდიან: ლუბა ანდრეევნა, ანნა; შარლოტა ივანოვნა, რო-მელსაც ჯაჭვით შატარა ფინას შაჭჭავს, გარდ-პალტოთი და თავზე შალ-მოხვეული, გაეგი, სი-მონავე-ზიშჩივი, ლოპახინი, დუნიაშა ბოლჩითა და ქოლგით და მოსამსახურები—ბარგით).

ანნა. ასე გავიაროთ, დედილო, გახსოვს ეს ოთახი?

ლუბა ანდ. (სიხარულით ცრემლები ერქვა) ბავშვების, ოთახია!

გარო. რა სიცივეა! ხელები მთლად გამეყინა. (ლუბა ანდ.) თქვენი ოთახები, დედილო, თეთრი და იისფერი, ისევ ისე დაგახვედრეთ.

ლუბა ანდ. ბავშვების ოთახი! ჩემო საყვარელო, კოხტა. ოთახო... აი, აქ მეძინა ხოლმე, როდესაც პატარა ვიყავი. (ტარიღით) ახლაც, თითქო ისევ ბავშვი ვიყო, ისე მიხარის. (ჭკოცნის ძმას, ვარდა, ისევ ძმას.) ვარო, შენც ისევ ისა ხარ, მოლოზანსა ვგევხარ. აი, დუნიაშაც ვიცანი. (ჭკოცნის დუნიაშას).

გაევი. მატარებელმა ორ საათს დაიგვიანა. როგორ მოგწონთ? რა უწესოებაა!

შარლოტა. (ზიშჩივს) ჩემი ძალლი თხილსაცა სჭამს.

პიშჩიკი. (გავერგებით) წარმოიდგინეთ! (უველავი გადიან, ანნასა და დუნიაშას გარდა).

დუნიაშა. თქვენს ლოდინში სული დაგველია... (ხსნის შლიაპას, ჰალტოს).

ანნა. ოთხი ღამეა, არა მძინებია: ამ დილას ხომ სულ გავიყინე.

დუნიაშა. დიდ მარხვაში რომ წახვედით, მაშინ უფრო თოვლიც იყო და ყინვაცა. ახლა-კი? ჩემო სასურველო ქალბატონო... (თან იცინის, თან ჭკოცნის) ძლივს მოვესწარ თქვენს მოსვლას, ჩვენო სიხარულო, ჩვენო მანათობელო... რა ღაცა მაქვს სათქმელი, ეხლავე უნდა გითხრა. ერთ წამსაც ვურ მოვიტმენ.

ანნა. (ზარმაცად) კიდევ რა?

დუნიაშა. კანტორშიკი ეპიხოდოვი აღდგომის შემდეგ
ცოლათ მთხოვლობს.

ანნა. შენ სხვა არა გახსოვს-რა. (თმებს ისწორებს) ყვე-
ლა შპილკები დავკარგე... (დაღალვისაგან თითქმის
ბარბაცებს).

დუნიაშა. არ ვიცი, რა ვქნა... ისე ვუყვარვარ, ისე ვუ-
ყვარვარ, რომ...

ანნა. (შესცემის თავის თახახის ქარებს და ალექსით) ჩემი
ოთახი, ჩემი ფანჯარა! თითქო სულაც არსად
წავსულვარ... ჩემს სახლში ვარ! ხვალ დილას
ავდგები, გავიძევი ბალში...: ოხ, ნეტავი ეხ-
ლა-კი დამეძინოს და! მთელი გზა ისე გამო-
ვიარე, რომ არა მძინებია. სულ რაღაც მაწუ-
ხებდა...

დუნიაშა. ეს სამი დღეა, პეტრე სერგეიჩი აქა ბძანდება.
ანნა. (სიხარულით) პეტო!

დუნიაშა. აბანიაში სძინავს, იქვე სკხოვრობს. სულ იმას
გაიძახის, მეშინიან, არავინ შევაწუხოო. (უბის
საათის შინჭავს) ახლა-კი დროა, რომ გავაღვიძო.
მაგრამ ვარვარა მიხაილოვნამ ამიკრძალა, ნუ
გააღვიძებ, შენი საქმე არ არისო. (შემოდის
ვარო. წელზე გასაღებების გროვა ჰქიდია).

ვარო. დუნიაშა, ჩქარა ყავა დაამზადე, დედა თხო-
ულობს.

დუნიაშა. ამ წუთში (გადის).

ვარო. (ალექსით) მაღლაბა ღმერთს, ძრივს მოხვედი.
ისევ შენ სახლში ხარ, ჩემო- სულიკო, ჩემო
მშვენიერო.

ანნა. იჯ, ვარო, რაც მე გაჭირება გამოვიარე!

ვარო. წარმოდგენილი მაქვს, ჩემო კარგო.

ანა. აქედან ხომ ჯვარცმის კვირაში წავედი, ძალიან სიცივე იყო. შარლოტა გზაში სულ ყბედობდა. ათასნაირ ფოკუსებს აკეთებდა, გამიჭირა საქმე. ნეტა ვიცოდე, რა საჭირო იყო, რომ ამიკვიატე!

ვარო. ჩემო მტრედო, ჩეიდმეტი წლის ქალი ხარ და როგორ შეიძლებოდა შენი მარტო მგზავრობა!

ანა. მივედით პარიზში. იქაც სიცივე, თოვლი. ამას გარდა ხომ იცი, რომ ფრანგულს გლახად ვლა- პარაკობ, როგორც იყო მივაგენით დედის ბი- ნას. საღლაც მეხუთე სართულში იღგა. მი- ვედით. ვნახოთ: სხედან ვიღაც ფრანგები: კა- ცები, ქალები, ბებერი პატრი—წიგნით ხელში. საძაგელი თუთუნის სუნი იღგა. ოთახი არეულ- დარეული. საშინლად შემეცოდა საწყალი დე- და, ისე შემეცოდა, რომ მივვარდი, ჩავიკარ- გულში და ვეღარ ვიშორებდი. დედამაც და- მიწყო ალერსი და თან ტიროდა.

ვარო. (თვალცრუელიანი) კარგი, კარგი, ნულარას მეტყვი, ნულარას!

ანა. მენტონის ახლოს რომ სააგარაკო სახლი ჰქონდა დედას, უკვე გაუყიდნია. აღარაფერი არ დარ- ჩენია, სულ დაუხარჯავს. მეც, რაც მქონდა, სულ დავხარჯე, ერთი გროში აღარ დამჩჩა; სახლამდეს ძლივს მოვახწიეთ. დედამ კი ამა- ებისა სულ არაფერი იცის, არაფერი ესმის. გადავიდოდა ხოლმე. სადგურზე, სასადილო ათაბში და სულ ძვირფასს საჭმელებს თხოუ-

ლობდა. ლაქიებსაც საჩუქრათ სულ იაითო მანათობით ურიგებდა. ახლა შარლოტას ცალკე კერძი, იაშაც-კი ცალკე თხოვლობდა. საშინელებაა!.. იცი, იაშა ვინ არის? დედას მოსამსახურეა; თან მოვიყვანეთ.

ვარო. ვნახე ის ვიღაც უსირცხვილო იაშაა.

ანნა. რა პქენით? როგორ არის საქმე? შეიტანეთ ბანკში სარგებელი?

ვარო. სად არის.

ანნა. ლმერთო ჩემო! ლმერთო ჩემო!

ვარო. აგვისტოშია დანიშნული საჯარო ვაჭრობა.

ანნა. ლმერთო ჩემო! ლმერთო ჩემო!

ლოპახინი. (შემთხვედავს კარებში და ძროხასავით ბლავის) მევე!... (გადის).

ვარო. (ცრემლ მორეული) ას, ერთი მაგისტრის. მაცემინა! (მუშტს უღერებს).

ანნა. (ეხვევა და ჩუმად) ვარო, ცოლათ გითხოვა? (ფართ უარის ნიშნად თავს იქნებს) ხომ უყვარხარ მაგ კაცს... რატომ არას ეტყვით ერთმანეთს? რას გაჩუმებულხართ?

ვარო. მე ასე მგონია, რომ ჩვენ შორის არაფერი არ მოხდება. ეგ დიდი საქმის კაცია და რა ჩემი ჯავრი აქვს. ყურადღებასაც არ მაქცევს. ლმერთმა მშვიდობა მისცეს. ნეტა თვალითაც აღარ დამენახვებოდეს. მთელი ქვეყანა ჩვენს შეულლებაზე ლაპარაკობს, ყველა მილოცავს და საქმით კი არაფერი სჩანს. ლმერთმანი თითქო სიზმარში ვარ... (ხშას იცვლის) შენი ბროშა რა სხვანაირია, თითქო ფუტკარი გაზისო.

ანნა. (შეწუხებული) დედამ მიყიდა (მიდის თავის თთახის-
კენ და მხარეულად, ბავშურად დაზარაკობს) იცი,
რა გითხრა, ვარო: პარიქში ჰაეროსტატით
ვიფრინე!

ვარო. ჩემო სულიკო, ძლივს არ მოხვედი, ჩემო შშვე-
ნიერო. (დუნიაშას შემთაქვს ქავადანი და უაჭას
ამზადებს)

ვარო. (კარებთან დგას) ჩემო გვრიტო, მთელ დღეს ოჯახ-
ში რომ ლავტრიალებ, სულ იმაზე ვფიქრობ:
ნეტა, ერთი გავათხოვო ჩემი ანნა, შევრთო
მდიდარი კაცი და მოვისვენო-მეთქი. წავალ
მერე უდაბნოში,—კიევში... მოსკოვში და ასე
ვივლიდი და ვივლიდი წმინდა ადგილების თა-
ყვან-საცემლად. ამ, რა სულის ნეტარება
იქნებოდა!..

ანნა. ჩიტებმა ჭიკჭიკი დაიწყეს. რამდენი საათია?

ვარო. სამი უნდა იყოს. შენი დაძინების დროა, ჩემო.
კარგო. (შედის ანნას თთახში). რა სულის ნეტა-
რება იქნებოდა!.. (შემოდის იაშა ჩამადნით ხელ-
ში. შლედი ასხია).

იაშა. (ზრდილობიანის ნაბიჯით) შეიძლება ასე გავიარო?

დუნიაშა. ველარც-კი გიცნობთ კაცი, იაშა! ძალიან გა-
მოცვლილხართ საზღვარ გარეთ!

იაშა. ჰმ.. თქვენ ვინა ბძანდებით?

დუნიაშა. როდესაც თქვენ აქედან წახველით მე, აი,
ამოდენა ვიყავი, (აჩვენებს ხელით იატაკიდან)
დუნიაშა ვარ, თევდორე კოზოედოვის ქალი:
არ გახსოვართ?

იაშა. ჰმ... კიტრივით კი ხარ გარგვალებული. (აქეთ-

იქით მიიხედავს, მოეხვევა და აკოცებს. ღუნიაშა
შეჭრივლებ და ლაშბაქი ხელიდან გაუვარდება. ია-
შა საჩქართდ გადის).

ვარო. (უგმაჟოფილოდ იძახის გარებიდან) რა ამბივია?

დუნიაშა. (ტირილით) ლამბაქი გამიტყდა.

ვარო. ეგ კარგი ნიშანია.

ანნა. (გამოდის) დედას უნდა შევატყობინოთ, რომ პეტო
აქ არის.

ვარო. მე ნაბძანები მაქვს, რომ პეტო უჩემოთ არ გა-
ალვიძონ.

ანნა. (დაფიქრებული) ექვსი წლის წინად მამა-ჩემი გარ-
დაიცვალა. ერთის თვის შემდეგ ძმა დამეხრჩო.
დამეხრჩო, ჩემი საყვარელი, ლამაზი, ყოჩალი
ძამია გრიშა. დედამ ეს ვეღარ აიტანა და წა-
ვიდა. წავიდა ისე, რომ უკან აღარ მოუხედნია.
(მწუხარედ) რომ იცოდეს ჩემმა დედილომ, რო-
გორ თანავუგრძნობ! (ჰაუზა) პეტრე ტროფი-
მოვი გრიშას მასწავლებელი იყო. მას შემდეგ
დედას არ უნახავს და ახლა მისი დანახვა მწუ-
ხარებას განლახლებს. (შემოდის ფირსი ჰიჯაკით
და თეთრი ჟილეტით).

ფირსი. (მიღის ყავადნთან და ფათურთბს) ქალბატონი აქ
მიირთმევს ყავას... (იცვამს თეთრს ხელთათმა-
ნებს) ყავა მზად არის? (ღუნიაშას) შენ, ეი! ნა-
ღები საღლაა?

დუნიაშა. ოხ, ღმერთო ჩემო!.. (საჩქართდ გადის).

ფირსი. (ყავადნთან ფუსფუსებს) ოხ, მოუშუშარი! (ბუტ-
ბუტებს) მოვიდნენ... პარიუიდან... ერთ ღროს,

დიდი ბატონიც ყოფილა. პარიუში... ეკიპა-
ჟით... (იცინის)

გარო. რას ბუტბუტებ, ფირს?

ფირსი. რა გნებავთ? (მხიარულად) რავი ჩემი ქალბატო-
ნის მოსვლას მოვესწარ, ახლა თუნდაც მოვ-
კვდე!.. (სიხარულით სტირის. შემოდიან დუბა
ანდრევნა, გაევი და სიმთხოვ-ზიშჩივი. ზიშჩივს აც-
ვია გლეხური შაგ-მაუდის ტანისამოსი. გაევი ტან-
ში ისე ირხევა და ხელებს ისე აქნევს, თითქო
ბილიარდს თამაშობსთ).

ლუბა ანდ. როგორ იყო? დაიცა, მოვიგონო: ჯელთი
ვъ угољ! дуплетъ въ середину!

გაევი. წეჟუ въ угољ! ერთ დროს, ჩემთ დაც, მე და
შენ ამ ოთახში გვეძინა ხოლმე, ახლა კი მე
აგერ 51 წლისა ვარ. განა ეს უცნაური. რამ
არ არის?

ლოპახინი. დიახ, დრო მიფრინავს.

გაევი. რაო?

ლოპახინი. დრო მიფრინავს-მეთქი.

გაევი. აქ რაღაც პაჩულის სუნი დგას.

ანნა. წავალ, დავიძინებ. ლამე მშვიდობისა, დედა! (ჭკო-
ნის დედას).

ლუბა ანდ. ჩემთ ძვირფასო შვილო. (ხელებს უბრუნის)
გიხარიან, რომ შენ სახლში დაბრუნდი? მე ჯერ
გონებას ვერ მოვსულვარ.

ანნა. ნახვამდის, ძია.

გაევი. (ჭკონის პირსა და ხელებზე) ღმერთმა დღე მრგ-
ცეს, რანაირად ჰვევხარ დედაშენს! (დას) ლუ-

ბა, ამის ხანში შენ სწორეთ ასეთი იყავი. (ანსა და გარების და შიშივს ხელს ჩამოართმევს, გადის და კარს გაიხურავს).

ლუბა ანდ. მეზავრობაში ძალიან დაიღალა.

პიშჩიკი. დიდი გზა გამოიარეთ, ქალბატონო!

ვარო. და გარო (და შიშივს) აბა, ბატონებო, რას აპირებთ? სამი საათია, ძილის დროა და მეონი წაბძანების დროც უნდა იყოს.

ლუბა ანდ. (იცინის) შენ ისევ ის ვარო ხარ. (ჭეოცნის) აი, ყავას დავლევთ და ყველანი წავალთ. (ფირსი ფეხებს ქვეშ ბალიშს უდებს) მადლობელი ვარ, ჩემო კარგო! ყავასა ვარ შეჩვეული; დღეცა ვსვამ და ლამეც. მადლობელი ვარ, ჩემო ბებრუხანა ფირსო! (ჭეოცნის ფირსის).

ვარო. აბა ერთი ვნახო, სულ ბარგი მოიტანეს თუ არა (გადის).

ლუბა ანდ. ნუ თუ ჩემ სახლში ვარ? (იცინის) მინდა ვიცინო, ვიხტუნო! (შირზე ხელებს ითარებს) ხომ არა მძინავს! ღმერთმა ხომ იცის, მიყვარს ჩემი სამშობლო, გულით მიყვარს. ვაგონიდან ვერ ვიხედებოდი, სულ მეტირებოდა. (ცრემლებით) ეს ყავა გაცივდა, უნდა დავლიო. მადლობელი ვარ, ფირსო, მადლობელი, ჩემო ბებრუხუნა! რა მიხარის, რომ ისევ ცოცხალი დამიხვდი.

ფირსი. გუშინწინ.

გაევი. ყართ აკლია.

ლოპახინი. ამ დილით ხუთ საათზე ხარკოვს მივდივარ.

რა რიგად. მწყინს: გულით მინდოდა ცოტა
ხანს თქვენთან დავრჩენილიყავ, თქვენთან მე-
ლაპარაკნა... თქვენ ისეთივე მშვენიერი გართ.
ჰიშიკი. (ძლივს სუნთქვას) უფროც გალაშიზებულა...
ნამდვილ პარიზულათაა ჩაცმული... ეჭ, ყро-
ია მია თეჭვა...

ლოპახინი. თქვენი ძმა, ლეონიდ ანდრეიჩი, მე გაუთ-
ლელს, ჩარჩს, წურბელას მედახის, მაგრამ ყუ-
რადღებას არ ვაქცევ, რაც უნდა, ის დამარ-
ქვას. მე მხოლოდ ის მინდა, რომ თქვენ,
უწინდებულად შემომხედოთ ხოლმე. ღმერთო
მოწყალეო! მამაჩემი თქვენი მამა-პაპის ყმა იყო,
მაგრამ თქვენ, განსაკუთრებით თქვენ, ერთ
დროს ისეთი დიდი სიკეთე მიყავით, რომ სრუ-
ლიად დამავიწყდა ყმის შვილობა, და შემიყვარ-
დით ისე, როგორც საკუთარი ნათესავი... არა
ნათესავზე უფრო მეტად.

ლუბა ანდ. ერთ ადგილს გაჩერება არ შემიძლიან. (ჭა-
მოდგება და აღელვებული დადის) ვერ ავიტან
ამდენს სიხარულს... დამცინეთ ამ სისულელის-
თვის... შკაფო, ჩემო ნათესავო! არა, ნათესავზე
მეტი ხარ ჩემოვის. (ჭაცნის შეაფვ) ჩემო მა-
გიდავ!

გაევი. შენს იქ ყოფნაში საწყალი ძიძა გარდაიცვალა.

ლუბა ანდ. (დაჯდება და ყავაშ სვაში) გავიგე.. ღმერთმა
აცხონოს, მწერდნენ მის. სიკვდილს.

გაევი. ანასტასიაც მოკვდა. ელამი პეტრე რომ მყავდა,
გამექცა და ახლა ქალაქში დგას ბოქაულთან.

(ჯიბიდან ამოიღებს კოლოფით უინჯარე შაქარს და ერთ ნატებს შინში იღებს).

პიშჩიკი. ჩემი ქალი დაშა მოკითხვასა გწერო.

ლოპახინი. ძალიან გულით მინდა სასიამოვნო, სამხია-
რულო გითხრათ რამე. (შინჯავს საათს) მაგრამ
ახლავე უნდა წავიდე, სალაპარაკო დრო აღა-
რა მაქვს... ერთი-ორი სიტყვით მოგახსენებთ
თქვენ, უეჭველია, გაგებული გექნებათ, რომ
თქვენი ალუბლის ბალი ვალში გეყიდებათ.
22-ს აგვისტოს არის დანიშნული საჯარო ვა-
ჭრობა. მაგრამ თქვენ ნუ შესწუხდებით, ჩემო
ძვირფასო, საქმეს ადვილად მოევლება. აი, რას
გირჩევთ, ყური დამიგდეთ: თქვენი მამული-
ქალაქიდან ოცი ვერსტის მანძილზე მდებარეობს,
ახლა გვერდით რკინის გზა გაიყვანეს და, თუ
ალუბლის ბალსა და მიწებს პატარ-პატარა სა-
აგარაკო არგილებად დაჰყოფთ და სააგარაკო
სახლების ასაშენებლად იჯარით გასკემთ, წე-
ლიწადში შემოსავალი გექნებათ, სულ ცოტა,
ოცდახუთი. ათასი მანათი.

გაევი. უკაცრავათ კი არ გახლდეთ და, ეგ მტკნარი სი-
სულელეა!

ლუბა ანდ. ერმილე ალექსეიჩ, მე თქვენი ლაპარაკისა
სრულიად არა მესმის-რა.

ლოპახინი. თქვენ თითო მოაგარაკესაგან ერთ დესეტი-
ნაში, სულ ცოტა, ოცდახუთს მანათს აიღებთ
წელიწადში და, ამას თუ ეხლავე გამოაცხადებთ,
რაზედაც გინდათ დაგენაძლევებით, რომ შე-
მოდგომამდის არც ერთი დღიური აღარ დაგრ-

ჩებათ თავისუფალი, სუთ დაიტაცებენ. ერთის
სიტყვით, ეხლავე შემიძლიან მოგილოცოთ,
რომ თავს დაიხსნით. ადგილ-მდებიარობა სა-
უცხოვო აქვს თქვენს მამულს. იქვე გვერდზე
დიდი მდინარე ჩამოუდის. მხოლოდ, რასა-
კვირველია, მამულს გაწმენდა—გასუფთავება
უნდა... უნდა დაინგრეს ყველა ძველი შენო-
ბა, აი, ვთქვათ ეს სახლი, რომელიც ეხლა
აღარაფრისთვის აღარ ვარგა, უნდა გაიჩეხოს
ძველი ალუბლის ხეები.

ლუბა ანდ. გაიჩეხოს! ? ჩემო კარგო, უკაცრავათ და,
თქვენ სრულიად არაფერი გესმით! მთელს გუ-
ბერნიაში თუ არის რამე შესანიშნავი, ეს მხო-
ლოთ ჩვენი ალუბლის ბალია.

ლოპახინი. შესანიშნავი მხოლოდ იმითია, რომ მეტად
დიდი ადგილი უჭირავს. ალუბალი ორწელი-
წადში ერთხელ ისხამს და ისიც ვერ გამოგი-
ყენებიათ, არა საღდება, გასავალი არა აქს.

გაევი. ენციკლოპედიურს ლექსიკონშიაც კი არის მო-
ხსენებული ჩვენი ალუბლის ბალი!

ლოპახინი. (საათს შინჯავს) თუ ეხლავე არ გადასწყვეტთ
და ვერაფერს იღონებთ, 22 აგვისტოს ალუბლის
ბალიცა და მთელი მამულიც საჯარო ვაჭრო-
ბით გაგეყიდებათ. გადასწყვეტეთ ეხლავე. გვ-
ფიცებით, სხვა გზა არ არის, არა და არა!

ფირსი. უწინ, ამ ოცი-ორმოცდაათის წლის წინედ ალუ-
ბლისაგან ბევრს რამეებს აკეთებდნენ: კერკად
ახმობდნენ, ჩურჩავდნენ, წნილად სდებდნენ,
მურაბებს აკეთებდნენ. ამას გარდა კიდევ...

გაევი. გაჩუმდი, ფირსო.

ფირსი. გამხმარს ალუბალს ურმობითა გზავნიდნენ ხოლ-
მე მოსკოვსა და ხარკოვში. ფულიც მოდიოდა-
იმ დროის გამხმარი ალუბალი მეტად გემრიე-
ლიც იყო, რბილი, ტკბილი, სუნნელოვანი...
ეეჭ, იმდროს კარგად იცოდნენ ალუბლის ხე-
ლობა.

ლუბა ანდ. რა უყვეს ახლა მაგ ხელობას.

ფირსი. დაივიწყეს, ქალბატონო, აღარავის ახსოვს.

პიშჩიკი. სხვაა? პარიზის ამბავი, გვიამბეთ რამე. ბაყა-
ყებს მიირთმევდით.

ლუბა ანდ. ნიანგის ხორცს გიახლებოდით.

პიშჩიკი. (გაოცებული) ნუ თუ! ! .

ლოპახინი. აქამდის სოფლებში ცხოვრობდნენ მხოლოდ
მებატონები და ყმები, ახლა-კი მოაგარაკეები-
გამოჩნდნენ. თითქმის ყველა ქალაქებს, პატა-
რებსაც-კი აგარაკები არტყია. ოცის წლის
შემდეგ ძალიანაც გამრავლდება. ეხლა ისინი
მხოლოდ ჩაისა და საღილ-ვახშამს. მიირთმევენ
სოფელში, მაგრამ მოვა ის დროც, რომ მეა-
გარაკეები მეურნეობასაც დაიწყებენ, და მაშინ
თქვენი ალუბლის ბალი უფრო გამშვენიერდება,
გამდიღრდება, გაბედნიერდება..

გაევი. (შფოთავს) რა სისულელეა! (შემოდიან ვარო და
იაშა).

ვარო. დედილო, ორი ტელეგრამაა თქვენ სახელზე
(ექვებს გასაღებს და შეაფის ქათს აღებს) აგერ!

ლუბა ანდ. პარიზიდან არის. (წაუკითხავდ ხევს) პარიზი-
დან აღარაფერი ამბის მიღება არ მინდა—პა-
რიზთან ყველაფერი საქმე გავათვე.

გაევი. იცი, ლუბა, ეს შკაფი რამდენი წლისაა? აშ ერთი
კვირის წინ ედ უჯრა გამოვსწიე და ვხედავ, ზედ
რიცხვია ამოჭრილი! ეს შკაფი თურმე სწო-
რედ ამ ასის წლის წინ ედ არის გაკეთებული!
რას იტყვი? ჰა? შეიძლება იუბილეი გავუმარ-
თოთ? თუმცა უსულო საგანია, მაგრამ, რაც
გინდა სთქვი და, წიგნების შკაფია!

პიშჩიკი. ასი წელიწადი!.. თქვენ წარმოიდგინეთ!..

გაევი დიახ, ეს ძვირფასი (ხელს უსჭამს შკაფს) ნივთია!
დიდად პატივსაცემო შკაფო, მოვესალმები
შენს ასის წლის აჩსებობას! ამ დროის
განმავლობაში პირნათლად ემსახურებოდი სი-
კეთისა და სიმართლის ნათელ იდეალს. შენი
უტყვი მოწოდება ნაყოფიერ შრომისადმი არ
შეჩერებულა ასის წლის განმავლობაში: შენ
ამხნევებდი ჩვენს შთამომავლობას, რომ იგინი
ყოფილიყვნენ ყოველის სიკეთით სრულნი და
მორწმუნენი უკეთესის მომჭვალისა. შენ ჩვენ-
ში ნერგავდი სიკეთისა და საზოგადო თვით-
ცნობიერების იდეალს. (ბაუზა).

ლოპახინი. დიახ!..

ლუბა ანდ. შენ ისევ ის ლეო ხარ!

გაევი. (ცოტა დარცხვენით) იტე შარა ჩა წრავა ხე
უგოლე! რჩჯუ სредშიო!

ლოპახინი. (საათს უუურებს) ჩემი წასვლის დროა.

იაშა. (აწადებს ლუბა ანდრეევნას პრალტფით აბებს)
ხომ არ ინებებთ?..

პიშჩიკი. აღარაფერი წამლობა აღარ გინდით, ჩემი
კარგო, მაგ წამლებისაგან არა გამოდის-რა,

არცა რგებს და არცა სწყენს. მიბოძეთ აქა.
(გამოართმევს აბების კოლეფის, დაიურის ხელის
გულზე, შეუბერავს, ერთბაშად ჩაიურის შირში და
ზედ კვასს დააუზღებს) აი, ასე უნდა.

ლუბა ანდ. (შეშინებული) გაგიჟდით!

პიშჩიკი. სულ ყველა ერთათ გადავყლაპე.

ლოპახინი. სვავია, სწორედ, სვავი! (უველა იცინის).

ფირხი. ეგ ბატონი აღდგომის შემდეგ ჩვენთან ბძანდე-
ბოდა და ნახევარ ჩანახი კიტრი ერთბაშად
შეჭამა. (ბუტბუტებს გაუგებრად).

ლუბა ანდ. რაო, რას, ამბობს?

ვარო. სამი წელიწადია, აგრე ბუტბუტებს. ჩვენ შევე-
ჩვიეთ კიდევ.

იაშა. ეგ სიბერემ იცის. (შემთდის შარლოტა თეთრის
კაბით. ძალიან გამხდარია და ძალიან ვიწროდ შე-
პერილი აქვს კაბა. ლორნუტი წელზე ჭკიდია).

ლოპახინი. უკაცრაკად, შარლოტა ივანოვნა, წელან სა-
ლამის მოცემა ვერ მოვასწარ (წელზე კოცნას
უშიობის).

შარლოტა. (წელს გამოსტაცებს) ეხლა რომ ხელზე კოცნის
ნება მოგცე, მერე კლავზე მოძინდომებ კოცნას,
შემდეგ მხარზე და...

ლოპახინი. დღეს ცუდ ფეხზე ავმდგარვარ. (უველანი იცი-
ნან) შარლოტა ივანოვნა, აბა რამე ფოკუსი
გვაჩვენეთ.

შარლოტა. ქეიფზე არა ვარ, მეძინება (გადის).

ლოპახინი. მშვიდობით ბძანდებოდეთ. (ლუბა ანდ. წელზე
ჭკიცნის) სამ კვირას უკან ვნახამთ. ახლა-კი
დროა. (გაეგს) ნახვამდის. (ზიშჩიკს ჭკიცნის)

ნახვამდის. (ხელს ართმევს ვართს, შემდეგ ფირსეს
და იაშს) მენანება, რომ გშორდებით. (ლუბა
ანდრეეგნას) თუ მოიფიქრებთ აგარაკების შე-
სახებ და რამეს გადასწყვეტთ, შემატყობინეთ
და სესხით გინდ ხუთი-ათასობით გიშოვით,
კარგად მოიფიქრეთ.

ვარო. (გაჯავრებით) კარგი, წალით, და!

ლოპახინი. მივდივარ, მივდივარ... (გადის).

გავეგი. გაუთლელი, ხეპრე, მაგრამ უკაცრავად... ეგ ხომ
ჟაროს საქმროა.

ვარო. ძია, ნუ იცით ეგ უალაგო ლაპარაკი.

ლუბა ანდ. რატომ, ვარო, ძალიან მესიამოვნება, თუ
ლოპახინს შეირთავ, კარგი კაცია.

პიშჩიკი. უნდა გამოგიტყდეთ, რომ... ყოვლად პატიოსა-
ნია. ჩემი ღაშაც... ისიც ამბობს, რომ... რაღაებ-
საც ამბობს... (ხერინავს. შალე ფხიზჭდება) ეგ
იქით იყოს და, ჩემო ძვირფასო, მომეცით...
მასესხეთ ორას ორმოცა მანათი... ხვალ გი-
რავნობის სარგებელი უნდა შევიტანო.

ვარო. არა გვაქვს, არა!

ლუბა ანდ. მართლაც, არაფერი არა მაქვს.

პიშჩიკი. მოვახერხორთ.. (ხიცილით) მე კიდევ იმედი
მაქვს. ყოველთვის ასე მემართებოდა ხოლმე.
რომ ვთიქრობდი, ეს არის ყველა იმედი და-
კარგულია და ვიღუპები-მეთქი, ჩემს მამულში
რკინის გზა გაიყვანეს... და ფულები მომცეს.
დღეს ან ხვალ შეიძლება კიდევ რამე მოხდეს...
შეიძლება ჩემმა ღაშამ ორასი ათასი მოიგოს,
ბილეთი აქვს.

ლუბა ანდ. ყავას მოვრჩით. ახლა შეიძლება დავიძინოთ? ფირსი, (ჩოთქით უწმენდავს გაეგნ ტანისამოსის და თან არი-

გებს) თქვენ კიდევ ის შარვალი არ ჩაგიცვამთ! რა უნდა გიყოთ კაცმა, ლმერთმანი!

ვარო. (ჩურჩულით) ანნას სძინავს. ფრთხილად აღებს ფან-
ჯარას) მზე კიდევ ამოვიდა. აღარცა ცივა. დედილო, ერთი შეხედეთ, რა მშვენიერი სა-
ნახავია ხეები! ლმერთო ჩემო! რა ჰაერია! შო-
შიებიც გალობენ.

გაევი. (აღებს მეორე ფანჯარას) მთელი ბალი გადათეთ-
რებულია. გახსოვს, ლუბა, ეს გრძელი ხეი-
ვანი? რა სწორეა, საბელივით კი გაჭიმულა! ხომ არ დაგავიწყდა, მთვარიან ლამეში როგორ
კაშკაშებს ხოლმე?

ლუბა ანდ. (ფანჯრიდან გაჭეურებს ბაღს) ოხ, ჩემო უმან-
კოებავ, ჩემო სიყმაწვილევ! ამ ოთახში მეძინა-
ხოლმე. ყოველ დღე რა ბედნიერად ვიღვი-
ძებდი. აქედან გავყურებდი ჩემს საყვარელს-
ბაღს, მაშინაც ამისთანა იყო, არაფერი ცვლი-
ლება არა მომხდარა-რა. (სიამოგნებით იცინის) მთლად, მთლად თეთრად გადაპენტილა! ოხ,
ჩემო ბალო! მოღუშულ შემოღვომისა და ცივ
ზამთრის შემდეგ, შენ ისევ ისე ნორჩი და მო-
ლიმარი ხარ. კეთილი ანგელოზები არ გაშო-
რებენ თავიანთ მოწყალე კალთას... ოხ, რომ
შეიძლებოდეს იმ მძიმე მწუხარების მოშორე-
ბა, რომელიც ისე ლოდივით მაწევს გულზე...
რომ შემეძლოს ჩემი წარსულის დავიწყება.

გაევი. ეს ბალიც უნდა ვალში გაიყიდოს! უსამართლო—
ბა არ არის!

ლუბა ანდ. შეხედეთ, განსვენებული დედაქემი ბალიდან
მოუის... თეთრი კაბა აცვია! (შხიარულის სა-
ხით) ის არის, ის!

გაევი. საღ არის?

ვარო. ღმერთო ჩემო! რა დაგემართათ, დეჭავ?

ლუბა ანდ. არავინაც არ არის, მომეჩვენა. მარჯვნივ,
ფანჩატურის გვერდით, მოსახვევთან თეთრად
აყვავებული ხეა, ისე ინძრეოდა, რომ ნამდვი-
ლად ქალს ჰგავდა. (შემთდის ტროფიმოვის სტუ-
დენტის გახუნებულ ტანისმოსით). გასაოცარი
ბალია! თეთრი ყვავილების ზღვა .., ფირუზის
ფერი ცა...

ტროფიმოვი. ლუბა ანდრეევნა! (ლუბა შენიშნავს ტრო-
ფიმოვს) მე მხოლოდ სალამს მოგცემთ და მა-
შინვე წავალ. (სეღზე ჭკოცნის) მიბრძანეს, რომ
დილამდის არ გჩვენებოდით, მაგრამ ვერ მო-
ვითმინე!.. (ლუბა ანდრეევნა გაშტერებით შეს-
ცერის).

ვარო. (თვალ-ცრუემლიანი) ეს, დედა, პეტრე ტროფიმოვია—
ტროფიმოვი. თქვენი გრიშას მასწავლებელი... განა ისე
გამოვიცვალე?.. (ლუბა ანდრეევნა თან ეხვევს და
თან ტირის).

გაევი. (დარცხვენით) კმარა, კმარა, ლუბა!

ვარო. (ტირის) ხომ გითხარით, პეტრე, ხვალემდის მო-
იცადეთ-მეთქი.

ლუბა ანდ. ჩემო გრიშა...ჩემო ბიჭიკო...ჩემო შვილო..

ვარო. რა გაეწყობა, დედილო, ნება ლვთისა ასრულდა.

ტროფიმოვი. (თვალცრუმლიანი, ალექსით) კმარა, გეყო-
ფათ...

ლუბა ანდ. (ჩუმად ქვითინებს) დაიღუპა ბავშვი, და-
ირჩო... რათა, რისთვის, რისთვის, ჩემო კარგო!
(ჩუმად) ანნას სძინავს და მე კი ასე ხმა-მაღლა
ვლაპარაკობ!.. ვხმაურობ...სხვა, პეტრე? რა-
ნაირად წამხდარხარ, დაბერებულხარ!

ტროფიმოვი. ვაგონში ერთმა დედაკაცმა გაქუცული
ბატონი დამარქვა.

ლუბა ანდ. მაშინ სულ ბავშვი იყავი, საყვარელი სტუ-
დენტი. ახლა თმა გაგთხელებია!.. ეს სათვა-
ლეები... განა ისევ სტუდენტი ხარ? (შიდის
კარებისაკენ)

ტროფიმოვი. მგონია, თავის დღეში სტუდენტადაც დავრ-
ჩები.

ლუბა ანდ. (ჭქოცნის ჯერ ქმას, მერე გარდას) წალით, და-
იძინეთ... ჩემო ლეონიდ, შენც დამიბერდი.

პიშჩიკი. (შისძეებს უბან) იძინებთ... ოხ, ქარები, ქარები!
გამიჭირა საქმე. მე აქ დავრჩები თქვენთან...
ლუბა ანდრევნა, ჩემო სულო, ხვალისათვის
ორას ორმოცი მანათი...

გაევი. ეს ისევ თავისას გაიძახის!

პიშჩიკი. ორას ორმოცი მანათი .. ზაკლადნოის სარგე-
ბელი უნდა შევიტანო.

ლუბა ანდ. ფული სრულებით არა მაქვს, ჩემო კარგო.

პიშჩიკი. ჩემო სიცოცხლევ, ისევ მალე მოგართმევ... რა
დიდი რამ არის.

ლუბა ანდ. კარგი, ლეონიდი მოგცემს... მიეცი ლეონიდ...

გაევი. მივართმევ, როგორ არა! ჯიბის პირი გაიხსნას.

ლუბა ანდ. რა გაეწყობა, მიეცი... ისევ მალე მოგცემს.

(ლუბა ანდრევნა, ტრაფიმოვი და პიშჩიკი გადიან).

გაეცი. ჩემი და კიდევ არ გადაჩვეულა ფულების ფანტ-
ვას. (იაშას) მოგვჟორდი, თუ დმერთი გწამს, რა
ქათამივით დაფრატუნობ.

იაშა. (დიმილით) არ გამოცვლილხართ, ლეონიდ ანდრეიჩ!

გაეცი. რაო? (გართს) რა სთქვა?

ვართ. (იაშას) სოფლიდან დედაშენი ჩამოვიდა, გუშინ-
დელს აქეთია, სამზარეულოში ზის, შენი ნა-
ხვა უნდა.

იაშა. სწორეთ იმისი ჯავრი მაქვს.

ვართ. რა უსვინიდისო ხარ!

იაშა. ძალიან საჭიროა. განა ხვალ ვერ მივიდოდა.
(გადის).

ვართ. მართლა ისევ ის არის, დედა, სრულიად არ გა-
მოცვლილა! რომ შეეძლოს, რაც რამ ხელში
მოხვდება, სულ აქეთ-იქით დაარიგებს.

გაეცი. დიახ... (პაუზა) როდესაც რომელისამე სენის მო-
სარჩენად ავათმყოფს სხვადასხვა წამლის მიღე-
ბას ურჩევენ, ეს იმას ნიშნავს რომ სენი უკურ-
ნებელია. ბევრსა ვთიქრობ, თავს ვიტებ, ბევ-
რი ღონისძიება მაქვს, ძალიან ბევრიც, მაგრამ
გამოტის, რომ არც ერთიც არა მქონია...
კარგი იქნება, რომ ვისგანმე მემკვიდრეობა
დამრჩეს. კარგი იქნება, რომ ანნამ მდიდარი
კაცი შეირთოს, კარგი იქნება, რომ იაროსლავ-
ში წავიდე და მამიდა გრაფინიას გამოვცინუ-
ლო რამე... მამიდა ხომ ძალიან მდიდარია.

ვართ. (ტირილით) თუ ღმერთი შეგვეწია.

გაევი. ნუ სტირი... მამიდა ჩემი ძალიან მდიდარია, მა-
გრამ ჩვენ იმას არაფრად მივაჩნივართ. ამის
მიზეზი პერველი ის არის, რომ ჩემმა დამ შე-
ირთო ვექილი, რომელიც კეთილშობილის
ჩამომავლობისა არ იყო. (ანსა გამოჩინდება გა-
რებში) კეთილშობილი არ იყო. ამას გარდა,
კაცმა მართალი უნდა თქვას, ლუბას ვერც
ეჭირა თავი კარგათ. კარგი რამ არის, კეთი-
ლი, მე ძალიან მიყვარს ჩემი დახ, მაგრამ, უნ-
და გამოვტყდე, რომ, რაც უნდა ვეცადო,
მაინც სახელს ვერ გავუწმენდ, ის შემცირდეა.
ეს ერთი შეხედვითვე ეტყობა.

გარო. (ჩურჩულით) ანნა კარებში სდგას.

გაევი. რაო? (ჰაუზა) საკვირველია, მარჯვენა თვალში
რაღაც ჩამივარდა... გლახად ვხედავ. ოთხშა-
ბათს საშსახურში რომ ვიყივი... (შემოდის ანსა).

გარო. ანნა, რატომ არ გძინავს?

ანნა. ბევრს ვეცადე, მაგრამ არ დამეძინა.

გაევი. ჩემო პატარავ. (ჭკოცნას ანსას ხელსა და ჰითზე)
ჩემო შვილო!.. (თვალფრემლიანი) შენ დისწუ-
ლი კი არა ხარ ჩემი, ანგელოზი ხარ. შენ
ჩემთვის ყველაფერი ხარ. ამაზე დარწმუნებუ-
ლი იყავ.

ანნა. დარწმუნებული ვარ, ძია. შენც ყველას უყვარხარ,
ყველა პატივსა გცემს. მაგრამ, ჩემო საყვარე-
ლო ძია, რომ გაჩუმებული იყო ხოლმე, ის
უმჯობესი იქნება. რას ლაპარაკობდი ამ წამში
დედაჩემზე, შენს დაზე? რა საჭირო აყო იმისი
თქმა.

გაევი. დიახ, დიახ... (ანნას სელექტე სახეზე მიაფარებს)

მართლა რომ საშინელებაა! ღმერთო ჩემო,
შენ დაშიფარე! დღეს შკაფსაც კი ქება-დი-
დება შევასხი!.. რა მივქარე!.. როდესაც გავ-
ჩუმდი, მაშინ ვიგრძენ, რომ სისულელე მო-
მივიდა!

ვარო. მართლა, ძია, უნდა ჩუმად იყო ხოლმე, ნულა-
რას ილაპარაკებთ და ის უკეთესი იქნება.

ანნა. შენთვის კარგია, — თუ ჩუმად იქნები, უფრო დამშვი-
დებით იცხოვრებ.

გაევი. ჩუმად ვიქნები. (ანნას და გარას სელზე ჭკოცნის) ჩუმად ვიქნები. მხოლოდ საქმეზე ვილაპარაკებ. ოთხშაბათს სასამართლოში ვიყავი. შემოვიდ-
ნენ ვიღაც-ვიღაცები. ჩამოვარდა ლაპარაკი
აქეთურზე-იქეთურზე და, მგონია, მოვახერხებ
ვექსილით ფულის შოვნას, რომ ბანკში სარ-
გებელი შევიტანო.

ვარო. თუ ღმერთმა ქმნა და მოხერხდა.

გაევი. სამშაბათს წავალ და კიდევ მოველაპარაკები. (გარას) შენ ნუ სტირი (ანნას) დედაშენი ლო-
პახინს. მოელაპარაკება, იმედია, უარს არ ეტ-
ყვის... შენ კი ჯერ ცოტა შეისვენე და
იარასლავში წადი პაპილა შენ გრაფინიასთან.
ასე, ჩემო კარგო, დავტრიალდეთ სამივე და,
იმედია საქმეს გავაკეთებთ, დარწმუნებულივარ,
სარგებელს შევიტან... (იდებს ჰირში შაქრის-
ებინულს) გეფიცებით ჩემს პატიოსნებას, რომ
მამული არ გაგვეყიდება, (აღტაცებით) გეფიცე-
ბით ჩემს ბედს. აი ჩემი ხელი, თუ მე იქამდის

შივიყვანო საქმე, რომ საჯარო ვაჭრობით ჩვენი მამული გაიყიდოს, მაშინ, რაც გინდათ, ის-დამიძახეთ, წამხდარი, გაფუჭებული, უსვინდისო.

ანნა. (დამშვიდდება და დიმილით) რა კარგი რამ ხარ, შიავ, რა ჰკვიანი! (ეხვევა) მე ეხლა დამშვიდებული ვარ, ბეღნიერი. (შემოდის ფირსი).

ფირსი. (საუგედურით) ლეონიდ ანდრეიჩ! ლმერთი არა გწამთ, როდის-ლა უნდა გამოიძინო?

გაევი. ეხლავე, ეხლავე, შენ წადი, ფირს. რაც გახდეს, — გახდეს. მე თითონ გავიხდი. აბა, შვილებო, ნანაი... დანარჩენი ხვალ, ახლა კი დაიძინეთ. (ჭკოცნის ანნას და ფარს) მე ოთხმოციანი წლების ადამიანი ვარ... თუმცა იმ დროის ხალხს მიმართულებას არ უქებენ, მაგრამ, მართალი უნდა ვსთქვა, ბევრი უსიამოვნება შემხვედრია. ჩემი მიმართულების წყალობით. ტყულად კი არ ვუყვარვარ გლეხობას. გლეხ კაცს უნდა იცნობდე კარგად, უნდა იცნობდე როგორის...

ანნა. კიდევ დაიწყე, ძიავ?

ვართ. ჩუმად იყავი, ძიავ!

ფირსი. ლეონიდ ანდრეიჩ!

გაევი. მივდივარ, მივდივარ... დაწექით. **Отъ дверях борточъ (გადის. ფირსი უკან მისდევს).**

ანნა. სრულიად გულ-დამშვილებული ვარ. იაროსლავში წასვლა ახლა არაფრად მიამება, სწორე გითხრა, არც მამიდა გრაფინიას ნახვა შეჭაშნიკება რათმე, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ, დამ-

შვიდებული. რა მაღლოაელი ვარ ბიძაჩემისა!
(ჯდება).

ვარო. ძილის ღროა, ახლა კი წაგალ. რა საძაგლობა
იყო აქაურობა უშენოთ. ძველ დარბაზში, ხომ
იცი, ბებერი მოსამსახურეები სცხოვრობენ:
ექვთიშე, პოლია, ესტატე და კარპე. ესენი
ისე გათამამდნენ, რომ ყველა მაწანწალას
სახლში იწვენდნენ. მე გაჩუმებული ვიყავი,
არას ვამბობდი. ერთიც ვნახოთ, ხმა გავარდა,
ვითომც მე მებრძანებინოს, რომ იმათ ცალიე-
რა ცერცვის მეტს ნურას აჭმევთო. გესმის,
ვითომ ეს სიძუნწით მომდიოდეს. თურმე ვინ
ავრცელებს ამ ხმებს, იცი? ბებერი ესტატე-
მაშ კარგი-მეთქი, თუ აგრეა, დამაცადეთ, რას
გიზამთ-მეთქი!.. დავიბარე ესტატე... (ამოქნა-
რებს) მობრძანდა... ესტატე, ვეკითხები, რად
გითქვამს შენ ესა და ეს, შე სულელო-მეთქი-
(შეხედავს ანნას) ანეტა!.. (შაუზა) დაუძინია!...
(ხელსა ჭედებს) წამოდი, ლოგინში დაწექი,
ჩემო სულიკო. (მიჰყევს) ჩემმა მტრედმა დაი-
ძინა... წამოდი, გენაცვალე (მიდიან. შორიდან
მთისმის საფამურის ხმა. ტროფიმჭვი გამოიგ-
ლის სცენაზე და, რომ დაინახავს მიმავალს ქა-
ლებს, შეჩერდება).

ვარო. სსსუ... სძინავს... წამოდი, ჩემო კარგო.

ანნა. (ბურანშია, ნელა დაპარაგობს) ძალიან დავიდალე...
ყველა ზარები... საყვარელო... ძია... დედა...
ძია...

ვარო. წამოდი, ჩემო დაიკო, წამოდი... (გადიან ანნას
ოთახში).

ტროფიმოვი. (აღელვებული) ჩემო მზევ! ჩემო გაზაფხულო!

(ვ ა რ დ ა)

მოქმედება მურჩე

(სცენა წარმოადგენს მინდორს. შუაზე მოჩანს ძველი, ვაგვერ-დელავებული სამლოცველო. მის გვერდით ჭა. აქა-ის დაძველებული საფლავის ქვები ჰყრია. სამლოცველოს ახლოს სდგას სკამი. მოჩანს გაევის სახლისკენ მიმავალი გზა. ერთ მხარეს მაღალი წიფლის ხეებია ჩამწკრივებული. იქვე იწყება ალუბლის ბალი. სჩანს ტელეგრაფის ბოძებიც. შორს ბუნდათ მოჩანს ქალაქი, რომელსაც მხოლოდ კარგ დარში გაარჩევს კაცი. მზე ჩასასვლელს არის. შარლოტა, იაშა და დუნიაშა სკამზე სხედან. ეპიხოდოვი მათ ახლოს სდგას და გიტარას უკრავს. ყველა დაფიქრებულია. შარლოტას ძველი შლიაპა ხურავს. მხრიდან თოფი ჩამოუხსნია და თასმებს უსწორებს).

შარლოტა. (ფაფიქრებული) რიგიანი ბაშტორთი არა მაქვს. არ ვიცი, რამდენი წლისა ვარ. ჩემი თავი ძალიან ყმაწვილი მგონია. როდესაც პატარა ვიყავი, მახსოვს, ჩემი დედ-მამა ბაზრობაზე დადიოდნენ და წარმოდგენებს მართავდნენ, ძალიან კარგადაც არდგენდნენ. მეც დავხტოდი, გადავდიოდი ყირამალა და ათასნაირ ეშმაკობას ჩავდიოდი. როდესაც დედ-მამა დამეხოცა, ერთზა ნემეცის ქალმა ამიუვანა და სწავლება დამიწყო. გამოვიზარდე და ოჯახებში მასწავლებლობა დავიწყე. საიდანა ვარ და ვინავარ, არაფერი არა ვიცი-რა... ან ჩემი დედ-მამა ვინ იყო, იქნიბა, ჯვარ დაუწერლებიც იყვნენ, ვინ იცის! (ამოიღებს ჯიბიდან კიტოს და სჭამს). (პა-

უზა) ძალიან მინდა ვისმე ველაპარაკო, მაგრამ რომ არავინ არის... არავინ გამაჩნია...

ეპიხოდოვი. (უკრავს გიტარას და მდერის) „რა მაქვს ხალხთან საერთო, ან რად მინდა მეგობარი და მტერი“... რა სასიამოვნოა მანდოლინაზე დაკვრა.

დუნიაშა. ეგ მანდოლინა კი არა, გიტარა. (იუურება სარ-კეში და შედრს იურის).

ეპიხოდოვი. ვინც სიყვარულისათვის გიუდება, ეს იმისა თვის მანდოლინაა. (მდერის) „საყვარლის თანა-გრძნობით თუ გული მაქვს გამთბარი“ (იაშა ბანს აძლევს).

შარლოტა. რა საძაგლად მღერიან!.. ფური, ნამდვილი ტურების ჭყავილია.

დუნიაშა. მაინც დიდი ბედნიერებაა საზღვარ-გარედ მო-გზაურობა.

იაშა. ოღონდაც, მაგაზე არ შეიძლება არ დაგეთანხმო. (ჯერ დამთქნარებს და მერე სიგრას დაუწეუბს წევას).

ეპიხოდოვი. რა თქმა უნდა, მართალს ამბობთ. საზღვარ-გარედ, დიდი ხანია, ცხოვრება უნაკლულოდაა მოწყობილი.

იაშა. ჭეშმარიტს ბრძანებთ.

ეპიხოდოვი. მე გონება გახსნილი კაცი ვარ, სხვადასხვა შესანიშნავ წიგნებს ვკითხულობ, მაგრამ ჯერ ვერ გამიგია, რა მინდა, რა მწადიან! ვიცოცხლო თუ თავი მოვიკლა. მაგრამ რევოლვერი კი მუღამ თან დამაქვს. არ, სადა მაქვს შენა-ხული (აჩვენებს რევოლვერს).

შარლოტა. გავათავე. ახლა-კი წავალ. (თავს გადიკიდებს). ეპიხოდოვო, შენ ძალიან ჰქვიანი კაცი ხარ და ძალიან საშიშარიც. ქალებს გაგიუებით უნდა უყვარდე... შრრრ! (მიდის) ჰქვიანი ხალხი სულ ასე სულელები არიან. ერთი აღამიანი არ არის, რომ ველაპარაკო... სულ მარტო ვარ, მარტო, არავინ არა მყავს. და ვინა ვარ, რათა ვარ გაჩენილი... ეს სწორედ არ ვიცი. (ნელნელა გადის).

ეპიხოდოვი. სწორედ რომ ვსთქვა, სხვა საგნებს არას შევეხო, მხოლოდ ჩემს თავზე რომ მოგახსენოთ, სხვათა შორის, ვიტყვი, რომ ბედი მე ისე შეუბრალებლად მექცევა, როგორც გრიგალი პატარა გემს. თუ რომ, ვსთქვათ, ამაში შემცდარი ვარ, მაში ის რაღა იყო, რომ დილით გავიღვიძე და, ვნახოთ, ჩემს გულზე დიღი ბაბა ჭია დაცოცავს;.. აი, ამოდენა. (აჩვენებს ორი ვე ჩელით) ან კიდევ ვიღებ ჭიქით კვასს, რომ დავლიო, და, ვნახოთ, შიგ რაღაც, უკაცრაული პასუხია, უწმინდურება გდია, მაგალითად, აბანოს დიღი ჭია. (ჰაუზა) ბოკლი წაგიკითხავთ? (ჰაუზა) ავდოტია თეოდოროვნა, თქვენთან ორიოდე სიტყვა მაქვს სათქმელი.

დუნიაშა. ბრძანეთ.

ეპიხოდოვი. მე მსურს თქვენთან მარტოდ... (ახრავს).

დუნიაშა. (დარცხევენით) კარგი... მხოლოდ ჯერ ჩემი წამოსასხამი მომიტანეთ... შკაპის გვერდით ჰკიდია... ახლა ცოტა სინოტიოა.

ეპიხოდოვი. კარგი... მოგიტან... ახლა კი ვიცი, რის-

თვისაც მოვიხმარო ჩემი რევოლუცი... (აღებს
გორგანს, თან მიდის და თან უკრავს).

იაშა. ეს ოცდაორი უბედურება, ჩვენში კი დარჩეს
და...წაისულელებს...

დუნიაშა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ თავი მოიკლას (პაუზა)
მეტად მშიშარა გავხდი, ყველაფერი მაშინებს.
ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, რომ ბატონებთან
წამომიყვანეს. ახლა გლეხის ცხოვრებას სრუ-
ლიად გადავეჩიყ, ხელები ისე გამითეთრდა,
როგორც ქალბატონს. სხვანაირი გავხდი: ნა-
ზი, ზრდილობიანი, კეთილშობილური, ყვე-
ლაფერისა მეშინიან... შიშის ზარი მეცემა. და-
თუ, იაშა, თქვენ მომატყუეთ, არ ვიცი, მაშინ
ჩემს ძარღვებს რა დაემართებათ.

იაშა. ჩემო კიტრუნა! რასაკვირველია, ყველა ქალი თა-
ვის თავს უნდა უფთხილდებოდეს. მე ყველა-
ფერზე ძრიელ ის მეჯავრება, თუ ქალი ცუდ
ყოფა-ქცევისა არის.

დუნიაშა. მე გაგიჟებით შემიყვარდით, იაშა, თქვენ გა-
ნათლებული ხართ. ყველაფერზე ლაპარაკი შე-
გიძლიანთ... (პაუზა).

იაშა. (ამთქნარებს) დიახ... ჩემის აზრით, თუ ქალმა სხვა
შეიყვარა, გარყვნილია. (პაუზა) სასიამოვნოა
წმინდა პაერზე სიგარის წევა (უურს უგდებს)
ბატონები... მოდიან... (დუნიაშა უცებ მოეხვევ-
გა იაშას) წადით სახლში, უთხარით საბანაოდ
ვიყავითქო. იქითა გზით წადით, თორემ შეგხვ-
დებათ ვინმე და ჩემზე იფიქრებენ, ვითომ და-
ბარებული მყავდით. ეს მე საშინლად მე-
ჯავრება.

ლუნიაშა. სიგარამ თავი ამატკია. (გადის. იაშა ზის. შე-
მოდიან დუბა ანდ., გაუვი და დობახინი)

ლოპახინი. უნდა რამე გადასწყვიტოთ, დაგვიანება არ
შეიძლება.. სულ უბრალო საქმეა, თანახმა
ხართ აგარაკებად დაჰყოთ თქვენი მამული თუ
არა? მხოლოდ ერთი სიტყვა უნდა სთქვათ.

ლუბა ანდ. ნეტა ვიცოდე, ამ საძაგელ სიგარას ვინა სწევს?
(კადება).

გაეგი. გაიყვანეს რკინის გზა და ყველაფერი გააღვილ-
და, წავედით ქალაქში და ვისაუზმეთ... ჯე-
თაგი ვъ середину! მოღი ჯერ სახლში შევალ
და ერთ პირს ვითამაშებ.

ლუბა ანდ. კედევ მოასწრებ, ნუ გეშინიან.

ლოპახინი. მხოლოდ ერთის სიტყვით (ზვეჭნით) მიპა-
სუხეთ.

გაეგი. (ამთქნარებს) რაო?

ლუბა ანდ. (შინჭავს ფულის ქისას) გუშინ იმდენი ფუ-
ლი მქონდა და დღეს კი სულ ცოტა-ლა დამრ-
ჩა: საცოდავი ჩემი ვარო, ისე უფრთხილდება
ყველაფერს, რომ კერძოობას მარტო ცალიე-
რი რძის ფაფითა ჰკვებავს. ბებრებს ხომ ცერ-
ცვის შეჭამადის მეტს არას აძლევს და მე-კი
რა სულელურად ვფლანგავ ფულებს! (გააგდებს
ხელიდან ქისას და ფული დაეჭნევა) ოკ, დაიპნა!
(გული მოსდის).

იაშა. მოითმინეთ, ახლავე ავკრებავთ (ჰერებს ფულებს).

ლუბა ანდ. გეთაყვა, იაშა, აჰრიბე... რა საჭირო ბყო,
სასტუმროში რომ ვისაუზმეთ... საძაგლობაა
აქაური სასტუმროები, მუსიკით. სუფრებს ხომ

სულ საპნის სუნი უდიოდათ „რა არის, ლეონიდ, შენგან იმოდენა სმა და ჭამა? ან იმდენს რათ ლაპარაკობ? დღეს სასტუმროში სულ შენ ლაპარაკობდი, ამასთან რა უსაფნოთ მოჰყევი: მესამოცე წლებით, დეკადენტობაო. მერე რათ? ვისთვის? რა საჭირო იყო სასტუმროს ბიჭებთან დეკადენტობაზე ლაპარაკი?

ლოპახინი. დიახ!

გაევი. (ხელებს ძირს დაიქნევს) ეჭ, ცხადია, ეხლა ჩემი გამოცვლა ყოვლად შეუძლებელია (აშში, გუდ-შოსული) რა არის, რომ მოდამ თვალწინ გვეჩირები?

იაშა. თქვენი ხმა რომ მესმის სიცილს ძლივს ვიკავებ:

გაევი. (დას) ან მე უნდა ვიყო ამ სახლში, ან ეს!

ლუბა ანდ. იაშა, წადით, წადით ეხლავე.

იაშა. (აძლევს ლუბა ანდ.. ფულის ქისას) ეხლავე წავალ. (სიცილს ძლივს იკავებს) მივდივარ... (გადის).

ლოპატინი. მდიდარი ვაჭრი დერიგანოვი აპირობს თქვენი მამულის ყიდვას. საჯარო ვაჭრობის დროს თურმე თითონ აპირობს ჩამოსვლას.

ლუბა ანდ. ეგ თქვენ ვისგან გაიგეთ?

ლოპახინი. ქალაქში ლაპარაკობდნენ:

გაევი. მამიდა გვპირდება, იაროსლავიდან გამოგიგზავნით, მაგრამ არ ვიცით, რამდენს ან და როდისთვის გამოგვიგზავნის.

ლოპახინი. რამდენს გამოგიგზავნით? ასი ათასს? არაა ათასს?

ლუბა ანდ. იმისიც დიდი მაღლობელი ვიქნებით, თუ თხუტმეტ ათასს გამოგვიგზავნის.

ლოპახინი. უკაცრავად კი ვარ, ბატონებო, და ისეთს
მოუფიქრებელს, ისეთს საქმის უცოდინარს და
უცნაურს ხალხს; როგორც თქვენა ხართ, ჯერ
არ შევხვედრივარ! გეუბნებიან — მამული გე-
ყიდებათო, და თქვენ კი, თითქო არ გესმოდეთ,
ყურს არ უგდებთ!

ლუბა ანდ. რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, გვასწავლეთ.

ლოპახინი. ბარემ ყოველ დღე გასწავლით, ყოველ დღე
ერთსა და იმავეს. გელაპარაკებით, ალუბლის
ბალი და მიწები დაჰყავით, იჯარით გაეცით,
რომ ზედ სააგარაკო სახლები გაკეთდეს-მეთქი.
გაეცით ეხლავე, საჩქაროდ, რადგან თქვენის
მამულის საჯარო ვაჭრობა მოახლოვებულია,
გესმით, მრახლოვებულია... თუ გადასწყვეტო,
რასმე და მალე გამოაცხადებთ, რომ თქვენს
მამულს დაჰყოფთ და სააგარაკოებათ გასცემთ,
მაშინვე, რამდენსაც გინდათ, ფულს იშოვით და
მამულს შეინარჩუნებთ.

ლუბა ანდ. აგარაკები და მოაგარაკენი!.. უკაცრავად
და ეს მეტის-მეტი უგვანობაა... .

გაევი. მეც მავ აზრისა ვარ.

ლოპახინი. ლმერთმანი ან ტირილს დავიწყებ, ან ყვი-
რილს და ან გული შემიწუხდება! ამაზე მეტი
ალარ შემიძლიან, სწორეთ ჯვარს მაცვით!..
(გაევი) ქალაჩუნავ!

გაევი. რაო?

ლოპახინი. ქალაჩუნავ! (წასელას აშირობს).

ლუბა ანდ. (შეშიბებული) არა! არა. ნუ წახვალთ. გე-
თაყვა, მოიცადეთ. იქნება, რამე მოვიფიქროთ.

ლოპახინი. რაღაა აქ მოსაფიქრებელი?

ლუბა ანდ. გთხოვთ, ნუ წახვალთ. თქვენ რომ აქა ხართ
უფრო მხიარულობაა... (პაუზა) თითქო რაღა-
საც ველი, თითქო სახლი თავზე უნდა დამექ-
ცესო.

გაევი. (ღრმად ჩაფიქრებული) დუპლეტ ვЪ уголь, круазе
вЪ середину.

ლუბა ანდ. ძალიან ბევრის შემცოდე ვართ.

ლოპახინი. თქვენ რა შეცოდება გექნებათ...

გაევი. (იდებს პირში შაქრის ყინულს) ამბობენ, ვითომც
მთელი ჩემი საცხოვრებელი ტკბილეულობაში
გამეფლანგოს! (იცინის).

ლუბა ანდ. ოხ, ჩემნი შეცოდებანი... მთელს ჩემს სი-
ცოცხლეში ფულებს გიუსავით ვფლანგავდი-
გავყევი ცოლად ისეთს კაცს, რომელსაც ვა-
ლების მეტი არა შემოჰქონდა-რა სახლში და-
რომელსაც შამპანიურმა მოულო ბოლო. სა-
შინლად, ლოთობდა საცოდავი. ჩემდა საუბე-
დუროდ, შემდეგ სხვა კაცი შემიყვარდა. და-
ვიწყე მასთან ცხოვრება. სწორედ ამ დროს
მომევლინა საშინელი სასჯელი, პირველი მე-
ხი, რომელიც ზედ თავზე დამეცა. აი, აქ, ამ
წყალში... დაიხრჩო ჩემი ბიჭიკო, ჩემი შვილი.
ამ ამბის შემთევე მაშინვე წავედი საზღვარ-გა-
რედ, სამუდამოდ, რომ აღარ დავბრუნებული-
ყავ აქ, აღარ დამენახა ეს წყალი... თვალ-და-
ხუშული მივდიოდი, მე თითონ არ ვიცოდი—
სად! ისიც უკან დამედევნა... შეუბრალებლად,
მხეცურად!.. ვიყიდე სააგარაკო სახლი ბენ-
ტონთან ახლოს... ის ძალიან ავად გახდა. სამი

წელიწადი დღე და ღამე დაუსვენებელს ჭანჯვა-
ში გავატარე. ავალმყოფში ჯვარს მაცვა, გუ-
ლი გამიშრო. შარშან, როდესაც სახლი ვალ-
ში გამიყიდეს და პარიზში წავედი—იქ იმან
გამჭურდა, მომპარა ყველაფერი და სხვა ქალ-
თან დაიწყო ცხოვრება. მე მინდოდა თავი
მომეწამლა... რა სისულელეა!.. უცებ გულმა
აქედ გამოიწია, ჩემს სამშობლოში, ჩემს ქალ-
თან... (ცრემლებს იწმენდს) ღმერთო მაცხო-
ვარო, შემიბრალე, მაპატიე ჩემი შეცოდებანი!
მეტად ნულარ დამსჯი! (ამჟიდებს ჯიბიდან დე-
პეშას) დღეს მივიღე პარიზიდან.., მთხოვს, მე-
ვედრება, ვაპატიო და ისევ მასთან დავბრუნ-
დე. (ხეგს დეპეშას) თითქო მუსიკის ხმა ისმის.
(უკრს უგდებს).

გაევი. ეს ჩვენი მემუსიკე ურიების გუნდია. გახსოვს—
სკრიპტა, ფლეიტა და კონტრაბასი.

ლუბა ანდ. განა ისევ აქ არიან? ერთხელ, როგორმე
სალამო გავმართოთ და მოვიწვიოთ.

ლოპახინი. (უკრს უგდებს) ალარ ისმის... (ღიღინებს) ფუ-
ლი თუ გაქვს, ნემეცები უცებ გაგაფრანცუ-
ზებენ! (იცინის). რანაირ პიესას არდგენდნენ
წუხელის თეატრში? ძალიან ბევრი. ვიცინეთ.

ლუბა ანდ. დარწმუნებული ვარ, არაფერი სასაცილო
არა იქნებოდა-რა. თქვენ თეატრებს კი ნუ
ადევნებთ თვალ-ყურს, თითონ თქვენ ცხოვ-
რებას დაუგდეთ ყური. რა უფერული ცხოვ-
რება გაქვთ; რამდენს ტყუილ-უბრალოდ ლა-
პარაკობთ!..

ლოპახინი. სრულიად ჭეშმარიტს ბრძანებთ. უნდა სწორედ სთქვას კაცმა, რომ ჩვენი ცხოვრება მეტად სულელურია. (ზაუზა) მამაჩემი ერთი უბრალო გლეხი იყო, ბრიყვი, არაფერი არ ესმოდა. მე სწავლაში არსად მიმცა და შინ ცემა-ტყეპით მზრდიდა, მეტადრე მაშინ, როცა თვრებოდა... მეც ისეთივე ხეპრე და ბრიყვი ვარ, ვერაფერი შევისწავლე. წერითაც კი საძაგლადა ვწერ, ისე საძაგლადა ვწერ, ისე, ისე საძაგლად, გლეხურად, რომ ხალხისა მრცხვენიან.

ლუბა ანდ. ჩემო მეგობარო, თქვენ უეპველად ცოლი უნდა შეირთოთ.

ლოპახინი. დიალ... ნამდვილსა ბრძანებთ.

ლუბა ანდ. აი, ვთქვათ, ჩვენი ვარო... ძალიან კარგი ქალია.

ლოპახინი. დიალ...

ლუბა ანდ. ძალიან ყოჩადი და უბრალოდ გაზრდილი ქალია, მთელს დღეს მუშაობს, მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ თქვენ უყვარხართ. თქეენც-კი, მგონია, კაი ხანია, მოგწონთ.

ლოპახინი. რატომ, რატომ... მე წინააღმდეგი არა ვარ... ძალიან კარგი ქალია.

გაევი. (დას) ბანკში ადგილს მპირდებიან. წელიწადში ექვსას თუმანს დაგინიშნავთო... გაიგე?

ლუბა ანდ. რა შენი საქმეა... იჯექი. შენთვის სახლში. (შემოდის ფირსი, ხელში პალტო უჭირავს).

ფირსი. (გაეგხ) ინებეთ პალტო, ბატონო, ჩაიცვით თორემ ძალიან ნოტიოა.

გაევი. (პალტოს იცვამს) თავი მომაბეზრე, ჩემო ძმაო.

ფირსი. ბევრს ნუ ლაპარაკობთ... დილასაც ისე გამო-
ხვედით, არა შემატყობინეთ-რა. (ათვალიერებს
გაევს).

ლუბა ანდ. ძაღლიან დაბერებულხარ, ფირს.

ფირსი. ოჰ, დიდი ხნისა ვარ. მე რომ ცოლის შერთვას-
მიპირობდნენ — მამათქვენი მაშინ დაბადებული
არ იყო... (იცინის) ბატონ-ყმობა რომ გადა-
ვადა, მაშინ კამერდინერად ვიყავი, არსად წა-
ვედი, ბატონთან დავრჩი. თავისუფლება ყვე-
ლას უხაროდა და რად უხაროდათ — არ იცოდ-
ნენ.

ლოპახინი. მაშინდელი დრო კარგი იყო, გამაორახება
მაინც იცოდნენ.

ფირსი. (ვერ გაიგონებს) ოლონდაც. გლეხები ბატონთან
იყვნენ, ბატონები — გლეხებთან... ახლა-კი ვყე-
ლა თავისუფლის არის, კაცი ვერაფერს გაიგებს.

გაევი. კარგი, გაჩუმდი, ფირსო. ხვალ ქალაქში უნდა წა-
ვიდე. დამპირდნენ, ერთ გენერალს გაგაცნობთ,
რომნლსაც შეუძლიან ფული გასესხოსო.

ლოპახინი. მაგითაც არა გამოვა-რა. სარგებელსაც ვერ
შეიტანთ.

ლუბა ანდ. ეგ ისე, ლაპარაკობს რაღა. გენერალი კი
არა და! (შემოდიან ტროფიმჭვი, ანნა და ვართ).

გაევი. აი, ჩვენებიც მოგიან.

ანნა. დედა, აქა ხარ?

ლუბა ანდ. (ალექსით) მოდი, მოდი... ჩემო ყველავ...
(ეხვევა ანნას და ვართ) რომ იცოდეთ, ორივე

რა ძლიერ მიყვარხართ. დასხედით ჩემთან, აი, აგრე (უგელანი სხდებას).

ლოპახინი. ჩვენო საუკუნო სტუდენტო, სულ ქალებთან დასეირნობ?

ტროფიმოვი. ეგ თქვენი საქმე არ არის.

ლოპახინი. აგერ ორმოცდაათის წლისა შესრულდება და ისევ სტუდენტად არის.

ტროფიმოვი. სულელურ ხუმრობას თავი დაანებეთ.

ლოპახინი. შე კაი კაცო, რას ბრაზობ?

ტროფიმოვი. ნუ იცი ჩაციება.

ლოპახინი, არ შეიძლება მიბძანოთ, თქვენ ჩემზე რა აზრისა ხართ?

ტროფიმოვი. მე თქვენზე, ერმილ ალექსეიჩ, აი, რა აზრისა ვარ: თქვენ მდიდარი კაცი ხართ, მალე მილიონის პატრონი შეიქნებით. როგორც ცხოვრების ჩარჩისათვის საჭიროა ის მხეცი, რომელსაც, წინ რაც შეეფეოთება, ყველაფერსა სჭამს, ისე თქვენა ხართ საჭირო. (უგელანი იცინიან).

ვარო. პეტრე, უმჯობესია თქვენ რამე გვიამბოთ ვარ-სკვლავებზე.

ლუბა ანდ. არა, მოდი წუხანდელ ამბავს დავუბრუნდეთ.

ტროფიმოვი. რა ამბავს?

გაევი. აი, კაცის სიამაყეზე რომ ლაპარაკობდი.

ტროფიმოვი. ჩვენ წუხელის დიდხანს ვიღაპარაკეთ, მაგრამ ვერაფერ დასკვნას-კი ვერ დავადექით. ამაყი კაცი, თქვენის აზრით, რაღაც საიდუმლოებას წარმოადგენს. შეიძლება არც სცდებოდეთ. მაგრამ თუ არ გამოვიძიებთ და უბრალოდ

განსჯით, რა სიამაყე, რის სიამაყე? თუკი კაცი
აგებულობით უხეიროდ არის მოწყობილი,
ხეპრეა, უჭიულ, მაშინ უბედურია. კაცმა თა-
ვის-თავის მოწონებას თავი უნდა დაანებოს
და მხოლოდ იმუშაოს.

გაევი. სულ ერთია მაინც მოკვდება.

ტროფიმოვი. ეგ ვინ იცის? ან რას ნიშნავს—მოკვდება?
იქნება კაცი ასი გრძნობა აქვს და, როდესაც
აღსასრულის დღე მოუვა, მასთან მოკვდეს მხო-
ლოდ მისი ხუთი გრძნობა და დანარჩენი
რთხმოცდათხუთმეტი კი ისევ ცოცხალი დარჩეს.

ლუბა ანდ. რა ჰყვიანი რამა ხარ, პეტრე!

ლოპახინი. (ირთნიულად) მეტის-მეტი!..

ტროფიმოვი. კაცობრიობა წინ მიდის, თან-ზა-თან ძა-
ლას იკრებს. რაც ეხლა მისთვის გაუგებარია,
ოდესმე ანბანურ ჰეშმარიტებად გადაიქცევა,
მხოლოდ მუშაობა და შრომაა საჭირო. დახმა-
რება უნდა მათ, ვინც კვლევა-ძიებით, სიბრძნეს
იძენს. ჩვენში ჯერ ძალიან ცოტაა მუშა. უმე-
ტესი ნაწილი იმ ინტელიგენციისა, რომელსაც
მე ვიცნობ, არაფერს აკეთებს, არაფერს იკ-
ვლევს, ერთის სიტყვით, მუშაობის. უნარი არა
აქვს. თავის-თავს ინტელიგენტებს ეძახიან და
მოსამსახურეებს-კი „შენობით“ ელაპარაკებიან.
გლეხკაცობას ისე ექცევიან, როგორათაც პი-
რუტყვებს. გლახად სწავლობენ, სამეცნიერო
წიგნებს არა კითხულობენ, სრულიად არას
აკეთებენ. მეცნიერებაზე მხოლოდ ლაპარაკო-
ბენ, ხელოვნებისა კი არა გაეგებათ-რა; ყველა

დაფიქრებულია, ყველას სასტიკი შეხედულობა აქვს, ყველა „დიდ საქმეზე“ ლაპარაკობს, ფილოსოფიოსობს და ამავე დროს უმეტესობა ასში ოთხმოცდა-ცხრამეტი, სცხოვრობს, როგორც ნაღირი ხალხი. თუ რამე აწყენინე, მაშინვე მუშტებს მომართავს და ლანძღვა-გინებას დაიწყებს. ჭამა-სმა საზიზლარი აქვთ, სძინავთ ჭუჭყიან ლოგინში, შეხუთულ ჰაერში; ყველგან უსუფთაობაა: ბალლინჯოები, ნოტიობაა; ზნეობითი სიბინძურე... ცხადია ყველა პტყელ-პტყელ სიტყვებს იმიტომ ვისვრით, რომ ჩვენც თვალები ავიხვიოთ და სხვათაც. მაჩვენეთ ერთი, სად არის ის ბავშვთა თავშესაფარი, რომელზედაც ისე ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე? სად არის სამკითხველოები? ყველა ამაებზე მხოლოდ სწერენ, საქმით-კი არა სჩანს-რა, სჩანს მხოლოდ სიბინძურე, გარყვნილობა, ველურობა. მე ძალიან მეშინიან დაკიდეც მეჯავრება წარბ-შეკრული სახეები, ჭკვიანური ლაპარაკი. უმჯობესია, სულ ჩუმათვიყოთ.

ლოპახინი. იცით ბატონებო, მე ყოველთვის დილისხუთ საათზე ვდგები, ვმუშაობ ზილიდან სალამომდის, ჩემს ხელში მუდამ ტრიალებს ჩემიდა სხვისი ფული და ამიტომ კარგად ვიცნობ ჩვენს ხალხს. საქმარისია რამე საქმე დაიწყოთ, მაშინვე გაიგებთ, რა ცოტაა ხეირიანი, პატიოსანი ხალხი, ხანდახან, როდესაც ძილი-გამიტყდება ხოლმე, ვფიქრობ: ღმერთო, შენ

ხომ მოგვეცი კაცობრიობას უზარმაზარი ტყეები, თვალუწვდენელი მინდვრები, უძირო ცის ცეტე განა აქ მცხოვრებნი ძლიერი გმირებისივრ არ უნდა ვიყვნეთ?

ლუბა ანდ. თქვენ ძლიერ გმირებს ახსენებთ. ისინი მხოლოდ ზღაპრებში არიან კარგები. ნამდვილათ კი საშიშრები არიან. (სცენის ჩიდრმეში გაიფლის ეპისტოლები. გიტარას უკრავს). ეპიხოდოვი მოდის!

ანნა. (დაფიქტებული) ეპიხოდოვი მოდის.

ტროფიმოვი. დიალ.

გაევი. (სმადაბლა, ვითომ მცენრმეტეველურათ) ოს, მშვენიერო ბუნებავ, შენ ანათებ უკვდავის ბრწყინვალებით, შენა ხარ ტურთა, თან გულგრილი! შენ, რომელსაც დედათ გსახავთ, აერთებ სიკვდილ-სიცოცხლეს, შენ აცოცხლებ და არღვევ ყველაფერს...

გარო. (მუდარით) ძია!

ანნა. ძია, კიდევ დაიწყე!

ტროფიმოვი. თქვენ უმჯობესია—желтаго въ середину дунплетомъ.

გაევი. გავჩუმდები, გავჩუმდები. (უველა დაფიქტებულია. სიჩუმეა. მხოლოდ ფირსის ბუტბუტის ხმა ისმის. შორიდან გაისმის რაღაც უცნაური ხმა, ურკ, მწუხარე, თითქმ სიმი გაწუდა).

ლუბა ანდ. ეს რა ხმა იყო?

ლოპახინი. არ ვიცი. ალბათ შორს, სადმე მაღაროში, რამე გატყდა, ან ჩამოუვარდათ. შორიდან კი მოისმა და!

გაევი. ან იქნება რამე ფრინველი... აი, ვთქვათ, წერო...

ტროფიმოვი. ან, იქნება, ჭოტი!..

ლუბა ანდ. (გააძლინებს) რაღაც ნაირად მეჯავრა.
(ჰაუზა).

ფირსი. იმ უბედურების წინად ასე იყო ხოლმე, ხან ბუ
ბლუოდა, ხან სამოვარი დაიშებდა შეუჩერე-
ბელს ყუყუნს...

გაევი. რომელ უბედურების წინად?

ფირსი. აი, ბატონყმობის გადავარდნის წინად.

ლუბა ანდ. წავიდეთ, ბატონებო, უკვე ლამდება. (ან-
ნას) თვალები ცრემლიანი გაქვს... რა ამბავია,
ჩემო გოგონა? (ესვეგა),

ანნა. ისე, დედილო, არაფერი.

ტროფიმოვი. ვიღაც მოდის. (გამოჩენდება ვაღაც კაცი,
თეთრი ძეგლი ქუდითა და პალტოთი, ცოტად გა-
დაჭრულია).

უცხო კაცი. თუ შეიძლება, მიბანეთ, აქედან პირდაპირ
საღვურზე წასვლა შეიძლება?

გაევი. შეგიძლიან, აი, იქით, პირდაპირ გზაზე წადი.

უცხო კაცი. დიდათ გმაღლობთ. (ასვეგებს) მშვენიერი
დარია... (დრამატიულათ) ჩემო ძმაო, ტანჯუ-
ლო ძმაო... გადი ვოლგაზე, ვისი კვნესა ის-
მის... (გართს) ქალ-ბატონო, უწყალობეთ
მშიერს მოქალაქეს ერთი ექვსიოდე შაური.
(ვართ შეშინებული შეჭკიულებს).

ლოპახინი. (გაჯავრებული) ყოველს სისაძაგლეს თავისი
დრო აქვს!

ლუბა ანდ. აი, წაიღეთ... აჲა... (ექებს ქისას) ვერცხლის
ფული არა მქონია. სულ ერთია, აჲა ოქრო.

უცხო კაცი. უმორჩილესად გმაღლობთ. (გადის. უკეფანი იცინან).

ვარო. (შიშით) მე წავალ... წავალ... დედა, სახლში ხალხისათვის საჭმელი არა გვაქვს-რა და თქვენკი მაგ კაცს ოქრო აჩუქეთ!

ლუბა ანდ. რას იზამთ, სულელი ვარ, სულელი! ყველაფერს შენ გადმოგცემ, რაც კი რამა მაქვს. ერმილე ალექსეიჩ, მასესხეთ კიდევ ფული!

ლოპახინი. ბატონი ბრძანდებით.

ლუბა ანდ. წამობრძანდით, ბატონებო, დროა... ვარო, ჩვენ შენ დაგნიშნეთ კიდეცა, მომილოცავს.

ვარო. (თვალ-ჭრბმლიანი) დედა, ეგ რა სახუმაროა!

ლოპახინი. ოხფელია, წადი მონასტერში.

გაევი. ხელები მიკანკალებს. რამდენი ხანია ბილიარდზე არ მითამაშნია.

ლოპახინი. ოხფელიავ! ოხფელიავ! მეც მომისხენე ლოცვასა შენსა!

ლუბა ანდ. წამობრძანდით, ბატონებო, ვახშმის დროა.

ვარო. რანაირად შემეშინდა! გული ისევ მიკანკალებს.

ლოპახინი. კიდევ გაგახსენებთ, ბატონებო, რომ ოცდაორს მარიამობისთვეს ალუბლის ბალი გაიყიდება. ამაზე კარგათ მოიფიქრეთ. (უკეფანი გადიან ტრავიმჭვესა და ანიას გარდა).

ანნა. (სიცილით) რა კარგი საქმე ქნა იმ კაცმა, რომ ვარო შეაშინა, თორემ ჩვენ ხომ მარტო არ დაგვტოვებდა.

ტროფიმოვი. ვაროს ეშინიან, რომ ჩვენ ერთმანეთი არ შევიყვაროთ, და ამიტომ მთელს დღეს თვალს არ გვაშორებს. იმას თავისი მოკლის ჭკუით

ის ვერ წარმოუდგენია, ჩვენ სიყვარულზე ჯფა-
რო წმინდა ვართ. მოვიშოროთ თავიდან ის
წვრილმანობა და ცრუ-მორწმუნეობა, რომე-
ლიც ხელს უშლის თავისუფლებას, ბედნიერე-
ბას. აი, ეს არის მიზანი ჩვენის ცხოვრებისა.
გავსწიოთ წინ, ბრწყინვალე ვარსკვლავისაკენ,
რომელიც შორიდან გზას გვინათებს. გავსწი-
ოთ, უკან არ ჩამოვრჩეთ, მეგობრებო!

ანნა. (სელი-სელს შემთქვენავს) რა კარგათ ლაპარაკობთ!
(ჰაუზა) რა მშვენიერებაა დღეს აქაურობა!

ტროფიმოვი. დიალ, საუცხოვო დროა.

ანნა. რანაირად შემიცვალეთ გული, პეტრე! რატომ
ჩვენი ალუბლის ბალი ისე აღარ მიყვარს, რო-
გორც წინად? ოხ, რა ნაირათ მიყვარდა. ისე
მეგონა, ჩვენ ალუბლის ბალზე ლამაზი ადგილი
მთელს ქვეყნიერობაზე არსად იყო.

ტროფიმოვი. მთელი რუსეთი ჩვენი ბალია. ქვეყანა თვალ-
უწვერენელი და მშვენიერია, ბევრი ლამაზი ად-
გილი მოიპოვება. (ჰაუზა) დაფიქრდით ანნა:
თქვენი მამა-პაპა და ყველა წინაპარნი იყვნენ
მებატონენი, მფლობელნი მრავალის ყმებისა,
ცოცხალ ადამიანებისა, და განა ყველა ალუ-
ბლის ტოტი, ყოველი ფოთოლი არ გაგონებო
იმ მონა ადამიანებს? არ გესმით მათი ხმა? ოჭ,
თქვენი ალუბლის ბალი საზარელია და, როდე-
საც საღამოს, ან ღამე გაივლი ალუბლის ხე-
ებთან, მათი ძველი ქერქიდან ბუნდი სინათლე
გამოკრთის, თითქო ხეები სთვლემენ და სიზმ-
რათ ხედავენ იმას, რაც ასი-ორიასი წლის წი-

ნად ხდებოდა, და ეს საშინელი ზმანება სულს
უხუთავს მათ. რა თქმა უნდა, ჩვენ მეტის-მეღად
უკან ჩამოვრჩით, ჯერ არაფერი არა გა-
გვიკეთებია-რა. არა გვაქვს გამორკვეული,
თუ რა დამოკიდებულება უნდა გვქონდეს
წარსულთან, მხოლოდ ვფილოსოფოსობთ, ან
ვწუწუნობთ, ან-და ვსვამთ არაყს. ეს ცხადია,
რომ, თუ გინდა ახალი ცხოვრება დაიწყო, ჯერ
უნდა გამოისყიდო ძველი შეცოდებანი, მოსპო
ყოველიც კავშირი მასთან. წარსულის ცლდვის
მონანიება კი შეიძლება მხოლოდ დაუღალა-
ვის, შეუწყვეტელის შრომით; ტანჯვით. გაი-
გეთ ეს, ანნა!

ანნა. ეს სახლი, სადაც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ, დიდი
ხანია, ჩვენი აღარ არის. მეც წავალ აქედან,
გაძლევ პატიოსან სიტყვას.

ტროფიმოვი. თუ თქვენ ხელთ არის რისამე გასაღები
გაღისროლეთ წყალში და წადით, ანნა! გაინ-
თავისუფლეთ თავი ისე, როგორადაც ქარია
თავისუფალი.

ანნა. (აღტაცებით) ოხ! რა კარგათა სთქვით!

ტროფიმოვი. მერწმუნეთ ამაზე, ანნა, მერწმუნეთ! ჯერ
ოცდა-ათი წლისა არა ვარ, ისევ ყმაწვი-
ლი ვარ, სტუდენტი, მაგრამ რამდენი რამ გა-
მოვცადე! როგორც კი ზამთარი დადგება, გლა-
ხასავით დავდივარ, მშიერი, ღარიბი, ავადმყო-
ფი, შეწუხებული. სად არ მიმაგდო ბედმა,
სად არ ვიყავი, მაგრამ ყოველთვის, ყოველს
წამს, დღე და ღამ ჩემი სული რაღაც გამო-

ურკვეველის წინად-გრძნობით იყო სავსე. მე
ბედნიერს მომავალს ვგრძნობ, ანა, თითქო
ვხედავ კიდეც.

ანა. (დაფიქრებული) მთვარე ამოდის. (ისმის ეპისტოლის
გიტარის მწერას სმა. მთვარე ამოდის).

ვარო. (დაქიქებს ანნას და იძახის) ანა, სადა ხარ?.

ტროფიმოვი. ღიალ, მთვარე ამოდის. (ჰაუზა) აი, ბედნი-
ერება. აგერ მოდის. ახლოვდება. თანდათან
ახლოა, ფეხის ხმა მესმის და, თუ ვერ ვხედავთ,
ვერ ვამჩნევთ, არა უშავს-რა, სხვები დაინახა-
ვენ.

ვაროს ხმა. ანა, სადა ხარ?

ტროფიმოვი. ისევ ეს ვარო! (გაბრაზებით) ილაჯი წაიღო..
ანა. წავიდეთ წყლის პირისკენ. იქა სჯობს.

ტროფიმოვი. წავიდეთ, წავიდეთ. (მიღიან)

ვაროს ხმა. ანა! ანა!

(ვ ა რ დ ა)

მოქმედება მესამე.

სასტუმრო დიდი ოთახი, რომელიც დარბაზისაგან თაღით არის გაყოფილი. ხომლი ანთია. უკრავს იმ მემუსიკეთა გუნდი, რომელზედაც მეორე მოქმედებაში ლაპარაკობდნენ. საღამოა. დარბაზში ცეკვამენ. სიმონოვ, -პიშჩიკის ხმა ისმის, მეთაურობს. სასტუმროში გამოდიან პირველ წყვილათ პიშჩიკი და შარლოტა, მეორედ ტროფიმოვი და ლუბა ანდრეევნა, მესამედ ანნა და ფოსტის მოხელე, მეოთხედ ვარო და სადგურის უფროსი და სხვა. ვარო ჩუმად სტირის და ცეკვის დროს თვალებს იწმენდს. უკანასკნელათ შემოდის დუნიაშა. გაივლიან სცენაზე. პიშჩიკი ყვირის ფრანგულად. ფირსს ფოდნოსით ზელტერის სასმელი დაჭვს. შემოდიან ტროფიმოვი და პიშჩიკი.

პიშჩიკი. მეტად სისხლ-ჭარბი ვარ ორჯელ დამბლაც მომივიდა. ცეკვა მიძნელდება, მაგრამ, რომ იტყვიან: „საღაც მიხეიდე, იქაური ქუდი დაინტერეო“, ჩემი საქმეც ასეა. საღი კი ვარ ცხენსაებ. განსვენებული მამაჩემი იტყოდა ხოლმე, მეტად ხუმარა იყო ცხონებული, რომ სიმონოვ-პიშჩიკები იმ ცხენის ჩამომავალნი ირიან, რომელიც კალიგულაშ სენატში დასვაო. (კდება) მაგრამ უბედურება ეს არის, ფული არა მაქვს. მშიერ ძალას მხოლოდ უმი ხორცი გამოაფხილებს... (ხერინავს, ისევ ჩქარა ფხიზლდება) მეც ისე ვარ. მხოლოდ ფული მაგონდება...

ტროფიმოვი. მართლა, შეხედულობა კი თითქო ცხენისა გაქვთ!

პიშჩიკი. რა არის მერე?.. ცხენი ძალიან კარგი ცხოველია... ცხენის გაყიდვა შეიძლება. (დარბაზიდან ბიღიარდის შოთამაშეთა ხმა ისმის. არქაში გამოწედება ვართ).

ტროფიმოვი. (აგულისებას) მაღამ ლოპახინისავ! მაღამ ლოპახინისავ?

ვარო. (გაბრაზებული) გაქუცულო ვაჟბატონო.

ტროფიმოვი. დიახ, მე გაქუცული ვარ და ამითი თავიც მომწონს.

ვარო. (დაფიქრებულია) მემუსიკეები დაიჭირეს და იმას-კი ალარ ფიქრობენ, საიდან რა მივცეთ! (გავა).

ტროფიმოვი. (შიშჩიკს) ის ენერგია, რაც თქვენ ვალის სარგეპელში მისაცემ ფულის შოვნაზე დაგიხარჯავთ თქვენს სიცოცხლეში, სხვა რამეზე რომ მოგეხმარებინათ, აქამდის მთელ ქვეყანას გადააბრუნებდით.

პიშჩიკი. ნიცშე ფილოსოფოსი... უდიდესი და წარჩინებული კაცი, უბრძენესი და უმაღლესი ჭკუის პატრონი... სწერს თავის თხზულებაში, რომ ვითომ ყალბი ქალალდის ფულის გაკეთება შეიძლებაო!

ტროფიმოვი. განა თქვენ ნიცშესი რამე წაგიკითხავთ?

პიშჩიკი. მე კი არა, ჩემმა დაშამ მიამბო. და მე ამჟამად ისეთს მდგომარეობაში ვარ, თუნდა ყალბ ფულსაც-კი გავაკეთებ. ზეგ 310 მანათი უნდა შევიტანო... ას-ოცდა-ათი კი ვიშოვე... (ეძებს ჯიბეში, შეშინებული) ფულები დამკარგვია! სადღაული გამჭრალა! (თვალ-წრემლიანი) რა მექნა ფული?! (სიხარულით) აი, სად ჩავარდნილა!

სარჩულსა და საპირეს შუა... უჰ! ოფლი და-
მასხა... (შემოდიან ლუბა ანდრევენა და შარლოტა).

ლუბა ანდ. (ლეკურის ხმაზე ღიღინებს) რატომ აქამდის
ლეონიდი არსად სჩანს? რას აკეთებს ქალაქში?
(დუნიაშას) დუნიაშა, მემუსიკებს ჩაი მიართვი.

ტროფიმოვი. უთუოდ ვაჭრობა არ მოხდა.

ლუბა ანდ. მემუსიკებიც უდროვო დროს მოვიდნენ.
ეს სალამოც უდროვო დროს გავმართეთ... მაგ-
რამ არაფერია... (ჯდება და ღიღინებს).

შარლოტა. (აძლევს პიშჩიკს სათამაშო ქადალდს) აგერ ეს
სათამაშო ქალალდი, აბა რომელიმე ჩანიშნეთ.

პიშჩიკი. ჩავნიშნე.

შარლოტა. ახლა აურიეთ, კარგად. ახლა მომეცით. ეჲ,
ჩემთ ბატონო, პიშჩიკო! აინ, ცვაინ, ტრაინ!
აბა თქვენი ჩანიშნული ქალალდი ჯიბეში ინა-
ხეთ.

პიშჩიკი. (ჯაბიდან იღებს ქადალდს და ტროფიმოვს) ყვავის
რვიანი! ნამდვილია. (გაოცებული) წარმოიდგი-
ნეთ!

შარლოტა. (ქადალდს ხელის გულზე დაიღებს და ტროფი-
მოვს) სთქვით ჩქარა, ზემოდან რომელი ქა-
ლალდია?

ტროფიმოვი. ყვავის ქალია.

შარლოტა. აგრეა (პიშჩიკს) ახლა თქვენა სთქვით: ზემო-
დან რომელი ქალალდია?

პიშჩიკი. აგურის კიკოა.

შარლოტა. აგრეა. (შემოჭერავს ხელს ხელზედ. ქადალდი
სადღაც გადავარდება) დღეს რა მშევნიერი და-
რია! (გაისმის საიდუმლო ხმა, თითქო იატაპ ქვე-

მოდან იძახისთ: — „დიალ, ქალბატონო, მშვენიერი
დარია!“) თქვენ მეტად კარგი რამა ხართ, სწო-
რედ ჩემი იდეალი! (ხმა: — ქალბატონო. მე თქვენ
ძალიან მომწონხართ!“).

სადგურის უფსოსი. ვაშა, ვაშა! ქალბატონო, მუცლით
მოლაპარაკევ!

პიშჩიკი. (გაკვირვებული) წარმოიდგინეთ!.. გულის წარმ-
ტაცო შარლოტა ივანოვნა... მე თქვენ მი-
კვარხართ...

შარლოტა. (მხერბს აწევს) გიყვაჩვართ? განა თქვენ სი-
კვარული შეგიძლიანთ?

ტროფიმოვი. (ზიშჩიკს მხარზე ხელს სცემს) აპაი, თქვე
ცხენო!

შარლოტა. სმენა იყოს და გაგონება. აი კიდევ ერთი-
ფოკუსი: (აიღებს ქამოდიდან შალს) აი ეს-
შშვენიერი შალი მინდა გავყიდო... (ბერტჟავს)
ხომ არ გინდან იყიდოთ?

პიშჩიკი. (გაოცებული) თქვენ წარმოიდგინეთ!..

შარლოტა. აინ, ცვაინ, ტრაინ... (უცებ ასწევს ჩამოფა-
რებულს შალს, უკან მითვარებული სდგას ანნა, რო-
მელიც ხალხს თავს უკრავს, მერე მოეხვევა დედას,
აკოცებს და ისევ იმაღლება. უველა აღტაცებულია).

ლუბა ანდ. ვაშა, ვაშა! (ტაშს უკრავს)..

შარლოტა. ერთიც კიდევ. აინ, ცვაინ, ტრაინ. (ასწევს
ისევ ჩამოფარებულს შალს და ახლა ვარო კამოჩნდება-
და უველას თავს უკრავს).

პიშჩიკი. (გაოცებული) თქვენ წარმოიდგინეთ!

შარლიტა. ახლა-კი გათავდა. (გადააფარებს ზიშჩიკს შალს,
უველას თავს უკრავს და უგარბის).

პიშჩიკი. (სირბილით უკან მისდევს) აი, აი, შე კუდიანო!..
რა ნაირია!..

ლუბა ანდ. ლეონიდი კიდევ არა სჩანს. ამდენს ხანს
რას აკეთებს ქალაქში, არ მესმის! აქამდის-
უეჭველია ყველაფერი გათავდებოდა; ან ვა-
ჭრობას გადასდებონენ, ან მამული გაიყიდე-
ბოდა. ნეტა რას გვაწვალებენ, რომ აქამდის-
არას გვატყობინებენ!

ვარო. (ცდილობს ნეგეში სცეს) დარწმუნებული ვარ მა-
მულს უთუოდ ძია იყიდდა.

ტროფიმოვი. (დატინჯოთ) ნამდვილათ.

ვარო. ბებიდამ ძიას ვექილობა გამოუგზავნა, მამული-
ჩემს სახელზე იყიდეო. ეს მამული რომ იმას-
ანნასთვის უნდა, ამაში მე ეჭვი არა მაქვს.
ღმერთი მოუმართავს ხელს ძიას და მამულს-
უთუოდ იყიდის.

ლუბა ანდ. მამიდას თხუთმეტი ათასი მანეთი გამოუგზავ-
ნია, რომ მამული მის სახელზე გადავიტანოთ!
ჩვენ შლარ გვენდობა! მაგრამ ეს თხუთმეტი-
ათასი რომ სარგებელსაც არ ეყოფა. (შირზე
ხელებს იტარებს) დღეს გადასწყდება ჩემი ბედი.

ტროფიმოვი. (ფართს აბრაზებს) მაღამ ლოპახინისავ!

ვარო. (ჭავრობს) საუკუნო სტუდენტო! ორჯელ უკვე-
გამოგაგდეს უნივერსიტეტიდან.

ლუბა ანდ. რათ ჯავრობ, ვარო? ლოპახინზე გეხუმრე-
ბიან? რა ვუყოთ. თუ გინდა, მისთხოვდი ლოპა-
ხინს, კარგი კაცია. და თუ არ გინდა, ნუ
მისთხოვდები, შვილო, ძალას არავინ დაგა-
ტანს.

ვარო. მე მაგ საქმეს, დედა, უფრო სხვა თვალით ვუ-
ყურებ. ეგ სახუმარო არ არის. მართალი უნდა
გითხრათ, ძალიან კარგი კაცია, მომწონს კიდევ.

ლუბა ანდ. მაშ შეირთე! არ მესმის, რაღას უცდით!

ვარო. დედა, მე ხომ არ დავუწყებ ხვეწნას, შენი ჭი-
რიმე, შემირთე-მეთქი. ეს ორი წელიწადია, ყვე-
ლა ლოპახინზე მელაპარაკება და თითონ ლო-
პახინი კი ან ჩუმად არის ან მასხარაობს. მე
ვხედავ, რომ ის თან-და-თან მღიღრდება, საქმე-
ებშია გართული და ჩემთვის არა სცალიან. მე
რომ ცოტაოდენი ფული მქონოდა, თუნდა,
თუნდ ასი მანეთი, დავანებებდი ყველაფერს
თავს და გადვიკარგებოდი საღმე, მონასტერში
წავიდოდი.

ტროფიმოვი. რა სულის ნეტარებაა!

ვარო. სტუდენტი ჰკვიან, უნდა იყოს. (გული უდევს,
თითქას სტირის) რანაირად გამოიცვალეთ,
პეტრე! გაფუჭდით, დაბერდით. (ლუბა ანდრ.
თამაშად) მხოლოდ, დედაჯან, უსაქმოდ ყოფნა
არ შემიძლიან. მუდამ, უთუოდ რასმე უნდა
ვაკეთებდე (შემოდის იაშა).

იაშა. (სიცილს ძლიერ იკავებს) ეპიხოდოვმა ბილიარდის
ჯოხი გატეხა... (დადის).

ვარო. რა უნდოდა ეპიხოდოვს იქ! ბილიარდზე თამა-
შობის ნება ვინ მისცა!.. სწორედ ვერა გა-
მიგრა-რა ამ ხალხისა?.. (გადის).

ტროფიმოვი. (გაბრაზებით) ჰმ!..

ლუბა ანდ. ნუ ბრაზობთ პეტრე. ვარო ხომ ხედავთ,
უიმისოდაც ჯავრიანაზ არის.

ტროფიმოვი. მეტის-მეტია. ყოველთვის იქ ეჩრება, სადაც მაგის საქმე არ არის. მთელს ზაფხულს მოსვენებას არ გვაძლევდა, არც მე და არც ანნას, ეშინოდა, ვაი თუ ერთმანეთი შეგვეყვარებინა. ეს რა მაგისი საქმეა? ან და მე ხომ საპუთი არა მიმიცია-რა? ფიქრადაც არ მომიშა ეგ გარყენილი აზრი ჩვენი გრძნობა ამნაირს სიყვარულზე ბევრად წმინდა გრძნობაა.

ლუბა ანდ. მე-კი აგრე წმინდა არა ვარ. (შეშფოთდება) რატომ აქამდის ლეონიდი არ მოდის! ნეტა ერთი შევიტყო, გაიყიდა მამული თუ არა. ეს უბედურება ისეთი მოულოდნელი იქნება ჩემთვის, რომ ვერც-კი წარმომიდგენია. დაფანტული ვარ... შეიძლება ღრიალიც დავიწყო, ან რამე სისულელე ჩავიდინო... გამომარკვიე ამ მდგომარეობიდან, პეტრე, სთქვით რამე!

ტროფიმოვი. დღეს გაიყიდება თქვენი მამული თუ ხვალ, სულ ერთი არ არის? ეს საქმე, დიდი ხანია, გადაწყვეტილის, გამობრუნება აღარ შეიძლება, გზა შეკრულია. ჭამშვიდლით ჩემო ძვირფასო, თავს ზუ ატყუებთ. ერთხელ მაინც სწორედ შეხედეთ საქმეს, სიმართლეს თვალი გაუსწორეთ.

ლუბა ანდ. რომელ სიმართლეს? თქვენ შეიძლება არ ჩევდეთ სიმართლესა და სიცრუეს. მე-კი ისე დავკარგე მხედველობა, რომ ვერაფერს ვხედავ. თქვენ ყველა ძნელ საქმეზე აღვილად სჯით. გეთაყვა, ნამდვილი მითხარით, ეგ იმი-

რომ ხომ არ მოგდით, რომ ჯერ ყმაწევილი ხართ და არც ერთ საგანსე არ გიფიქრიათ, თქვენ თავზე არა გამოგიცდიათ-რა, არ ტან-ჯულხართ? თქვენ თამამად გაიყურებით წინ, იმიტომ კი არა, რომ ვერას ხედავდეთ, ან საშიშარს არას მოელოდეთ, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრება ჯერ უცხოა, უცნობია თქვენის ნორჩის თვალისთვის! თქვენ ჩვენზე უფრო პატიოსანი ხართ, უფრო ჭკვიანი, გულადი, მაგრამ დაფიქრდით, გამოიჩინეთ იმდენი გულკეთილობა, რომ ცოტათი მაინც შემიბრალოთ. მე ხომ აქა ვარ დაბადებული, აქ ცხოვრებდნენ ჩემი დედა, მამა, პაპა. მე მიყვარს ეს სახლი: ვერც კი წარმომიდგენია სიცოცხლე უალუბლის ბალოდ! და თუ მაინც-და-მაინც საჭიროა მისი გაყიდვა, მაშინ ბალთან ერთად მეც გამყიდეთ... (მთესვეგა ტრაფიმოვს და შებლზედ ჭერცნის) ჩემი შვილი ხომ აქ დაირჩო... (სტირის). შემიბრალე, კარგო, კეთილო აღამიანო!

ტრაფიმოვი. თქვენ კარგად იცით, რომ სულით და გულით თანაგიგრძნობთ.

ლუბა ანდ. მაგრამ სხვანაირად, სხვანაირად მითხარით. (ჯიბიდან ცხვირსახოცს ამოიდებს და ჯიბიდან ტალეგრამა დავარდება). თქვენ ვერ წარმოიდგენთ, დღეს გული რა მძიმეთა მაქვს. აქაური ხმაურობა მეტად მაწუხებს, ყოველ ფეხის ხმაზე გული მიკან კალებს, მთლად ვთრითი. ჩემს ოთახში

შესვლაც კი არ შემიძლიან, მარტო დარჩენა,
შიშის ზარსა მცემს. ნუ გამკიცხავთ, პეტრე...
მე თქვენ ისე მიყვარხართ, როგორც ჩემი სა-
კუთარი ნათესავი. გეფიცებით, რომ დიდის სია-
მოვნებით მოგათხოვებდით ანნას, მხოლოდ,
ჩემო კარგო, ჯერ უნდა სწავლა დაასრულო,
კურსი გაათავო. თქვენ ეხლა არაფერს აკე-
თებთ. უსაქმოდ აქეთ-იქით ეცემით. ხომ მარ-
თალს ვამბობ?... არა? ამ თქვენ წვერსაც
უნდა რამე მოუხერხოთ, რომ ცოტათი წამოი-
ზარდოს. (იცინის) რა სასაცილო ხართ!

ტროფიმოვი, (ტელეგრამას აიღებს), მე სრულიადაც არა
მსურს, რომ ლამაზათ გამოვჩნდე.

კოუბა ანდ. ეგ ტელეგრამა პარიზიდან არის, ყოველ
დღე მომდის, გუშინაც მომივიდა, დღესაც. ის
მხეცი კაცი კიდევ ავად გამხდარა, ცუდად
არის. მთხოვს — ვაპატიო. მეცვეწება, მოდიო.
სწორედ რომ სთქვას კაცმა, ისეთს მდგომარეო-
ბაშია ის საცოდავი, რომ უნდა წავსულიყავ,
მოვჯდომოდი გვერდით და მომევლო... მეტად
სასტიკი შეხედულება გაქვთ, პეტრე, მაგრამ
რა ვქნა, ჩემო კარგო, რა ვუყო, ის ავადმყო-
ფია, მარტოა, უპატრონო, უბედური. რამე
სისულელეს ჩაიდენს და ვინ მიხედავს, ვინ
მიხედავს, ვინ უგდებს ყურს? ვინ მიაწოდებს
თავ-თავის დროზე წამლებს? ან რა დასამალა-
ვია, — ეს ცხადია, რომ მე ის კაცი მიყვარს, მი-
ყვარს და მიყვარს... ის ჩემი ტვირთია და უ-
მისოდ სიცოცხლე არ შემიძლიან. (ტრიფოშოვის

სელზე სელს უჭირს) ნუ გამკიცხავ, პეტრე, ნურაფერს... ნურაფერს მეტყვი, ნურაფერს...

ტროფიმოვი. (თვალცრუმლიანი) მომიტევეთ მართლის თქმისათვის,—იმ კაცმა ხომ თქვენ გაგქურდათ?.—
ლუბა ანდ, არა, არა, არა! ნურას მეტყვით (უურებზე სელებს იყარებს).

ტროფიმოვი. თქვენ თვალს არიდებთ მის უსვინდისობას.
ის კაცი მეტის-მეტი სულმდაბალია, უსვინ-
დისო.

ლუბა ანდ. (გაბრაზებულია, მაგრამ თავს იმაგრებს) ოცდა
ექვსისა თუ შვიდის წლის ყმაწვილი ხარ და
ჯერ ისევ მეორე კლასის გიმნაზიელსა ჰგევხარ.

ტროფიმოვი. ჩემთვის სულ ერთია, ვისაც უნდა
ვგავდე.

ლუბა ანდ. უნდა კაცი იყოთ, თქვენს ხანში კარგათ
უნდა გესმოდეთ იმისი მდგომარეობა, ვინც
შეყვარებულია... თქვენც უნდა შეიყვაროთ...
უნდა გიყვარდეთ... (გაბრაზებული) დიალ,
დიალ, თქვენ წმინდა არა ხართ, არა გაქვთ
სიწმინდავე, თქვენ მეტად სასაცილო ხართ,
რაღაც უცნაური, არა-კაცი, მახინჯი!

ტროფიმოვი. (თავზარდაცემული) რას ამბობს!!.

ლუბა ანდ. „ჩვენი გრძნობა სიყვარულზე წმინდა გრძნო-
ბაა!“ თქვენი გრძნობა სიყვარულზე წმინდა კი
არა, როგორც ფირსი ამბობს, რაღაც მოუშუ-
შარია, უმი. თქვენს ხანში რომ კაცს ჯერ
საყვარელი არა ჰყავდეს!!..

ტროფიმოვი. (შეძრწუნებული) ეს საშინელება!.. აღარ
შემიძლიან, უნდა წავიდე!.. (მიდის, ისევ ბრუნ-

დება) ჩვენში ყოველისფერი გათავებულია. (გა-
დის, დერეფანში).

ლუბა ანდ. (უძახის) პეტრე, პეტრე, მოიცადეთ! რა სა-
საკილო ხართ! გეხლმრებოდი! (ტრთფიმოვის
ფეხის სმა ისმის, გიბეზე რომ ჩადის. ბოლოს
ვიღაც წაიქცევა და ბრახუნით მირს ჩაგროდება.
ანსა და ვართ ჯერ შეჭირულებენ და მერკე იცინიან).
ლუბა ანდ. რა ამბავია! (შემთხვის ანსა).

ანსა. (სიცილით) პეტრე კიბეზე ჩაგორდა. (გარბის).

ლუბა ანდ. რა უცნაური კაცია! (სადგურის უტროსი,
შეა დარბაზში გასხერებული, ა. ტრდისტოის თხზ.
„შემცოდე ასულას“ გითხულობს, ხალხი უკრს
უგდებს, მაგრამ ჯერ თხხი. წწარიც არ წაუკით-
ხავს, რომ მუსიკა ვალსს დაუკრავს და ისიც გითხვდს
შეაჩერებს. უველა ცებვას დაიწებს. უსვა-
გასვლაა. სცენაზე გამოდიან ტრთფიმოვი, ანსა,
ვართ და დება ანდრეევნა).

ლუბა ანდ. კარგია, პეტრე, კარგი... წმინდა არსებავ...
ბოდიშს ვიხდი... მოდი, ვიცეკვოთ. (დაიწებენ
ტრთფიმოვთან ცეკვას. ანსა და ვაროც ცეკვაშენ.
შემოვა ფირსი, ჭოხს გარებთან მიაუყდებს... იაშა
სასტუმრო დარბაზიდან უშემდის და ცეკვას თვალს
ადევნებს).

იაშა. რაო, პაპა?

ფირსი. ისე, შეუძლოთა ვარ. წინეთ რომ ჩვენ მეჯლი-
სებს ვმართავდით, სულ ღენერლები ცეკვამდნენ
ხოლმე, ბარონები, აღმირალები. ეხლა კი ვე-

ხვეწებით ვიღაც ფოსტის მოხელეებს, სადგურის უფროსებს და ისინიც იმადლებიან მოსვლას. ეჭ, დავსუსტდი ოოგორლაც. განსვენებული დიდი ბატონი ავადმყოფობას წითელი ლაქათი არჩენდა მეც, აგერ ოც წელიწადზე მეტია, ყოველ-დღე ლაქასა ვსვამ; იქნება, იმისა-განაცა ვარ აქამდის ცოცხალი.

თაშა. გააჭირე საქმე, პაპავ. (ამთქნარებს). ერთი ჩქარა მაინც ჩალრძებოდე.

ფირსი. ეეჭ, შე... მოუშუშარო. (ბუტბუტებს. ტრაფიმოვი და ლუკა ანდრეევნა ცეკვით გამოდიან დარბას ზიდან).

ლუბა ანდ. Mersi! აქ დავისვენებ. (ჯდება) დავიღალე.

ანნა. (აღელვებული) ეს არის, ეხლა ვიღაც კაცი შემოვიდა და სამზარეულოში და ამბობს, რომ ჩვენი ალუბლის ბალი დღეს კიდეც გაყიდულა!

ლუბა ანდ. ვის უყიდნია?

ანნა. არ უთქვამს, ვის. წავიდა კიდეც. (დაიწეუბს ტრაფიმოვთან ცეკვას და თრივე ცეკვით გადიან).

თაშა. ვიღაც ბერიკაცი იყო და ის როშავდა.

ფირსი. ლეონიდ ანდრეები კი ჯერ არ მობრძანებულა. საზაფხულო პალტო აცვია, ერთიც ვნახოთ გაცივდეს. რა არის სიყმაწვილე!

ლუბა ანდ. შე ჩემი ღამემართება. წადიო, იაშა, და გა-მიგეთ ვინ იყიდა ჩვენი ალუბლის ბალი.

თაშა. ის ბერიკაცი, დიდი ხანია წავიდა, ქალბატონო. (იცინის).

ლუბა ანდ. (გულმოსული) აბა რას იტინი, იაშა? რა გიხარიან?

თაშა. მეტად სასაცილოა ეპიხოდოვი; — თავუკალიერია, ოცდა-ორი უბედურება.

ლუბა ანდ. ფირსო, მამული რომ გაგვიყიდონ, შენ სად წახვალ?

ფირსი. საღაც მიბრძანებთ, იქ წავალ.

ლუბა ანდ. რათა ხარ მაგნაირ სახეზე, ავად ხომ არა ხარ? წადი დაიძინე...

ფირსი. (ირონიულად) დიალ! მე რომ დავიძინო, მერე უჩემოდ აქ ვინ რას მოგართმევთ? ვინ რა თავ-დარიგს მისცემს? ერთად-ერთი მე ვარ მთელი სახლის-ყურის მგლებელი.

თაშა. (ლუბა ანდრევნას) ლუბა ანდრევნა! ნება მიბოძეთ, ერთი რამ გთხოვთ. ისეთი მოწყალება მოი-ლეთ, რომ, თუ ისევ პარიზში წახვიდეთ, მეც თან წამიყვანეთ. შეუძლებელია ჩემი აქ დარ-ჩენა. (აქეთა-იქით იხედება და წურჩულით) რალა თქმა გინდათ! თქვენც ხედავთ, რომ ეს ქვე-ყანა მეტად გაუნათლებელია, ხალხი მთლად გარყვნილი. საშინელი მოსაწყენია. სამზარეუ-ლოში ხომ კაცს მშიერსა ჰკლავენ. აქ კიდე ფირსმა გააჭირა საქმე, დადის და სულ რაღა-ცას ბუტბუტებს. გევედრები, მიყავი სიკეთე და თან წამიყვანე.

პიშჩიკი. (შემოდის) მშვენიერო, გთხოვთ, ცოტა ხანს ვალსი იცეკვოთ. (ლუბა ანდრევნა მისდევს. ცეკვა-გენ) მომხიბვლელი არსება ხართ, მაგრამ ას-ორმოც მანათს მაინც გამოგართმევთ. (გადიან ცეკვით).

თაშა. (მდერის) ვინ რა იცის ჩემი გულის დარდები.

(დარბაზში ვიღაც დახტის, ნაცრისფერ ცილინდრშია
და ჭრელ შარვალში გამოწუთბილი. ხმა: ვაშა,
ვაშა, შარლოტა კარლოვნა! შემთრბის დუნიაშა).

დუნიაშა. (შეჩერდება და პუდის იურის) ანნამ მიბრძანა,
იცეკვეო. მოცეკვავე კაცები ბლომად არიან
და ქალები—უოტაო. მე-კი ცეკვის ღროს
თავ-ბრუ მეხვევა და გული მიკანკალებს. ფირს
ნიკალაიჩ, ეს არის ახლა, ფოსტის მოხელეშ
ისეთი რამ მითხრა, რომ სული მიგუბდება.
(მუსიკა გაჩუმდება).

ფირსი. ისეთი რა გითხრა?

დუნიაშა. თქვენ სწორედ ვარდი ხართო.

იაშა. (ამთქნარებს) რა უზრდელობაა... (გადის).

დუნიაშა. როგორც ვარდიო... მე თითონ ზრდილობი—
ანი ქალი ვარ და საშინლად მიყვარს საალერ-
სო სიტყვები.

ფირსი. მე ვიცი, შენ სულ გაგიჟდები.

ეპიხოდოვი. (შემთდის) თქვენ, ავდოტია თეოდოროვნა,,
მგონია, ჩემი თვალით დანახვაც-კი აღარ გინ-
დათ... თითქმ მე რამე უბრალო ჭია ვიყო...
(თხრავს) ეჭ, ცხოვრებავ!..

დუნიაშა. რა გნებავთ?

ეპიხოდოვი. ეჭვი არა მაქვს, შეიძლება, თქვენ მართა-
ლიც იყოთ (თხრავს), მაგრამ, რასაკვირველია,
თუ ჩაუკვირდებით ამ საქმეს, გამოდის, — რომ
თქვენ,—მომიტევეთ რომ ამას ვამბობს, ბო-
დიშს ვიხდი მართლის თქმისათვის და,—ისეთ
გუნებაზე დამაყენეთ, რომ... მე კარგა ვიცი
ჩემი ბედის ამბავი, ყოველ დღე, უეჭველად

რამე უნდა შემემთხვევს. ამას-კი მე, დიდი ხანია, შევეჩვიე, ისე რომ, ჩემ ბედს გულგრილად შევყურებ. თქვენ პირობა მომეცით და თუმცა მე...

დუნიაშა. გთხოვთ, მაგაზე შემდეგ შოვილაპარაკოთ და ახლა-კი თავი დამანებოთ. ახლა მე ოცნებაში ვარ. (მარათს ათაშაშებს).

ეპიხოდოვი. ყოველ დღე, უჭიველად, რამე უბედურება მემართება. ამ ნება მომეცი, ისე გამოვსთქვა, მხოლოდ ვილიმები ხოლმე, თითქმის ვიცინი. . (დარბაზიდან ვართ კამთდის).

ვარო. შენ კიდევ არ წასულხარ, სვიმონ? ღმერთმანი ერთი ბეწვა პატივისცემა არა გაქვს. (დუნიაშას) გადი აქედან დუნიაშა. (იშიხთდოვს) ხან ბილიარდზე თამაშობ და ჯოხებს ამტვრევ, ხან სასტუმრო ათახებში დასეირნობ, თითქმ მოწვეული სტუმარი იყო!

ეპიხოდოვი. ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ თქვენ ნება არა გაქვთ ჩემის ჩეუბისა.

ვარო. მე კი არ გეჩხუბები, ისე გეუბნები. შენ აქეთი იქით სიარულის მეტი არა შეგიძლიან-რა. საქმეს ვერას აკეთებ. კანტორის მოხელე გვიჭირავს და, ღმერთმა იცის, რისთვის.

ეპიხოდოვი. (წერით) ვმუშაობ რასმე თუ არა, დავდინვარ საღმე, ვჭამ რასმე, ან ბილიარდს ვთამა-შობ თუ არა—ამის განსჯის ნება აქვს მხოლოდ შეგნებულს ადამიანს და ჩემს უფროს სებს.

ვარო. განა მანდამდისაც მიხვედი, რომ მაგაებს მიბედავ!

(უეტევით) როგორ მიბედავ?! მაშ მე შეუგნებელი აღამიანი ვარ? დამეკარგე აქედან! აშ წამში დამეკარგე!

ეპიხოდოვი. (ცოტა შემჯრთალი) უმორჩილესად გთხოვთ,
ცოტა ზრდილობიანად მელაპარაკოთ.

ვარო. (მოთმინებიდან გამოსული) ამ წამში დამეკარგე-
მეთქი აქედან. დამეკარგე! (ეპიხოდოვი შიდის,
ვართ უკან მისდევს) ოცდა-ორო უბედურებავ,
შენი ხსენება აღარ იყოს ამ სახლში. თვალით
აღარ დამენახო! (ეპიხოდოვი გადის. კუჭისიდან
ისმის მისი ხმა: იცოდეთ სასამართლოში გიჩივ-
ლები!) ისევ უკანა ბრუნდები? (ვართ აიღებს
ხელში ფირსის ჭოხს) წადი... წადი... წადი,
მე შენ გაჩვენებ სეირს... ისევ მოდიხარ?! მო-
დიხარ? მაშ ესეც შენ!.. (ჭოხს მოუქნევს. აშ
დროს შემოდის ლოპახინი).

ლოპახინი. უმორჩილესად გმადლობთ!

ვარო. (გაჭავრებით და დაცინებით) უკაცრავად.

ლოპახინი. არასფერს!.. გმადლობ კეთილი სალამისთვის.

ვარო. არა ლიჩს მადლობად. (შიდის. ისევ მიძრუნდება და
თანაგრძნებით) ხომ არა გატკინეთ-რა?

ლოპახინი. არა, არაფერია. ისე ცოტა მოზრდილი კო-
პი ამიბურცდა.

ხმა დარბაზიდან. ლოპახინი მოსულა! ერმილე ალექ-
სეიჩ!

პიშჩიკი. თვალით ვხედავ, მესმის მისი ხმა (ჭკოცნის ლო-
პახინის) კონიაკის სუნი გიდის, ჩემო კარგო,
ჩემო სულიკო! ჩვენც მხიარულად ვატარებთ
დროს. (შემოდის ლუბა ახდრუებნა).

ლუბა ანდ. მოხვედით, ერმილე ალექსიჩ? რად დაიგვიანეთ? ლეონილი რალა იქნა?

ლოპახინი. ლეონიდ ანდრეიჩი და მე ერთად მოვედით. ახლავე შემოვა...

ლუბა ანდ. რა ამბავია? იყო ვაჭრობა? სთქვით რალა!

ლოპახინი. (სიხარულს მაღავს. ცოტა დარცხვენიო) ვაჭრობა ოთხ საათზე გათავდა, მატარებელმა გამოგვასწრო და ათის ნახევრამდის მოგვიხდა ცდა. (გაჭირებით ამოისუნთქავს) უჟ! თავბრუ მეხვევა. (შემთდის გაეფი; მარჯვენა ხელში სავაჭროები უჭირავს, მარცხენა ხელით ცრემლს იწმენდავს).

ლუბა ანდ. ლეო, რას იტყვი? ჰა? (მოუთმენდად, ცრემლით) ღვთის გულისათვის, ჩქარა სთქვი.

გაევი. (დას არას ეუბნება. ფირს უქნევს ხელსახლცს და ტირილით) აპა, წაიღე... ამ კოლოფებში სხვა-და-სხვა-ზაირი თევზეულობაა. დღეს არაფერი არა მიქამია-რა! რაც მე ტანჯვა გამოვიარე! (ბიჭიარდის სათაში თანაბის კარი ღია, ასმის ბიჭიარდის ბურთების ტკაცა-ტკუცი და იაშას ხმა: „შვიდი და თვრამეტი“. გაევი შშვიდდება, ადარ სტირის) ძალიან დავიღალე. ფირსს, ერთი სხვა ტანისამოსი ჩამაცვი. (გადის თავის თოახში. ფირს უკან მისდევს).

პიშჩიკი. რა ამბავი მოხდა? გვიამბე რამე ვაჭრობისა.

ლუბა ანდ. გაიყიდა ალუბლის ბალი?

ლოპახინი. გაიყიდა.

ლუბა ანდ. ვინ იყიდა?

ლოპახინი. მე ვიყიდე. (პაუსა. ლუბა ანდრეეგნა შეტად სა-სოჭარევეთილია. მაგიდასა და სავარძელს შეა რომ

არ მდგარიეთ, ძირს დაუცემოდა. ვართ მოიხსნის წე-
ლიდან გასაღებებს. გადისფრის იატაკზე და გადის).

ლოპახინი.. დიალ, მე ვიყიდე. ლვოის გულისთვის დამა-
ცადეთ, ბატონებო, თავბრუ მეხვევა, ლაპა-
რაკს ვეღარ ვახერხებ... (იცინის) მივედით იმ
დროს, როდესაც ვაჭრობა დაიწყო და დერი-
განოვი უკვე იქა ბრძანდებოდა. ლეონიდ ანდ-
რეიჩის მხრილოდ თხუთმეტი ათასი მანეთი ედო
ჯიბეში. დერიგანოვმა კი, ვალს გარდა, ერთ-
ბაშად აცდა. ათი ათასი მეტი შეაძლია. რომ
დავინახე, საქმე ასე დატრიალდა, შევეჯიბრე—
გავხადე ორმოც ათასად. იმან თრმოცდა ხუ-
თი ათასი შეაძლია, მე თრმოცდა თხუთმეტი
ათასი. ის ხუთი ათასობით უმატებდა, მე ათი
ათასობით. ბოლოს გათავდა, ვალს გარდა და-
ვუმრტე ოთხმოცდა ათი ათასი და მამული მე
დამრჩა. ალუბლის ბალი ახლა: ჩემია, ჩემი!
(ხარხარებს) ღმერთო მაცხოვარო! ალუბლის
ბალი ჩემია!.. დამარწმუნეთ, რომ მთვრალი ვარ,
ან ჰკუაზე შეშლილი და ყველა ეს მებლანდე-
ბა. (ფეხებს ატუაპუნებს) ნუ ჯამცინით! ეხლა
რომ მამა-ჩემმა და პაპა-ჩემმა საფლავიდან წა-
მოიხდონ და ნახონ ეს ამბავი, ნახონ თუ მათ-
მა ნაცემ-ნატყეპმა, უსწავლელმა ერმილემ, რო-
მელიც ზამთრობით ფეხშიშველა დარბოდა
ხოლმე, სწორეთ იმ ერმილემ იყიდა ასეთი
მამული, რომლის უმშვენიერესი მთელს ქვე-
ყანაზე სრა მოიპოვება-რა! მე ვიყიდე ის მამუ-
ლი, საღაც სცხოვებდნენ ჩემი მამა-პაპანი,

როგორც უბრალო მონა-ყმანი. ამ მამულის პატრონები ჩემ მამა-პაპას სამზარეულოშიაც-კი არ უშვებდნენ! არა, მგონია მძინავს! მესიზ-რება ყველა ეს, მოჩვენებაა. ეს მხოლოდ თქვენი ფანტაზიის ნაყოფია, რომელიც საიდუმლოებით არის მოცული. (აიდეს გასაღებს და აჯარსითა და დიმილით) გადისროლა... ამით უნდა გამოაცხადოს, რომ ამ სახლში დიასახლისად აღარ არის... (აჩხავუნებს გასაღებს). ეჭ, რაც უნდა ქნას, სულ ერთია. (მუზიკას მართავენ, აჭრიჭინებენ). თქვენ ეი! მემუსიკებო! დაუკარით; მინდა ყური დაგიგდოთ! მოდით ყველა და ნახეთ ერმილე ლოპახინი, როგორ დაუწყებს ალუბლის-ხეებს ცულით ჭრას, როგორ დაეყრებიან ეს ხეები ძირს. ჩავამწკრივებ სააგარაკო სახლებს და აქ ჩვენი შვილები, შვილი-შვილები დაიწყებენ ახალ ცხოვრებას... მუსიკა, დაუკრით! (მუსიკა უკრავს. დუბა ანდრევ-ნა საფარებელში ზის და სტირის).

ლოპახინი. (საუგიდურით) რატომ არ გაიგონეთ ჩემი რჩევა, რატომ? ჩემო კარგო, ჩემო საბრალოვ, ეხლა ვეღარას უშველით. (ცრემლ-მორეული) ოხ, ნეტავი ჩქარა გაიაროს ამ დრომ, ჩქარა შეიცვალოს ჩვენი დაუწყობელი, უბედური ცხოვრება.

ჰიშჩიკი. (მელავს მელავში გაუურის და ხმა-დაბლა) ტირის... წავიდეთ დარბაზში, მარტო დარჩენა ურჩევ-ნიათ... წავიდეთ. (მიდიან და თან დაპარაკობენ).

ლოპახინი. რა ვუყოთ. მემუსიკებო, გარკვევით დაუკრით. ყველა ისე უნდა მოიქცეს, როგორც მე მსურს. (ირონიულად) მოდის ახალი მემულე, ალუბლის ბალის პატრონი! (უცაბედათ მიენდება სტოლს და კანდელიაბრებს კინაფაშ ჩამოაგდებს) ყველაფერს ვჰლამ! (გადის შიშინვთან ერთად. დათბასსა და სასტუმრო თაასში არავინ არის, ღუბა ანდრეჯნას გარდა, რომელიც მოკუნტული ზის სავარძელში და საცოდაფად სტირის, მუსიკა ნელ-ნელა უბრავს. საჩქაროდ შემოდან ანსა და ტრიტოიმფით. ანსა მაუსხლოვდება ღედას და მის წინ დაიჩქებს. ტრიტოიმფი შემოსაფალ კართან განერდება).

ანნა. დედა!.. დედა, სტირი? ჩემო საყვარელო, კარგო, კეთილო დედა, ჩემო მშვენიერო, მე შენ მიყვარხარ... ალუბლის ბალი. გაიყიდა, ჩენი ალარ არის, ეს მართალია, მართალი, მაგრამ ნუ სტირი, ჩემო დედა. შენ ჯერ კიდევ მთელი ცხოვრება გაქვს. შენ ჯერ კიდევ გაქვს შენი კეთილი წმინდა გული... წამოდი ჩემთან, წავიდეთ აქედან, ჩემო საყვარელო, წავიდეთ... ჩენ გავაშენებთ ახალ ბალს, ბევრით ამ ბალზე უკეთესს. შენ ნახავ, ჩემო დედა, ამ ახალ ბალს, ახალ ბეღნიერებას. მზის სხივებსავით ბრწყინვალე სიხარული მოეფინება შენს გულს და შენც ღიმილით მიეგებები ამას, ჩემო საყვარელო დედავ! წამოდი, ჩემო ძვირფასო, წავიდეთ!..

მოქმედება მეოთხე.

(დეკორაცია პირველის მოქმედებისა. ჩამოლებულია ფანჯრებიდან ფარდები და კედლებიდან სურათები. დატოვებულია ცოტა-ოდენი ავეჯი, რომლებიც, თითქო გასაყიდია, კუთხეშია მოგროვილი. სახლი სულ დაცალიერებულია. გასავალ კარიდან, სცენის სილრმეში მოჩანს ჩემოდნები, ბოხები და სხვადასხვა სამგზავრო სამზადისი. მარცხენა კარი ღიაა, იქიდან მოისმის ანასი და ვაროს ხმაურობა. ლოპახინი გაჩერებულია. იაშას ხელში უჭირავს ფოლნისი, რომელზედაც შამპანიურით სავსე ჭიქები აწყვია. დერეფან-ში ეპიხოდოვი სკივრს თოკებს უჭერს. სცენის გარედ გლეხები ხმაურობენ, რომლებიც გამოსათხოვრად მოსულან. გაევის ხმა: «მადლობელი ვარ, ჩემო ძმებო, მადლობელი!»).

იაშა. გლეხკაცობაა, გამოსათხოვრად მოსულა. უნდა მოგახსენოთ ჩემი აზრი, ერმილე ალექსეიჩ, რომ ეს გლეხკაცობა, მართალია, გულკეთილი ხალხია, მაგრამ ბევრი არა ესმის-რა, გაუნათლებელია. (ხმაურობა შეწყდება. დერეფნიდან შემოდიან დუბა ანდრეევნა და გაევი. დუბა ანდრეევნა, თუმცა აღარ სტირის, მაგრამ ფერ-მკრთალია. სას ხე უკანეალებს, ვერ დაპარაკობს).

გავვი. ლუბა, რა ჰქენი, სულ რათ მიეცი, რაც ქისაში გქონდა! ეგრე როგორ იქნება, როგორ შეიძლება!

ლუბა ანდ. უარის თქმა ვერ შევიძელ და რა ვქნა! (თრივე გადიან).

ლოპახინი. (შისლევს გარებამდის) მობრძანდით, უმორჩილესად გთხოვთ, თითო ჭიქა მიირთვით. გამო-

თხოვებისას, მხოლოდ თითო ჭიქა. ქალაქიდან ვერ წამოვიდე შამპანიური, დამავიწყდა და აქ, საღვურზე, მხოლოდ ერთი ბოთლი ვიშოვე. მობრძანდით!.. (ჰაუზა) რა ამბავია, ბატონებო! არ გნებავთ? (მოშორდება კარებს) ასე რომ მცოდნოდა, არ ვიყიდდი, მაშ არც მე დავლევ. (იაჲა ფრთხილად სდგამს შაგიდაზე ფოდნოს) იაშა, შენ მაინც დალიე.

იაშა. წამსვლელთ გზა მშვიდობისა, თქვენ კი ბევრიერად ბრძანდებოდეთ. (სვამს) ეს, მერწმუნეთ, ნამდვილი შამპანიური არ არის.

ლოპახინი. ბოთლი რვა მანეთიანია. (ჰაუზა) რა ოხერი სიცავეა!

იაშა. დღეს ბუხრები არ დაგვინთია. მაინც წასვლას ვაპირობთ (იცინის).

ლოპახინი. რას იცინი?

იაშა. ეს სიხარულისაგან მომდის.

ლოპახინი. ოქტომბერში და ასეთი წყნარი, მზიანი დღეები! თითქო ზაფხულიაო! ასლი შენობის ღროა. (საათს დახედავს) ბატონებო, იცოდეთ, მატარებლის წასვლამდის ორმოცდა ექვსი წამი-ლა დარჩა. ასე რომ ორი წამის შემდეგ უნდა საღვურზე წახვიდეთ, დაეჩქარეთ. (ტრავი-მომი ეზოდან ჰალტოთი შემოდის)

ტრავიმოვი. მე მგონია, წასვლის ღროა. ცხენები მზად არის. (კარებიდან უძახის) ანნა, ჩემი კალოშები არსადა სჩანს, ვერ ვიპოვე.

ლოპახინი. ხარკოვში საქმე მაქვს და მეც თქვენთან წამოვალ. ერთი მატარებლით წავალთ. იქ მოელს

ზამთარს დავრჩები. ეს რამოღენი ხანია სულ-
თქვენთან ვტრიალებ და მომკლა უსაქმურობამ.
უსაქმოდ ყოფნა არ შემიძლიან. ტყუილ უბრა-
ლოდ დავაქნევ ხელებს, რა ვუყო, არ ვიცი,
ასე მგონია ჩემები არ არიან-მეთქი.

ტროფიმოვი ჩვენ ეხლავე წავალთ და შეგიძლიანთ, თქვენ
სასარგებლო მუშაობას მიჰყოთ ხელი.

ლოპახინი. ერთი ჭიქა მაანც დალიე, კაცო!

ტროფიმოვი. არ მინდა.

ლოპახინი. მაშ ეხლა მოსკოვში მიღიხარ?

ტროფიმოვი. დიახ, ჯერ მაგათ ქალაქამდის მივაცილებ:
და ხვალ მოსკოვში წავალ.

ლოპახინი. ღიაღ... პროფესორები ლექციებს არა კი-
თხულობენ თურმე, შენს მისვლას ელიან.

ტროფიმოვი. ეგ შენი საქმე არ არის.

ლოპახინი. რამდენი წელიწადია, რაც უნივერსიტეტში
სწავლობდ?

ტროფიმოვი. იხალი რამე სთქვი. ეგ ოხუნჯობა დაძვე-
ლებულია, კბილ-ჩივარდნილი. (კალქებს ექებს)
იცი, რა გითხრა? შეიძლება, ერთმანეთი ველარც
კი ვნახოთ და ამიტომ, გამოთხოვების დროს,
მოდი ერთ რჩევას მოგცემ: ნუ იცი ეგ ხელე-
ბის ქნევა, გადაეჩვიე მაგ უცნაურს ჩვეულე-
ბას. ამას გარდა, რომ აგიხირებია, სააგარაკო-
სახლებს ავაშენებო, ყველა მოაგარაკე კარგი
მემამულე იქნებაო, ესეც ხომ შენი ხელების
ქნევასა ჰგავს. რაც უნდა სთქვა, მაინც მიყვარხარ.
შენ არტისტივით მეტად სათუთი და შუშა თი-
თები გაქვს და სუფთა და ნაზი გული.

ლოპახინი. (ეხვევა) მშვიდობით, ჩემო გვრიტო, ყველა-
ფრისტვის მაღლობელი ვარ. თუ საჭიროა შე-
ნთვის სამოგზავრო ფული, მითხარი და მოგცემ.

ტროფიმოვი. რა საჭირო! არ მინდა.

ლოპახინი. ამჟამად ხომ არა გაქვს ფული?

ტროფიმოვი. გმაღლობ, როგორ არა მაქვს, თარგმანებ-
ში მივიღე. აგერ, აქა მაქვს, ჯიბეში. (შეშფო-
თებით) კალოშები არსადა სჩანს.

ვარო. (ოთახიდან ისხის) წაიღეთ ეს თქვენი ჯლანები.
(გადმისევრის სცენაზე ერთ წევილ ძველ კა-
ლოშებს).

ტროფიმოვი. რა გაჯავრებთ, ვარო! მ... მ... ეს ხომ
ჩემი კალოშები არ არის.

ლოპახინი. გაზაფხულზე ორი ათასი ზღიური ხაშხაში
დავთესე და ეხლა ორმოცი ათასი წმინდა მო-
გება დამრჩა. როდესაც ყვაოდა, უნდა გენახა,
რა მშვენიერი სანახავი იყო! პო და, იმას გეუ-
ბნები, ორმოცი ათასი მოვიგე-მეთქი და, თუ
საჭირო იყოს ფული, ისესხე ჩემგან, ეს იმიტომ,
რომ შეძლება მაქვს. რას იპრანჭები, ალალის
გულით გეუბნები, მე უბრალო გლეხი ვარ.

ტროფიმოვი. მამაშენი უბრალო გლეხი იყო, მამაჩემი
მეატოთიაქე! მერე ეგ ჩა შუაშია!.. (ფოზახინი
ფულის ქისას ამთიღებს უბიდან) დაანებე თავი,
დაანებე. ორასი ათასიც რომ მომცე, არ გამო-
გარომევ. მე თავისუფალი კაცი ვარ და რასაც
თქვენ, მდიდრები თუ ღარიბები ისე დიდათ
აფასებთ, ჩემზე იოტის ოდენათაც არ იმოქმე-
დებს. უთქვენოთაც იოლად წავალ. მე ძალა

მაქვს და სიამაყე. კაცობრიობა — მიისწრაფვის
უმაღლეს სიმართლისაკენ, ბედნიერებისაკენ,
როგორც კი შესაძლებელია ამ ქვეყნად, და მე
ამ კაცობრიობის პირველ რიგში ვურევივარ.

ლოპახინი. მიაღწევ კი იქამდის?

ტროფიმოვი. მივაღწევ... (ზაუზა) მივაღწევ, ან და სხვებს
გავუკვალავ გზას (ხეებს სჭრიან და შისი ხშა
შორიდან შეაფილდ გაისმის).

ლოპახინი. მშვიდობით, ჩემო კარგო. წასვლის დროა.
ჩვენ ერთმანეთს ცხვირს ვუბზუებთ და სიცო-
ცხლე კი თავისს-თავად გარბის. როდესაც
ბევრს ემუშაობ, აზრებიც უფრო თავისუფლად
მოქმედებენ და ამდროს თითქო მეც მესმის
ხოლმე, რისავისაც ვცხოვრობ. ეჭ, ჩემო ძმაო,
რამდენი ხალხია რუსეთში, რომლებიც, არავინ
იცის, რისთვის სცხოვრებენ. მაგრამ საქმე ამაში.
არ არის, ამბობენ, ლეონიდ ანდრეევიჩმა ბანკში
სამსახური იშოვა. ექვსასი თუმანი ჯამაგირი
ექნებაო... მაგრამ განა ის ერთ ადგილს გას-
ძლებს! მეტად ზარმაცი კაცია!

ანა. (კარებიდან იძახის) ერმილე ალექსეიჩ, დედამა გთხო-
ვათ, მანამ წავიდოდე, ალუბლის ბალის ჩეხას
თავი დაანებებინეთო.

ტროფიმოვი. ნუ თუ მართლა იმდენი მოფიქრება აღარა
გაქვთ!.. (კადის).

ლოპახინი. ეხლავ შევაჩერებ, ეხლავ... ეჭ, რა ხალხია!
(კადის).

ანა. ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში?

იაშა. მე დილითვე ვუთხარი და ალბად წაიყვანდნენ.

ანნა. (ების დღოვს, რომელიც სცენაზე გაივლის) სვიმონ
პანტელეევიჩ, შეიტყეთ, გეთაყვა, ფირსი წაი-
ყვანეს თუ არა სავადმყოფოში.

იაშა. (წევნით) დილას მე ვუთხარი იაგორას, რაღა ათას-
ჯერ კითხულობთ!

ეპიხოდოვი. მრავალ წლოვანი ფირსი, ჩემის აზრით, და-
საკერძლად აღარ ვარგა. ის უნდა თავის-
მამაპაპასთან გაისტუმროთ. მე შევნატრი იმის
ბედს. (ჩემთვალის დაადებს შედაბატის კურდონს და
გასტეხს). აი, ბატონებო. მე კი არ ვძლილი!
(გადის).

იაშა. (დაცინვით) ოცდა-ორი უბედურება.

ვარო. (გარედან იძახის) ფირსი წაიყვანეს საავადმყოფოში?

ანნა. წაიყვანეს.

ვარო. მერე ექიმთან წერილი რატომ არ წაიღეს.

ანნა. მაშ საჩქაროდ უნდა დავადევნოთ კაცი (გარბის).

ვარო. (გარედან ჭე) იაშა სად არის? უთხარით, რომ დედა-
მისი მოვიდა გამოსათხოვრად.

იაშა. (ხელებს გაიქნევს) მოთმინებიდან გამოიყვანენ კაცსა.

(ღუნიაშა ბარგთან ფათურიბს და, რომ დაინახავს
იაშა შარტო დარჩა, მიგა შასთან).

დუნიაშა. იაშა, ერთხელ მაინც გადმოიხეთეთ ჩემსკენ...

მიღიხართ... მტოვებთ... (ტირილით მოჟგვევა
უელზე).

იაშა. რა გატირებს? (სგამს შაშქნიურს) ექვსი დღის შემ-
დეგ ისევ პარიზში გავჩნდები. ხვალ ჩავსხდე-
ბით მსწრაფლ მატარებელში და გავსწევთ.
თითქოს როგორლაც არა მჯერა. „ვივ ლა-
ფრანს“. აქ, ცხოვრება რა ჩემი საქმეა, ვეღარ

გავძლებ... ვერას გავაწყობ. მეყო, რაც აქ სიბრიყვე ვნახე. (სვამი შაშანიუნი) რა გატირებს, დუნიაშა? პატიოსნურად მოიქეც და სატირალი არა გექნება-რა.

დუნიაშა. (სარბეში იუურება და შედრს იურის) წერილი მომწერეთ ხოლმე პარიზიდან. მე ხომ თქვენ მიყვარდით, იაშა, ძალიან მიყვარდით! მეტად ნაზი აგებულებისა ვარ, იაშა!

იაშა. სსსუ! მოდიან. (ჩემთდანთან ფათურობს და ნელის ხმით ღიღიჩებს. შემთდიან დუბა ანდრეავნა, გაეგი, ანნა და შაჟლიტა).

გაევი. წასვლის დრო. ცოცა დრო-ლა დარჩა. (იაშას შესცეკის) რა სელიოტკის სუნი მოდის?

ლუბა ანდ. ათი წამის შემდეგ ავდგეთ და გავუდგეთ გზას. (აქეთ-იქით იცქირება) მშვიდობით, ჩემო საყვარელო სახლო, ჩემო სამშობლოვ! გაივლის ზამთარი, დადგება გაზაფხული და შენი ხსენება გაპქრება, დაგანგრევენ. რამდენი რამის მომსწრეა ეს კედლები? (ჭკოცნის ქალს გატაცებით) ჩემო საუნჯევ, შენ მხიარულადა ხარ, თვალები ალმასებივით გიბრწყინავს. კმაყოფილნი ხარ, შვილო? ძალიან?

ანნა. ძალიან, დედა. ახალი ცხოვრება იწყება ჩემთვის.

გაევი. (შხიარულად) მართლაცა და ეხლა ყველაფერი კარგათაა მოწყობილი. მანამ ალუბლის ბალი გაიყიდებოდა, ჩეენ ყველა ვშფოთავდით, ვით ტანჯებოდით. და, როდესაც საქმე საბოლოოდ გადაწყდა, როდესაც დავრწმუნდით, რომ სა-

ქმეს ალარა ეშველება-რა, ყველა დავმშვიდლით, თითქმის კიდევაც გავმხიარულდით... მე ეხლა ბანკის მოხელე ვარ, ფინანსისტი... ჯელთი ვъ середину და შენც, ლუბა, რაც გინდა სთქვი; ეხლა ბევრით უფრო უკედ გამოიყურები.

ლუბა ანდ. მართალი ხარ, ეხლა უფრო დამიშვიდდა ძარღვები. (მოუტანენ ქუდისა და პალტის) უფრო კარგათ მძინავს ხოლმე. გაიტანეთ ჩემი ბარგი, იაშა, დროა. (ანნას) ჩემო გოგონა, როდის-ლა ვნახავთ ერთმანეთს... მე პარიზში მივდივარ იმ ფულით, რომელიც იაროსლავიდან პაპიდა-შენმა გამოგზავნა მამულის დასახსნელად. გაუმარჯოს პაპიდას... თუმცა დიდხანს კი არ იკმარებს ეს ფული...

ანნა. შენ მალე უნდა დაბრუნდე, დედი ლო, ძალიან მალე—ხომ დედა? მე მანამდის მოვემზადები; დავიჭერ გიმნაზიაში ეგზამენს და მერე დავიწყებ მუშაობას. მოგეხმარები ყველაფერში, ჩემო დედილო, ერთად დავიწყებთ ხოლმე წიგნების კითხვას... არა, დედა? (ჩელზე ჰქოცის) შემოდგომის ღამეები დიდია, ბევრს წიგნებს წავიკითხავთ. ერთის სიტყვით, ახალსა და შშვენიერს ცხოვრებას დავიწყებთ... (ოცნების) უთუოდ მალე მოდი, დედა.

ლუბა ანდ. მოვალ, ჩემო ბრილიანტი, მოკალ. (ეხვევა ანნას) შემოდიან ლოპახინი, შარლოტა, რომელიც ნელის ხმით დიდინებს).

გაევი. რა ბედნიერია შარლიატა, რომ ემდერება!

შარლოტა. (აიღებს ბოხჩას, რომელიც ისე გრძლად არის შეგრული, თითქმ ბავშვი შეუხვევიათო) ნანა, ნანა, ჩემო შვილო... (თითქმ ბავშვი ტირისო: უა, უა, უა!) გაჩუმდი, ჩემო კარგო, ჩემო საყვრელო ბიჭიკო. (უა, უა, უა!) უჲ, რა მეცოდები! (გადააგდებს ბოხჩას თავის ადგილს) გეთაყვა, ალაგი მიშოვეთ სადმე. ასე დარჩენა არ შემიძლიან.

ლოპახინი. გიშოვით, გიშოვით, შარლოტა ივანოვნა, მაგაზე ნუ სწუხართ.

გაევი. ყველა თავს გვანებებს. ვაროც მიღის. ერთის სიტყვით, ალარავის ვუნდივართ. (შემთდის შიშვივი)

ლოპახინი. საკვირველებავ ბუნებისავ!..

პიშჩიკი. (ქშენით) ოჲ, დამაცადეთ, სული მოვიბრუნო... დავიტანჯე, ბატონებო... წყალი... წყალი მომწოდეთ.

გაევი. კიდევ ფულისთვის მოსულხარ? ვერ მოგართვი. (გადის)

პიშჩიკი. რამდენი ხანია. თქვენსა ალარა ვყოფილვარ, უუმშვენიერესო... (ლოპახინის) აქა ხარ... რა მიხარიან შენი ნახვა... დიდი ჭკვიანი კაცი ხარ... ინებე... მიიღე .. (აძლევს ფულს) ოთხანი მანეთია... კიდევ დაზჩება ჩემზე რვაას ორმოცა.

ლოპახინი. (გაგვირშებული) სიზმარში ხომ არა ვარ!.. საღიშოვე?

პიშჩიკი. დამაცადე... უჲ, მცხელა... მოულოდნელი შემთხვევაა... მოვიზნენ ვიღაც ინგლისელები

და ჩემს მამულში რაღაც თეთრი თხხა ამოა-
ჩინეს... (ღუბა ანდრევნას) აი თქვენც ოთხასი...
უუმშვენიერესო... შეუდარებელო... (აძლევს
ფუდს) დანარჩენიც შემდეგ. (სვამს წყალს) ეს-
არის ეხლა, რკინის გზაში ერთი ყმაწვილი კა-
ცი გვიამბობდა, ვითომ ვიღაც... დიდი ფილო-
სოფოსი ასეთს რჩევას იძლევა: ბანიდან ძირს
ჩამოხტითო. „ჩამოხტით“ — ამაშია მთელი ცხოვ-
რების საგანიო. (გაფცებული) თქვენ წარმოიდ-
გინეთ!.. წყალი!..

ლოპახინი. ვინ ინგლისელები არიან?

პიშჩიკი. თიხიანი მიწები მივეცი იჯარით ოცდა-ოთხის
წლით... ეხლა-კი უკაცრავად, არა მცალიან...
უნდა ახლა სხვაგან გავიძეცე... ჯერ წავალ
ზნოიკოვთან. მერე კარდამინოვთან... ყველასი
მმართებს. (სვამს) მშვიდობით ბრძანდებოდეთ...
ოთხშაბათს კიდევ შემოვალ.

ღუბა ანდ. ჩვენ ეხლავე სრულიად გადავდივართ ქალაქ-
ში, ხვალ-კი მე საზღვარ გარეთ მივდივარ.

პიშჩიკი. (ჟეშფოთებით) რაო! ქალაქში რაღათ? განა არა,
რომ დავინახე ბარგი შეკრული... ჩემოდნები...
მაგრამ არაფერია. (ცრემლით) არაფერია... ეს
ინგლისელები... დიდი ჭკუის პატრონები არი-
ან. . არაფერია... ბედნიერად ბრძანდებოდეთ...
ღმერთი მოწყალეა... არაფერია... ამ ქვეყნად
ყველათერს დასასრული აქვს... (ხელზე ჭკოც-
ნის ღუბა ანდრევნას) როდესაც გაიგოთ, რომ
ჩემი აღსასრული დღე დადგა, მაშინ მოიგონეთ-
ეს, ეს... ცხენი და სთქვით: სცხოვრობდა

ქვეყნად ესა და ეს აღამიანი-თქო!.. შესანიშნავი ლარია... ლიალ... (გადის აღელვებული, ისევ ბრუნდება და კარებიდან ისახის) ჩემმა დაშაბთავი დაგიკრათ. (გადის).

ლუბა ანდ. ეხლა კი წავიდეთ. მივდივარ და ორი დარდი მიმდევს. პირველი საცოდავი ავადმყოფი ფირსი და.. (დახედავს საათს) შეიძლება კიდევ ხუთს წამს დავრჩეთ?

ანნა. დედა, ფირსი უკვე საავადმყოფოშია. დილას იაშამ გაგზავნა.

ლუბა ანდ. მეორე ჩემი დარდი ვაროა - ის აღრე ადგომასა და შრომას არის შეჩვეული და ახლა იმისი მდგომარეობა ისე იქნება, თევზი რომ უწყლოთ დასტოვოთ. საცოდავი, გახდა, გაყვითლდა და სულ ტირის... (პაუზა) თქვენ ეს კარგად იცით, ერმილე ალექსეიჩ! მე სულ იმას ვნატრობდა, რომ ვარო თქვენთვის მომეთხოვებინა და თქვენც თითქო გატყობით, რომ სურვილი გქონდათ... (ანნა რაღასაც უჩურჩუდებს, ისიც შარლოტას ანიშნებს და ორივენი გადიან) ვაროს უყვარხართ თქვენ, ერმილე ალექსეიჩ, თქვენც ხომ მოგწონთ და არ მესმის, რაღად ერიდებით ერთმანეთს. სწორედ არ მესმის.

ლოპახინი. სწორედ რომ გითხრათ, მეც თითონ არ მესმის. უცნაურია ჩვენი საქმე... და თუ კიდევ მოხერხდება, მე მზათა ვარ, აი, თუნდ ახლავე... მოვრჩეთ ბარემ უცებ და ის იქნება... მე ვგრძნობ, რომ უთქვენოთ ვაროსთან საქმეს ვერ გავათავებ.

ლუბა ანდ. ძალიან კარგი, ძალიან... ერთი წამის საქ-
მეა. ახლავ დავუძახებ.

ლოპახინი. შამპანიურიც მზად არის. (ჭიქებს ათვალიერებს)
ცალიერებია! ვიღასაც დაუცლია? (აა'ძა ახვე-
ჭებს) რომ იტყვიან, გამოლოკაო, სწორედ ისეა!

ლუბა ანდ. (მხიარულად) ძალიან კარგი, ახლავე წავალ...
იაშა, გამომყე, ახლავე ვაროს დავუძახებ. (კარე-
ბილან გასძახის) ვარო, დაანებე ყველაფერს. თა-
ვი და აქ მოდი. (ლუბა ანდრეებსა და იაშა გა-
დიან).

ლოპახინი. (საათსა შინჯავს) დიალ!.. (ჰაუზა. კულისებში-
ისმის თავდაჭერილი სიცილი, ჩურჩული. ბრუნვის
შემთდის ვარო).
ვარო. (დიდხანს შინჯავს ბარგს) საოცარია, რომ არსაღა-
სჩანს!..

ლოპახინი. რას ეძებთ?

ვარო. თითონ მე ჩავალაგე და ახლა აღარ მახსოვს, საღ-
არის? (ჰაუზა)

ლოპახინი. ბარბარე მიხეილის ასულო, ახლა თქვენ
საით აპირობთ?

ვარო. მე? რაგულინისას გადავდივარ. გავურიგდი კი-
დეც. სახლის საქმეებს უნდა ვუგდო ყური...
წეს-რიგის მიმცემად უნდა ვიყო.

ლოპახინი. იაშნევში? აქედან სამოცდა-ათი ვერსტი
იქნება. (ჰაუზა) გათავდა რალა ამ სახლში
ცხოვრება.

ვარო. (ათვალიერებს ბარგს) რა იქნა, რა ვქნა!.. იქნება
სკივრში ჩავდე!.. დიალ, ამ სახლში ცხოვრება
გათავდა... .

ლოპახინი. მეც ეხლავე ხარკოვში მივდივარ... ამ მატა-
რებლით... რამდენი საქმე მაქვს. სახლსა და კარს
ეპიხრდოვს ვაბარებ. გავურიგდი კიდეც.

ვარო. ჰო...

ლოპახინი. შარშან ამ დროს თოვლი იყო, ხომ გახსოვთ?
ახლა-კი რა მშვენიერი დარია, მზიანი. ეს არის
რომ, ცოტა სიცივეა.. სამი გრადუსია ყინვა.
ვარო. არ მინახავს. (ჰაუზა) ჩვენი გრადუსნიკი გატყდა
კიდეც: (ჰაუზა. გარედან ისმის ხმა: ერმილე
ალექსეიჩ, ერმილე ალექსეიჩ!).

ლოპახინი. (თითქო სული-სულზე ეჭოდა ამ დაძახებას).
ამ წამში მოვდივარ. (საჩქაროდ კანბის. ვართ
ქირს იატავზე დაჯდება, თავს ტანისამთხის ბოლ-
ჩაზუ დადებს და ჩუმად სტირის. შემთდის ლუბა
ანდრეევნა).

ლუბა ანდ. რაო? (ჰაუზა) წასვლის დროა.

ვარო. (აღარ სტირის, ცრემლებს იწმენდს) დროა, დედი-
ლო. რაგულინისასაც დღესვე მოვასწრებ წას-
ვლას. ნეტა მატარებელმა არ გაგვასწროს...

ლუბა ანდ. (კარებიდან იძახის) ანნა, ჩქარა ჩაიცვი. (შე-
მთდის ანნა, შემდეგ გაევი და შარლოტა. გაევს
თბილი ჰალტო აცვია, უეფზე უაბალახი ახვევია.
შემთდიან მოსამსახურეები, შეეტლეუბი. ბარგთან
ეპიხოდოვი ტრიალებს).

ლუბა ანდ. ახლა-კი შეიძლება გავემგზავროთ.

ანნა. (სიხარელით) გავემგზავროთ, დედილო!

გაევი. ჩემო მეგობრებო, ჩემო ძვირფასო, საყვარელო
მეგობრებო! როდესაც ამ სახლს საუკუნოდ
ვეთხოვები, არ შემიძლიან გავჩუმდე, შევიკა-

ვო თავი და გამოთხოვების დროს არ გამოვს-
თქვა ორიოდე სიტყვით ის გრძნობა, რომ-
ლითაც სავსეა ჩემი გული, მთლად ჩემი არ-
სება...

ანნა. (მუდარებით) ძია!

ვარო. ძია, აბა რა საჭიროა!

გაევი. (მორჩილად) დუპლეთო ჯელთაგი ვъ середину...
ვჩუმდები. (მემფდის ტრაფიმფვი. მერე დოპა-
სინი).

ტროფიმოვი. რას აპირობთ, ბატონებო, წასვლის დროა.
ლოპახინი. ეპიხოდოვო, ჩემი პალტო!

ლუბა ანდ. ერთ წამს კიდევ დავჯდები. თითქო წინად
არ მენახოს, ამ სახლს როგორი კედლები და
ჭერი აქვს, ახლა ისე ხარბად და სიყვარულით
შევსცერი.

გაევი, მე რომ ექვსი წლისა ვიყავი, მახსოვს, სამებობა
დღე იყო, აი, აქ, ამ ფანჯარასთან ვიჯექი და
ვუყურებდი, მამაჩემი რომ საყდარში მიღიოდა.

ლუბა ანდ. უველა ბარგი ჩაალაგეთ?

ლოპახინი. მგონა, ყველაა. (ეპიხოდოვი ჰალტოს აცმევს)
შენ, ეპიხოდოვო, ყველაფერს კარგად უგდე
ყური, არა დაიკარგოს-რა.

ეპიხოდოვი. (მორჩილად, ხმა-წასული) არხეინად ბრძანდე-
ბოდეთ, ერმილე ალექსეიი.

ლოპახინი. ხმა რად წაგსვლია?

ეპიხოდოვი. ახლა წყალი დავლიე და რალაც ჩავატანე.

თაშა. რა გაუნათლებლობაა!

ლუბა ანდ. ჩვენ წავალთ და აღამიანი აღარ დარჩება
ავ სახლში.

ლოპახინი. გაზაფხულამდის.

ვართ. (უცებ გამოაძრობს ქოლგას ბოხჩიდას და დატორტე-
მანდება, თითქოს უნდა წაიქცესო. ლოპახინი ისეთს
სახეს დაიჭირს, გითომ შეეშინდა) რა იყო, რისა
შეგეშინდათ? არაფერი...

ტროფიმოვი. ბატონებო, წამობძანდით, ჩასხედით ეტლში,
ღროა. საკაა, მატარებელი მოვა.

ვართ. პეტრე, აი თქვენი კალოშები, ჩემოდნის გვერდით
აწყვია. (ცრუშლით) რა ძველები და უუჭყია-
ნებია!..

ტროფიმოვი. (იცვამს კალოშებს) წავიდეთ, ბატონებო.

გაევი. (დიდათ შეშფოთებულია. ფთხილობს არ იტიროს) მა-
ტარებელი... საღვური... კრუავე სერедину,
ბჟალი დუპლეთო ვЪ үголъ...

ლუბა ანდ. აბა წავიდეთ.

ლოპახინი. ყველანი აქა ხართ? იქ ხომ აღარავინ არის?
(ჰეჭავს მარცხნივ კარს) აქ ბარგი ალაგია და
უნდა დავკეტო. ახლა კი წავიდეთ.

ანნა. მშვიდობით, სახლო, მშვიდობით; ძველებურო ცხოვ-
რებავ!

ტროფიმოვი. გაუმარჯოს ახალ ცხოვრებას! (გადის ან-
ნასთან ერთად. გართც აქეთ-იქით იხედება, აოვა-
ლიერებს თთანს და ნელ-ნელა გადის. გადის ააშა
და შარლოტაც, თავისი ძაღლით).

ლოპახინი. მაშვაზაფხულამდის... მიბძანდით ბატონებო...
ნახვამდის... (გადის. ლუბა ანდრეევნა და გამვი
ორნი დარჩებიან სცენაზე და, თითქო ამას ელოდ-
ნენო, გადახვევევიან ერთმანეთს და თავდაჭრით
ქვითინებენ. ეშინიანთ, არავინ შეგვამჩნიოს).

გაევი. ჩემო ლუბა, ჩემო დაო!..

ლუბა ანდ. ოხ, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო,
მშვენიერო ალუბლის ბალო!.. ჩემო სიცო-
ცხლევ, ჩემო სიყმაწვილევ, ჩემო ბეჭნი-
ერებავ! მშვიდობით!.. მშვიდობით.

ანნა. (მხიარულად იძახის) დედა!..

ტრაფიმოვი. აუჟ!..

ლუბა ადნ. უკანასკნელად უნდა დავათვალიერო, კედ-
ლები, ფანჯრები... ამ ოთაბში უყვარდა: გან-
სვენებულ დედაჩემს სიარული... .

გაევი. ჩემო დაო!.. ჩემო დაო?..

ანნა. დედა!..

ტრაფიმოვი. მოვდივარ, მოვდივარ. (გადიან. სცენა დაცა-
ლიერდება. ზიმის კარებების პეტვის ხმა, შემდეგ
ეტლების წასვლისა. სიჩუმე). ამ სიჩუმეში გაისმის
ცულის ხმა. ხეებსა სჭრიან. ეს ხმა ისმის ურუთ,
სამწუხაროდ. მარჯვნივ კარით მოისმის ფეხის ხმა.
გამოჩნდება ფირსი, ჩვეულებრივის ტანისამოსით.
ფეხზე ბათინგები აცვია. ავადმუოფია).

ფირსი. (მიღის კარებთან და სცდილობს გაადოს) დაკეტი-
ლია... წასულან. (ჯდება დივანზე) მე კი აღა-
რავის მოვაფონდი... არაფერია... აქ დავისვე-
ნებ... ლეონიდ ანდრეიჩს უთუოდ ქურქის წა-
მოსხმა დაავიწყდა, პალტოოთი. წავიდოდა...
(შეწუხებულია. ფხრავს) მე-კი ყური ველარ ვუგ-
დე... ოხ ქარიანო სიყმაწვილევ!... (გაუგებრად
ბუტბუტებს) წავიდა სიცოცხლე... თითქო არც
კი მიცოცხლია... (წვება) წამოვწვები... ძალა-
ალარა გაქვს, ჩემო თავო, აღარაფერი დაგრჩე-

ნია, ალარაფერი... ეჭ, მოუშუშავო!.. (წევს
გაუნძრევდად. გაისმის შორიდან ხმა, თითქოს სი-
მი გაწედათ, ხმა მწეხარე, ურუ. სიჩუმეა. მხო-
ლოდ გარედან ისმის ცელის ხმა, ხეების სჭრიან).

(ვ ა რ დ ა).

საერობო თვითმმართველობა

დ ۱

საერობო დებულება 1864 წლისა.

I.

ერობის დამახასიათებელი თვისებები.

საერობო თვითმმართველობა იგულისხმებს ბდგილობრივ საჭიროებათა და კმაյლიფილებას ადგილობრივ მცხოვრებ-ლებისაგან ადგილობრივის საშუალებით. ეს სამგებარი აღგი-ლობრივობა შეაღენს ერობის დამახასიათებელს თვი-სებებს.

რა არის აღგილობრივი საჭიროება? — აღამიანის სა-ჭიროებათა და მოთხოვნილებათა ის დიდი ნაწილი, რო-მელთა დასაკმაყოფილებლადაც აღამიანთა შორის კავში-რის გამტკიცება, ესე იგი ძალების შეერთებაა საჭირო, ორს სხვადასხვა რიგის მოთხოვნილებად განიყოფება. ერთი რიგი მოთხოვნილებისა იმდენად საყიდელთაო და იმდენად ერთფეროვანია სახელმწიფოს ყველა ქვეშე-ვრდომისათვის, რომ ყველასათვის საერთოდ უნდა კმა-ყოფილდებოდეს. ასეთი ხასიათი აქვს, მაგალითად, გარეშე მტრისაგან დაცვის საჭიროებას; კველა ქვეშე-ვრდომი ერთნაირად დაინტერესებულია, რომ მტერი

არ დაერიოს და ცეცხლითა და მახვილით არ აიკლოს ქვეყანა. საშუალება თავის დაცვისა — მხედრობა საზღვაო და ხმელეთისა და სამხედრო მოწყობილებანი, რომლებიც გარეშე მტრისაგან თავის დაცვის საჭიროებას აკმაყოფილებენ, — საერთოა მთელს სახელმწიფოსათვის. პირიქით, მოთხოვნილებათა მეორე რიგი სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილის სხვადასხვაა და ან, თუნდ საერთოც იყოს, თითოეულ ადგილის განსაკუთრებით მოწყობილებას ითხოვს დასაკმაყოფილებლად. მაგალითად, სახელმწიფოს ერთის ნაწილის მცხოვრები მრეწველობას მისდევს, მეორისა — ხენა-თესვას, მესამისა — მევენახეობას, მეოთხისა — საქონლის გაშენებას და სხვა; ცხადია, ამ განსხვავების მიხედვით თითოეულ ადგილს თავისი ადგილობრივი საჭიროება აქვს, რომელიც მეორე ადგილის მცხოვრებლებისთვის არ არსებობს. გარდა ამისა, მომეტებული ნაწილი ადა- მიანის მოთხოვნილებისა, თუნდ ის საყოვილთაო ხასიათი- საც იყოს, აუცილებლად ადგილობრივ უნდა იქმნეს ფა- კმაყოფილებული; მაგალითად ავილოთ პირველ-დაწყები- თი სწავლის საქმე. მართალია, წერა-კითხვის შესწავლა ყველასათვის საჭიროა, მაგრამ მთელ სახელმწიფოს მცხოვ- რებთათვის მარტო ერთ ადგილის რომ გაიმართოს პირ- ველ-დაწყებითი სასწავლებლები, ცხადია, ამ სასწავლებ- ლებით დიღი უმრავლესობა მცხოვრებლებისა სრულებით ვერ ისარგებლებს; სასწავლებელი დაახლოვებული უნდა იყოს მცხოვრებლების ბინასთან; ბავშვის სასიარულოდ სასწავლებელში მთელის ოჯახის ბინიდან აყრა და სხვა- გან გადასახლება არ უნდა სჭირდებოდეს; მაშასადამე, საჭიროა ადგილობრივი სასწავლებლები.

ადგილობრივი საჭიროება არ შეიძლება თავისი მნი-

შვნელობით საერთო სახელმწიფო საჭიროებას დაუპირ-დაპირდეს, რადგან ამ მხრივ ორთავეს ერთი და იგივე ბუნება, ერთი და იგივე ხასიათი აქვთ. ადგილობრივი იქნება თუ სახელმწიფო, ყველა საჭიროება მაინც ადა-მიანის საჭიროებაა და იმათა მნიშვნელობა ორთავე შემ-თხვევაში კეთილდღეობის მიხედვით განიზომება. რკინის გზების გაყვანა ჩვეულებრივ სახელმწიფო საჭიროების საგნად ითვლება, რადგან სახელმწიფოს უფრო ადვილად და უფრო უკედ შეუძლიან ამ საქმის მოწყობა, ვიდრე ადგილობრივ ერთეულებს, მაგრამ შეუძლებელია რკინის გზების მნიშვნელობას სახელმწიფო ვუწოდოთ და სახელ-მწიფო მნიშვნელობა არ მივცეთ, მაგალითად, ადგილობ-რივ კრედიტის მოწყობას ან სწავლა-განათლების გავრცე-ლებას.

რაკი მნიშვნელობის მხრივ სახელმწიფო და ადგი-ლობრივი საჭიროება ერთი მეორეს არ დაუპირდაპირდება, თავისთვად სჩნდება საკითხი, როგორ უნდა განა-წილდეს, როგორ უნდა დაიყოს სახელმწიფოსა და ად-გილობრივ დაწესებულებათა შორის მცხოვრებლების სხვადა-სხვა საჭიროებანი, რომელი მათგანი უნდა იკისროს სა-ხელმწიფომ და რომელი ადგილობრივმა დაწესებულებებ-მა? ჩვენის ფიქრით, ისეთის პრინციპის გამოძებნა; რო-მელიც ერთხელ და სამუჯამოდ მოგვცემს ხელში იარაღს ყოველ კერძო შემთხვევაში ამ საკითხის გადასაწყვეტად, შეუძლებელია სწორედ იმიტომ, რომ სახელმწიფოსაც და ადგილობრივ დაწესებულებებსაც ერთი და იგივე მო-ქმედების მიზანი აქვთ—მცხოვრებლების კეთილდღეობა; განსაზღვრა სახელმწიფოსა და ადგილობრივ დაწესებუ-ლებათა მოქმედების ასპარეზისა უნდა მოხდეს იმისდა

მიუხედავათ, თუ რომელ მათგანს უკეთ შეუძლიან განსაზღვრულ საჭიროების დაკმაყოფილება, გინსაზღვრულ საქმის მოწყობა. ამისთვის-კი აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილება თვით მცხოვრებლების თვითმოქმედებით სრულდება.

ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, როდესაც ამ საქმეს თითონ სახელმწიფო კისრულობს, უმთავრესი მუშაობა და მოქმედება სწარმოებს სახელმწიფოს საერთო დაწესებულებებში; მართალია, მთავრობა თითოეულ ადგილისთვის ცალკე მოხელეებს (ჩინოვნიკებს) პნიშნავს ადგილობრივ საქმეების საწარმოებლად, მაგრამ ამ მოხელეებს მხოლოდ საერთო ანუ ცენტრალურ მთავრობისაგან გადაწყვეტილ ლონისძიების მიღება შეუძლიანთ და სრულიად მოკლებულნი არიან თავისუფლებას და დამოუკიდებლობას. ადგილობრივი მოხელეები ასეთს პირობებში წარმოადგენენ უბრალო დაქირავებულ პირებს, რომელნიც ბრმად ასრულებენ ცენტრალურ მთავრობის ბრძანებას. ასეთი წესი მმართველობისა, რომელსაც ცენტრალისტური მმართველობა ეწოდება, მრავალს ნაკლულევანებას შეიცავს.

რაღგან ადგილობრივ საჭიროების საქმეები ბოლოს და ბოლოს უთუოდ ცენტრალურ მთავრობის სურვილების მიხედვით სრულდება, ამიტომ ადგილობრივი საჭიროებანი და მათი დაკმაყოფილება იმ პირების ხელშია მოქცეული, რომელნიც დაშორებულნი არიან თვით ამ საჭიროებას, არ იცნობენ არც ადგილობრივ ცხოვრების პირობებს, არც ადგილობრივ მცხოვრებთა აზრებს და მისწრაფებას, საქმეს განყენებულად უცქერიან და ამიტომ მათი გადაწყვეტილება ხშირად ეწინააღმდეგება

ადგილობრივი ინტერესებსაც და თვით მთავრობის განზრახვასაც,

ერთად-ერთი საშუალება ცენტრალურ მთავრობის-თვის ადგილობრივ პირობების გასაცნობად არის ცნობების მოკრება თავის ხელქვეით მოხელეთაგან, რომელნიც ხშირად თითონ უცხონი არიან და ამიტომ არც ესმით ადგილობრივი ინტერესები. მოხელეების მომავალი პირადი კეთილდღეობა დამყარებულია იმაზე, თუ რამდენად მოახერხებენ ისინი თავი მოაწონონ თავის ცენტრალურ მთავრობას; აქედამ აუცილებლად წარმოსდგება იმ გვარი დახასიათება ადგილობრივის ცხოვრებისა, რომელიც სიამოვნებით იქნება წაკითხული ცენტრალურ მთავრობისაგან, ესე იგი ხშირად იმის დამალვა და გადაფუჩეჩება, რაც ცხად ჰყოფს ცენტრალურ მთავრობას. გადაწყვეტილებათა ან განზრახვათა შეუსაბამობას და ზოგჯერ მავნებლობასაც. სწორედ ამით აიხსნება ის უცნაური გარემოება, რომ, რაც უნდა გასაჭირში იყოს ქვეყანა, ოფიციალური მოხსენებები მაინც ერთისა და იმავე აღტაცების კილოზე ბრძანებენ, ყველაფერი. წესი-ერად და რიგზე მიმღინარეობსო.

ადგილობრივმა მოხელეებმა ცხოვრების რომლისამდე მხრივ გაუმჯობესობა რომ დააპირონ კიდეც; თავის აზრის განხორციელება უნდა დაიწყონ არსებულის წესების კრიტიკით, მათის შეუფერებლობის გამოაშარავებით. ცენტრალური მთავრობა ამ წესების შემქნელად, არსებულის წყობილების დამაარსებლად თავის-თავსა სთვლის და, რა თქმა უნდა, თავის ხელქვეითებს ასეთს თავხედობას ვერ მოუწონებს, რადგან მთავრობას კერძო აღამიანზე ნაკლები თავმოყვარეობა არა აქვს. ადგილობრივ

მოხელეებს ძალიან კეთილი და ხელსაყრელი განზრახვაც რომ ჰქონდეთ ცხოვრების გაუმჯობესობისა, ისინი მაანც უძლურნი არიან თავისი განზრახვა აასრულონ და, ძალა-უნებურად, უნდა შეურიგდნენ იმ აზრთა მიმართულებას, რომელიც განყენებულად, ადგილობრივ ნიაღავის გარე-ითად და ადგილობრივ საჭიროებასთან შეუკავშირებლად ჰმეფობენ სამინისტროებსა და სხვა ცენტრალურ დაწე-სებულებებში.

როდესაც რაიმე ახალის წესის შემოღებას თვით ცენტრალური მთავრობა განიზრახვს, მაშინ ის იდგი-ლობრივ მოხელეებს დაეკითხება ხოლმე, რა აზრისა ხართ ამა-და-ამ რეფორმის შემოღების შესახებ, როგორ გვი-ნიათ, რამდენად სასარგებლო იქნება ამის განხორციელე-ბა ადგილობრივ პირობათა შიხედვითო. მოხელეს მეტის-მეტი დიდი გამბედაობა და საზოგადო ინტერესებისთვის თავდადებულობა უნდა ახასიათებდეს, რომ გულახდილი კრიტიკა გაუწიოს უმაღლეს მთავრობის განზრახულებას. და მართლა შესაფერი პასუხი მისცეს ამ შეკითხვაზე. ის ჩვეულებრივ უმჯობესად სცნობს, მთავრობის განზრა-ხულება მოიწონოს და ისე შეადგინოს პასუხი, რომ ცენტრალური დაწესებულებები ნასიამოვნები დარჩენენ. მოხელეების ასეთს ბიუროკრატიულს (ჩინოვნიკურს) ურთიერთობას მოსდევს, ერთის მხრივ, თანხმობა ცენტრა-ლურ და ადგილობრივ დაწესებულებათა შორის და, მეო-რის მხრივ, მთავრობის მოქმედების შეუფერებლობა ადგი-ლობრივ ინტერესებისათვის.

რადგან ჩვეულებრივ ადგილობრივი და ცენტრა-ლური დაწესებულებანი ფორმალურად შეთანხმებით

ჰმოქმედობენ, შეუძლებელია, ნათლად გამოსჩნდეს, ვინ
არის ნამდვილად პასუხის-მგებელი მთავრობის ამა თუ იმ
განკარგულებისა ან უმოქმედობისა. პასუხის-მგებლობა,
როგორც ზნეობრივი, აგრედვე იურიდიული, იკარგება,
ქარწყლდება; ქვეყანა ისეთს ხალხს უვარდება ხელში,
რომელთაგან ვერავინ ვერ მოითხოვს პასუხს, და ამგვარად
ბიუროკრატიული მმართველობა უახლოვდება თვითნებო-
ბას და ჰშორდება. კანონიერებას.

თუ ადგილობრივმა მოხელემ რაიმე უკანონობა ჩა-
იდინა და მცხოვრებლებმა ამის გამო ცენტრალურ მთავ-
რობასთან მოხელეზე საჩივარი აღძრეს, ამ საჩივრის ბედ-
ილბალი ყოვლის უწინარეს იმაზეა დამყარებული, თუ
რა განწყობილება ჰქონდა ადგილობრივ მოხელეს ცენტრ-
თან. რადგან ეს განწყობილება ჩვეულებრივ საკეთილოა
ხოლმე მოხელისთვის, ამიტომ ცენტრალური მთავრობა
ისეთს გამოძიებას ახდენს საჩივრის გამო, რომ თავისი
ხელჭველითა დაიფაროს და გაამართლოს. თუ კანონიერე-
ბის ფარგალს ცენტრალური დაწესებულება გადასცდა,
იმავ მიზეზების ძალით, რომელნიც ადგილობრივ მოხე-
ლეთა სამსახურს უსიტყვო მორჩილების გზაზე აყენებენ,
მთავრობას ადგილობრივ არავინ წინააღმდეგობას არ გა-
უწევს, და ამგვარად თვითნებობა ორს გზას იკეთებს კა-
ნონიერების დასარღვევად — ცენტრალურ მთავრობისაგან
და ადგილობრივ მოხელეთაგან.

მოკლედ რომ ვთქვათ, ადგილობრივ საქმეების წარ-
მოება ცენტრალურ მთავრობისა და მის ადგილობრივ
აგენტების მოქმედებით შემდეგს ნაკლულევანებას შეი-
ცავს: 1) სწყდება კავშირი ადგილობრივ საჭიროებათა
და იმ დაწესებულებათა შორის, რომელნიც არსებობენ

ამ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად და 2) იკარგება პასუხის-მგებლობა და ამიტომ ირღვევა კანონიერება მართვა-გამგეობაში.

შესაძლოა, წარმოვიდგინოთ, რომ ამ ორთავე ნაკლულევანების ასაცილებლად მთავრობამ ადგილობრივ საჭიროებათა ხელმძღვანელობა და წარმართვა მთლიან ადგილობრივ მოხელეებს მიანდოს; მაგრამ ასეთი შესიუფრო სავალალო და დამღლბველი იქნება: ადგილობრივი მოხელე, სწორედ იმიტომ, რომ ის მოხელეა და არა ადგილობრივი მცხოვრები, მაინც ვერ მოახერხებს ადგილობრივის ინტერესებით გაიმსჭვალოს, სამაგიეროდ პასუხის-მგებლობისაგან კი ნამდვილად სულ განთავისუფლდება.. ეს ბიუროკრატიული დეცენტრალიზაცია ნამდვილი დაუშრეტელი წყარო იქნებოდა უკანონობისა და თვითნებობისა.

ერთად-ერთი ნამდვილი საშუალება მმართველობის დასახლოვებლად ადგილობრივ ინტერესებთან და ჭეშ-ჭარიტის ზნეობრივის და იურიდიულის პასუხის-მგებლობის გასახორციელებლად არის მოწოდება ოვით მცხოვრებლებისა ადგილობრივ საქმეთა საწარმოებლად. ადგილობრივი მცხოვრებლები თითონ დაინტერესე ული არიან ადგილობრივ ინტერესების დაკმაყოფილებით, ყველაზე უცდ ისინი იცნობენ ამ ინტერესებს; რადგან პირდაპირ თითონ ჰგრძნობენ იმათ, როგორც თავის საკუთარ ინტერესებს, ყველაზე უცდ იმათ შეუძლიანთ შეუწონონ ერთმანეთს საჭიროება ამა თუ იმ ინტერესის დაკმაყოფილებისა და ის მატერიალური მსხვერპლი, ესე იგი სიმძიმე იმ გადასახადებისა, რომლებიც უნდა შემოღებულ იქმნან ახალის დაწესებულების განსახორციელებ-

ლად. აღგილბრივი მცხოვრებლები აუცილებლად გულ-
მხურვალედ მოყვიდებიან საკუთარ საქმეების მმართვა-
გაშეეობას და ზნეობრივი და იურიდიული პასუხის-მგებ-
ლობაც სწორედ ამის გამო აღვილად გადასცდება ცა-
ლიერს სიტყვებს და აღვილად იქცევა ჭეშმარიტ ძალად.

როდესაც აღგილობრივი საჭიროებანი მოხელეების
ხელშია მოქცეული, მცხოვრებლები თავის ინტერესების
და კმაყოფილებას მთავრობისაგან აუცილებლად შემთხვე-
ვითს ხასიათს აძლევენ. მცხოვრებთათვის უცნობ აღგი-
ლას, მათთვის ცხრა-კლიტულით გადარაზულს კანცე-
ლარიებსა და კაბინეთებში, საღლაც შორს, თითქოს ავით
განგებისაგან სწყდება სხვაზასხვა საერთო საჭიროების
საგნები და მცხოვრებლები ეჩვევიან ამ გადაწყვეტილე-
ბებს ისე უცქირონ, როგორც რაღაც უცნაურის ძალის
წყალობას ან წყრომას. მთავრობის მოღვაწეობის საზო-
გადოებრივი ხასიათი, ბიუროკრატიულ მმართველობის
წყალობით, სრულიად იკარგება; მცხოვრებლების წარ-
მოდგენით, ხაზინა და მთავრობა თავის-თავად არსებობს,
იმათ არავითარი კავშირი არა აქვთ მათს ცხოვრებასთან,
იმათი ცხოვრება ცალკე მიმღინარეობს და მთავრობისა
ან ხაზინის მოქმედება კიდევ ცალკე; ამის გამო მცხოვ-
რებლები ჰკარგავენ საზოგადოებრივობის ნიჭის, ეჩვევიან-
გულცივობას, ინდიფერენტუზმს საზოგადო საქმისაღმი
და უჩლუნგდებათ ალლო საერთო ინტერესებისა და სა-
ზოგადოებრივის თვითმოქმედებისა.

აღგილობრივ საქმეების გადაცემა აღგილობრივ მცხო-
ვრებთა ხელში, ერთის მხრივ, თვით ამ აღგილობრივ საქ-
მეების უკედ წარმოების უზრუნველ-მყოფელია და, მეორის
მხრივ, ხალხის პოლიტიკური და საზოგადოებრივი აღმზრდე-

ლია. ოოდესაც ხალხი თავის ხელით ან იმის თვალშინ
მისგან ამორჩეული პირები აწარმოებენ ადგილობრივ სა-
კრთო საჭიროების საქმეებს, ის ბუნებრივად ეჩვევა აზრს,
რომ დედაბოძი საქვეყნო საქმეებისა თითონ ხალხია და
არა გარეშე რამ ძალა, მისგან დამოუკიდებელი და გან-
ცალკევებული. ერთი ინგლისელი მეცნიერი ამტკიცებს,
ეხლანდელ ინგლისის პარლამენტის საძირკველი ის აფ-
გილობრივი, ყრილობები იყო, რომელსაც ხალხი სამარ-
თლის გასაწევად ჰმართავდა საშუალო საუკუნოებში, რო-
მელნიც თანდათან მუდმივ ჟაწესებულებად გადაიქცნენ,
მიაჩვიეს ხალხი საზოგადოებრივს თვით-მოქმედებას, თან-
დათან გაფართოვდნენ, განვითარდნენ და გადაიქცნენ იმ-
საწარმომაღვენლო დაწესებულებად, რომელმაც ახალი
სხივი შეიტანა ევროპის ყველა სახელმწიფოთა ცხოვრე-
ბაშიო. ასეთსავე მნიშვნელობას აძლევს ადგილობრივ
თვითმმართველობას რუსთის ცნობილი საზოგადო მო-
დვაწე და მეცნიერი გრადოვსკი და სხვ.

არავითარი საქმის გაკეთება არ იქნება ისე, რომ
ხარჯი არ წავიდეს. ყოველ საქმის გასაკეთებლად ადა-
მიანის პირად ძალ-ლონესთან ერთად საჭიროა აგრედვე
მატერიალური ძალაც, ადგილობრივ საქმეების გადაცემა
თვით ხალხის, ხელში ფუჭი სიტყვა იქნება, თუ ხელხს-
ამასთანავე ერთად უფლება არ მიეცა საერთო საქმეების
ასასრულებლად ხარჯების გაწერისა თავიანთ შორის. მთავ-
რობამ რომ ამ მხრივ თვითმმართველობა შეზღუდოს, ეს
ისეთი თვალსაჩინო შეზღუდვა იქნება თვითმმართველო-
ბისა, რომელიც იმას სრულიად ძირს გამოუთხრის. ვიდ-
რე ფულის მხრივ თვითმმართველობა მთავრობის ხელში
იქნება, იმისი მოღვაწეობა მთლად მთავრობის ნებაყოფ-

ლობაზე იქნება მივარლნილი და აძნაირად თვითმმართველობა დაჰკარგავს იმ დამოკიდებულებას მთავრობისაგან, რომელიც იმის დედა-აზრის შეადგენს. ადგილობრივი საკიროებანი ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ადგილობრივა მცხოვრებლებზე გაწერილ და იმათვან აკრებილ ფულით უნდა დააკამაყოფილონ.

II

საერობო ერთეულების შესახებ.

ერობის დამახასიაჲებელი თვისება, როგორც პირველს თავში გამოვარკვიეთ, არის ადგილობრივობა. ამიტომ ყოველის უწინარეს სჩნდება საკითხი ერობის ტერიტორიის (მიწა-წყლის) სივრცეზე; ყოველის უწინარეს საჭიროა ვიცოდეთ, რამოდენა უნდა იყოს ის ადგილი, რომელსაც ეძლევა. საკუთარი ადგილობრივი თვით-მმართველობა, ესე იგი რა უნდა შეიქნეს საერობო ერთეულად. რუსეთში ერობა პირველად 1864 წელს შემოიღეს და მაშინ საერობო ერთეულად ცნობილ იქმნა მაზრა და გუბერნია. მთელი რუსეთი დანაწილებულია. მაზრებად და გუბერნიებად. ეს დანაწილება ისტორიულად მოხდა სახელმწიფოს აღმინისტრატიულ მართვა-გამგეობისთვის. 1864 წელს, ერობის დაწესების დროს, კანონმდებელმა საერობო თვითმმართველობა მიუჩემა მაზრებს და გუბერნიებს. მაზრა უმცირესი საერობო ერთეული იყო, ჰქონდა საკუთარი საერობო კრება და საერობო გამგეობა; რაშდენიმე მაზრა ერთად შეადგენდა ერთს ფართო საერობო ერთეულს, რომელიც იმავე დროს ერთი

გუბერნიაც იყო. ამ გვარად შემოვიდა რუსეთის შიდა გუბერნიებში ორ-სართულიანი საერობო თვითმმართველობა, რომლის ერთს სართულსაც მაზრები შეაღენდნენ და მეორეს გუბერნიები. 1870-ის წლიდამ რუსეთის მწერლობაში ატყდა ლაპარაკი იქის შესახებ, რომ ამ ორ-სართულიან თვითმმართველობისთვის მიემატებინათ კიდევ მესამე სართული, დაეყოთ მაზრა წვრილ ერთეულებად, ვოლოსტებად (ვოლოსტი—რამდენიმე სოფელია ერთად, როგორც ჩვენში სოფლის საზოგადოება არის რამდენიმე სოფელი ერთს სამამასახლისოდ გადაქცეული), თითოეულ ვოლოსტისთვის მიეცათ ადგილობრივი საერობო თვითმმართველობა, რომელშიაც ვოლოსტის უველა მცხოვრებს უნდა მიეღო მონაწილეობა წოდების განურჩევლად. ამგვარად მწერლობაში დაიბადა აზრი „საყოველ-წოდებრივო ვოლოსტის“ შესახებ. მესამოცდაათე წლებში ამ აზრის მომხრენი იყვნენ თავად-აზნაურობა და იმათის ინტერესების დამცველნი, პირიქით გლეხობის მომხრენი მაშინ ენერგიულად ებრძოდნენ „საყოველწოდებრივო ვოლოსტს“. თავად-აზნაურობას უნდობა საყოველ-წოდებრივო ვოლოსტის შემოღებით რამდენადმე მაინც აღედგინა თავისი ახლად დაკარგული ბატონური უფლება წინანდელს კუ-გლეხებზე და იმედი ჰქონდა, რომ საყოველწოდებრივო ვოლოსტში ეკონომიურად და ზნეობრივად სუსტს გლეხს, ჯერ თავისუფლების და თანასწორობის აზრსა და გრძნობაში გამოუწოდობელს, აღვილად დასჩაგრავდა და ამგვარად აღადგენდა თავის ბატონობას. გლეხთა ინტერესების დამცველებმა, პროგრესიულმა ჯგუფმა, გაიმარჯვეს და საყოველწოდებრივო ვოლოსტი თავად-აზნაურობის ოცნებას ვერ გადასცილდა.

რამდენსამე ხანს მწერლობასა და საზოგადოებაში თითქოს მისწყდა ხმა საყოველწოდებრივო ვოლოსტის შესახებ, მაგრამ ოთხმოციანს წლებში მეორედ და ჩვენს ღრმუში მესამედ იგივე საკითხი ხელახლა იქმნა წამოყენებული, როგორც პრაქტიკულის პოლიტიკის საკითხი. მაგრამ ეხლა საყოველწოდებრივო ვოლოსტის ნაცვლად უფრო „მცირე საერობო ერთეულზე“ ლაპარაკობენ, რომელიც აუცილებლად ისევე საყოველწოდებრივო ან, უკედ რომ ვთქვათ, უწოდებრივა უნდა იყოს, რადგან საერობო თვითმმართველობას თავის-თავად არავითარი კავშირი არა აქვს წოდებრივობასთან. ასანიშნავია, რომ ეხლა მცირე საერობო ერთეულის მხურვალე დამცველებად იმისი წინანდელი მტრები გამოვიდნენ და, პირიქით, წინანდელი მომხრენი ეხლა მტრებად გადაიქცნენ. ერთის მხრივ, გლეხთა განთავისუფლების რეფორმამ და, მეორის მხრივ, საერობო თვითმმართველობამ რუსეთის შინაურს ცხოვრებაში ორმჯის წლის განმავლობაში იმდენად ღრმა ახალი კვალი შეიტანეს, რომ სულერთიან გადაატრიალეს საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება. თუ წინად სახითათო იყო გლეხისა და თავადის ერთს რიგზე დაყენება იმ მხრივ, რომ უღონო გლეხი თავადს შეეძლო დაეჩაგრა და მონობაში ჩაეგდო, დღეს ამისი შიში გაჰქია, გლეხი მომწიფდა მოქალაქობრივის მოღვაწეობისათვის იმდენად, რომ თითონ შეიქნა საშიშარი თავად-აზნაურობისთვის. აი, სწორედ ამის გამო ეხლა რუსეთის თავად-აზნაურობა და კონსერვატიული საზოგადო მოღვაწეები მავნებლად სცნობენ თავის ინტერესებისთვის მცირე საერობო ერთეულს.

საქართველო, ჩვენდა სამწუხაროდ, დღემდე 1864

წლის საერობო რეფორმის გარეშე იყო დარჩენილი, ჩვენს გლეხობას არ გაუვლია სკოლა ადგილობრივის თვითმმართველობის სამაზრო და საგუბერნიო საერობო დაწესებულებებში, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ის მაინც იმდენად მაგარის ზურგისაა, რომ თავის-თავს უკვე აღარავის აღარ დააჩაგვრინებს და არც სახითათოა იმის ინტერესებისთვის თავაღ-აზნაურობასთან ერთად და თანასწორობის ულელს ქვეშ გასწიოს ჭაპანი საზოგადო მოღვაწეობისა მცირე საერობო ერთეულში. ყრას ვიტყვით იმ მოძრაობის შესახებ, რომელმაც ამ წელს მთელი საქართველოს გლეხობა ფეხზე დააყენა თავის უფლებებისა და ინტერესების დასაცველად; არას ვიტყვით იმ მოთხოვნათა სიების შესახებ, რომლებიც სოფელ-სოფელ იყო შეღვენილი გლეხებისაგან და რომლებშიაც გამოცხადებული იყო სურვილი წოდებრივ განსხვავებათა და უპირატესობათა სრულის მოსპობისა, — საკმარისია მოვიგონოთ, რაოდენი საზოგადობრივი თვით-მოქმედება გამოიჩინა გლეხობამ ახლანდელ მოძრაობის დაწყებამდე, თუნდა ექიმების მოწვევისა და ქსენონების დაარსების საქმეში, რომ თამამად ვცნოთ ქართველი გლეხი მცირე ერთეულში თავისუფალ მოქმედებისათვის ყოველ მხრივ მომზადებულად და მომწიფებულად.

ცოტა რამ საერობო თვითმმართველობის შეგავსი, ცოტა რამ მცირე ერთეულის მაგვარი, თუმცა კი წოდებრიობის კედლებით შევიწროებული ეხლაც არსებობს. ჩვენ სოფლის საზოგადოების თვითმმართველობაზე ვამბობთ. სოფლის საზოგადოება ახდენს თავის წევრთა ყრილობას, ირჩევს მოსამართლეებს, მამასახლისს და სხვა მოხელეებს, თხოულობს ამორჩეულ პირთაგან პასუხის

მგებლობას, მსჯელობს თავის საჭიროებათა შესახებ, ჰზრუნავს ობლებზე, შეაწერს წევრებს გადასახადებს საერთო საჭიროების საქმეების ასასრულებლად. და სხვ. მაგრამ ეს მაინც საერობო თვითმმართველობა არ არის და იმისგან უფრო განსხვავდება, ვიურე წაგავს.

სამოციან წლებში, გლეხთა განთავისუფლების დროს, როდესაც შემუშავდა საფუძველი ეხლანდელ საგლეხო დებულებისა კანონმდებელი იმ აზრით ხელმძღვანელობუა, რომ ეს დებულება დროებითი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ იმ ტრომდე ჰქონოდა ძალა, ვიდრე გლეხთა განთავისუფლების საქმე მთლიანად განხორციელდებოდა. სწორედ იმ მოხაზრებით, რომ თავად-აზნაურობის ყმობას შეჩვეული გლეხი 1861 წლის განმანთავისუფლებელ აქტის შემდეგაც კვლავინდებურად ძველს ბატონს არ ჩაჰვარდნოდა ხელში, კანონდებელმა საჭირ ჯდ სცნო, დროებით, ვიდრე გლეხი მტკიცედ დადგებოდა თავის უფლების გზაზე და თავისუფალს ჰერს შეეჩვეოდა, სრულიად ან მაინც-და-მაინც საგრძნობელად განეშორებინა ის თავად-აზნაურობის ზეგავლენისაგან, და ამიტომ სასოფლო თვითმმართველობას წოდებრივი ხასიათი მისკა, იმის მონაწილედ მხოლოდ გლეხი იცნო. მზრუნველობა კანონმდებლებისა. ამ მხრივ ისე ძლიერი იყო, რომ, როდესაც სოფლის საზოგადოებათა წრეებსა ჰეზავდნენ, ის ყოველთვის სცდილობდა, სოფლის საზოგადოების მიწა-წყალი ერთის ნაბატონარისა არა ყოფილიყო. საგლეხო თვითმმართველობა, პირველად გლეხთა ინტერესებისათვის დაწესებული, როგორც დროებითი ზომა, შემდეგ წოდებრივობის მოტრფიალეებმა მუდმივ დაწესებულებად გადა-აქციეს, გაავრცელეს ეს დებულება. იმ გლეხებზედაც,

რომელნიც არაოდეს არავის ყმობაში არ ყოფილიყვნენ, ეგრეთ წოდებულ, სახელმწიფო, საეკულესიო და სხვა გლეხებზე, დაუმორჩილეს ის პოლიციის მოხელეებს და ათასის სხვა-და-სხვა სახელწოდების მოხელეს, გადააქციეს თვითმმართველობა პოლიციის და აღმინისტრაციის მონა-მორჩილად, გადააქმნეს სოფლისაგან არჩეული მამასახლი-სი და სხვა მოხელეები მთავრობის აღვილობრივ მოხე-ლეებად და ამნაირად სულერთიან ამოპხალეს სული, ცხოველ-ყოფელობისა გლეხობის თვითმმართველობას.

სოფლისაგან არჩეულნა პირნი, ვითომ სოფლის საერ-თო საქმეების ასასრულებლად, გადაიქცნენ სოფლის წურ-ბელებად, სოფლის მყვლეფავებად და ყველა იმ უსამარ-თლობის იარაღად, რომელსაც ან პოლიცია, ან სხვა ვინმე მთავრობის კაცი განიზრახავს ხოლმე. მაზრის უფ-როსი, ბოქაული, გადასახადების ინსპექტორი, ტყის მცველები, სტრაჟნიკები, ხაზინის აგენტები და სხვანი, ერთის სიჭყვით, ყველა დიდი და პატარა მოხელე, რო-მელსაც კი რაიმე საქმე აქვს სოფელთან ან სოფლელთ ნ, ყველა სოფლის არჩეულ პირების ბატონი გახდა, თვით-იმ პირთ კი დაავიწყდათ თავისი პირვანდელი მოვალეობა; სოფლის სამსახური, და ამგვარად დამყარდა ის ვითომდა სოფლის თვითმმართველობა, რომელიც ყოველისავე უსა-მართლობის და მტარვალობის ბუღედ არის დღეს გაზა-ქცეული. უკანასკნელ წლების განმავლობაში საქართვე-ლოს სხვა-და-სხვა კუთხეში სოფლელები გადაჭრით უცხა-დებინენ მთავრობის მოხელეებს, აღარ გვინდა. მამასახ-ლისი, აღარ ავირჩევთ, ისევ, თუ გინდათ; თქვენვე და-ნიშნეთო. ეს ყრუ პროტესტი სანაქებოდ ჰქატავს სოფ-ლის გლეხობის უკიდურესს შეწუხებას და ტანჯვას;

გლეხობას დავალებული აქვს თითონვე აირჩიოს ის პირი, რომლისაგანაც ყოველს წუთს უნდა მოელოდდეს ყოველნაირს თვითნებობას, უზომო უსამართლობას, განუსჯელს სასჯელს და ათასს სატანჯველს. გლეხობის ზნეობრივმა სიფაქიზემ ვერ აიტანა ეს მდგომარეობა და პირ-და-პირ უარპყო მამასახლისების არჩევა: თუ გნებავთ, ისევ თქვენმა დანიშნულმა კაცმა მტანჯოს და მაწვალოს, თორემ ჩვენ ჩვენსავე მტარვალს ვეღარ ავირჩევთ.

გლეხობა მეგობრულად არ უცქერის დღეს თავის ახლანდელს თვითმმართველობას— ეს მართალია, მაგრამ მეტის-მეტად ბეკი უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ გაარჩიოს, რასა ჰემობს გლეხი ახლანდელის თვითმმართველობის უარყოფით. ჩამოაცალეთ სოფლის თვითმმართველობას მისთვის შეუფერებელი მოვალეობა ყველა კაკარ-დოსნის კანონიერ და უკანონო ბრძანების ასრულებისა, მიეცით სოფელს ჯეროვანი დამოუკიდებლობა. პოლიციის მოხელეებისა და გუბერნატორებისაგან, მიანდეთ იმას, ადგილობრივ საჭიროების საჭმეების წარმოება და მოწყობა, ჩამოაცალეთ წოდებრიობის კედლები და თქვენ დაინახავთ, რომ ქართველი გლეხი გულმოლგინედ გასწევს თვითმმართველობის ჭაპანს.

ახლაც-კი, როდესაც სოფლის საზოგადოებას უფლება არა აქვს ხარჯი შეაწეროს თავის უფრო შეძლებულს მეზობლებს, თავად-აზნაურებს, ახლაც კი ხშირად იმისი მოქმედება ჭეშმარიტად ადგილობრივ საზოგადოებრივ საჭიროებას ემსახურება სკოლების თუ ქსენონების გახსნით, გზების გაყვანით, წყლის არხის გაჭრით და სხვა ამ გვარ მოღვაწეობით, და რა თქმა უნდა, სულ სხვა ყვავილს დაისხავს, სულ სხვა ფოთლით შეიმოსება, თუ-კი

იმის თვითმმართველობას საერობო ხასიათი მიეცა ნაცე-
ლად ეხლანდელის წოდებრიობისა და ფისკალობისა.

ეხლანდელი სოფელი ის აღარ არის, რაც ამ 30—40
წლის წინად იყო. ფერი იცვალა როგორც თვით გლე-
ხობამ, აგრეთვე თავად-აზნაურობამ. ოდესლაც ბრწყინ-
ვალე წოდების წარმომადგენელნი ეხლა, თუ მთლად არა,
ნახევარზე მაინც ისეთივე წვრილი მესაკუთრეები არიან,
როგორც გლეხები, ისევე იწურავენ შებლზე შრომის-
ოფლს, როგორც გლეხები, ისევე ჰსაჭიროებენ ადგი-
ლობრივ თვითმმართველობას, როგორც გლეხები. კანო-
ნისაგან შექმნილი ზღუდე წოდებრიობისა, თუ მთლად
არა, ნახევარზე მაინც უკვე ჩამოინგრა; თანასწორობა
ადგილობრივ ინტერესების გაძლოლის საქმეში ყველა-
სოფელში მცხოვრებისთვის აუცილებელი საჭიროებაა.
დიდი უსამართლობაა, რომ გლეხებმა თავის ხარჯით
გააუმჯობესონ სოფლის კეთილდღეობა და თავად-აზნა-
ურობა-კი მზა-მზარეულს დაეპატრონოს. სოფელი კარ-
გადა ჰერძნობს ამ უსამართლობას და ეს უსამართლობა
უფრო ანუალკევებს გლეხებს თავადებისაგან, ვიდრე ეკო-
ნომიურ მდგომარეობის სხვადასხვაობა.

სოფელშიაც შეაშუქა რამდენადმე ახალ ეკონომიურ
და გონებრივ განვითარების სხივმა, სოფელშიაც გაჩნდა
ბევრი ისეთი ახალი საჭიროება, რომელიც ამ ორმოცი
წლის წინად სიზმრადაც არავის მოუვიდოდა. სკოლა,
ბიბლიოთეკა, სასოფლო მეურნეობის, იარაღები, მისვლა-
მოსვლა, ზოგან თეატრი, ფოსტა, სასოფლო ბანკი და
სხვა საზოგადო ხასიათის დაწესებულებანი ახლა სოფ-
ლის ცხოვრებისთვის ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი,
და აი სწორედ ამ საზოგადობრივ საჭიროებათა დასაკ-

მაყოფილებლად აუცილებლად უნდა შეიქმნას სათანადო
დაწესებულება. მცირე საერობო ერთეულის რომლის
რაონიც შესაძლოა ისეთივე დარჩეს, როგორიც დღეს
სოფლის საზოგადოებასა აქვს, აუცილებელი მოთხოვნი-
ლება, რომელიც სასურველია ეხლავე დაკმაყოფილდეს.
1904 წლის 12 დეკემბერს უმაღლესად ცნობილ იქმნა
მცირე საერობო ერთეულის შემოღების საჭიროება უა
რატომ ეს უმაღლესად მოწონებული აზრი არ უნდა
განხორციელდეს ჩვენში სწორედ ეხლა, როდესაც პირ-
ველად იხსნება საერობო დაწესებულებანი.

მაგალითი რუსეთის საერობო დაწესებულებისა გვიმ-
ტკიცებს, რომ თვითმმართველობა ფრთა-შეკვეცილი
იქნება, თუ იმისი ტოტები სოფლებს არა სწვდა, რად-
გან ამ შემთხვევაში ერობას მეტად სუსტი, მეტად მკრთა-
ლი კავშირი უქნება ცხოვრებასთან, ადგილობრივ საჭი-
როებასთან და, როგორც მოწყვეტილი სინამდვილის შე-
მოქმედებითი ძალისაგან, იმდენად ნაყოფიერი არ იქნება,
რომ სრული ხელმძღვანელობა გასწიოს საზოგადო საქმე-
სა. ერთ-ერთი თვალ-საჩინო ნაკლულევანება რუსეთის
ერობისა სწორედ მცირე საერობო ერთეულის უქონლო-
ბაა, რომელიც ერობის ყველა საკეთილო განზრახულე-
ბას ყვავივით დასჩავის ზემოდან და ყველა იმის დაწე-
სებულებას საფორავივით ულობავს გზას. რა ვუყოთ, რომ
1864 წლის საერობო დებულებამ არ იცის მცირე საე-
რობო ერთეული? განა ეს საკმაო საბუთია იმისთვის,
რომ ჩვენც უიმისოდ დავრჩეთ? თუ კი კავკასიის უმაღ-
ლესმა მთავრობამ შესაძლოდ სცნო 1890 და 1903 წლის
დებულებებისთვის, რომელნიც ეხლა მოქმედებენ რუსეთ-
ში, აექცია გვერდი და 1864 წლის დებულებაზე შეეჩ-

რებინა თვისი ყურადღება, თუმცა ეს დებულება არსა და ძალაში აღარ არის, განა ის კი არ შეიძლება, რომ 1864 წლის დებულებაში თვალსაჩინო ცვლილებები იქმნას შეტანილი?

საერობო ერთეულისთვის წრის შემოხაზვა შესაძლოა და ამასთანავე საჭიროც ყველა იმ ადგილებისთვის, რომლებსაც კი თავისი საკუთარი ადგილობრივი ინტერესები აქვთ და, მაშასადამე საჭიროებენ, ადგილობრივ საზოგადობრივს თვითმოქმედებას. ეს საერთო შეხედულობა ყოველთვის თვალწინ უნდა გვქონდეს, როდესაც კი საერობო ერთეულებზე გვაქვს მსჯელობა, და არ უნდა მივცეთ ჩვენს თავს ნება, წარვიტაცნეთ სახელმწიფოს ტერრიტორიის იმ დანაწილებით, რომელიც დღეს არსებობს საადმინისტრაციო გამგებლობისთვის. ადმინისტრაციის თავისი საკუთარი, ერობისაგან დიალ განსხვავებული დანიშნულება აქვს და ამიტომ ადმინისტრატიული დანაწილება ქვეყნისა ყველგან და ყველაფრისთვის გამოსადევად არ უნდა მივიჩნიოთ.

მეორე საერთო შეხედულება, რომელსაც აგრეთვე ანგარიში უნდა გაუწიოთ ერობისთვის ერთეულების დახაზვის დროს, ის არის, რომ თითოეული ერთეული საკმაოდ ფართო უნდა იყოს, რომ იმოდენა ძალას შეიცავდეს, რამდენიც ეს აუცილებლად საჭიროა ადგილობრივ ინტერესების დასაკმაყოფილებლად არ უნდა დავივიწყოთ აგრეთვე, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს მცხოვრებლებისაგან ერთიანობის შევნებას ან გრძნობას. ეს შევნება ნაყოფია საერთო წარსულისა, საერთო ზნე-ჩვეულებისა, ხასიათისა, საერთო ეკონომიკურის მდგომარეობისა, გონიერივის განვითარებისა და ყველა იმისა, რაც

გამოიხატება სიტყვით გულტურა. ერთიანობის ან ერთობის თუ მთლიანობის შეგნება რომელისამე კუთხის მცხოვრებლებისაგან თავისთავად თავმდებია იმისა, რომ ამ შეგნების ხაზით შემოვლებულის ადგილის ინტერესები ადგილობრივის მოღვაწეობისთვის შევქმნის ნამდვილს. საზოგადოებრივ მოქმედების ასპარეზს, ამ ინტერესებს მცხოვრებლები თავის საკუთარ ინტერესებად მიიღებენ და სწორედ ამიტომ გულმხურვალედ შეუდგებიან საქმეს.

სოფლის საზოგადოება საქართველოს ცხოვრებაში სულ ახალი ცნებაა, რომელსაც დღემდე მოქალაქობრიობა ვერ მოუპოვებრა. სოფლის საზოგადოება გამოგონილია აღმინისტრაციისაგან, რომელსაც 10—15 მამასახლისთან საქმის დაჭერა უფრო მოსახერხებლად მიაჩნია, ვიდრე 40—50 მამასახლისთან. ჩვენს ქვეყანაში მოსახლეობა ბუნებრივად გამოხატულია სოფლებში, რომელნიც წარმოადგენენ ერთად, მეზობლად დასახლებულ მცხოვრებლებს. ჩვენი სოფლები, ორთაშუა რიცხვით, ორასამთე კომლს, ესე იგი დაახლოებით ათასამდე მცხოვრებს შეიცავენ. ჩვენის ფიქრით, ეს რიცხვი სრულიად საკმარისია იმ მცირე საერობო ერთეულისთვის, რომელზედაც ზემოდ ვლაპარაკობდით. სოფლის საზოგადოება კი, რომელიც აღმინისტრაციის ფანტაზიაშ შეთხუზა, რამდენისამე სოფლის ერთი-ერთმანეთზე მიწერით, ჯერ ერთი რომ არ შეესაბამება ხალხის წარმოადგენას მთლიანობის შესახებ და მეორე კვდევის, რომ მეტად დიდია წვრილ საერობო ერთეულისთვის; თელავის მაზრა, მაგალითად, სულ ცამეტს საზოგადოებად არის დაყოფილი და თითოეული საზოგადოება ოცდაათ ათასამდე მცხოვრებს შეიცავს— ამიტომ ჩვენ გვგონია, რომ სოფელს უფრო მეტი სა-

ბუთი აქვს საერობო ერთეულობისთვის, ვიდრე სოფლის საზოგადოებას. მართალია, ზოგან მეტად პატარა სოფლებიც არსებობს, მაგრამ ეს გარემოება, როგორც შემთხვევითი და არა საერთო, დაბრკოლებად არ უნდა ჩაითვალოს; პატარა სოფლები შეიძლება დიდებს მიემატოს, ან რამდენიმე პატარა სოფელი ერთს საერობო ერთეულად შეიქნეს. ამასთანავე ქვეყნის დაყოფა მცირე საერობო ერთეულებად სამუდამო და უცვლელი არ უნდა იყოს; აუცილებლად უნდა მიეცეს უფლება მცხოვრებლებს, თავის ნებაყოფლობით, ერთი ერთეული რამდენადმე გაჰყონ, ან რამდენიმე ერთად შეაერთონ, ან შესცვალონ ერთეულების საზღვრები. ასეთი წესი არსებობს, მაგალითად, ნორვეგიაში, საღაც ესეთი შემთხვევები ერთეულების ხელახალის გამიჯვნისა იშვიათი არ არის და მცხოვრებთა სურვილი ადვილად განხორციელდება ხოლმე: საკმარისია იმათ შესაფერი დადგენილება მიიღონ ამ საგნის შესახებ და შემდეგ ეს დადგენილება მეტეს წარუდგინონ დასამტკიცებლად, რომელიც ჩვეულებრივ ყოველთვის ამტკიცებს.

მეორე ბუნებრივი ერთეული, რომელიც, ჩვენის ფიქრით, აგრეთვე გამოსაყენებელია, როგორც საერობო ერთეული, დამყარებულია იმ ეკონომიკურსა და ეთნოგრაფიულს (ზნე-ჩვეულებითს) მთლიანობაზე, რომელიც გამოიხატება ძველ დროიდან შერჩენილ სახელებით: გურია, სამეგრელო, ზემო და ქვემო-იმერეთი, ზემო, ქვემო და შიდა-ქართლი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, ქიზიყი, კახეთი და სხვა. ზოგან შესაძლოა ამ ძველებურს დანაწილებას საფუძველი აღარა ჰქონდეს და ეს სახელები

მხოლოდ ისტორიულ წარსულის მაჩვენებელი იყვნენ, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, მომეტებულ ნაწილად ამ ძველ სახელებს დღესაც რეალური (სინამდვილეზე აშენებული) კავშირი მცხოვრებლებთა შორის და ადგილობრივ საჭიროებათა ნამდვილი ერთობა ასიცოცხლებს. კენეთში, მაგალითად, მევენახეობა ჰქმნის კახელების კავშირს, ქიზიყში მევენახეობა და ხვნა-თესვა ერთად, ქართლში—ხვნა-თესვა და სხვა. ეს ძველებური დანაწილება ბევრგან თითქმის ისევე ჰყოფს ქვეყანას ნაწილებად, როგორც მაზრები. ამიტომ მეორე სართული საერობო ერთეულობისა ან ძველებურად ქვეყნის ნაწილები უნდა იყოს და ან მაზრები. შესაძლოა აგრეთვე საქართველოს ზოგან კი ეთნოგრაფიულ-ისტორიული დანაწილება. ამ საკითხის გამორკვევა, ჩვენის ფიქრით, იმ სამაზრო საბჭოების ვალია, რომელნიც ამ ცოტა ხანში დაიწყებენ მოქმედებას.

საგუბერნიო საერობო დაწესებულებებს, არა გვგონია, ჩვენს ქეყანაში რაიმე ბუნებრივი საფუძველი ჰქონდეთ. გუბერნია ისევე, როგორც სოფლის საზოგადოება, ადმინისტრაციისაგან გამოგონილი ცნებაა და არავითარ განსაკუთრებით მთლიანობას არ წარმოადგენს. პირიქით, საქართველო, როგორც ისეთი ერთეული, რომელიც, ერთის მხრივ, თბილისის, ქუთაისის და შავი ზღვის გუბერნიების მცხოვრებთა მთლიანობის შეგნებას შეეფერება, მეორის მხრივ, ქართველ ხალხის საერთო საჭიროებებით არის შექმნილი, უფრო ხელსაყრელი და სასარგებლუ იქნება. საქართველო, როგორც ერთი ფართო საერობო ერთეული, უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ ადგილოვ-

რივ. საქოროებას, რომელიც წარმოსდგება მცხოვრებლების ეროვნულ განვითარებისაგან და ტერიტორიალურის მთლიანობისაგან.

საქართველო უნდა იყოს ამ გვრად მესამე საერობო საფეხური, რომელიც შესაძლოა შეუერთდეს კავკასიის სხვა დიდს საერობო ერთეულებს მეოთხე საერობო ერთეულში, სახელდობრ ამიერ-კავკასიაში.

როგორც უნდა გაიყოს კავკასია საერთოდ და საქართველო კერძოდ საერობო ერთეულებად,—ისე-როგორც ჩვენ მიგვაჩნია საჭიროდ, თუ საერთობო ერთეულებად—სულ ერთია, ორთავ შემთხვევაში თითოეულს საერობო ერთეულს უფლება უნდა ჰქონდეს თავის სურვილისამებრ განსაზღვრულ საქმეების ასასრულებლად დაუკავშირდეს სხვა ერთეულებს უვადოთ ან ვადით ეს კავშირი უნდა იწერებოდეს, როგორც ხელშეკრულობა, და ძალაში უნდა შედიოდეს მას შემდეგ, როდესაც ყველა ხელშეკრულობის მონაწილე ერთეულის საერობო კრება მიიღებს და დაამტკიცებს.

III

საერობო საქმეები.

1864 წლის საერობო დებულება თავის პირველის მუხლითვე განმარტავს, რომ საერობო დაწესებულებანი შემოღებულ არიან თითოეულ გუბერნიის და მაზრის იმ საქმეების საწარმოებლად, რომელნიც ადგილობრივ საშეურნეო საჭიროებას და სარგებლობას შექებიანთ“. ცხადია აქედამ, რომ ამ კანონით მარტო რაიმე ინტერესების

ადგილობრივობა არა კმარა, რომ მხრუნველობა მათს შესახებ ერობის საქმედ იყოს აღიარებული, კანონი საჭიროდ სთვლის აგრეთვე, რომ ეს ინტერესი სამეურნეო შინაარსისა იყოს. 1890 წლის საერობო დებულება, რომელიც პირველთან შედარებით უფრო მეტად არის გამსჭვალული წოდებრიობის პრინციპით და უფრო ნაკლებ დამოუკიდებელია აღმინისტრაციისაგან, ამ პირობით აღარა ჰალუდავს ერობის მოქმედებას; ადგილობრივ საჭიროების და სარგებლობის საქმე 1890 წლის დებულებით ერობის მოქმედების ასპარეზში შედის, იმის მიუხედავად, სამეურნეო შინაარსისაა ეს საქმე, თუ საერთოდ კულტურულს მიზანს ემსახურება.

მეურნეობას და სამეურნეო საქმეებს, უეპველია, მეტად თვალსაჩინო ადგილი უკავია ერობის მზრუნველობის საქმეთა. შორის, მაგრამ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვთქვათ, რომ მეურნეობა ერთად-ერთი სამზრუნველო საგანი უნდა იყოს ადგილობრივის თვიომმართველობისა. ვინ უნდა დაკმაყოფილოს ისეთი ადგილობრივი საჭიროება, რომელსაც სამეურნეო შინაარსი არ ექნება, თუ არ ერობამ? ვინ უნდა შეისწავლოს, მაგალითად, ადგილობრივი პირობები ცხოვრებისა ისტორიულად, ეთნოგრაფიულად, სტატისტიკურად და სხვა, თუ არ ერობამ? ვინ უნდა გაავრცელოს ხალხში სალი ცოდნა სახელმწიფოში არსებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დაწესებულებათა შესახებ, თუ არ ერობამ? ვინ უნდა მოაწყოს ადგილობრივი იურიდიული დამარება მცხოვრებთათვის, თუ არ ერობამ? ნუ თუ მოხელეები უფრო მარჯვედ გაუძლვებიან ამ გვარს საქმეებს, ვიდრე ადგილობრივი საზოგადო მოღვაწეები?

ვიდრე საერობო დებულება რუსეთისთვის ახალი ჭილი იყო, ვიდრე რუსეთის ცხოვრება განთავისუფლებული არ იყო ბატონყმობის სხვა-ზა-სხვა ნაშთებიდან, იქნება, ერობას არც შევძლო ვიწრო სამეურნეო ინტერესებს გადასცდენოდა და საერთოდ აღილობრივ კულტურულ განვითარებისათვის ეზრუნა, მაგრამ ეხლა, როდესაც უკვე თავისუფალს ჰაერზე აღზრდილი ადამიანები ფამოვიდნენ საქვეყნო მოქმედების სარბიელზე, არავითარი საფუძველი არ არის კანონით ასე ვიწროდ იქმნას შეზღუდული ერობის მოღვაწეობა. „არც ერობის დანიშნულების მიხედვით, არც იმ აღგილის მიხედვით, რომ მელიც ერობას უკავია სახელმწიფო დაწესებულებათა კრებულშიო, — ამბობს ერთი საუკეთესო მცოდნე რუსეთის ერობისა, შრეიდერი, — ერობა, მისდამი მიჩემებულ საქმეებით, არ შეიძლება და არც უნდა გადაიქცეს არა თუ მარტოოდენ, არამედ უმთავრესათაც-კი სამეურნეო დაწესებულებად, რომელიც მხოლოდ მატერიალურ კულტურის საჭიროებებს დააკმაყოფილებს. მართალია, ეხლანდელ საგუბერნიო და სამაზრო საერობო დაწესებულებეთა მოღვაწეობაში მეურნეობამ იმდენად დიდი აღგილი დაიჭირა, რომ ხელს უშლის იმის სხვა უფრო დიდ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ და სახელმწიფო მოქმედების განვითარებას და ამით თვალსაჩინოდ მცირდება ერობის როლი და მნიშვნელობა, მაგრამ ეს იმ არა-ნორმალურ (არა-წესიერ) პირობებით უნდა აიხსნას, რომელშიაც ჩაყენებულია ეხლა საგუბერნიო და სამაზრო ერობა, სხვათაშორის, იმის გამო, რომ არ არსებობს მცირე საერობო ერთეული. იმის შემოღებით-კი, სამეურნეო მოღვაწეობის ცენტრი სწორედ იქ გადიტანება, და ამ მოვალეო-

ბათაგან განთავისუფლებული საგუბერნიო და სამაზრო-
საერობო დაწესებულებანი გზას მაშინ-და გაიკაფავენ
მთლად თავის ძალლონის გასაშლელად სხვა უფრო ფართო
და უფრო მნიშვნელოვან ასპარეზზე, სულიერ კულტურა-
ზე მზრუნველობასა და სხვა ფარგლებში” *).

ყოველგვარ საზოგადოებრივ ხასიათის მოთხოვნილე-
ბისა და საჭიროების დასაკმაყოფილებლად ორში ერთმა-
უნდა იმოქმედოს, ან სახელმწიფომ და ან ერობამ. თუ
რომელსამე საქმეს, მაგალითად, სახალხო უნივერსიტეტის
დაარსებას, სახელმწიფო არა კისრულობს, აუცილებლად
უნდა დანებდეს ერობას უფლება ყველა ასეთის საქმის
მოწყობისა. შესაძლოა მხოლოდ რამდენიმე ისეთი საქმე
იქმნას აღნიშნული, რომელიც ან აუცილებლად სა-
ხელმწიფომ, ან აუცილებლად ერობამ უნდა მოწყოს.
საერობო დებულებაში მხოლოდ ისეთი საქმეები უნდა-
იყოს ჩამოთვლილი, რომელთა წარმოებაც ყოველ შემ-
თხვევაში ერობის საქმეა და რომლებსაც სახელმწიფო-
თითონ ვერაოდეს ვერ იკისრებს! სხვა, საერობო დებუ-
ლებაში აღუნიშვნელი საქმეები-კი, მხოლოდ მაშინ შეი-
ძლება ერობის მოღვაწეობის საგნად გახდეს, თუ იმათი
მოწყობა თითონ სახელმწიფომ არ იკისრა. რა თქმა უნ-
და, ასეთის წესის, მეოხებით ბუნებრივად დანაწილდება
საზოგადო მოღვაწეობა სახელმწიფოსა და ერობის შეა-
უმთავრესი მნიშვნელობა იმას ექნება, თუ ვის უფრო
აღვილად და უკეთ შეღძლიან ამა თუ იმ საქმის ასრუ-
ლება, და ამასთანავე შემცირდება ის „ნაჩალნიკური“,
„მეუფროსული“ კილო, რომლითაც ჩვეულებრივ მიჰ-

*.) Мелкая земская единица, т. II стр. 63—64.

მართავს ხოლმე ადმინისტრაცია ერობას და ამწვავებს თვითმმართველობისა და სახელმწიფოს შუა განწყობილებას.

ყოველგვარის მოღვაწეობისთვის, ყოველგვარის მუშაობისთვის საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ ცხოველ-მყოფელი ის მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს, როდესაც თავისუფლად, სხვისაგან დამოუკიდებლივ სწარმოებს. პირიქით, ცნობილია აგრეთვე, რომ გარეშე პირის ან დაწესებულების ბრძანება სულს უხუთავს და არჩობს, გულციობას ჰვერის კაცს და საქმეს აფუჭებს განსაკუთრებით, თუ ეს ბრძანება საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე შეიქრა. ამიტომ ერობის მოქმედების ნაყოფიერებისათვის აუცილებლად საჭიროა დამოუკიდებლობა მთავრობის მოხელეებისაგან, რაც ძალიან კარგად ესმოდათ 1864 წლის დებულების შემდგენელებს, რომელთაც მეტესე მუხლში სწორედ ეს აზრი გამოსთქვეს: „საერობო დაწესებულება მისდა მიჩენილს საქმეებში დამოუკიდებლივ პმოქმედობსო“. მაგრამ ცხადია თავის-თავად, დამოუკიდებლობა დამოუკიდებელი აღარ არის, თუ კანონი თვითმმართველობას ნებას არ მისცემს, თითონვე გამოირკვიოს და თითონვე აირჩიოს ხოლმე საგანი თავის მოქმედებისა. ამიტომ, ჩვენის ფიქრით, ერობა პრინციპიალურად შეზღუდული არ უნდა იყოს კანონში. ჩამოთვლილ, მისდა მიჩენილ საქმეთა სიის კედლებით. ამ ჩამოთვლას მხოლოდ სამაგალითო მნიშვნელო? აუნდა ჰქონდეს, რომელიც დროთა და გარემოებათა მიხედვით ერობს შეუძლიან თავის ნებაზე შეავსოს და ახალი საქმეები ჩაურთოს.

1864 წლის საერობო დებულება საერობო მოღვაწეობის საქმეებს ასე ჩამოსთვლის: 1) განაგებს ქონებას,

თანხებს და ფულად გაწერილ განასახადებს, 2) აშენებს და უვლის ერობის საკუთარს შენობებს, სხვა ნაშენბებს და იმ გზებს, რომლებიც ერობის ხარჯით ინახებიან, 3) ხმარობს ღონისძიებას ხალხის გამოკვების უზრუნველ-საყოფელად, 4) განაგებს ერობის საქველმოქმედო დაწესებულებებს და სხვა სამაღლო საქმეებს; ღონისძიებას ჰემარობს მათხოვრობის მოსასპობლად; მზრუნველობს ეკლესიების აშენებაზე. 5) აწყობს ქონებათა საურთიერთო საერობო დაზღვევას; 6) ზრუნავს ადგილობრივ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისთვის, 7) კანონით განსაზღვრულს ფარგალში და უმთავრესად ნივთიერის მხრივ მონაწილეობას იღებს მზრუნველობაში ხალხის განათლების, ხალხის ჯანმრთელობის და საპყრობილების შესახებ, 8) დახმარებას უწევს საქონლის ჭირის გავრცელების წინააღმდეგობაში; ეხმარება პურის მოსავლის და სხვა მცენარეების გადარჩენის საქმეს კალიისა, თრიისა და სხვა მავნე მწერისა და ცხოველისაგან, 9) აკმაყოფილებს სამხედრო და სამოქალაქო მმართველობის იმ მოთხოვნილებას, რომელიც ერობასა აქვს დაკისრებული; და მონაწილეობას იღებს საფოსტო გადასახადების საქმეში; 10) გასწერს იმ სახელმწიფო გადასახადებს, რომელიც ფულად იკრიბება და რომლის განაწილებაც გუბერნიასა და მაზრებში დაკისრებული აქვს საერობო დაწესებულებებს არსებულის კანონების ან უმაღლესად დამტკიცებულ განკარგულებათა ძალით; 11) განსაზღვრავს, შეაწერს, ჰკრებს და ჰხარჯავს, საერო გადასახადთა წედებისამებრ, აღგილობრივს გადასახადებს გუბერნიისა და მაზრის საერობო საჭიროებათა კმასაყოფელად; 12) წარუდგენს, საგუბერნიო მთავრობის ხელით, უმაღლესა

მთავრობას ცნობებს და თავის აზრს იმ საქმეებზე, რო-
მელიც შეეხება გუბერნიის ან მაზრის ადგილობრივ სა-
მეურნეო საჭიროებას და სარგებლობას; აღძრავს შუამ-
დგომლობას, იმავ საგუბერნიო მთავრობის შუამავლო-
ბით, ამ საქმეების გამო; წარადგენს საერობო მეურნეო-
ბის შესახებს ცნობებს, როდესაც კი ამას უმაღლესი მთა-
ვრობა ან გუბერნატორები მოითხოვენ; 13) იჩჩევს საე-
რობო დაწესებულებათა წევრებს და სხვა თანამდებობის
პირთ; გადასდებს ფულს ამ დაწესებულებათა შესანახა-
ვად და 14) აწარმოვებს იმ საქმეებს, რომლებიც ჩაბარ-
დება საერობო დაწესებულებებს განსაკუთრებით წესდე-
ბათა, დებულებათა ან დადგენილებათა ძალით.

დაწვრილებით ამ გრძელ სიის მუხლების განხილვას.
ჩვენ არ შევუდგებით, ეს არც საჭიროა. აღვნიშნავთ მხო-
ლოდ, რომ მიუხედავად მრავალ-სიტყვიანობისა, 1864
წლის დებულება ერობის მოღვაწეობისთვის მეტად ვი-
წროდ ჰხაზავს სარბიელს და ამ გარემოების მთავარი მი-
ზეზი, ერთის მხრივ, ის არის, რომ ამ დებულების დაწე-
რის დროს ერობას ისე უცქეროდნენ, როგორც ადგი-
ლობრივ სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შე-
ქმნილს დაწესებულებას, და, მეორის მხრივ, ის, რომ
ჯერ რუსეთში ადგილობრივი თვითმმართველობა ნაცადი
არ იყო და ბევრ ისეთს საქმეს არ აძლევდნენ იმას, რო-
მელიც ეხლა აუცილებლად საერობო საქმეებად არის
ცნობილი. მაგალითისთვის საკმარისია დავასახელოთ ად-
გილობრივ კრედიტის მოწყობა, იურიდიული დახმარება
მცხოვრებთათვის (საერობო ვექილები) და მეცნიერულად
ადგილობრივ პირობების შესწავლა. ცხოვრება საერობო
და ადგილობრივი კერძოდ იმდენად რთულია, იმდენად

მრავალფეროვანია, იმდენად ღონივრად მიიწევს ეხლა ის განვითარების გზაზე, რომ რამდენიც უნდა ვეცადოთ, მაინც ვერ ჩამოვთვლით სრულად იმ საქმეებს, რომლებიც ერობის მოღვაწეობის საგნად უნდა შეიქმნენ. ცხოვრება და საჭიროება თითონ გამოარკვევს თანდათან ამ საქმეებს. სწორედ ამ მოსაზრებით ვამბობდით ზემოდ, რომ კანონით საერობო დაწესებულებათა მოღვაწეობის საგნების აღნიშვნას უფრო სამაგალითო ხასიათი უნდა ჰქონდეთ, ვიდრე შემზღვდველი.

რამდენად გაფართოვდა ჩვენს დროში ერობის მოქმედება, რამდენი ახალი საგანი გახდა ან უნდა გახდეს ერობის საქმედ, ეს, სხვათა შორის, იქიდანაც სჩანს, რომ 1890 წლის საერობო დებულება, რომელიც საერთოდ ერობისაგან, რაც შეიძლება, მეტის ჩამოთლას აპირობა, უფრო აფართოვებს და არ კი ავიწროვებს. ერობის მოღვაწეობის საგანთა სიას. ჩვენმა მკითხველმა რომ ნათლად წარმოიდგინოს, რა ფართო ასპარეზს აძლევს ეხლანდელი საზოგადოებრივი მეცნიერება და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ერობას; ურიგოდ არ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ტომსკის იურიდიულ საზოგადოებისაგან შედგენილის ციმბირის საერობო დებულების პროექტიდან ის ადგილები; რომლებიც მოქმედების საგნებზე ლაპარაკობენ; მით უმეტეს საჭიროდ მიგვაჩნია გავაცნოთ მკითხველს ეს პროექტი, რომ ის უფრო უკეთ აღნიშნავს საერობო მოღვაწეობის დანიშნულებას, ვიდრე 1864 წლის დებულება, და ჩვენთვის ბევრად სასარგებლო იქნებოდა, რომ ამ მხრივ ციმბირის საერობო დებულების პროექტიდან შეივსებოდეს 1864 წლის კანონის სია. ამ პროექტით, ერობის საქმეები შემოვეგია: 1) წარმოება სა-

ერობო გადასახადების საქმისა, 2) — საერობო თანხებისა
და ქონებისა, 3) — გამოკვების საქმისა, 4) დაცვა ხალ-
ხის ჯანმთელობისა, 5) საბეითალო საქმეების გამგეობა,
6) გამგეობა საერობო ხარჯით დაარსებულ პირველ-და-
წყებით და დაბალ სასწავლებლებისა (საერთო განათლე-
ბის და პროფესიონალურისა), აგრეთვე მოწყობა სკო-
ლის გარეშე სწავლის გავრცელებისა, ყველა მხრივ — მე-
ურნეობის, ადმინისტრაციის და სწავლის მხრივ; დაარსე-
ბა საშუალო და უმაღლესს: სასწავლებლებისა; გამგებ-
ლობა ერობის ხარჯზე არსებულ საშუალო სასწავლებ-
ლებისა; მონაწილეობა ერობის ხარჯით დაარსებულ
უმაღლეს სასწავლებლების მართვა-გამგეობაში, რომელიც
უნდა განხორციელდეს ერობისაგან არჩეულ პირების მო-
ნაწილეობით ამ სასწავლებელთა საბჭოებში; 7) მოწყო-
ბა იურიდიულის დახმარებისა. მცხოვრებთათვის, 8)
მოწყობა აგრძნომიულის დახმარებისა, 9) მოწყობა წვრი-
ლის კრედიტისა, 10) მოწყობა სამელიორაციო კრედი-
ტისა; 11) მოწყობა საერობო დაზღვევისა, 12) მართვა-
გამგეობა ერობის ტერიტორიაზე არსებულ ყველა გზე-
ბისა, გარდა სახაზინო და კერძო რკინის გზებისა; აგ-
რეთვე მონაწილეობა ამ რკინის გზების მართვა-გამგეო-
ბაში ერობისაგან არჩეულის პირებისა და სარკინისგზი
ტარიფების შემუშავებაში (ტარიფი — არის ნიხრი იმ გა-
დასახადებისა, რომელსაც რკინის გზის მმართველობა ახ-
დევინებს მცხოვრებლებს საქონლის გადატანა-გადმოტანა-
ზე და მგზავრების წასვლა-მოსვლაზე); 13) მართვა-გამ-
გეობა საერობო ფოსტისა, 14) მოწყობა და წარმოება
გადასახლების საქმისა და გლეხების მიწად-მფლობელობი-
სა, 15) მოწყობა საზოგადოებრივ უზრუნველ-ყოფილო-

ბისა (პოლიცია), 16) მზრუნველობა ცეცხლის გაჩენის თავიდან ასაცდენად და, თუ მაინც გაჩნდა, ჩასაქრობად; მზრუნველობა სოფლის უკეთ მოსაწყობად; 17) მზრუნველობა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისთვის; 18) მზრუნველობა საქველმოქმედო და სამაღლო საქმეებზე, 19) მოწყობა სტატისტიკურის, საბუნებისმეტყველო, საისტორიო და სხვა სამეცნიერო გამოკვლევის საქმისა, 20) მონაწილეობა სამართლის საქმეში საერობო ერთეულების ტერრიტორიაზე (ნაფიც. მსაჯულთა სიის შედგენა, არჩევა მომრიგებელ მოსამართლეებისა), 21) დაკაუფილება კანონით ერობაზე დაკისრებულ სამოქალაქო და სამხედრო მმართველობის მოთხომნილებათა, 22) მართვა-გამგეობა იმ საქმეებისა, რომლებიც განსაკუთრებითის კანონებით ერობასა აქვს ჩაბარებული.

ასეთია ერობის საქმეების სია ციმბირისთვის შედგენილ საერობო დებულების პროექტით. ეს სია გაცილებით უფრო ფართოა და სავსე, ვიდრე 1864 წლის დებულების სია, მაგრამ, ჩვენის ფიქრით, კიდევ ბევრი ისეთი საქმე შეიძლება აღმოჩნდეს, რომელიც გათვალისწინებული არა ჰქონდათ პროექტის შემდგენელებს, მაგალითად, ასეთს საქმედ მიგვაჩნია ჩვენ ერობის მონაწილეობა სახელმწიფო ხარჯების განაწილებაში, ერობისა-გან კონტროლის გაწევა დდგილობრივ საადმინისტრაციო მოხელეთათვის, ვიდრე ადმინისტრაცია მთლად ერობის ხელში გადავიდოდეს, და სხვა. მაინცა-და-მაინც, ჩვენის ფიქრით, ციმბირის პროექტი აუცილებლად მხედველობაში უნდა ჰქონდეს ყველას, ვინც კი 1864 წლის დე-

ბულების შეთანხმებას სცილობს ეხლანდელ განვითარებულ ცხოვრების საჭიროებებთან.

რადგან ერთი და იგივე ადგილი, ამ ადგილის ერთი და იგივე მცხოვრებლები ერთსა და იმავე დროს რამდენისამე საერობო ერთეულის მონაწილენი იქნებიან, ამიტომ თავის-თავად სჩნდება საკითხი, როგორ უნდა განაწილდეს საქმეები დიდსა და მცირე საერობო ერთეულთა შორის. ჩვენის ფიქრით, აქ სწორედ იმავე პრინციპს, იმავე აზრს უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება, რომლის ძალითაც განძსაზღვრება ერთი მეორისაგან სახელმწიფოსა და ერობის მოლვაწეობა. ადგილობრივობა — შედარებითი ცნებაა. რაც ეხლა ადგილობრივი საჭიროებაა მთელის მაზრისა, ის შესაძლოა ათის წლის შემდეგ მცირე საერობო ერთეულის ადგილობრივ საჭიროებად იქცეს და, პირიქით, მცირე ერთეულის საჭიროება შესაძლოა მაზრის ან ოლქის ადგილობრივ საჭიროებად გადაიქცეს. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი საერობო ერთეული უფრო უკედ და უფრო მარჯვედ დააკმაყოფილებს ამა თუ იმ საერთო საჭიროებას. ავილოთ მაგალითად იგრონომიული დახმარება მცხოვრებთათვის, ესე იგი სასოფლო მეურნეობის იარაღების გაურცელება ხალხში, საუკეთესო ჯიშის ხორბლის. ან სხვა მცენარეების ოესლეულობის მიწოდება, სეტყვასთან საბრძოლველად ყუმბარების შეძენა და სხვა. ყველა ეს საჭიროება დიდმა საერობო ერთეულმა უნდა დააკმაყოფილოს იმ დრომდე, ვიდრე ის იმდენად არ გაიდგამს ფესვებს მცხოვრებლების ყველა წრებში, რომ მცირე საერობო ერთეული საკმაო ასპარეზს წარმოადგენდეს ამ მხრივ მოლვაწეობისთვის. სასოფლო მეურნეობის იარა-

ლების გამოწერა მხოლოდ მაშინ არის ხელსაყრდნი პატარა ერთეულისთვის, როდესაც იქ ორი და სამი კაცი კი არ ისარგებლებს ამ იარაღებით, არამედ, თუ ყველა არა, მცხოვრებლების დიჭი ნაწილი მაინც. არის ან სამის გუთნის ან სალეჭი მაშინის გასასაღებლად საერობო ერთეული, ცხადია, არ უნდა ჰქარჯავდეს არც ფულს, და არც თვის მოღვაწეების პიროვნულს, ძალლონებს. პირიქით, როცა იმდენად განვითარდება ეს საჭიროება, რომ თითოეულს პატარა ერთეულში ასობით გასაღდება სხვადასხვა მანქანა, მაშინ თვით საჭიროება ადგილობრივის ხასიათს მიიღებს და იმის დაკმაყოფილებაც პატარა ერთეულმა უნდა იკისროს. დიდი საერობო ერთეული, ვთქვათ სამაზრო ერობა, მხოლოდ იმ დრომდე შესძლებს სასოფლო მეურნეობისთვის იარაღების შეძენას, ვიდრე ასეთს იარაღებს თითო სოფელში ორხ ან სამი მუშტარი ჰყავს და, მაშახადაშე, მთლად მაჩრას არც ისე ბევრი, რომ ერობა ვეღარ ასდიოდეს ამ საქმეს.

მიემართოთ კიდევ სხვა მაგალითს. აგრონომიული დახმარება გამოიხატება, სხვათა შორის, სამაგალითო მეურნეობის მოწყობით მცხოვრებლების საჩვენებლად, იმათ დასარწმუნებლად ახალ სისტემაზე (წესზე) მუშაობის სარგებლობაზე და თვით ამ ახალ წესის შესასწავლებლად, ვიდრე მომეტებული ნაწილი გუბერნიის ან მაზრის მცხოვრებლებისა ეჭვის თვალით უცქერის ასეთს სამაგალითო მეურნეობას და უფრო ცნობისმოყვარაობის დასაკმაყოფილებლად თუ გადასვლებს ჩამას თვალს ათასში ერთხელ, თორემ დაწვრილებით და დაბეჯითებით სწავლის შესაძნად იქ ფეხსაც არ შესდგამს, უეჭველია ასეთი სამაგალითო დაწესებულება დიდმა საერობო ერთე-

ულმა უნდა იკისროს, რადგან შორიდან დასანა-
ხავად მთელს მაზრასა ან გუბერნიაში სულ რამდენიმე
ასეთი საცდელი მეურნეობაც საკმაო იქნება და, თუ
რამდენიმე კაცი შემთხვევით იქ სწავლის შეძენას დაიწ-
ყებს, იმათოვისაც საკმაო იქნება პირველს ხანებში ორი
ან სამი სამაგალითო დაწესებულება. პირიქით, როდესაც
მცხოვრებლების უმრავლესობა ან დიდი ნაწილი ჰეშმა-
რიტად დაინტერესდება ახალის ცოდნის შეძენით, მაშინ
საკმაო აღარ იქნება შორიდან ცქერა და აღარც მოსა-
ხერხებელი იქნება მთელის მაზრის ან გუბერნიის მცხოვ-
რებლების მოგროვება. ერთს ან ორს რომელსამე პუნქტზე;
გაჩნდება საჭიროება, ადგილობრივ თითოეულს სოფელ-
ში დაარსდეს ცალკე სამაგალითო დაწესებულება, რო-
მელშიაც ადგილობრივი მცხოვრებელი ადვილად ივლის
ცოდნის შესაძენად, ნაკლებს დროსაც დაპარგავს ამ
საქმეზე და მეტს სარგებლობასაც გამოიტანს.

ამგვარივე სურათი წარმოგვიდგება თვალ-წინ, საე-
რობო ექიმობას რომ გადავავლოთ თვალი. ვიდრე ექი-
მობის სარგებლობა და საჭიროება ძვალსა და რბილში
არა აქვს გამჯდარი რომლისამე ადგილის მცხოვრებელს,
ვიდრე ხალხის უმრავლესობა უნდობლობით უცქერის
ექიმს, მცირე საერობო ერთეული ტყუილად იკისრებდა
ამ საქმის მოწყობას. ექიმს პირველ ხანებში ისე ნაკლებ
ეტანება ხალხი, რომ მცირე საერობო ერთეულის ექიმს
საკმაო სამუშაო არ ექნება და მომეტებულად უსაქმოდ
იქნება; პირიქით, სამაზრო საერობო ექიმს კი, რომელიც
დიდს რაიონს ემსახურება, შესაძლოა საკმაოდ ბევრი
საქმე აღმოუჩნდეს, რადგან, თითო სოფლიდან რომ ორი
ან სამი კაცი ჰგრძნობდეს ექიმის დახმარების საჭიროე-

ბას ავადმყოფობის დროს, ესეც საკმაო ასპარეზს შეჰქმნის მაზრის ექიმისთვის. მაგრამ როდესაც ხალხი განვითარდება, შეიგნებს, რა მნიშვნელობა აქვს ჯანმრთელობისთვის ექიმს და ყველა საჭიროების დროს ექიმის ძებნას დაიწყებს, მაშინ-კი სამაზრო ერობა ულარ შესძლებს ხალხის საჭიროების დაკმაყოფილებას და ეს საქმე სამაზრო ერობიდან მცირე ერთეულის ერობას უნდა გადაეცეს.

— საერთოდ, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ერობის მოლვაწეობას, რაც ხანი გავა, უფრო და უფრო ფართო წრეებისთვის მიეცემა მნიშვნელობა, დემოკრატიულ (სახალხო) მნიშვნელობას მიიღებს და ამიტომ თვით მცხოვრებლებსაც უფრო და უფრო დაუახლოვდება. დიდის საერობო ერთეულის მოლვაწეობას უმთავრესად ის მნიშვნელობა აქვს, რომ იმან პირველმა უნდა დაარღვიოს რუტინა (ძველი წესები), პირველმა უნდა შეიტანოს ცხოვრებაში ახალი სხივი, პირველმა უნდა გაკვალოს გზა და შემდეგ მომწიფებული საქმე უნდა გადასცეს მცირე საერობო ერთეულებს. მცირე საერობო ერთეულები, როგორც ყველაზე უფრო დაახლოვებული მცხოვრებთა საჭიროებასთან, ამიტომ წარმოადგენენ, ერთის მხრივ, საერობო მოლვაწეობის საფუძველს და, მეორეს მხრივ, ამ მოლვაწეობის უკანასკნელს მიზანს. რამდენანადაც უფრო განვითარდება გონებრივად და ქონებრივად ხალხი, იმდენად გაიზდება მცირე საერობო ერთეულის მოლვაწეობა და, ამის მიხედვით, შემცირდება მსხვილ საერობო ერთეულობის მოლვაწეობა.

მაგრამ შეცდომა იქნება, რომ ვთქვათ, ვითომც მსხვილი საერობო ერთეულის მოლვაწეობა მხოლოდ ამ

შხრივ იცვლებოდეს და მუდამ იფუკებოდეს მცირე საერობო ერთეულის მოქმედების გაძლიერებასთან ერთად. შემცდარი იქნება, იმიტომ რომ თვით ცხოვრება ერთს წერტილზე გაჩერებული არ არის, ის აუცილებლად წინ მიღის და ამ წინმსვლელობით თანდათან არღვევს ძველს წესებს, ძველს დაწესებულებებს და იმათს ადგილას აჩენს სხვა წესებს და სხვა დაწესებულებებს. მსხვილი საერთო ერთეული მუდამ საერობო მოღვაწეობის სათავეში იქნება. და მუდამ ახალ-ახალი პორიზონტები (ცის ზოლები) გაიშლება იმის წინაშე; უკანასკნელი წერტილი იმის მოღვაწეობისა ისევე დაუჯერებელია, როგორც ის, ვითომც თდესმე ისტორია შედგებოდეს და განვითარების ომელსამე საფეხურზე გაიყინებოდეს. საერობო მოღვაწეობის მნიშვნელობა და საგანი, პირიქით, თანდათან უფრო და უფრო გაძლიერდება, თუ კი, რასაც ვირველია, საერობო მოღვაწეებს საკმარ ენერგია და მისწრაფება ექნებათ. ქვეყნის სამსახურისთვის.

ამგვარად, ჩვენის აზრით, საერობო ერთეულობათა მოღვაწეობის სასტიკი განსაზღვრა არც საჭიროა და არც მოსახერხებელი. შრომის დანაწილება საერობო ერთეულთა. შორის თავის-თავად განხორციელდება იმისდა მიხედვით, თუ რა გვარი დანაწილება უფრო სასარგებლო გამოდგება ქვეყნისთვის და უფრო ხელს შეუწყობს საერობო მოღვაწეობის ნაყოფიერ განვითარებას.

ჩვენის შეხედულებით, არის ერთი საქმე, რომელიც აუცილებლად მსხვილ საერობო ერთეულს უნდა ჩაპარდეს და არა მცირე ერთეულს. ჩვენ ვგულისხმობთ სა-

კანონმდებლო ინიციატივას და იმ კანონ-პროექტების
წინასწარ განხილვას, რომლებიც მთავრობისაგან განზრა-
ხულია განსაზღვრულ საერობო ერთეულის ტერრიტო-
რიაზე მოქმედებისთვის შემოსალებად.

საკანონმდებლო ინიციატივა, ესე იგი უფლება, რომ
სახელმწიფოს საკანონმდებლო დაწესებულებაში აღძრას
საკითხი ახალის კანონის გამოცემის; ძველის გაუქმების
ან შეცვლის შესახებ, უნდა მიენიჭოს მსხვილს ერთეულს
და არა მცირე საერობო ერთეულს, რადგან ასეთს სა-
კითხებს საყოველთაო მნიშვნელობა აქვთ და ერთის ქვეყ-
ნის სწვადასხვა კუთხიდან თავმოყრილი ხალხის წარმო-
მადგენელნი უფრო ყოველმხრივად გამოარკვევენ საგანს,,
ვიდრე ერთის რომელისამე კუთხის მცხოვრებნი, რომელ-
თაც, შესაძლოა, ადგილობრივ ცხოვრების განსაკუთრებით.
თავისებურობისა გამო საკანონმდებლო საკითხის საყო-
ველთაო ხასიათი ვერ გაითვალისწინონ ჯეროვანად. რა
თქმა უნდა, ეს იმას არ პნიშნავს,, რომ მცირე საერობო
ერთეულს სრულიად აეკრძალოს მსჯელობა ასეთს: საგ-
ნებზე, პირიქით, ჩვენ მომხრე ვართ მცირე ერთეულის
ყოველმხრივის განვითარებისა და თავისუფლებისა, მა-
გრამ მცირე ერთეული რომ პირდაპირ საკანონმდებლო
დაწესებულებაში არ აღძრავდეს საკანონმდებლო საკით-
ხებს, არამედ თავისი აზრი მხოლოდ მსხვილს საერობო
ერთეულში შექმნდეს, ეს უფრო მოსახერხებელიად. და
პრაქტიკულად მიგვაჩნია. ასეთისავე აზრისა ვართ კანონ-
პროექტების განხილვის შესახებ.

სულ სხვაა, ეგრედ წოდებული, სავალდებულო და
დგენილებანი იმ საგანთა შესახებ, რომლებიც ერობის
მოღვაწეობის საქმეს არ შეაღგენენ. აქ სავალდებულო

დადგენილებათა გამოცემის ნება იმ ერთეულს უნდა მიეცეს, ვინც თვით საქმეს აწარმოვებს, რადგან საუკეთესო მსაჯული ამ საქმეში სწორედ ის იქნება.

IV.

საერობო დაწესებულებანი.

1864 წლის საერობო დებულებით სამაზრო საერობო დაწესებულება არის სამაზრო საერობო კრება და საჟაზრო საერობო გამგეობა. საგუბერნიო საერობო დაწესებულებაც სწორედ ასეთისავე აგებულებისაა, — საგუბერნიო საერობო კრება და საგუბერნიო საერობო გამგეობა. საერობო კრებას უფლება აქვს, განაგოს ყველა საერობო საქმე, რომელიც კანონის ძალით საერობო დაწესებულებებს აქვს. მიჩნილი; საერობო გამგეობა — აღმასრულებელი ორგანო.

1890 წლის საერობო დებულებაც მხოლოდ ისევ ამ ორს საერობო დაწესებულებას იცნობს, რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საგუბერნიო და სამაზრო საერობო საქმეთა საკრებულოებს, რომელნიც მოხელეებისაგან შესდგებიან და ერობის მოქმედებას ზე-დამხედველობას უწევენ.

რუსეთის გამოცდილებამ დაანახა ქვეყანას, რომ საერობო თვითმმართველობას იმდენად რთული და მძიმე საქმე აქვს მიჩემებული, რომ მარტოოდენ საერობო კრება და საერობო გამგეობა ვერ უძლვება ან ძალიან უჭირს გაუძლვეს ყველა თავის საქმეს. თითოეული სამაზრო ან საგუბერნიო გამგეობა შესდგება თავმჯდომარისა

და ორის წევრისაგან, რომელთა რიცხვიც კრებას შეუძლიან ექვსამდე გააძლიეროს. რუსეთის საერობო გამგეობანი, როგორც ვთქვით, ვერ ასდიოდნენ თავის საქმეს და შემთხვევითს თანამოსამსახურეებს იხმარებდნენ. საერობო სკოლის მასწავლებელს, მაგალითად, დაევალება ხოლმე არა თუ მარტო გასწავლებლობა და სკოლის გარეოთად სხვადასხვა ცოდნის გაცრცელება ხალხში, არამედ იმასვე ხშირად ავალებენ სტატისტიკურ ცნობების მოგროვებას, ადგილობრივად სასოფლო მეურნეობის იარაღების გაყიდვას, საცდელ ან სამაგალითო სამეურნეო დაწესებულებათა შენახვას და სხვას. უეჭველია, თუ მცირე საერობო ერთეულიც დაწესდა, სამაზრო და საგუბერნიო საერობო გამგეობას თავის მოვალეობათა ასრულება თვალსაჩინოდ გაუადვილდება, მაგრამ მაინც საერობო კრებას ნება უნდა ჰქონდეს, თუ საჭიროებამ მოითხოვა, გამგეობის წევრების გარდა აირჩიოს კიდევ სხვა პირები განსაკუთრებითის კომისიების შესადგენად და ცალკე რომელისამე საქმის ასასრულებლად, აღმასრულებელის უფლებებით. თუ მცირე საერობო ერთეული ამ თავითვე არ შემოიღეს ჩვენში, ამ მხრივ 1864 წლის დებულება მაინც აუცილებლად უნდა შევსებულ იქმნას და საერობო კრებას აუცილებლად უნდა მიეცეს უფლება კომისიების დაარსებისა, აღმასრულებელ ორგანოს უფლებებით.

მეორე თვალსაჩინო ნაკლულევანება საერობო დაწესებულებათა აგებულობისა ის არის, რომ ნამდვილად ერობას სრულიად არა აქვს აღმასრულებელი ორგანოები. საერობო თვითმმართველობის გადაწყვეტილებათა აღსრულება შესაძლოა სამ გვარად: პირველი წესი ის არის,

რომ საერობო კრება მხოლოდ გადაწყვეტილებას მიიღებს და აღმინისტრაციას აცნობებს ამ გადაწყვეტილებას; იმისი აღსრულება მთლად აღმინისტრაციის ხელშია, ერობა კი სრულიად მოკლებულია აღმასრულებელ უფლებას. მეორე წესით — ერობას თავისი საკუთარი აგენტები ჰყავს დადგენილებათა ასასრულებლად და აღმინისტრაციის დახმარებას სრულიად არა ჰსაჭიროებს. მესამე წესით, რომელიც შეთვისებული აქვს რუსეთის ერობას, თვითმმართველობას შეზღუდული აღმასრულებელი უფლება ეძლევა. ასეთს წესს აუცილებლად მოსდევს ერობის დამოკიდებულება აღმინისტრაციისაგან, გამწვავება აღმინისტრაციისა და ერობის ურთიერთობისა, რაც შესამჩნევად აფერხებს საერობო მოღვაწეობის განვითარებას. ამიტომ, ჩვენის აზრით, 1864 წლის დებულება ჩვენში ისეთის ცვლილებით უნდა იქმნას შემოღებული, რომ ერობას თითონ ჰყვანდეს. საკუთარი აგენტები თავის დადგენილებათა ასასრულებლად.

მესამე უფრო თვალსაჩინო ნაკლულევანება 1864 წლის დებულებისა ის არის, რომ მეტის-მეტად შეზღუდულია ღარიბ მცხოვრებლების მონაწილეობა თვითმმართველობაში. სამაზრო საერობო კრების წევრები სამს მხვადასხვა საარჩევნო შეკრებილებაში ირჩევიან, სახელდობრ: 1) მაზრის მემამულეთა, 2) ქალაქის ამომრჩეველთა და 3) სოფლის საზოგადოებათაგან არჩეულთა შეკრებილებაში. იქნება, 1864 წელს, დებულების შედგენის დროს, ამგვარ არჩევნების წესს ცოტა რამ საფუძველი მაინც ჰქონდა, მაგრამ დღეს კი ასეთი არჩევნები სრულიად შეუფერებელია ცხოვრების პირობებთან.

მაზრის მემამულეთა საარჩევნო შეკრებულებაზე ხმა

აქვთ: 1) ვისაც ეკუთვნის მაზრაში იმოდენა ზომის მა-
მული, რაოდენიც ამ მაზრისთვის არის ნაჩვენები ცალკე
შედგენილს ნუსხაში. ეს ნუსხა დართული აქვს. საერო-
ბო დებულებას და იქიდან სჩანს, რომ ზოგის მაზრის-
თვის რაოდენობა მიწისა დიდია ნაჩვენები, ზოგისთვის
შედარებით ნაკლები; სულ ცოტა 200 დესეტინაა და-
სულ დიდი 800; 2) ვისაც ეკუთვნის სხვა რამ უძრავი
ქონება, ღირებული არა ნაკლებ თხუთმეტი ათასის მანათი-
სა; აგრედვე ვისაც ეკუთვნის. სამრეწველო ან სხვა. რამ
სამეურნეო დაწესებულება, რომელიც მთლად თავის მო-
წყობილობით ღირს არა ნაკლებ თხუთმეტის ათასის მა-
ნათისა, ან წლიურად ატრიალებს არა ნაკლებ ექვსის
ათასის მანათის საქონელს; 3) ვინც დანიშნულია კერძო
მემამულეთაგან, ან სხვადასხვა დაწესებულებისა, საზო-
გადოებისა, კომპანიისა და ამხავობისაგან ვექილად; ვე-
ქილების დანიშვნა მხოლოდ იმ პირთ და დაწესებულებათ
შეუძლიანთ, ვინც ზემოდ აღნიშნულ ქონების პატრონ-
ნი არიან და პირადად დასწრება საარჩევნო შეკრებილე-
ბაზე კი არ შეუძლიანთ; ვექილებად მხოლოდ ისეთი პი-
რები შეიძლება დაინიშნონ, ვისაც საკუთრად თავის სა-
ხელითაც უფლება აქვს, არჩევნებში მონაწილეობა მიი-
ღოს; 4) ვისაც პირველ მუხლში აღნიშნულ მამულზე
ნაკლები აქვს, მაგრამ მაინც იმის ერთს მეოცედზე არა
ნაკლები, ისინი ცალკე იკრიბებიან წინადვე და ირჩევენ
ამომრჩევლებს მაზრის მემამულეთა საარჩევნო შეკრები-
ლებაზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად. იმ
მამულის სივრცის ანგარიშის დროს, რომელიც იძლევა
უფლებას საარჩევნო შეკრებილებაში მონაწილეობის მი-
ღებისას, ერთნაირად ნაანგარიშევი უნდა იყოს, რო-

շորէ ու ու մամլո, հռմելու Յոհանա Յոհաննու եղլա-
միա, օգրետա ու, հռմելու ցլյետա մյջմով սարցե-
լործակա ցալապըմլո.

Սամանու մովու թուլությունու սարհեցնո Շյշրեծուլու-
ծաս մուսկա շաբա դրու մանու տաւագ-անաշրտա թո-
նամմունու դա ու ու շաբա տաւագումարյունա. Շյշրեծու-
լություն.

Մյուրա սարհեցնո Շյշրեծուլութա առու յալայիս սա-
արհեցնո Շյշրեծուլութա. ամ Շյշրեծուլութա մոնաթուլու-
ծաս ուղաք: 1) զուսաւ սաշաքրո մումուն այս; 2) զուսաւ
յալայիս յարեան այս, ան սեց. համ սամրեթուլու տու սա-
շաքրո դարիւսեծուլութա, հռմունու թարմութա առա
նայլութ յիշուս ատասուս մանատուսսա; 3) զուսաւ յալայիս
յուժրազո յոնցա այս, հռմելու ցալասախալցուս Շյսաթյու-
հագ դաբասեծուլութա: ուցուս յալայիս յարա ատո-ատաս
մպեռությունությ. մյուրա—առա նայլութ սամուս-ատասուս մանա-
տուսս, սադաւ առու-ատասուդան ատո-ատասամց մպեռությունու—
առա նայլութ ատասուս մանատուսս դա դանարհենս յալայիս յալայիս
առա նայլութ ելուտասուս մանատուս. յալայիս սարհեցնո Շյ-
շրեծուլութա տաւագումարյունս յալայիս մռուրազո.

Սացլյեա լցեծուլութուս մալուտ, ցուլուսւրուս (ան հայեց-
նաշրագ սուլուս. սանոցագույնուս) յրուլութա թմուս յուլու-
թա այս առ յամլու ցլյե-յապությ տոտուս. ցուլուսւրուս յրու-
լութա այս յակելությ ամոմիհեցուլութուս, յեց ոցո ոմ Յոհատ,
զուսաւ յացլութա սամանու սայրութա յրեթուստուս եմուսնյութուս
արհեցակա մոնաթուլութուս թուլութա, դասախելություն յնձա
ուցնեն առա յմեթյ ցուլուսւրուս յրուլութուս թյարտա մյ-
սամյացուս. սացլյերնուո. մմարտուլութուս ցան յարցուլութուտ,
տոտույլուս մանու ոնո մնյութա յրտու ան համացնումյ, սա-

დაც. როგორ უფრო სახერხოა, შეკრებილება ვოლოსტის ამომრჩევლებისა. ამ შეკრებილებას ჰქონის მომრიგებელი მოსამართლე ან მომრიგებელი შუამავალი შემდეგ შეკრებილება ირჩევს. თავმჯდომარეს და შეუდგება სამაზრო საერობო კრების ხმოსანთა არჩევას.

რიცხვი ხმოსანთა, როსიელნიც უნდა იქმნან არჩეულნი თითოეულს მაზრაში მემამულეთა, ქალაქის და ვოლოსტების (სოფლის საზოგადოებათა) შეკრებილებაზე, ნაჩვენებია ცალკე ნუსხაში თითოეულს მაზრისთვის. ეს ნუსხა იმ ვარაუდით არის შედგენილი, რომ ცალკ-ცალკე სოფლის კერძო მემამულეების, გლეხების და მოქალაქეებისაგან არჩეულ იქმნან იმდენი ხმოსანნი, რომ მათი რაოდენობათა დამოკიდებულება უდრიდეს მათის ქონების რაოდენობათა დამოკიდებულებას. საერთოდ, ხმოსნების უმრავლესობას ირჩევენ კერძო მემამულეების ესე იგი თავად-აზნაურობა, შემდეგ გლეხები და ბოლოს მოქალაქეები. მემამულეებისა და მოქალაქეთაგან არჩეული ხმოსნები ერთად ვოლოსტებისაგან არჩეულ ხმოსნებს ყველგან სჭარბობენ რიცხვით.

საარჩევნო სამაზრო შეკრებულებაზე თითოეულს ჯგუფს ამომრჩევლებისას შეუძლიან ამოირჩიოს ხმოსანი მხოლოდ თავის წრიდან; ვოლოსტების ამომრჩეველთა შეკრებილებას კი, — ნება აქვს, ამოირჩიოს ხმოსანი როგორც თავის წრიდან, აგრეთვე სამაზრო მიწის მფლობელთა შეკრებილების წევრთაგან.

საარჩევნო შეკრებილების წევრად არ შეიძლება იყვნენ: 1) ქალები, 2) ვინც 25 წლისაზე უმცროსია, 3) ვინც სამართალ ქვეშ არის, 4) ვინც შერისხულია სასამართლოს ან საზოგადოებრივის განაჩენით და 5) უცხო-

ქვეყნელნი, თუ რუსეთის ქვეშევრთომობაზე ფიცი არ მიუღიათ. ქალებს უფლება აქვთ თავის მაგიერ საარჩევნო შეკრებილობაზე. მონაწილეობის მისაღებად გაგზავნონ ვექილები, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ თითონ ამ ვექილებს ჰქონდეთ საკუთარი უფლება არჩევნებში მონაწილეობის შიღებისა; ასეთივე უფლება აქვთ იმათ, ვინც უკვე სრულ-წლოვანია, ესე იგი 21 წლისაა, მაგრამ 25-ზე უმცროსი. გარდა ამისა ქალებს შეუძლიანთ მიანდონ ვექილობა თავის მამას, ქმარს, შვილს, სიძეს და ძმებს, თუნდაც ამ პირთ საკუთარი უფლება არა ჰქონდეთ არჩევნებში მონაწილეობის შიღებისა.

სამაზრო საერობო კრების ხმოსნებად არ შეიძლება არჩეულ იქმნან: გუბერნატორები, ვიცე-გუბერნატორები; წევრნი საგუბერნიო მმართველობისა, პროკურორები და ადგილობრივი პოლიციის მოხელენი; ხმოსნები ირჩევიან სამის წლის ვადით. არჩევნების შემოწმება და დანამდვილება თვითონ საერობო კრების უფლებაა. საერობო კრების ხმოსნებს არავითარი სამოსამსახურო უპირატესობა და ჯამარიგი არ ეძლევათ. ამორჩეულ ხმოსანთა გარდა იმ მაზრებში, საღაც ხაზინას ან საუფლისწულო უწყებას ისეთი მიწები აქვს, რომლებიც გლეხთა სამუდამო მფლობელობაში არ არის გადაცემული, სათანადო უწყების მთავრობა ჰნიშნავს თავის მოხელეებს საერობო კრების წევრებად; თუ ასეთი მიწა მთელის მაზრის მიწათა სივრცის ერთ შეოთხედზე ნაკლებია, სახელმწიფო ქონებათა ან საუფლისწულო უწყება ჰნიშნავს ერთს ხმოსანს; თუ ამ უწყებათა, მიწა ერთს მეოთხედზედ მეტია, შეიძლება დაინიშნოს ორი ხმო-

სანი, თუ ნახევარზედ მეტია — შეიძლება სამი ხმოსანი დაინიშნოს.

ამგვარად არჩეულნი ხმოსანნი შეაღვენენ სამაზრო საერობო კრებას, რომელზედაც თავმჯდომარეობს მაზრის თავად-აზნაურთა წინამდლოლი.

სამაზრო საერობო კრება ირჩევს ხმოსანთაგანს საფრობო გამგეობას, რომელიც შესდგება თავმჯდომარისადა ორი წევრისაგან. წევრები კრებას შეუძლიან მეტიც აშორისას, მაგრამ ექვსზე მეტი წევრი კი მაინც არ უნდა იყოს. თავმჯდომარეს და წევრებს გამგეობისას ირჩევენ სამის წლის ვადით. თავმჯდომარედ არჩეული პირი დამტკიცებული უნდა იქმნას გუბერნატორისაგან.

საგუბერნიო საერობო კრება შესდგება ხმოსნებისაგან, რომელთაც მაზრის კრებები ირჩევენ თავის წრიდამ სამის წლის ვადით. თითოეული სამაზრო საერობო კრება იმდენს საგუბერნიო ხმოსანს ირჩევს, რამდენიც ნაჩვენებია ცალკე ნუსხაში. ეს ნუსხა იმ ვარაუდით არის შედგენილი. რომ ხუთს ან ექვსს სამაზრო ხმოსანზე ერთი საგუბერნიო ხმოსანი მოდიოდეს. საგუბერნიო საერობო კრებაზე თავმჯდომარეობს, თუ უმაღლესად არ იქმნა დანიშნული თავმჯდომარე, გუბერნიოს თავად-აზნაურობის წინამდლოლი. საგუბერნიო საერობო კრება თავის ხმოსანთა შორის ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს და წევრებს სამის წლის ვადით. წევრები უნდა იყვნენ არა ნაკლებ არისა და არა უმეტეს ექვსისა. გამგეობის თავმჯდომარე დამტკიცებულ უნდა იქმნას თანამდებობაზე შინაგან საქმეთა მინისტრისაგან.

ასეთია აგებულება, 1864 წლის დებულებით, საერობო თვითმმართველობისა. დიდი და თვალსაჩინო ნა-

კლულევანება წარმოსდგება იმ მაღალი ცენზისაგან, რომ
მლის წყალობითაც საერობო კრებების უმრავლესობას
მუდამ მსხვილი მესაკუთრეები შეადგენენ და ამიტომ მთელ
საერობო საქმეების სრული ბატონიც ისინი არიან. რუსე-
თის ბევრი საერობო მოღვაწე დღესაც სჩივის, რომ ხალხს
აქამომდე ვერ შეუთვისებია აზრი, რომ ერობა იმისი საკუ-
თარი დაწესებულებაა. არც საკვირველია! ანუკი რო-
გორ უნდა ჩისთვალის ხელმოკლე ღარიბმა ადამიანმა,
ერობა თავის დაწესებულებად, როდესაც სრულიად მო-
კლებული აქვს საშუალება — გავლენა იქმნიოს საერობო
მოღვაწეობაზე? ერობა იმ დრომდე იქნება ხალხისათვის
რაღაც უცხო, გარეშე დაწესებულებად, ვიდრე სრუ-
ლიად არ მოისპონა ქონებრივი ცენზი და ყველას არ
გაეხსნება კარები საერობო მოღვაწეობისა.

ერობა ადგილობრივ ინტერესებს, ან, როგორც კანო-
ნი ამბობს, ადგილობრივ საჭიროებას და სარგებლობას
უნდა ემსახურებოდეს. ადგილობრივი ინტერესები — ადგი-
ლობრივ მცხოვრებლების გაჭირება და სარგებლობა.
ამიტომ სულ უბრალო სამართლიანობა მოითხოვს, რომ
ღარიბები არ იყვნენ კანონით გამორიცხულნი ერობი-
დან. ადგილობრივ ცხოვრების გაუმჯობესება იმდენად
მდიდრების და შეძლებულ მცხოვრებლებისთვის არ არის
საჭირო, რამდენადაც ღარიბებისთვის. მდიდარს ადგილად
შეუძლიან გასცდეს და თავი დაახწიოს ადგილობრივ
ცხოვრების მჟღავნობლობას, ღარიბი ადამიანი კი სრუ-
ლიად მოკლებულია ამ საშუალებას. თუ დაინტერესე-
ბულია ვინმე საერობო მოღვაწეობის განვითარებით და
ადგილობრივ კულტურის გავრცელებით, ისევ ღარიბები,
თორებ მდიდარი უამისოდაც ადვილად დაკმაყოფილებს.

თავის საჭიროებას. ავიღოთ, მაგალითად, ადგილობრივ სკოლების გამართვის საქმე. მდიდარს კაცს თითქმის სულაც არა სჭირია ერობის სკოლა. როცა იმის ბავშვებს სწავლის დრო მოუვათ, ის ან მთელის ოჯახით თავისუფლად გადასახლდება რომელსამე მდიდარს ქალაქში, სადაც მრავალი სკოლაა, ან ბავშვებს მიაბარებს იქ სადმე პანსიონში; წელიწადში ორმოცი, სამოცი თუმანი იმას ადვილად შეუძლიან გადასდოს ბავშვების ასაზრდელად და დაიკავილოს ამგვარად თავისი საჭიროება, იმისდა მიუხედავად, ადგილობრივ სკოლები დაარსდება, თუ არა. სულ სხვაა ღარიბის კაცის მდგომარეობა. იმას არც თითონ შეუძლიან სხვაგან დროებით გადასახლება და ვერც შეიძლებს მიაბაროს ძვირფასს პანსიონებში; თუ ადგილობრივ გაიხსნა სასწავლებელი, ის იმ სიკეთით ისარგებლებს და ცოტა რამეს მაინც შეასწავლის თავის ბავშვებს, თუ არა—ძალაუნებურად უნდა დაემორჩილოს ბედს და სიბნელეში აღზარდოს მომავალი თაობა. მაგრამ მარტო სკოლის საქმეში არ არის ადგილობრივი ინტერესები ღარიბ ნალჩთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული, ვიდრე შეძლებულებთან,—ასეთსავე პირობებში იმყოფება თითქმის ყველა სხვა საერობო საქმეც.

ვიდრე საერობო თვითმმართველობას იმ აზრზე ამყარებდნენ, რომ მცხოვრებლებს თითონ ეწარმოებინათ თავისი ადგილობრივი მეურნეობის საქმეები, ცოტა რამ საფუძველი კიდევ ჰქონდა ქონებრივს ცენზს (იმ პირობას, რომ თვითმმართველობაში მონაწილეობისთვის კაცს მოეთხოვება, განსაზღვრულ ქონების პატრონი იყოს), რადგან ვისაც ადგილობრივ მეურნეობა არა აქვს; იმას არც სამეურნეო საქმეები დააინტერესებს. მაგრამ ჩვენ

უიცით, რომ ეს აზრი ყალბია, ვიცით, რომ როგორც
მწერლობამ, აგრეთვე თვით კანონმდებელმა უარჲყო ეს
აზრი (დებულება 1890 წლისა), ერობის დანიშნულებად
საერთოდ კულტურულ განვითარებისთვის სამსახური
სცნო და ამიტომ ეხლა სულ ერთიან დაიშალა ქონებრი-
ვის ცენზის საფუძველი.

ხშირად ამტკიცებენ, რადგან ვერც ერთი საქმე ვერ
გაკეთდება, თუ ფული არ დაიხარჯა, და ფულს კი ეროვა
იმათვან იღებს, ვისაც ქონება აქვს, ამიტომ ქონებრივის
ცენზის გაუქმება უსამართლობაც იქნება და მავნებელი-
ცო. ჩვენის ფიქრით, ეს შეუწყნარებელი შეცდომაა.
ყოვლის უწინარეს ყალბია ის აზრი, ვითომც ფულს მარ-
თლა მარტო შეძლებული კლასსები იხდიდნენ. რამდენიც
უნდა გადასახადი შეაწეროთ, მაგალითად, არყის ქარხა-
ნის პატრონს, ის მაინც ერთს კაპეიკაც არ გადიხდის
ნამდვილად თავის ჯიბიდან; ხაზინაში ან ერობაში შე-
ტანილს ფულს გაანაწილებს, ქარხანაში გამოხდილ არ-
ყის რაოდენობაზე და ამის კვალობაზე ასწევს თითონ
არყის ფასს; ამგვარად ბოლოს გადასახადს მომხმარებე-
ლი გადაიხდის და არა მწარმოებელი. ეგრედ წოდებული,
არა-პირდაპირი გადასახადები რომ მთელის თავის სიმ-
ძიმით მომხმარებელს აწვება კისერზე და არა მწარმოე-
ბელს ან ვაჭარს—ეს ეჭვს გარეშეა, მაგრამ პირდაპირის
გადასახადების თვალსაჩინო ნაწილიც ყოველთვის ან ხში-
რად აძვირებს ხარჯის გადამხდელისაგან ბაზარზე გამო-
ტანილს საქონელს და ძალიან ძნელი გამოსაცნობია,
ბოლოს-ბოლოს ვინ რამოდენა გადასახადს აძლევს ერო-
ბას თუ სახელმწიფოს; უეჭველია მხოლოდ ის, რომ ყვე-
ლა მომხმარებელი და ყველა შშრომელი, ასე თუ ისე, და-

ბევრს თუ არა, ცოტას მაინც აუცილებლად იხდის სახელმწიფოს ან ერობის სასარგებლოდ; ლარიბი კაცისთვის კი მცირე გადასახადიც იმდენად საგრძნობელია, რომ ის მუდამ სიფრთხილით მოეკიდება ყოველს საქმეს, რომელმაც კი ახალი ხარჯების შემოღება უნდა გამოიწვიოს. უსამართლობა სწორედ ის არის, რომ მცირე ქონების ან სრულიად ქონებას მოკლებული აღამიანი ამის მიზეზით გაძევებულ იქმნას თვითმმართველობის ასპარეზიდან და იმის ინტერესებს არავინ არ გაუწიოს წარმომადგენლობა, და არა ის, რომ მოისპოს ქონებრივი ცენზი.

ზოგნი შიშს აცხადებენ, ქონებრივი ცენზი რომ მოისპოს, შემთხვევითი და დროებითი ადგილობრივი მცხოვრებლები, უცხო ადგილიდამ გადმოხვეწილნი სამუშაოს საშოცნელად, შესაძლოა, ადგილობრივ თვითსმმართველობას სათავეში მოექცნენ და სიკეთის მაგიერ, პორტლება დათესონ ადგილობრივ ცხოვრებისთვის, მაგალითად, დაავალიანონ ერობა, ბევრი ისეთი ხარჯი გააწევინონ, რომელიც ბოგანო ხალხის ინტერესებს და აკმაყოფილებს ერთის ან რამდენისამე წლის განმავლობაში, მაგრამ სამუდამოდ დააუძლეურებს ერობას და იმის მომავალ მოღვაწეობას სულ ერთიან გამოუთხრისო ძირს. შიშს დიდი თვალები აქვს, და შეიძლება ზოგიერთი ქონებრივ ცენზის დამცველი გულწრფელად ჰფიქრობდეს, რომ ქვეყანას უეცრივ აუარებელი ბოგანო, ესე იგი მუშა-ხალხი დაატყდება თავს და დაპლუავს! მაგრამ რატომ ერთს ისეთს მაგალითს, მაინც არსად გვიჩვენებენ, რომ ქონებრივ ცენზის გაუქმებას გამოეწვია ბოგანოთა გამრავლება და იმათგან ქვეყნის კეთილდღეობის წალეკა? პირიქით, ჩვენ ვიცით, რომ ნორვეგიაში, მაგალითად,

ქონებრივი ცენზი არ არსებობს ადგილობრივ თვითმმართველობისთვის, მაგრამ იქაური ერობა ამის გასო არც დაღუპულა და არც ქვეყნის კეთილდღეობა დაუნგრევია. თუ სიტყვა იმაზეა, ვინ უფრო ჰლუპავს, ქვეყანას, უცხოეთიდამ გადმოხვეწილი კაპიტალის პატრონები, რომელთაც ერთად-ერთი მიზანი ამოძრავებთ—გამორჩენა, თუ უცხოეთიდამ მოსული მუშა-ხალხი, რომელიც ლუკმა-ჰურისათვის ანებებს თავს სამშობლოს, უეჭველია ქონებრივის ცენზის მოსარჩლევებს ამ მარივ თავის სასარგებლოდ ვერაფერი ვერ ეთქმით. გარდა ამისა, უნიადა-გოა თვით ეს შიში ბოგანო ხალხისა, ესე იგი მუშებისა; ეხლა მუშა-ხალხი სწორედ ის ელემენტია, რომელიც ყველა სხვა კლასსებზე მეტის სიმტკიცით და გულმოდგინებით იცავს საქვეყნო კეთილდღეობის ინტერესებს, და ამიტომ იმათი მონაწილეობა ადგილობრივ საერობო თვითმმართველობაში, სასარგებლოც არის და სასურველი.

ვიდრე ქვეყნის მარილს ფულისა და მამულის პატრონები შეადგენდნენ, ქონებრივ ცენზს თავისი გასამართლებელი საბუთი ჰქონდა. მაგრამ დრო იცვალა, ახალის აზრების ძალამ დაარღვია ძველი წარმოდგენები და ქონებრივ ცენზის გაუქმება ეხლა აუცილებელ საჭიროებად უნდა ჩაითვალოს.

საერობო მოღვაწეთა არჩევნები ისე უნდა მოეწყოს, რომ, რაც შეიძლება, მჭიდრო კავშირი არსებობდეს ამომრჩეველთა და ამორჩეულთა შორის; ეს მოსახერხებელია მხოლოდ საყოველთაო, პირდაპირის, თანასწორის და ფარულის საარჩევნო ხმის უფლებით. 1864 წლის საერობო დებულება გლეხებისთვის სამკეცს არჩევნებს აწესებს. ჯერ

ვოლოსტის შეკრები უნდა აირჩნენ, შეძლევ ამათ უნდა აირჩიონ ამომრჩევლები ვოლოსტების ამომრჩეველთა შეკრებულებისთვის და მხოლოდ აქ მოხდება საერობო ხმოსნის არჩევა. უფრო უფრო, ასეთი წესი ხელს შეუწყობდა ერობის დაშორებას მცხოვრებთა სწორედ იმ ნაწილისაგან, რომელთათვისაც ყველაზე მეტად საჭიროა საერობო დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირის დაჭერა და გამტკიცება.

ჯერ ისევ მესამოცდაათე წლებში სწერდა პროფესორი გრადოვსკი, სამაზრო საარჩევნო შეკრებულება რაღაც განყენებითი მოვლენაა, რომელსაც არავითარი ნიადაგი არა აქვს ცხოვრებაში, რომელმაც ისეთი დანაწილება მცხოვრებლებისა ჯგუფებად, როგორსაც საარჩევნო ხელშეკრულება იგულისხმებს, არ იცისო ეს აზრითანდათან უფრო ნათლად მტკბლებოდა რუსეთში ერობის ისტორიით და ეხლა ჩვენთვის არათერი საჭიროება არ არის, სწორედ ის შეცდომა გავიმეოროთ, რომელიც ორმოცის წლის წინად გამოსცადა რუსეთმა. მაშინ გლეხების განთავისუფლება ახალი მოვლენა იყო და ამიტომ წინანდელ ყმებისა და ბატონების ერთს კრებულში ერთად მოქცევა თანასწორის ხმის უფლებით საერობო ხმოსნების ასარჩევად — მოუხერხებლად და თვით გლეხებისთვის საზიანოდ მიაჩნდათ; ეხლა გლეხი უკვე შეეჩია თავისუფლებას და ეს ერთად-ერთი საბუთი მცხოვრებლების დანაწილებისა სამს «განყენებითს». შეკრებულებად აღარ არსებობს. თუ მცირე საერობო ერთეული იქმნა შემოლებული, მისი საერობო კრება აირჩევს ხმოსნებს მსხვილ საერობო ერთეულებისთვის. და შეკრებულებანი საჭირო აღარ იქნებიან; თვით მცირე საერობო ერთეუ-

ლისთვის ხმასნების არჩევა კი სულ ადვილი იქნება საყო-
ველთაო და თანასწორობის პრინციპით.

V

დამოუკიდებლობა ერობისა აღმინისტრაციისაგან.

როგორც ნათქვამი გვაქვს ზემოდ, 1864 წლის სა-
ერობო დებულება აკანონებს საერობო გამგეობათა
თავმჯდომარეების დამტკიცებას გუბერნატორისაგან
და შინაგან საქმეთა მინისტრისაგან. ამით გამოი-
ხატება ერობის დამორჩილება აღმინისტრაციისადმი,
მაგრამ მარტო ეს წესი არ განსაზღვრავს ერო-
ბისა და აღმინისტრაციის ურთიერთობას. მეცხრე მუხ-
ლი საერობო დებულებისა გუბერნატორს და შინაგან
საქმეთა მინისტრს ავალებს, თვალ-ყური ადევნონ საერო-
ბო დაწესებულებათა მოქმედებას და განსაზღვრულის
წესით „შეაჩერონ ალსრულება საერობო დაწესებულე-
ბის ყოველის გადაწყვეტილებისა, რომელიც კანონის ან
საერთო სახელმწიფო სარგებლობის წინააღმდეგია“. 1890
წლის საერობო დებულებით აღმინისტრაციის უფლება
კიდევ უფრო ფართოდ არის შემოხაზული; სხვათა შო-
რის, იმ კანონის ძალით გუბერნატორს იმ მოსაზრებითაც
შეუძლიან შეაჩეროს ალსრულება საერობო დაწესებულე-
ბათა გადაწყვეტილებისა, რომ ეს გადაწყვეტილება პირ-
და-პირ არღვევს ადგილობრივ სარგებლობას.

რადგან ჩვენთვის პრაქტიკული მნიშვნელობა 1864
წლის დებულებას აქვს, ამიტომ გავიცნოთ დაახლოვებით,
რა ურთიერთობა არსებობს ერობისა და აღმინისტრაციის
შუა ამ კანონით.

როგორც დებულების მექვეს მუხლი ამბობს, საერობო დაწესებულებანი საერთოდ დამოუკიდებლივ პმოქმედობენ. ეს დამოუკიდებლობა აღმინისტრაციისაგან პრინციპია, დედა-აზრია, რომელსაც კერძო შემთხვევებისთვის კანონი რამდენადმე გვერდს უქცევს და გუბერნატორის ან შინაგან საქმეთა მინისტრის თანხმობას ანუ დამტკიცებას თხოულობს ერობის ზოგიერთ დადგენილებათა ასასრულებლად. გუბერნატორის დამტკიცება საჭიროა შემდეგ საერობო კრების გადაწყვეტილებისათვის:

1) ალსრულებაში მოყვანა საერობო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვისა და ხარჯის განაწილებისა და შეწერისა; 2) დაყოფა საერობო გზებისა საგუბერნიო და სამაზროებად; 3) სამაზრო გზების ჩარიცხვა სასოფლოებად; 4) შეცვლა საერობო გზების მიმართულებისა; 5) გამართვა ადგილობრივ ნაწარმოებთა გამოფენისა; 6) საერობო გამგეობის წევრთა დროებით თანამდებობიდან გადაყენება; 7) გადაწყვეტილება შენობათა შესახებ; ლონისძიება ცეცხლის გაჩენის თავიდამ აცდენისა და უკვე გაჩენილის გაქრობისათვის; აგრეთვე ლონისძიება საქონლის ჭირის აცდენისა და მოსპობისთვის; 8) გადატანა ერთის ადგილიდამ მეორეზედ სავაჭროსი და ბაზრობის ადგილისა, შეცვლა და გაუქმება მათის დაწყება-გათავების ვადისა; აგრეთვე შეცვლა მათის შინაგანის მოწყობა-მომართვის წესრიგისა იმ სოფლის საზღვართა შორის, საცა ასეთი ბაზრობა და ვაჭრობა იცის; 9) გადაკვეთა მაზანდისა ანუ ხელფასისა, რომელიც უნდა მისცენ ნავის პატრონებმა ნავის მუშებს ვადა-გადაცილებულ დგომისათვის. შინაურ ნავთ-სავალ წყლებზედ, როცა ცალკე პირობა არ არის დადებული ამ საგანზედ.

საერობო შემოსავალ-გასავალ აღრიცხვისა და ხარჯების გაწერის განხილვის დროს, გუბერნატორი უნდა დარწმუნდეს: 1) რომ შემოსავალ გასავალში არ ჩაურთოვთ ისეთი ხარჯი, რომელიც არ ეთანხმება კანონით, დადგენილს წესს; 2) ჩართულია თუ არა ხარჯი ყველა იმ საჭიროებისა, რომლის დაკმაყოფილებაც, კანონით, სავალ-დებულოა ერობისათვის; 3) ისეთი რამ ხომ არა არის-რა გადასახადად დადებული და გაბეგრილი, რაც კანონით თავისუფალი უნდა იყოს ხარჯისა და გადასახადის შეწერისა და ბეგრის დადებისაგან; 4) უსწორ-მასწოროდ და მეტ-ნაკლებობით ხომ არა აქვს შეწერილი ხარჯი სახაზინო და საუფლისწულო უწყების მამულებს, შედარებით სხვა მამულებთან, 5) ჰარავს თუ არა შემოსავალი. და გადასახადი იმ ხარჯს, რომელიც სავალდებულოა ერობისათვის *).

გუბერნატორს საერობო კრებამ ყოველი. თავისი დადგენილება უნდა აუწყოს, მაგრამ გუბერნატორის დამტკიცება მხოლოდ ზემოდ ჩამოთვლილ შინაარსის გადაწყვეტილებისთვის. არის საჭირო. თუ გუბერნატორი თანახმა არ არის საერობო კრების დადგენილების დამტკიცებაზე, შვიდის დღის განმავლობაში უნდა აუწყოს ეს საერობო კრებას და გამოსთქვას ამასთანავე ის მოსაზრება, რომლითაც ის ხელმძღვანელობს, კრების დადგენილებას რომ არ ამტკიცებს. საერობო კრება ამის შემდეგ ხელმეორედ განიხილავს თავის დადგენილებას და მოვალეა დაწვრილებით გამოიკვლიოს ყოველი გარემოება,

*) ვსარგებლობთ კაფესის ნამესტნიკის ბრძანებით დაბეჭდილ ქართულის თარგმანით.

რომელმაც საბუთი მისცა გუბერნატორს შენიშვნების გამოსათქმელად, და დაადგენს თავის საბოლოო გადაწყვეტილებას. ეს საბოლოო ხელმეორე გადაწყვეტილება პირდაპირ ძალაში შედის და ოღსრულებაში მოჰყავთ, მხოლოდ გუბერნატორს უფლება აქვს, თავის პირადის პასუხისმგებლობით, შეიდის დღის განმავლობაში შეაჩეროს დაღვენილების აღსრულება და საქმე გადასაწყვეტად წარუდგინოს უმართებელესს სენატს.

შინაგან საქმეთა მინისტრის დამტკიცება საეროპო კრების შემდეგ გადაწყვეტილებისთვის არის საჭირო: 1) როცა ერობას უნდა იმოდენი სესხი აიღოს, რომელიც აღემატება მის ორის წლის შემოსავალს; 2) როცა უნდა საგუბერნოო საეროპო გზები სასოფლო გზებად ჩარიცხოს; 3) როცა უნდა გადასახადი დააწესოს საერობო გზებზე სიარულისთვის; 4) როცა უნდა გავრცელოს ბაზრობა თოთხმეტს დღეზე მეტის ვადით და გადაიტანოს ერთის აღვილიდან მეორეზე, ან არსებულ ბაზრობის დაწყება—გათავების ვადა შესცვალოს; 5) როცა უნდა გადაიტანოს მდინარის ან ზღვის ნაპირიდან უკვე არსებული ნავთ-საყუდელი ერთი აღვილიდან მეორეზე; 6) როცა უნდა გაანაწილოს ქონება და სამადლო დაწესებულებანი საგუბერნოო ვა სამაზროებად; 7) როცა უნდა დაავალოს მემამულეთ და სოფლის საზოგადოებას მოსპობა მავნე ცხოველისა და მწერისა, ან დაადოს სამაგიერო გადასახადი ფულად, აგრეთვე როცა უნდა შეიმუშაოს ამის შესახები სავალდებულო წესი კერძო კაცთა და სოფლის საზოგადოებისათვის..

შინაგან საქმეთა მინისტრმა, თუ ის თანახმა არ არის საერობო კრების გადაწყვეტილებისა, უნდა აუწყოს

ეს სათანადო საერობო გამგეობას ორის თვის განმავლობაში. ამ შემთხვევაში საერობო კრება ხელახლა განიხალავს საქმეს, დაადგენს თავის საბოლოო დადგენილებას და იმის პირს უგზავნის მინისტრს, ვიდრე დადგენილების განხორციელებას შეუდგებოდეს. თუ მინისტრი ისევ არ დაეთანხმა ამ ხელმეორე გადაწყვეტილებას, საქმეს სენატს გადასცემს გადასაწყვეტად.

როგორც ცხადად სჩანს ზემოხსენებულიდან, საერობო კრება გუბერნატორის და მინისტრის ბრძანებას ან განკარგულებას არ ემორჩილება; იმათ მხოლოდ სენატში საქმის გადასაწყვეტად შეტანის უფლება აქვთ. მაგრამ, ჯერ ერთი, რომ სასამართლოს წესით გარა წყვეტა იმ შინაარსის საქმეებისა, რომლებიც მინისტრს და გუბერნატორს შეუქლანთ სენატშა გაასაჩივრონ, ყ ავლად მოუხერხებელია: ვინ უნდა გამოაკვლიოს, მაგალითად, აჯგილობრივ საზოგადო მოღვაწეებზე უკეთესად, სად სჯობია ბაზრობის გამართვა,—იქ, სადაც წინადაც იმართებოდა, თუ სხვაგან სადმე,—ან სად სჯობია ნავთ-საყუდელის გამართვა? ნუ თუ სენატი, რომლის წევრებსაც შეიძლება მხოლოდ გეოგრაფიულ ქარტაზე ჰქონიეთ ნანახი სადაც საქმის სამშობლო, უკედ განსჯის საქმეს, ვიდრე ადგილობრივი მცხოვრებლები? სენატის წევრები რომ ბრძენთა-ბრძენნი იყვნენ, ეს მაინც დაუჯერებელი იქნება. მეორე საბუთი 1864 წლის კანონით შექმნილ ურთიერთობის უვარებისობისა ის არის, რომ აღმინისტრაციას ხელში მუდამ საკმაოდ ძლიერი იარაღი რჩება საერობო მოღვაწეობის შესამოკლებლად და თითქმის გასაჭილეტადაც: გრძელი მიწერ-მოწერა და საჩივრების წარმოება ისე დააგვიანებს საქმეთა მიმდინარეო-

ბას, რომ აუცილებლად მავნებელი იქნება ეს ერობის მოქმედების ნაყოფიერებისთვის.

ერობა აუცილებლად უნდა ექვემდებარებოდეს სა- ხელმწიფო არსებულს კანონებს და მისი მოქმედება კა- ნონიერების მხრივ აუცილებლად სასამართლოს უნდა დაემორჩილოს. ამ მხრივ საჩივარი ერობის მოქმედებასა და დადგენილებაზე ყველას უნდა შეეძლოს — ადგილობ- რივ აღმინისტრაციასაც, ცენტრალურ დაწესებულებებ- საც და კერძო პირებსაც; კანონიერების აღსადგენი გზა ყველასათვის თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ ერობასაც იმდენივე მნიშვნელობა და ისეთივე ავტორიტეტი უნდა მიეცეს, როგორიც ყველა სხვა სახელმწიფო დაწესებუ- ლებებისთვის არის საჭირო: ვიდრე სასამართლო არ გაა- უქმებს ერობის დადგენილებას, იმის შეჩერების უფლება არავის არ უნდა ჰქონდეს. გარდა ამისა, სრულიად უნდა აიკრძალოს ერობის მოქმედების გასაჩივრება. სარგებლო- ბის შიხედვით. ამგვარი საჩივარი პირდაპირ ეწინააღმდე- გება თვითმმართველობის დედა-აზრის: თუ არსებობს სად- მე ისეთი დაწესებულება, რომელსაც ერობაზე უმჯობე- სად შეუძლიან გაიგოს, რა არის სასარგებლო და რა არის შავნებელი, ერობის საქმეც მთლად ასეთს დაწესებულე- ბას უნდა ჩატბარებოდა მაგრამ საქმეც სწორედ ის არის, რომ ამ მხრივ საერობო დაწესებულებებს ვერავინ ვერ აჯობებს.

1864 წლის დებულება საერობო გამდებათა თავმ- ჯიომარეების დამტკიცებას ითხოვს აღმინისტრაციისაგან; ეს წესიც პირდაპირ ეწინააღმდეგება თვითმართველობას: თუ გუბერნატორს ან შინაგან საქმეთა მინისტრს უკეთ შეუძლიან აირჩიოს ადგილობრივ საქმეების საწარმოებ-

ლად ლირსეული პირები, სულერთიან უნდა გაუქმდეს ერობა, რადგან გუბერნატორი და შინაგან საქმეთა მინისტრი უკეთესად უნდა იცნობდნენ საზოგადო მოღვაწეებსაც, მათს ნიჭისაც, მათს საქმის ერთგულებასაც და თვით საქმესაც. ერობა იმიტომ შემოიღეს ყველგან, სადაც კი ის არსებობს, რომ ადმინისტრაცია უძლეურია ადგილობრივ ცხოვრებისთვის ღირსეული პირები აირჩიოს და იმათ ჩაბაროს ადგილობრივ საქმეების წარმოება. თუ არსებობს ერობა, ის დამოუკიდებელი და თავისუფალი უნდა იყოს. თუ იმის თავისუფლებას შეჰდლალავენ და შეზღუდავენ, ეს წინააღმდეგობა იქნება. ცხოვრებას კი წინააღმდეგობა არ უყვარს.

1864 წლის დებულება აკანონებს, სამაზრო და საგუბერნიო კრება წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს და ამასთანავე სამაზრო ათს დღეზე მეტი არ უნდა გაგრძელდეს და საგუბერნიო ოცს დღეზე მეტიო. ამ წესის გადაცდენა მხოლოდ გუბერნატორის ან შინაგან საქმეთა მინისტრის ნებართვით უნდა მოხდეს ხოლმეო. ესეც უცნაური და შეუწყნარებელი შევიწროება ერობის თავისუფლებისა. საერობო კრება საერობო საქმეების მოსახდენად ჰქონდება, საერობო საქმეების უკეთესი მცოდნე საკრობო კრებაა, მაგრამ იმას მაინც უფლება არა აქვს, იმდენი ხანი მოანდომოს ამ საქმეების მოწესრიგებას და მოწყობას, რამდენიც თვით კრების აზრით არის საჭირო; თუ გრძელერნატორმა არ ინება, სამაზრო საერობო კრებამ მეათე დღეს შუაზე უნდა შესწიყვიტოს თავისი მუშაობა და დაიშალოს. ასეთი წესი ყოვლად შეუფერებელია! ნუ თუ ადმინისტრაციამ უკედ იცის, რამდენი დღე არის საჭირო მორიგ საერობო საქმეების მო-

საწყობად და, თუ უკეთ არ იცის, რატომ მაინცა-და-
მაინც იმის ნებართვით უნდა შეეძლოს კრებას მეთერთ-
მეტე დღესაც განაგრძოს თავისი მუშაობა?! ეს წესი
ერთ-ერთი ნიმუშია ბიუროკრატიულ მზრუნველობისა
ქვეყნისათვის: ზრუნავს იმ საქმეებზე, რომლებისაც
არაფერი იცის, და მაინც-კი თავს არ ანებებს ამ
მზრუნველობას. ეს აღარ უნდა იყოს, ასეთი წესები
უნდა მოისპოს ქვეყანა, კაი ხანია, მოწიფდა; ხალხ-
მა, დიდი ხანია, აიდგა ფეხი და აღმინისტრაციის დაუ-
ხმარებლადაც სწორედ გაივლის. ერობა, რომელიც ეხლა-
უნდა მთავრობას შემოიღოს ჩვენს ქვეყანაში, მთლად გა-
წმენდილი უნდა იყოს აღმინისტრაციის მზრუნველობისა-
გან, მთლად დამოუკიდებელი უნდა იყოს გუბერნატო-
რისა და სხვა მოხელეებისაგან. თუ ერობას ისევ უფრო
სები ეყოლება, ის სჯობია, სულაც ნუ შემოიღებენ იმას
ჩვენს ქვეყანაში.

გ. რცხილაძე.



თვალსაჩინო შეცდომები

მოთხოვთაში: ტურიკო, მგელია და თოლია.

გვერდი-	სტრიქონი.	ა რ ი ს.	უნდა იყოს:
6	6—ზევ.	პნახარდნენ	პნახავდნენ
17	7—ქვ.	,	:
18	5—ზევ.	უერთდება	უერთდებოდა
21	3—ზევ.	გაფხრეზილი	გაფხრეწილი
26	8—ზევ.	წკლუმბები	წკლუმბები
33	13—ზევ.	გამარჯვება.	გამარჯვება,
34	9—ზევ.	სძმარავდესო	სძმარავსო
36	12—ქვ.	წელანდელივათ	წელანდელივით
42	4—ზევ.	კიდეც	კიდევ
46	5—ქვ.	ხალხში	სახლში
63	3—ქვ.	დამაურველები.	დამაურვებელი
64	7—ზევ.	მოიქცე	მოიქცეს
66	7—ქვ.	ამათ	ამაოა
69	5—ზევ.	ვნახოთ.	ვნახოთ,
72	13—ქვ.	ძალასა	ძალისა
75	14—ზევ.	დასდევდა	დასდევდა,
77	3—ზევ.	სრტყვები	სიტყვები
78	3—ქვ.	წინად ძაღლის ალერსი	ძაღლის ალერსი
80	7—ქვ.	მგელის-კერძო	მგლის-კერძო
81	15—ზევ.	ისა და ეშმაკი თოლია	ისა და ეშმაკი— თოლია
84	5—ზევ.	შეზართა	შეჰზარა.
86	5—ზევ.	არც-კი სჯერო- და თოლია	არც-კი სჯეროდა, რომ თოლია.

რ 3836
1905

საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ი ვ ე რ ი პ“.

1905 წ.

გამოდის ყოველ-დღე.

წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს სელის-მამწერლებს.

პრემიად 12 ჭიდნე

საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხომწერალთა.

გაზეთის ფასი: 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდის 4 გან., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ცალკე ნომერი გაზეთისა ლირ. 3 კაპ.

რედაქცია ოყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: თიფლის, რედაქცია გაზ. „Иверия“.

სტამბა-აშანაგობისა „შრომა“.